


675-1  
1993

ISSN-0132-6058



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის

# მანქანა

ისტორიის  
ეთნოგრაფიისა და  
ხელოვნების  
ისტორიის  
სერია

№ 58  
(3-4)

3-4

1993



ისტორიის,  
ეთნოგრაფიისა და  
ხელოვნების ისტორიის  
სერია

**СЕРИЯ  
ИСТОРИИ,  
ЭТНОГРАФИИ И  
ИСТОРИИ ИСКУССТВА**

3-4. 1993





ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს  
Журнал основан в 1971 году

**ს ა რ ე დ ა კ ტ ი ო კ ო ლ ე გ ი ა :** ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, გ. გიორგაძე, ვ. ითონიშვილი, მ. ლორთქიფანიძე, გ. მელიქიშვილი, რ. მეტრეველი (რედაქტორი), დ. მუსხელიშვილი, ო. ჟორდანია, ე. ხოშტარია-ბროსე (რედაქტორის მოადგილე), ლ. ჭილაშვილი, ნ. ჯანბერიძე.

**РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:** А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, Г. Г. Гиоргадзе, О. К. Жордания, В. Д. Итонишвили, М. Д. Лорджи-панидзе, Г. А. Меликишвили, Р. В. Метревели (редактор), Д. Л. Мухелиш-вили, Э. В. Хоштария-Броссе (заместитель редактора), Л. А. Чилашвили, Н. Ш. Джанберидзе.

პასუხისმგებელი მდივანი: გ. ლორთქიფანიძე  
Ответственный секретарь: Г. Г. Лорджианидзе



შ ი ნ ს ა რ ს ი

წიგნები

ბერონტი ბასვიანი. სვანთა განსახლება ჩრდილო კავკასიის მთიანეთში ..... 5

ანრი ბობეჯიანი: ტატი-კლარჯეთის მფლობელი ზოგიერთი ბაგრატიონის პატივის ვარკვევისათვის 21

რობერტ კოჭლავაშვილი. საქართველოს გლეხთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებიდან (1917-1921 წწ.) ..... 34

ბიძინა ნანობაშვილი. შესაქონლეობა კახეთში ..... 48

ცნობები და შენიშვნები

მთიანეთი აბულაძე. საქართველოში ებრაელთა ჩამოსახლების ისტორიიდან ..... 63

ნ. ჩანტლაძე. მხითარ ვოშის ტრაქტატი „ქართველთათვის“ როგორც ისტორიული წყარო ..... 73

ბიორბი ნაღრიძე. სულხან ბარათაშვილი ქართულ ისტორიოგრაფიაში ..... 83

მალაზ ნაბიძე. ზაქარია ჭიჭინაძე და „ქართველები სპარსეთში“ ..... 96

მანანა იაგანიძე. ფრანგული მოგზაურული ლიტერატურის ისტორიისათვის ..... 103

ივ. მენთეაშვილი. ინგლისის კოლონიური მმართველობის დამყარება ინდოეთში XVIII-XIX სს მიჯნაზე და ინგლისელების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ ..... 112

თამარ სულუხია. ტრადიციული ქართული საცხოვრისის გვერდები თორგანზაციის სოციალურ-ფუნქციური მქანში ..... 116

ნიკოლოზ მარტოვილი. არტოზიანის წმ. შიოს ეკლესია ..... 130

პუბლიკაცია

პეტანბ ბურული. პირველი ქართული პარლამენტი (საქართველოს ეროვნული საბჭო) ..... 142

ავთანდილ მენთეაშვილი. „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია“ ..... 174

ბუბა კლაძე. მარტვილის ტაძრის ნაკაწრი წარწერები ..... 199

ისტორიული მენთეაშვილის ღამეებრივ დისკიპლინები

ნიკო ჯავახიშვილი. რას შეისწავლის ბონისტოკა ..... 218

# СОДЕРЖАНИЕ



## СТАТЬИ

ГАСВИАНИ Г. О расселении сванов на Северном Кавказе .....	5
БОГВЕРАДЗЕ А. А. К установлению титулов некоторых владельцев Тао-Кларджетских Багратионов .....	21
КОЧЛАМАЗАШВИЛИ Р. Г. Из истории общественно-политической активности крестьян Грузии (1917-1921 гг.) .....	34
НАНОБАШВИЛИ Б. И. Скотоводство в Кахетии .....	48

## СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

АБУЛАДЗЕ К. К. Из истории переселения евреев в Грузию .....	63
ЧАНТЛАДЗЕ Н. Т. Трактат Мхитара Гоша как исторический источник .....	73
НАДИРАДЗЕ Г. Ш. Сулхан Бараташвили в грузинской историографии .....	83
НЕБИЕРИДЗЕ М. Захарий Чичинадзе и "Грузины в Персии" .....	96
ЯМАНИДЗЕ М. К истории французской путешественнической литературы .....	103
МЕНТЕШАШВИЛИ И. Ш. Установление колониального правления Англии в Индии в конце XVIII в. и отношения англичан к этому вопросу .....	112
СУЛУХИЯ Т. Т. Социально-функциональный механизм планировочной организации традиционного жилища .....	116
ВАЧЕИШВИЛИ Н. Церковь св. Шио в с. Артозани .....	130

## ПУБЛИКАЦИЯ

ГУРУЛИ В. Ш. Первый грузинский Парламент .....	132
МЕНТЕШАШВИЛИ А. Демократическая Республика Грузии и парижская мирная конференция .....	174
КУДАВА Б. Граффити из Мартвильского храма .....	199

## ВСПОМАГАТЕЛЬНЫЕ ДИСЦИПЛИНЫ ИСТОРИЧЕСКОЙ НАУКИ

ДЖАВАХИШВИЛИ Н. Г. Что изучает Бонистика .....	218
--	-----

გეოგრაფიული სახეობები

სვანეთის გეოგრაფიული სახეობების ჩრდილო კავკასიის მთიანეთში

ქართველთა ერთ-ერთი შტო სვანები („სონების“, „სონების“, „შვანების“, „შანების“, „მშანების“, „მისიშიანების“, „ეშხეებისა“ და სხვა სახელწოდებით). როგორც ამიერკავკასიის ბარსა და მთაში, აგრეთვე ჩრდილო კავკასიის მთიანეთში უძველეს დროიდან ცხოვრობდნენ.

ბერძენი ისტორიკოსისა და გეოგრაფის სტრაბონის ცნობით (ძვ. წ. ა. დასაწყისი, ახალი წ. ა. დასაწყისი): „სვანები ფლობენ ირგვლივ ყველაფერს და უწყრიათ კავკასიონის მწვერვალები, რომლებიც დიოსკურიის ზემოთ არის“<sup>1</sup>.

სტრაბონი ეხება კავკასიის სხვა მთიელ ტომებსაც და წერს, რომ ისინი მკორემიწიანი, ღარიბები და სვანებისადმი მორჩილი არიან. ისტორიკოსი ყურადღებას ამახვილებს სვანთა რაოდენობაზეც და წერს: „... როგორც ამბობენ, ისინი ჰკრებენ ლაშქარს 200 ათასი კაცის რაოდენობით... ჰყავთ ბასილევსი და საბჭო 300 მამაკაცისაგან შემდგარი“<sup>2</sup>.

სტრაბონის ეს ცნობები გვეუბნება, რომ კავკასიის სხვა მთიელებთან შედარებით სვანები ყველაზე მრავალრიცხოვანი იყვნენ და ფართო ტერიტორიაზე სავლობდნენ. სტრაბონის ცნობებიდან ყურადღებას იპყრობს ისიც, რომ სვანები აწარმოებდნენ ოქროს და ამას უკავშირებს მითს „ოქროს საწმისიან ვერძზე“. რაც იმაზეც უნდა მიგვანიშნებდეს, რომ სვანები ბევრად ადრე იყვნენ ცნობილი, ვიდრე ისინი ჩვენამდე მოღწეულ წერილობით წყაროებში არიან დაფიქსირებული.

სტრაბონის ცნობებიდან ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ისიც, რომ სვანები აფხაზეთის მობინადრეები იყვნენ, სხვანაირად გაუგებარი და აუხსნელი რჩება იმაზე მითითება, რომ სვანებს ეპყრათ დიოსკურიის ზემოთ კავკასიის მწვერვალები.

ისტორიკოსის შემოაღნიშნული ცნობები ზოგიერთს გაზვიადებული ეჩვენება. რაც სუბიექტურ მოსაზრებას ემყარება და საქმეში ჩაუხედაობის ბრალია. ვერ უდევს ადრე, როდესაც სვანთა შესახებ ბევრი რამ გაურკვეველი იყო, ს. ჯანაშიანი შენიშნა, რომ „სტრაბონის მიერ დახატული სვანეთის ვითარების სურათი რეალურია, ამას მერმინდელი ცნობებიც ადასტურებენ“<sup>3</sup>.

ბერძენ-ბიზანტიელ ისტორიკოსთაგან სვანთა („სონთა“) განსახლება ამიერ და იმიერ კავკასიაში რელიეფურად ია პირდაპირ აქვს ნაჩვენები მენანდრე პროტიტორს (VI ს.), რომელიც წერს „ეს (სვანები გ. გ.) ერთი იმ ტომთაგანია, რომელიც კავკასიის გარშემო ცხოვრობს, ჰყავს მთავარი და მათ ქვეყანაზე სკვითები დადიანო“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> თ. ვახტანგიანი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 19, 126.  
<sup>2</sup> იქვე.  
<sup>3</sup> ს. ჯანაშიანი, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 119.  
<sup>4</sup> გეორგიკა, III, ტფილისი, 1936, გვ. 221.

16253





თუ დაეკვირდებით აგათია სქოლასტიკოსისა (VI ს.) და იმედიონდელის სხვა ისტორიკოსების ცნობებს, ძნელი არ არის იმისი დანახვა, რომ კავკასიის მთავარი ქედის ცენტრალურ და დასავლეთ მხარეში გამავალი სავაჭრო და სამხედრო გზების ნაწილი სვანთა მიწა-წყალზე გადიოდა და მათ კონტროლს ექვემდებარებოდა.

სვანთა უძველესი განსახლების გეოგრაფიული არეალის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის ცნობა (XI ს.), რომელშიც ნათქვამია, რომ „დიდოეთითგან ვიდრე ეგრისამდე... არს სუანეთი“<sup>5</sup>.

როგორც ივ. ჯავახიშვილი წერს, მროველის ეს ცნობა XI საუკუნის ვითარებას არ უნდა ასახავდეს (რადგან თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობით, XI საუკუნეში დიდოელებს დასავლეთით ფხოველები ესაზღვრებოდნენ), არამედ ძველისძველ მდგომარეობას უნდა გვისურათებდეს. მეცნიერის აზრით, „... სვანებს თავდაპირველად უექველია ახლანდელზე მეტი მიწა-წყალი უნდა სჭეროდათ და მრავალი სხვა საბუთიც სვანეთსა და კახეთს ერთმანეთს უახლოებს, მოსახლეობის ამ ვითარებას გვიხატავს ლეონტი მროველის ზემომოყვანილი ძვირფასი ცნობა...“<sup>6</sup>.

უძველეს დროში კავკასიის მთიანეთში სვანთა განსახლების ფართო მასშტაბზე მეტყველებს ქართულ წერილობით წყაროებში დაფიქსირებული ტერმინები: „დიდი სუანეთი“, „ყოველივე სუანეთი“. ცხადია, ასეთი სვანეთის განსახლება ამჟამინდელი, ვიწრო მასშტაბით არ შემოიფარგლებოდა, ამაზე მიუთითებს ისიც, რომ ძველ დროში ლეჩხუმი და რაჭის ე. წ. „მთიულეთი“ (სავარაუდოა მთელი რაჭა – დვალეთი და სხვ.) სვანეთში შედიოდა<sup>7</sup>. სვანთა განსახლების შედარებით ფართო მასშტაბს ასახავს ლეონტი მროველის თხზულების სომხური თარგმანიც, რომელშიც სვანები ჩრდილო კავკასიის ტომების ხაზარების, ალანების, ოსებისა და ლეკების გვერდით არიან მოხსენიებული<sup>8</sup>. შუა საუკუნეებში ჩრდილო კავკასიის მთიანეთში სვანთა განსახლების უექველი მაჩვენებელია რუსული („ნიკონოვის“) მატეიანის დანართში დასახელებული „მშანთა“ და „სონთა“ დასახლებები. საქმე ისაა, რომ XVI ს. შუაჩანებში ყაბარდოს მთავარმა თემრუყვა იდაროვმა თავის სიძის – ივანე მრისხანეს სამხედრო დახმარებით, რამდენიმე დღის ბრძოლით, დაიპყრო ყაბარდოს მეზობელი „მშანთა“ და „სონთა“ 164 კაბაკი (სოფელი), აგრეთვე ქალაქები: „მოხანი“, „ენგირი“ და „კოვანი“<sup>9</sup>.

მიუხედავად იმისა, რომ მატეიანის დანართში თემრუყვას სამხედრო ძალების ბრძოლის ადგილი „ტატების“ მიწადაა სახელდებული („სკინსკის ახლომახლო ტერიტორიები) ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ საქმე ჩრდილო კავკასიაში სვა-

<sup>5</sup> ქართლის ცხოვრება, ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ დაქსიტიებული. I, თბ., 1955, გვ. 27.

<sup>6</sup> ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, II, თბ., 1965, გვ. 51.

<sup>7</sup> ექ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წელს, პარიზი, 1937, გვ. 24-25; ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., თბ., 1959, გვ. 49; გეორგიკა, ნ. 1, IV, თბ., 1941, 56-ე შენიშვნა; სვანეთის საისტორიო ძეგლები, ნაკვ. 2, პ. ინგოროყვას გამოც., თბ., 1941, გვ. 32-34.

<sup>8</sup> ქართლის ცხოვრება, ძველი სომხური თარგმანი, ბთ., 1953, გვ. 20.

<sup>9</sup> Полное собрание русских летописей, т. 13, 2-ая, Москва, 1965, გვ. 371.



ნებით დასახლებულ სოფლებსა და ქალაქებს ეხება. ამჟამე მიუთითებს „სონთა“ და „მშანთა“ სახელწოდებები, აგრეთვე სვანური ტოპონიმების „სკინსკის“ ანუ იგივე „ლესკენის“ (რომლის მიდამოებში სწარმოებდა ბრძოლა) მითითებაც.

სხვათა შორის, მატიანის ხსენებულ ნაწილს უცნაურ კომენტარს უკეთებენ ვ. ვინოგრადოვი და ტ. მაგომადოვა, რომლებიც მასში მოხსენიებულ სვანურ ტოპონიმებს ოსურად მიიჩნევენ, როდესაც მათ არაავითარი ოსური ახსნა არ აქვთ — ერთის გამოკლებით<sup>10</sup>.

მკვლევარების მიერ დამტკიცებულია, რომ „სონების“ ქვეშ სვანები იგულისხმებიან, ხოლო სადაო არ უნდა იყოს, რომ „მშანები“ ანუ „მუშანები“ იგივე სონების ანუ სვანების თვითსახელია.

რაც შეეხება „ტატებს“ (იუდაიზმის მორწმუნეებს), მათი მოხსენიება „სკინსკის“ მახლობლად შეცდომა უნდა იყოს, რადგან სხვა შემთხვევებიც გვაქვს კავკასიის მთიელთა ზოგიერთი ჯგუფის შეცდომით ებრაელად მოხსენიების.

მატიანეში დასახლებული „სონი“ და „მშანი“, რომ სვანებს გულისხმობს ამაში გვარწმუნებს არა მხოლოდ მათი ხსენება, არამედ ბრძოლაში დატყვევებული „მურზების“ სახელებიც: „ეზნოურა“, „დუდილია“ და „ბურნაკა“. „ეზნოურა“ უთუოდ აზნაურის წოდებასთან, ან მისგან მომდინარე სახელთანაა დაკავშირებული. „დუდილია“ არსებით სახელ — დუდისთან (დუდილ სვანურისათვის დამახასიათებელი კნინობითი ფორმაა), ხოლო „ბურნაკა“ — იგივე ბურნაყია (აღნიშნული სახელები გავრცელებული იყო შუასაუკუნეების სვანეთში)<sup>11</sup>.

აღსანიშნავია, რომ მატიანის დანართში ფიქსირებულ სოფლებისა და ქალაქების მოსახლეობაში ოსები თუ თურქულენოვანი ხალხი იმიტომაც არ შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ ისინი მთის ხეობებს მხოლოდ მონგოლ-თათართა შემოსევის შემდეგ მიაწყდნენ, მას შემდეგ, რაც დაბლობი ადგილები დაკარგეს, ხოლო მთიანეთში მოსახლე სვანებს დიდი ხნის წინ დამკვიდრებული სოფლები და ე. წ. ქალაქები გააჩნდათ.

სვანთა განსახლება ჩრდილო კავკასიის მთიანეთში დღემდე გრძელდებოდა იქ ოსთა და თურქულენოვანი ხალხის გადაადგილების შემდეგაც. ამას ადასტურებს რუსი ელჩების ბირკინისა და პიოვოს კავკასიაში მოგზაურობის მასალებიც, რომელშიაც არაერთხელაა დასახლებული „სონთა ქვეყანა“, რომელიც მათივე თქმით, საომარ მდგომარეობაში იმყოფებოდა ყაბარდოს თავადებთან<sup>12</sup>.

როგორც ჩანს, XVI–XVIII საუკუნეებში ჩრდილო კავკასიის მთიანეთში მოსახლე სვანები („სონები“) სხვა მთიელებთან ერთად ეწინააღმდეგებოდნენ ყაბარდოს მოძალადე მთვართა აგრესიას.

ჩრდილო კავკასიის მთიანეთის ზოგიერთ ხეობაში სვანთა განსახლების პირდაპირი მაჩვენებელია 1743 წლის წერილობითი ცნობაც, რომელიც რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას მიაწოდეს ყაბარდოს ფეოდალებმა: მაგომედ ათაფუ-

<sup>10</sup> История, этнография и культура народов северного кавказа, Орджоникидзе, 1981, გვ. 45-54.

<sup>11</sup> სვანეთის საისტორიო ძეგლები, 2, ნ. 1. პ. ინგოროყვას გამოც., თბილისი, 1941, გვ. 118-154.

<sup>12</sup> С. А. Белокуров, Снашение России с Кавказом, вып. 1, 1578-1613 гг. გვ. 118-154



კინმა, ადიღირეი გილიაკსანოვმა და ყუმეყმა ხამზინმა. ამ ცნობაში ჩრდილო კავკასიის მკვიდრთა: აბაზების, აბაძეების, შაპსულების, თემირგოველების და ყარაჩაელების გვერდით დასახლებული არიან სვანები: "Четвертый народ Сони живут на вершинах реки Баксана, близ вершин реки Кумы и Кубани"<sup>13</sup>.

აქ კარგად ჩანს, რომ სვანები XVIII საუკუნეშიც ცხოვრობდნენ ბაქსანის, ყუბანის და კუმას სათავეებში. ხსენებულ ადგილებში მოსახლე სვანები („სონები“) დახასიათებული არიან როგორც ქრისტიანები, რომელთაც საკუთარი მფლობელები ჰყავდათ.

სხვათა შორის, ზოგიერთი მკვლევარის აზრით „სონსკაია ზემლია“, აგრეთვე „სონსკაია დაროგა“ არაგვის საერისთაოს და მის გზას ნიშნავს (ეკლესია სიონიდან გამომდინარე), რაც სამართლიანად და საფუძვლიანად უარყო თ. მიბზუანმა<sup>14</sup>. ზოგიერთ შემთხვევაში ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ ამ ტერმინებს მართლაც აქვთ კავშირი არაგვის საერისთავოსთან, მაგრამ რუსი ელჩების ფ. ელჩინისა და პ. ზახარაიევის მიერ მოხსენიებული „სონსკაია დაროგა“ და „სონსკაია ზემლია“ უთუოდ სვანებს და მათ ქვეყანას ეხება. ამას მოწმობს მათ მიერ დადიანის სამფლობელოსკენ (სამეგრელოსკენ) გავლილი გზის მარშრუტი, რომელიც მდ. თერგის სათავისკენ, მდ. ბახსანის ხეობით, დონღუშორინის უღელტეხილით, სოფლების: ლაშხრაშის, ისკრის, ხუღონისა და ჯერის გავლით ზუგდიდისაკენ მიემართებოდა<sup>15</sup>.

ბალყარეთისა და ყარაჩაის მთიანეთში (ბახსანის, ხულამის, ყუბანისა და სხვა ხეობებში) სვანთა განსახლების ფაქტს ადასტურებს აგრეთვე აკადემიკოს კლაპორტის, გენერალ ბლარამბერგისა და სხვათა ჩანაწერებიც<sup>16</sup>.

ბახსანის, ხულამის, ყუბანისა და თერგის ხეობებში სვანები ცხოვრებას განაგრძობდნენ XIX ს. შუახანებამდე, რასაც უეჭველად ამტკიცებს „სვანეთის მთავრინას“ დიგორხან გარდაფხაძე-დადიშქილიანის მიერ კავკასიის მთავარმართებელ გენერალ როზენისადმი მიწერილი საჩივარი, რომელშიც დოკუმენტურადაა დასაბუთებული და რუსეთის ხელისუფლებისადმი პროტესტია გამოთქმული იმის გამო, რომ მათი შემწეობით ყაბარდოს თავადებმა მიითვისეს ჩრდილო კავკასიაში დადიშქილიანებისადმი კუთვნილი სვანური სოფლები და ტერიტორიები<sup>17</sup>.

ჩრდილო კავკასიის მთიანეთში (დღევანდელი ყარაჩაი-ბალყარეთში) სვანთა ხანგრძლივ განსახლებაზე მეტყველებს იქ შემორჩენილი სვანურ-ქართული ტოპონიმები. მთ შორის სოფლების, ციხე-კოშკების, ეკლესია-მონასტრების, ხეობების, მთების, სათიბ-საძოვრების, ქედების, ლელე-მდინარეების, კლდეებისა და სხვა


<sup>13</sup> "Известия Северо-Осетинского научно-исследовательского института", т. VI, Орджоникидзе, 1934, Документы изд. Г. Коккиевим. გვ. 31-39.

<sup>14</sup> თ. მიბზუანი, მეგობრობის სათავეებთან, თბ., 1986, გვ. 51-57.

<sup>15</sup> М. А. Полиевктов, Европейские путешественники XIII-XVIII вв. по Кавказу, Тифл., 1935, გვ. 36.

<sup>16</sup> Адиги, Балкары и Карачаевцы в известиях европейских авторов XIII-XIX вв. под ред. В. Г. Гарданова, Налчик, 1974. 431. გვ. 256-257.

<sup>17</sup> საქ. ცსსა, გფ. ანაწ. 1, საქმე 7, ფურც. 241-246; ეგნ. გაბლიანი, თავისუფალი სვანეთი, თბ., 1927, გვ. 49-53; გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 297, თ. მიბზუანი, მეგობრობის სათავეებთან, გვ. 67-68.



სახელწოდებები, რომლებიც, მიუხედავად გარკვეული ცვლილებებისა, სვანურში ნარსსა და ფორმას ატარებენ (სვანურისათვის დამახასიათებელ აფიქსებს: ლორ-მანტებს და სხვა ნიშნებს შეიცავენ) და მხოლოდ სვანური ენის მეშვეობით აიხსნებიან. ამიტომ სწორი და მართებული ჩანს ჯერ გ. შუხარდტისა და შემდეგ ვ. ალექსიევის ვარაუდი იმაზე, რომ ყარაჩაი ბალყარეთის მოსახლეობა ჩვენი ერის დასაწყისში სვანები უნდა ყოფილიყვნენ<sup>18</sup>. რომ ამ ტერიტორიებზე დღესაც კარგად შეინიშნება ბალყარებამდელი და ალანებამდელი სუბსტრაქტი, რომელიც, როგორც ენობრივ-ტოპონიმიკური, აგრეთვე ეთნოგრაფიული მასალით ჩანს, რომ სუბსტრაქციული იაფეტური კი არა, არამედ სვანურია.

მიუხედავად ამისა ყარაჩაი-ბალყარეთის ტოპონიმების ახსნას ზოგიერთი მკვლევარი ტენდენციურად და ზედაპირულად უდგება, არ ითვალისწინებს ისტორიულ რეალიებს (მომხდარ ეთნიკურ პროცესებს), რის გამო ხშირად მცდარ დასკვნებს აკეთებს. ასეთებია მაგალითად, ვ. აბაევი, მ. ხაბიევი, ვ. კუზნეცოვი და სხვ., რომელთაც დ. კოკოვის, ს. შახმურზაევისა და სხვებისგან განსხვავებით, ყარაჩაი-ბალყარეთში ვერსად შენიშნეს სვანურ-ქართული ტოპონიმები და მათი ნაკვალევი<sup>19</sup>.

რა თქმა უნდა, ხსენებული შეცდომებისა და ტენდენციის მიზეზია სვანურ-ქართული ენის უცოდინარობაც და ისტორიულ-წერილობითი წყაროების მონაცემების გაუთვალისწინებლობაც.

ყარაჩაი-ბალყარეთის ტოპონიმიკის შესწავლისას უთუოდ ანგარიშვასაწევია ი. მიბჩუანის საყურადღებო გამოკვლევა, რომელიც არაერთ სწორ დებულებასა და დასკვნას შეიცავს<sup>20</sup>.

ყარაჩაი-ბალყარეთში სვანური ტოპონიმებია: ა დ ა ი ა ი ა გ ი (ადგილი მდ. ჩეგემის მარჯვენა მხარეზე)\*, რაც სვანურად ადაის (არსებითი სახელი) ადგილს, ადაის ალაგს, ადაის სახლს ნიშნავს; ა რ გ ი ი ნ დ ჟ ი კ (მდინარე). არგი ნიშნავს ალაგს, ადგილს, სახლკარს და სხვ.; ბ ა ხ ს ა ნ (მდინარე). ბახ-ბაჯ ნიშნავს ვაკოფილ მთას, კლდეს (შეად. სვანეთში ბახის მთას); ბ ე გ ი ი კ ი რ (ადგილი ჩერევის მარცხენა მხარეზე) – ნიშნავს ბეგის (არსებითი სახელი) კირს (კირჭვას), ბ ე რ ი (ქედის სახელწოდება) – დათვის ბუნაგი (შესაძლებელია ბერო-ბეჩს, ქვას უკავშირდება, ე. ი. კლდეში გამოკვეთილ სოროს, გამოქვაბულს); ბ ე რ ს ო ი ნ ა კ (ადგილი ჩეგემის მარჯვენა ნაპირზე) – ბესოს მინდორი, ბესოს ვაკობი (ნაკ-იხ. ქვემოთ); ბ ი რ ე ო ლ (ადგილის სახელწოდება ელბრუსის მიდამოებში). ბერეოლ რკინის სვანური (კინობითი) სახელია, აქედან წარმოსდგება გვარი ბე-

<sup>18</sup> Б. Шухардт, О географии и статистике картвелских (южно-картвелских) языков, Тифл., 1899, გვ. 20; В. П. Алексеев, Происхождение народов Кавказа, М., 1974, გვ. 200-203.

<sup>19</sup> В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, т. I, М.-Л., 1958. М. А. Хабчиев, К гидрономике Карачая и Балкарнии, Нальчик, 1982. В. А. Кузнецов, Надписи Хумаринского городища, 1963, № 1, Дж. Н. Кожов и С. О. Шахмуразаев, Балкарский топонимический словарь, Нальчик, 1970 г.

<sup>20</sup> ი. მიბჩუანის, მგობრობის სათავეებთან, 1986 წ.

\* პოეტური ტოპონიმების უდიდესი ნაწილი დაფიქსირებულია დ. კოკოვის, ს. შახმურზაევისა და ბ. ხაბიევის ზემოაღნიშნულ ლექსიკონებში.





რეიანი; კ ო შ (ადგილის სახელწოდება) – ეწოდება დროებით სადგონს; ბ ო შ (ადგილი ხულამ ბეზინგის ხეობაში) – ბოშ ანუ ბაპ სვანურად მღვდელს ნიშნავს; ბ უ რ დ უ (ადგილის სახელწოდება – ხულამ-ბეზინგის ხეობაში) – სვანურად ერთგვარ ბალახს ეწოდება. ის სვანურში დაულაგებელ-არეულის სინონიმიცაა, აქედან ლუ-ბურდე; ბუ-ბაშ (ადგილი ტაშლი-ტალში). ჩანს ბუ-ბაშ მიღებულია ბუბაშ-იდან (ბუბა სვანურად ბიძიას ეწოდება, აქედან მოდის არსებითი სახელი ბუბა, ხოლო აშ-იშ კუთვნილების მაწარმოებელი სუფიქსია); გ ა ზ ა ტ ე ბ ე - გ ა ზ ა ტ ი უ ბ (ადგილის სახელწოდება ბელაია რეჩკასთან). გაზას (არსებითი სახელია) ტიუპ-ტიბ სვანურად ხევს და ღელეს ეწოდება; გ ა რ ვ ა შ (ადირსუდან სვანეთისაკენ გადასასვლელი ხეობა) – ეწოდება ღარს, ხეობას (შეადარე სოფლების სახელწოდებებს: ღარვამ, ლაღარვამ, ღარი, ღართა, ღარისთავი და სხვ.); გ ა რ ი ი ღ გ ი (ადგილი ჩეგემის სათავეში). გარიილ – ღარი ანუ ხევია კნინობით ფორმაში; გარალი (მდ. უჩკეენის შენაერთი). გარ-ღარ, ხევი, ღარი ა რ - ა ლ მრავლობითობის ნიშანია); გ ე ბ ე ნ ი (ადგილი ჩეგემში) – დიდი ოდენობის დატყეპნილი თივის ზვინს, აგრეთვე ცალ მხარეზე ჩაჭრილ მიწას ან კლდეს ეწოდება; გ ე გ ი შ - გ ა გ ი შ (დასახლება ბაქსანის მარცხენა ნაპირზე). ამ რიგის სახელები სვანეთში საკმაოდ გავრცელებულია (იშ, ეშ, აშ კუთვნილებითი სუფიქსებია), გ ი დ ა მ (მდ. ტებერდის მარცხენა შენაკადი) – წყნარ, მშვიდ ადგილს ეწოდება; გ უ რ უ (ადგილი ზემო ბალყარეთში) – მოტიტელებულ ადგილს ეწოდება; გ ი პ ი ლ ა ნ ი ტ ი უ ბ უ (ხეობის სახელი ჩეგემში) – გიპილანის ხეობა; გ უ დ რ ე - გ უ დ რ ა (ღელე ხულამ-ბეზინგში) – სვანურად ტყავისაგან გაკეთებულ სითხის ჩასახმელს ეწოდება; გ უ მ - გ უ მ უ ლ (მდ. კუმას და ჩეგემის შენაკადები). გუმ – საცობი, გუმულ – აგრეთვე საცობი კნინობით ფორმაში (ულ კნინობითის ნიშანია). ასეთივე წარმოშობისაა გ უ მ ა ი ლ (მდ. ხუდესის მარჯვენა შენაკადი), რომელიც აგრეთვე საცობს ეწოდება (კნინობით ფორმაში), გ უ მ ე დ - კ უ მ ე დ (ადგილის სახელწოდება – ემ-ტალში) – ეწოდება ბეჭობს, მკვეთრად დაფერდებულ ნაპირს; დ ე უ კ ა ა ბ ა ს (ადგილი ჩეგემის ხეობაში) – დეუკას სამფლობელო, სააქაო ქვეყანა; დ ი ო ლ (მდ. უშგელანის მონაკვეთი) – ეწოდება გოგონას, ის მდებრობითი სქესის არსებითი სახელიცაა (კნინობით ფორმაში); თ ო თ უ რ (სხვადასხვა ადგილის სახელწოდება ბალყარეთსა და ყარაჩაიში), აქედან თ ო თ უ რ ტ ა ლ ა , თ ო თ უ რ ა უ ზ უ და სხვ. ეს სახელწოდებები უნდა მომდინარეობდეს თვეთენდან (თეთრიდან) – თეთრი აუზი, თეთრი მდინარე და ა. შ. (შეადარე სვანეთის სოფლებს თოთან, თვეთან, აგრეთვე მწვერვალ თვეთულდს და სხვ.). თოთურ ბალყარულ (თურქულ) ენაზეა ახსნილი, როგორც ლეგენდარული სამხედრო მეთაურის სახელი, ხოლო ოსურ ენაზე, როგორც წმინდა თევდორეს სახელი, რაც უთუოდ შეცდომაა; იუზენ-იუზენ (ადგილები ჩეგემსა და ხულამში) – ნიშნავს კარგს (ჭებრ), აქედან ი ე ზ ე ნ - ბ ა უ (ადგილები ჩეგემს და ხულამში) – კარგი საზაფხულო სადგომი; ზ ი გ ი რ ლ ი კ ო ლ , ზ ი კ ა რ (მრავალი ადგილისა და მწვერვალის სახელწოდება). აღნიშნული სახელები უთუოდ ზაგაროს, ზეკაროსა და მთას უკავშირდება (კოლ თურქულია); ქ ე შ ე ნ ე ლ ე - ქ ე შ ე ნ ი (ყარაჩაისა და ბალყარეთის სასაფლაოებზე აღმართული პატარა ნაგებობები – აკლ-



...ებში). ასეთი ნაგებობები ქრისტიანული ნიშნებით (ჯვრებითა და დამარხვის ნიშნით) ხასიათდება და განსაკუთრებით სვანეთში იყო გავრცელებული (კუმეწი ნიშნავს ქრისტე შეინდე); კ ი პ ა რ - კ ა პ ა რ (დიდი ზელენჩუკის მარცხენა ნაპირი). კ ა პ - ბოძი, ა რ მრავლობითის ნიშანი; კ ი ჩ გ ი დ ა რ - კ ი ჩ კ ი - დ ა რ (მთა ბაქსანის ხეობაში). ეს სახელწოდება უთუოდ კიჩხილდარიდან მომდინარეობს. კიჩხ - კიხეს ნიშნავს, ი ლ - ი ლ დ კნინობითობის მაწარმოებელია, ხოლო ა რ - მრავლობითობის, ე. ი. კიჩხილდარ - კიბუნები (შეად. სვანეთის სოფ. კიჩხილდამს); კ ო დ ე ი ხ ო (მთა). კოჯ (კოდეიხო) ეწოდება კლდეს შეადარე კოჯორს, კოჯარს); კ უ რ უ მ უ - კ უ რ მ ი - კ უ რ უ მ ლ უ (სოფლის დელისა და მინდორის სახელწოდება ბაქსანში). კურმუ ყინულს ეწოდება. ამ რიგის სახელწოდებებია კ უ რ მ უ ს უ (დელის სახელწოდება), როგორც რომელიც ორი კომპონენტისაგან შესდგება: ყინულ დელე (სუ თურქულად წყალი, დელე); კ ი ა ნ გ ო შ ა - კანგომა (ადგილის სახელი ბალყარეთში) - ნიშნავს ყანგოიანებს (ყანგოიანთ ჩამომავალსა და კუთვნილებას), კ ა ჩ - კ ა ჩ ა რ ტ ი (ადგილის სახელი - ნიშნავს ძლიერ დაფერდებულს, ვერტიკალურად აღმართულ ადგილს; კ ი ო ჩ ხ ა რ - კ ო ჩ ხ ა რ (ადგილის სახელი). კოჩხე-კაჩხე - ეწოდება კოქლს, შესაძლებელია ეს სახელწოდებაც კიჩხიდან (კიბიდან) მომდინარეობს; კუდაინატი (ადგილი ზემო მალკაში). კუდაინატი ანუ კუდაინატი ნიშნავს მოკლე, პატარა მინდორს (ეს სახელი ორი სიტყვისაგანაა შედგენილი: კუდაი - მოკლე, პატარა, ხოლო - ნაკ - მინდორი, ვაკე; კ ი უ მ , კ ი უ მ ტ ო ბ ე (ადგილის სახელი ჩეგემში). კიუმ-კუმი, დახშული, ტობე - დელე, ე. ი. დახშული დელე; ი ბ დ ე ნ (ადგილის სახელი ჩეგემში). ე. ი. კიდობანივით შემორავული ადგილი; კ ი რ , ბ ე გ ი ი კ ი რ , კ ი რ ა ლ ი , კ ი რ ბ ა შ ი (სხვადასხვა ადგილებისა და მთების სახელები ბალყარეთსა და ყარაჩაიში). კირ-კირქვა. ბეგი კირ-ბეგის კირი. კირალი (კირალ) - საკირე ადგილები; კ ი რ ბ ა შ ი (კირ ბაჩ) - კირქვა; კ ი ჩ ი რ (იალბუზის ჩრდილო მყინვარი). კიჩირ-კაჩირ-კაჩარ პერ-პენდიკულარულად აღმართული მწვერვალი; ლ ა ბ უ - ლაბ (საძოვრის სახელი ბალყარეთში) - საპალნეს, ტეირთს ნიშნავს; ლ ა გ უ რ ა (მთა ჩეგემის ხეობაში) - საბალახო ადგილი; ლ ა ხ რ ა ნ (დელე და საძოვარი მდ. მალკის მარცხენა მხარეზე) - ეწოდება ადგილს, რომელზეც მზე ნაკლებად ეფინება; ლ ი - კ ა რ გ ი (სათიბის, საძოვარისა და მინდორის სახელები ჩეგემში) - სვარაგე, მარჯვე ადგილი. ლიკარჭი ეწოდება აგრეთვე შოვნას, თხოვებას; ლ ი ჩ ი რ ი - ლიციური (ადგილის სახელი ბალყარეთში) - ეწოდება გასაფცქველ საქმელ ბალახს; ლ ო გ უ მ ს ა , აქედან ლოგუმ - ლაგუმ (ადგილის სახელი ჩეგემში) - ეწოდება დაცობილ, დახშულ ადგილს (გუამ - საცობი); ლ ო მ ო რ გ უ (გამოქვა-ბული და ადგილი ჩეგემის ხეობაში). მ უ რ გ ვ ი ეწოდება ერთგვარ ხილს, ე. ი. ადგილს, სადაც ეს ხილია; ლ ი ბ ა რ დ ა (სოფელი ჩეგემის მარჯვენა მხარეზე) - ადგილი, სადაც ბარდა (პარკოსანი მცენარე) ხარობს (შეადარეთ აგარაკ ლე-ბარდეს); ლ ი ა ლ ვ ე რ (მთა მდ. ჩერეკის სათავეში) - ეწოდება სამიწე ადგილს (ვერ - მიწა, შეადარე სვანეთის სოფლის - ლალვერისა და მინდვრის სახელს). საერთოდ ლ ა , ლ ე - პრეფიქსიანი სახელები ფართოდაა გავრცელებული სვანეთსა და ნასვანარ ადგილებში; მ ა რ გ ი უ მ ე ი (დელე ბალყარეთში)



- იხ. ლომურგვი (შეადარე სვანეთის სოფ. მარგვიმს. ასეთივე წარმოშობისაა მარგველანი, მარგველი, მარგველაშვილი და სხვ.); მიუყერგენ (ადგილი ბლუნგუში). მიე ეწოდება მზეს, მიყერ-მიყარ, მიყარგი - მზიანი ადგილი ანუ მზიანეთი; მ უ კ უ შ (ადგილი და სოფელი მდ. ჩერეკის მარცხენა მხარეზე) - მუკუსადმი კუთვნილი ადგილი (ასეთი სახის სახელწოდებები ფართოდაა გავრცელებული არა მხოლოდ დღევანდელ სვანეთში, არამედ ნასვანარ ადგილებშიც); მ უ ლ უ ც უ (მთა ბალყარეთში) - ეწოდება წყლიან ადგილს (ლიც - წყალი), აქედან მულკუ ეწოდება წყლის მომტანსაც; მ უ ს უ კ ს უ (ღელე, რომელიც ჩერეკს ერთვის). სუკ-სიკვ ქედი, მუსუკ - მოქედო ქედზე გაყოლილი; მ უ ხ ო ლ (სოფელი და მდ. ჩერეკის მარჯვენა შენაკადი) - წარმოდგება მუხის სახელწოდებიდან (როგორც მუხათგვერდი, მუხათი, მუხათწყარო, მუხიანი და სხვ. ო ლ , ი ლ , - კნი ნობითი ნიშნებია); მუშ-მუს (ადგილი იალბუზში) - ეწოდება თოვლს; მ უ შ ტ - მ უ შ ტ ა (მდ. ხასაურტყის მარჯვენა შენაკადი) - მუშტის ოდენა; პატარა; მი - ზ ი ტ ი უ ზ ი უ (ადგილი ჩეგუმთან) იგივე მიეი ტეიბ - მზიანი ხეობა; მ ი ს ა - კ ა ლ ა ნ ი ე რ ლ ე რ ი (ადგილი სუკანში); მისაკალანისადმი კუთვნილი მიწა (ყერლერი თურქულია და მიწას ნიშნავს); ნ ა კ რ ა (მთა დონღუზორუნის სათავეში) - ეწოდება ვაკობ, სწორ ადგილს (ასეთი სახელწოდებები გავრცელებულია როგორც ყარაჩაი-ბალყარეთში, აგრეთვე სვანეთში და, საერთოდ, საქართველოში, მაგ., ნაკიფარი, ნაკი, ნაკრა, ნაკიფუ და სხვ. ნაკიდან უნდა მიმდინარეობდეს შემდეგი გვარებიც: ნაკანი, ნაკაიძე, ნაკაშიძე და სხვ.); ნ ა ლ ჩ ი კ - ნ ა ლ შ ი ყ (ქალაქი). შესაძლებელია მომდინარეობს სვანურ ნალშიყიდან, შიყ ზურგს, ამობურცულს ნიშნავს, ხოლო ნა პრეფიქსია და ნიშნავს ქართულ ნა-ს (ამ სახელწოდების თურქულ ან ყაბარდოულ ენაზე ახსნა ნაკლებსარწმუნოა); ნ ა რ გ ი (არაერთი ადგილმდებარეობის სახელწოდებაა ბალყარეთში). ნარგი ანუ არგი ნიშნავს ადგილს, სამკვიდრებელს, საცხოვრებელს და სხვ. (აღნიშნული ტოპონიმის ოსურ ენაზე ახსნა ნაკლებსარწმუნოა<sup>21</sup>); ნ ა რ დ უ კ ი ო ლ (ადგილი ტაშლი-ტალასთან) - ნ ა რ დ უ ს ი ტყეასიტყვით ნამყოფ, სამყოფ ადგილს ნიშნავს; ნ ა რ ტ ბ ო რ ა (მთისა და ღელის სახელი) - ნიშნავს ნატბურ, დანატბორ ადგილს; ნ ე პ ე ლ ა რ ი (სოფელი ბაქსანის მარჯვენა მხარეზე) - მომდინარეობს არსებითი სახელი ნეფედან - მეფედან და ნიშნავს ნეფეანებს - ნეფეანთს (არ მრავლობითობის მაწარმოებელია); ნ უ ა მ კ უ ა ნ (მთა) - ეწოდება წვეტიან მთას (მომდინარეობს მურყვამიდან, კომკიდან, იგივე ნამურყვამ - ნაკომკარს ეწოდება (შეადარეთ სვანეთის ნამყვანს); ნ უ ლ ი უ ც ი (ადგილის სახელი მდ. ჩერეკის ხეობაში) - წყლიანი (იხ. მულკუ); ო გ ა რ ი ბ ი ლ ი კ (ადგილი მდ. კეკეტაშის მარჯვენა მხარეზე). სახელწოდება ორი კომპონენტისაგან შედგება: ოგარი თურქულად ზემო, ხოლო ბილიკი ქართულად სასიარულო - ვიწრო გზას ეწოდება; ყ ა ბ ა გ ი ლ ი - ყ ა ბ ა გ ი (ღელის სახელწოდება ტირნიაუზში) - აღმოსავლეთის მხარეზე მდებარე სახლი, ალაგი, ადგილი, მიწა; ყ ა ბ ო ლ ა ნ ი კ ა ლ ა (ციხე-კომკის სახელწოდება) - ყაბოლანის ციხე (ყაბოლანი წარმოდგება ყააბ-

<sup>21</sup> А. Цагаева, Вопросы этногенеза осетин по данным топонимики. Сб., "Происхождение осетинского народа", Орджоникидзе, 1967, гл. 289.



დან, რაც აღმოსავლეთის მხარეს ნიშნავს. აქედან წარმოსდგება სოფლების სახელები: სოფ. ლელოდები: ყაბუშ, ყაბიანი, ყაბარ, ყაბშა და სხვ. ყაბოლანი დაღიშნულია (ყაბოლანი - სამშოს ეწოდებოდა); ყ ა გ ა ტ ი უ ზ (ადგილი ბახსანის ხეობაში); ყ ა გ - წამალი, ყაგა ტეებ წამლიანი (გვარჯილიანი) ხეობა, შესაძლებელია მომდინარეობს იგივე ყაბიდან, ე. ი. აღმოსავლეთის მხარეზე მდებარე ხევი; ყ ა მ ბ ა შ - ყ ა ბ ა შ (მწვერვალი ქენდელენის სათავეში) - აღმოსავლეთით მდებარე მწვერვალი; ყ ა ნ ი კ ა ხ უ რ უ (ადგილების სახელწოდებები ხულამ-ბე-ბე-ბეში) - აღმოსავლეთის მხარეზე მდებარე ხერელი - გამოქვაბული; ყ ა ნ - უ გ ა ნ (მთის სახელწოდება ადილსუს სამხრეთ-აღმოსავლეთით) - აღმოსავლეთის მხარეზე მდებარე კედლიანი კლდე; ყ ა პ ი რ ტ ა ლ ა (მთა და ადგილი მდებარე ადილსუს შუა დინებასთან). ყაპირ-ყაბვირ ეწოდება არყის ხეს, ტალა იგივე ქალა, ე. ი. არყნარი ქალა; ყ ე ბ ე ყ უ კ ო ტ ა ლ ა (ღელის სახელწოდება) - ყებე-ყიბე ეწოდება ზემო მხარეს. ე. ი. ზემო მხარეზე მდებარე ქალა (ტალა თურქულად მინდორს ნიშნავს). სხვათა შორის, ქალაი სევანურში მდინარის ნაპირებში მდებარეობდა; ყ ე მ ი შ ლ ი (ადგილი ზარაგეფას აღმოსავლეთით). ეს სახელწოდება იგივე ყემიყ უნდა იყოს (მიე - მზე); ე. ი. აღმოსავლეთიდან მოფენილი ხე (სუსტად მოსხივებული მზე); ყ ი ბ ა ბ ი რ ი ნ ჩ ი (მთა ჩერეკის მარცხენა მხარეზე). ყიბა აქაც სევანური სიტყვაა და მდებარეობას (ზემო მხარეს, ჩრდილო-აღმოსავლეთით) აღნიშნავს; ყ ი პ ი - ყ ი პ ი ლ ი (მდ. ნალჩიკის სათავეში). ყი-ყიბ აქაც მდებარეობას აღნიშნავს. პილ სიტყვასიტყვით ნაპირს ეწოდება, ე. ი. ზემონაპირი; ყ უ ა რ გ ე ნ (მდ. ბაქსანის შესართავი ღელის სახელი) - შესაძლებელია ეს იგივე ყარაგენის ოდნავ სახემეცვლილი სახელია (შეადარეთ ქართული ეკლესიებისა და სოფლების ჯვარის, ჯვარგენის, ჯვარისას, ჯვარისუბანის სახელწოდებებს); ს ა - გ ი შ ი (ადგილის სახელწოდება). საგისადმი კუთვნილი; ს ა უ ე - ს ა ვ (სევან-ბე-ბე სახელწოდებაში გულისხმობენ მუხობელ ჩრდ. კავკასიის. არსებობს მართებული მოსაზრება, რომლის თანახმად ეს სახელწოდება წინ უსწრებდა ჩრდილო კავკასიაში ბოლგარებისა და ალანების შემოსვლას, ამდენად, საე-საუ საბირებს სავრომატებს ეწოდებოდა; ს ა კ ი ა ლ ტ ი უ ბ (კლდის სახელი ბალყარეთში). ამ რიგის სახელწოდებაა ს ა კ ა ლ ტ ი უ ბ (ღელის სახელი ყარაჩაიში). ს ა - პ რ ე ფ ე ქ ს ი ა, კ ა - ქ ვ ა ფ ი ქ ა ლ ი, ე. ი. ქვაფიქალის სატეხი კლდე, ხოლო ტეებ - ღელეს, ხეობას ნიშნავს; ს უ კ ა ნ - ს უ გ ა ნ (ხეობისა და მთის სახელი მდ. სევანსუს სათავეში). სუკ-სიკე ეწოდება ხერხემალს, ქედს, აქედან სუკვარ-სიკ-ვარ (არ მრავლობითი რიცხვის ნიშანია). შესაძლებელია ეს სახელწოდება შუკს ეკავშირდება, რაც ბილიკს, ვიწრო გზას ნიშნავს; ტ ა რ (ადგილი ხულამ-ბეზინ-ბეში) - ეწოდება მესაქონლეობის წარმართულ კულტს; ტ ე ბ ე რ დ ი (მდინარე) - ტებ-ტეებ ნიშნავს ღელეს, ხევს (შეადარეთ სვანეთის სოფ. ტეებს, ტუბე-ბეს, ტობარს, აგრეთვე წყალ-ტუბოს, გეშ-ტიბს და სხვ.); ტ ე მ ე უ კ უ ლ ა რ (სოფელი მდ. ჩერეკის მარცხენა მხარეზე) - თემუკიანები, თემუკანოები (უ ლ - ნინობითის მაწარმოებელია, ხოლო არ მრავლობითის); ტ უ დ უ ლ ა ნ ი ბ ა - ე ლ ა (ადგილი მდ. ჩეგემის მარცხენა მხარეზე) - ნიშნავს ტუდულანის (გვარი სხელია სევანური ფორმით) დროებით, საზაფხულო სადგომს (შეადარეთ სვანეთის სოფელ ბაეარის სახელწოდებას); ტ ი რ ნ ი ა უ ზ (დაბა მდ. ბაქსანის ხე-





ობაში) — უნდა იყოს წირნი აუზ (წირნი ნიშნავს წითელს, აუზი იგივე ხეობა). საქმე ისაა, რომ ტირნი აუზი მდიდარია წითელი ნალექიანი მკავე წყლებით, არა სწორი უნდა იყოს ამ ტოპონიმის ოსურ ტოტურთან წმ. თევდორესთან დაკავშირება; ტ ი უ ტ ი უ ნ (მყინვარით დაფარული ხეობა ტირნიაუზის ხეობაში). ასეთივე წარმოშობის სახელწოდებებია ტ ი უ — ტ ი უ ნ ბ ა შ ი (მთის მასივი ბაქსანის სათავეში) და სხვ. ეს სახელწოდებები უნდა მომდინარეობდეს სვანური სიტყვა ტუტვირიდან, რაც მოტიტველებს ნიშნავს (არადამაჯერებელია ამ ტოპონიმის თურქულ სიტყვა მბოლავთან დაკავშირება); უ ს ხ უ რ , უ ს ხ ა დ უ რ (სოფლისა და ადგილის სახელები), — უსხ ანუ უსხვ-ვისხვ ეწოდება სპეციალურად გასუქებულ საღვთო ხარს, ყოჩს და სხვ., ე. ი. ადგილები, სადაც საღვთო შესაწირი იყო გამწვებელი; უ ჩ კ უ ლ ა ნ — უ ჩ კ უ ლ (სოფელი და მდინარე ყარაჩაიში). უჩკულან ანუ უშგულ ნიშნავს უკულმას (უხშგულ) სრულიად მიუღებელია ამ ტოპონიმის მ. ხაბიჩევისეული ახსნა — თითქოს უჩ სამს ნიშნავს, ხოლო კულან მდინარეს, ე. ი. სამ მდინარეს<sup>22</sup>; უ შ ტ უ ლ უ — იგივე შ დ უ ლ (ბალყარეთის ერთ-ერთი ხეობის სათავე). ეს სახელწოდება მიმდინარეობს შდიმიდან, რაც ყურს, ქედზე ჩაღრმავებულ გადასასვლელს ეწოდება; უ ი ა ნ ა ტ ი უ ბ (დაბლობი ბელაია რეჩკას რაიონში), აგრეთვე ი უ ა ნ ა ჩ ა რ ხ (ადგილი ბეზინგის მყინვართან). იხ. ტიუმბ-ტიუმბის განმარტება, ხოლო ჩარხ-ციგას საციგაო ადგილს ჰქვია (რაც შეეხება იუანას, როგორც ჩანს, ის თურქულია და ბორბალს — ძრგვალს? ეწოდება); ფ ა დ უ ნ (საძოვარი) უნდა ნიშნავდეს სვანურ გვარს ან სახელს (შეადარეთ დადვანს და სხვ.). მისი ოსური ახსნა დაუჯერებელია; ფონ-შუარ — ფ ო ნ შ უ არსებითი სახელია, ა რ მრავლობითობის მაწარმოებელი, ე. ი. ფუნშუანები ანუ ფონშუანთები (შესაძლებელია გვარის შიგნით სამშოს — სისხლით ნათესავეების ჯგუფს აღნიშნავს); ყ ო რ უ ((ადგილის სახელი) — კარს, კართან მდებარე ადგილს ეწოდება (შეადარე სოფლების სახელებს: ყორულდამ, ყორასი, ყორათი და სხვ.); ხ ა ი მ ა შ ა (დეღე და საძოვარი). ხაიმ ებრაული არსებითი სახელია, როგორც აბრაჰი და სხვ. ამ შემთხვევაში ხაიმის კუთვნილს ან მის ჩამომავალს (მისი ოსურის საფუძველზე ახსნა სწორი არ უნდა იყოს); ხ ა შ - კ ი , მეორენაირად ხ ა შ ხ ი (ხეობისა და სათიბის სახელი), ხამკ სვანურად უხემ შალს ეწოდება, ხოლო ხაშხი — დაწვას; ხ ო ლ ა მ ანუ — ხულამ (სოფელი ჩერეკის მარცხენა მხარეზე). ხულ ეწოდება სალოცავ ნიშს (მცირე ნაგებობას, ხულხუნ საძირკველს, სახლის საფუძველს. შესაძლებელია ხოლას ნიშნავს, რაც სვანურად ცუდს ეწოდება. ამ სახელწოდების ახსნა დაკავშირებულია ხორღაგანთან, რაც თითქოს ოსურია. ეს არასწორია, „ხორღაგან“ ანუ ქორღაგამ სიტყვა-სიტყვით სახლის დასადგამ ადგილს ეწოდება; ხ უ მ ა რ ა (სოფელი ყუბანის მარჯვენა მხარეზე), როგორც მკვლევარები ვარაუდობენ ეს სახელწოდება მომდინარეობს ცხუმ-ისაგან (რცხილისაგან), როგორც სვანეთის სოფლები: ცხუმარი, ცხუმელური და სხვ. სავარაუდოა, რომ ის ბადალია ბერძნულ წყაროში აღწუსხული მისიმიანების სხემარის. შესაძლებელია, რომ უძველეს დროში სვანთა ტომი მისიმიანები კოდორის ხეობასთან ერთად ყუბანის სათავეებშიც სახლობდა; ხ უ ლ -

<sup>22</sup> М. А. Хабчиев, К гидронимике Карачая и Балкарии, гв. 61



სვანთა განსახლება ჩრდილო კავკასიის მთიანეთში

ხუ რ კ ა ი ა (ადგილი სუკანში), ხ უ ნ გ უ ტ ე ბ ე (ბორცვი), ხ ე რ ა ლ გ ი (ადგილი მდ. ჩეგემის ხეობაში) და სხვ. ყველა მათგანი სვანურ ხუნს — სამირკ-ველს — საფუძველს უკავშირდება; ხ უ რ ა ლ გ ი (ადგილი მდ. ჩეგემის მარცხენა მხარეზე) — ნაშალი ალაგი; ხ ი ნ ს ი რ ი კ ა ნ უ ხ ი ნ ს ი რ (სოფელი მდ. ჩეგემის მარჯვენა მხარეზე) — ცივი, ყინულიან-კლდიანი ადგილი, შეადარეთ სვანეთის სოფ. ხინსირს). ც ა ნ ა (კავკასიონის ქედის მასივის — ულუ ტაუს, ჩეგეტ ტაუს, აღირ სუს — სახელწოდება) — ახსნილია, როგორც ციდან წარმოშობილი. უფრო სარწმუნოა, რომ ეს სახელი მომდინარეობს წანთა — ცანთა ტომისაგან (შეადარეთ სვანეთის სოფ. ცანას); ც ი პ ი რ ტ დ ა (ადგილი მდ. ჩერეკის მარჯვენა მხარეზე) — უნდა მომდინარეობდეს წიფნარიდან (წიფრა—წიფელი); ამ რიგის უამრავი სახელწოდება მოგვეპოვება სვანეთში და საერთოდ საქართველოში; მაგ. წიფლაკაკი, წიფა, წიფერჩი, წიფლარი, წიფლოვანი, წიფორი, წიფრანი და სხვ.); ჩ ა ბ ა კ ი ლ ი (დეღე) — ჩეაბ ეწოდება დასავლეთს, კილ — კლიტეს. ასეთივე რიგისაა ჩ ა ბ ა კ ი ლ ი კ ე ლ (მდ. ბელაია რეჩკასთან, ტაშლი—ტალის ახლოს). კ ე ლ ა ნ უ ქ ე ლ — თივით გადახურული საზაფხულო სადგომია (კარა-ვი); ჩ ა ბ დ ა რ (ადგილი ტაშლი—ტალის აღმოსავლეთი) — უნდა მომდინარეობდეს ჩაბარიდან ანუ ჩეაბარიდან, რაც დასავლეთ მხარეზე მოსახლეებს ეწოდება; ჩ ა ტ (მრავალი ადგილის სახელი ბალყარეთში) — უნდა მომდინარეობდეს წყელიდან (ჭათ). აქედან წყეული ადგილი; შ ი დ ა კ ტ ი უ ბ (დეღე). შიდაქობელი, ცალმაგი, ხოლო ტიუბ ანუ ტვიბ — დეღე. ხევი, ე. ი. თხელი, ცალმაგი დეღე; შ უ რ უ (ადგილი მდ. ზემო ჩერეკის მარჯვენა მხარეზე) — ადგილი, ლა-ნი, რომელიც მორების ანუ ხის ჩამოსაცურებელია; შ ხ ა რ ა (მწვერვალი) და-სერილ-დაპობილი ადგილი; შ ხ ე ლ დ ი — შ ხ ე ლ დ ა (მწვერვალი). უნდა მომდინარეობდეს შავი ფერიდან მემხე-დან; შ ი კ ი (სოფელი, სადაც დაიბადა ბალყარული ლიტერატურის ფუძემდებელი კიზიმ მეჩიევი)). შიკ ანუ შიყ ეწოდება ზურგს (მეჩიევი კი მოხუცებულს ნიშნავს); ე ბ ზ ე ლ ე ა უ შ (ქედის სახელი). ამ შემთხვევაში ე ბ ზ ე სვანს ნიშნავს (ხოლო აუშ თურქულად — ქედს ნიშნავს); ე ბ ზ ე ლ ე კ ო ნ უ ჩ უ (ადგილი ხულამ ბეზინგის ხეობის სათავეში). ე ბ ზ ე სვანს, ხოლო კონუჩუ ანუ კონჩუ — ხისაგან გაკეთებულ სასმისს; ე ლ ი ა უ რ გ ი ა ნ (ადგილების სახელწოდება ყარაჩაისა და ბალყარეთში). ელია ცეცხლისა და მეხის მომვლინებელი წარმართული ღვთაებაა, ხოლო, როგორც ჩანს, ურგან რუსული, რაც „ურგანს“ უნდა ნიშნავდეს; ე ლ ტ ი უ ბ ი უ (სოფლები ბალყარეთსა და ყარაჩაიში). ელ აქაც ელიას უნდა ნიშნავდეს, ე. ი. ელიას ხევი. იურე ტიუბიუ (ადგილის სახელი); ი უ რ ე ა ნ უ ი ე რ უ სვანურად ორს ნიშნავს, ხოლო ტიუბიუ — ტვიბს. ე. ი. ორი ხევი ანუ დეღე; ტ ი უ ბ ი უ (მრავალი ადგილმდებარეობის სახელწოდება ყარაჩაისა და ბალყარეთში. იხ. ელ-ტიუბ ანუ ტვიბ) და ა. შ.

ზემოაღნიშნულით არ ამოიწურება ყარაჩაი-ბალყარეთის სვანური ტოპონიმები. როგორც დავინახეთ, ბევრ ამ ტოპონიმს მთლიანად აქვს სვანური ფორმა და შინაარსი შენარჩუნებული, ზოგიერთსაც — ნაწილობრივ, ხოლო ზოგიერთს, რომელიც რთული შედგენილობისაა (სხვადასხვა კომპონენტისაგან შედგება) თურ-ბული სიტყვა აქვს დართული.



ყარაჩი-ბალყარეთში სვანთა ოდინდელ და კომპაქტურ განსახლებაზე მეტყველებს იქ XIX საუკუნემდე (გამონაკლის შემთხვევაში XX-ე) შემორჩენილი სვანური მატერიალური კულტურის ძეგლები, მათ შორის: ეკლესია-მონასტრების, ციხე-კოშკებისა და სასაფლაოების ნაშთები. მიუხედავად იმისა, რომ მატერიალური კულტურის ძეგლები დეტალურად არ არის აღწერილი და შესწავლილი, მათი ეთნიკური კუთვნილება ნაწილობრივ მაინც ცნობილია.

მკვლევართა ნაწილი, მათ შორის: ი. გულდენშტედტი, ა. ფაირკოვიჩი, ვ. მილერი, მ. კოვალევსკი, ვ. ტუპკოვი, ა. დიაკოვ-ტარასოვი, მ. ივანოვი, ს. ანისიმოვი, ლ. ლავროვი, გ. ზარდალიშვილი, ვ. ალექსეევი, ა. რობაქიძე, რ. ხარაძე, თ. მიბჭუანი, ნ. ვოლკოვა, დე. კოკოვი, ს. შახმურზაევი, ი. მიზიევი და სხვ. პირდაპირ თუ ირიბად ცნობენ ყარაჩი-ბალყარეთის მატერიალური კულტურის ზოგიერთი ძეგლის სვანურობას.

აღსანიშნავია, რომ ხსენებულ ძეგლთა ნაწილის სახელწოდებები პირდაპირ უჩვენებენ (მიუთითებენ) ტომობრივ ან ეროვნულ კუთვნილებას. მაგალითად, ყარაჩაის ტერიტორიაზე სვანთა კუთვნილებაზე მეტყველებს ციხე-ქალაქისა და ეკლესია-მონასტრების სახელწოდებები: „შუანა“, „გოშაიხ ყალა“ („გოშუანის ციხე“), „სენტი“, თამარის ციხე“ და სხვ. სვანებისადმი კუთვნილებაზე მიუთითებენ აგრეთვე ბალყარეთის შემდეგი ციხე-კოშკების, სასაფლაოებისა და სხვა სახელწოდებები: „შუანლარ“, „ეშზე ყალა“, „ეშზე ყაბირლა“ „ყამღუთი ქემენე“, „ბადილშა ყალა“, „ბასიათშა ყალა“, „ყაბოლარი“ და სხვ.

ამასთან, ამ ძეგლების სვანებისადმი კუთვნილებაზე მეტყველებს თვითმხილველი ალექსი ტუზოვის ცნობაც (1743 წ.), რომლის მიხედვით ჩეგემის ხეობაში არაერთი ქრისტიანული ძეგლი იდგა, სადაც ცხოვრობდა „სვანთა 300-მდე ოჯახი“, რომლებიც საზაფხულო, შეიდეკირიანი, მარხვის შემდეგ თავს იყრიდნენ ეკლესიებში და ხარებს სწირავდნენ. ამავე ცნობით, ჩეგემის ეკლესიებში, რომლებიც კვამლისაგან იყვნენ გამურული, მოსახლეობა უხეად ინახავდა საღვთო წიგნებს, რომელთაც თვალის ჩინივით უფრთხილდებოდა. ტუზოვის ჩვენებით, სონები განსაკუთრებული ენის (ე. ი. სვანურის) გარდა თათრულსაც ფლობდნენ<sup>23</sup>.

ა. ფირკოვიჩის ცნობით (1849 წ.), ბეზინგის ქრისტიანული ეკლესიის სიგრძე 5,25, სიგანე 3,75, ხოლო სიმაღლე 4,25 არშინს შეადგენდა. ეკლესიის კედლებზე გამოსახული იყო სხვადასხვა მოწამეთა ქართული ფრესკული გამოსახულებები და ქართული წარწერები. ერთ-ერთი კედლის მთავარ ფრესკას წარმოადგენდა ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგი. მკვლევარის დაკვირვებით, ეს ეკლესია ზომებითაც და არქიტექტურითაც სვანეთის ბაზილიკურ ეკლესიათა ანალოგი იყო<sup>24</sup>.

მკვლევარებმა ვ. მილერმა და ლ. ლავროვმაც დაადასტურეს, რომ ხსენებული ეკლესიები ქართულ სამყაროს ეკუთვნოდნენ (როგორც სტილით, აგრეთვე წარწერებით). ვ. ლავროვი, რომელიც საეჭვოდ არ მიიჩნევს ჩრდილო კავკასიის

<sup>23</sup> "Известия"... Северо-Осетинского науч.-ислед. ин-та, т. VI, 1934, гл. 34-35.

<sup>24</sup> А. Фиркович, Археологические разведки на Кавказе, Труды восточного отд. археолог. общ. ч. III, СПб, 1858, гл. 132.



ზოგიერთ ხეობაში სვანთა განსახლებას, პირდაპირ მიგვანიშნებს, რომ ქართული ეკლესიები, შესაძლებელია იქ მცხოვრებ სვანებს ეკუთვნოდნენ<sup>25</sup>. ასეთივე ქართული ხუროთმოძღვრული და წარწერებიანი ეკლესიები იდგა, აგრეთვე ზემო ჩეგემსა და ხულაშში. ჩვენი თვალსაზრისით მნიშვნელოვანია ისიც, რომ ლავროვის რწმუნებით, ეს ეკლესიები მონღოლებამდელ ხანას ეკუთვნოდნენ, როდესაც ამ ტერიტორიაზე ყარაჩაელები და ბალყარები საერთოდ არ ცხოვრობდნენ<sup>26</sup>.

ბეზენგოში 1834 წ. ახლადდანგრეული ქრისტიანული ეკლესია ნახა ი. შახოვსკიმ (გენერალური შტაბის ოფიცერმა, რომლის მისიის შედეგად სვანეთის მფლობელი დადიშქელიანებს კავკასიის ქედის ჩრდილოეთით ყველა ტერიტორია ჩამოართვედა), რომლის დასკვნით, ეს ეკლესია (თავის არქიტექტურით, წარწერებით და ფრესკებით, აგრეთვე ასაკით) სვანური ეკლესიების ანალოგი იყო<sup>27</sup>.

სხენებული ეკლესიების ტიპური იყო, აგრეთვე სოფელ ბელემის ეკლესია, რომელიც წმ. მარიამის სახელობის იყო, მაგრამ XIX ს-ში ის უკვე თურქულ ტერიტორიის სახელს ატარებდა. ბეზინგისა და ბახსანის ხეობებში სხვა ქრისტიანული ეკლესიებიც მდგარა, მაგრამ ისინი დროთა სიავეს გაუქრია.

აღსანიშნავია ყარაჩაის შუანას ციხე-ქალაქში შემორჩენილი ქრისტიანული ეკლესია-მონასტერი, რომელიც XI საუკუნითაა დათარიღებული<sup>28</sup>. როგორც ციხე-ქალაქის სახელწოდებაც გვიჩვენებს ეს ეკლესია უთუოდ სვანებს ეკუთვნოდა და, მიუხედავად ქართული წარწერებისა და ფრესკული მხატვრობის გაქრობისა, ის დღემდე შემოგვრჩა და სვანურ-ქართული ეკლესიების პროტოტიპია. ასევე აბაზეა ტებერდამი სენტის ეკლესია, რომელიც ა. დიაჩკოვ-ტარასოვის დასკვნით ქართულია და წმინდა სვეტიდან წარმოსდგება<sup>29</sup> (მსგავსად სვეტი ცხოველიისა, აგრეთვე სეტის წმ. გიორგის ეკლესიისა. სხვათა შორის, მესტიაც ასევე მე-სვეტისაგან წარმოსდგება).

სპეციალისტების მიერ შუანისა და სენტის ეკლესიები, აგრეთვე ხუმარის ნაქალაქარიც X-XI საუკუნეებითაა დათარიღებული, იმ დროით, როდესაც საქართველო დიდ აღმშენებლობას ეწეოდა<sup>30</sup>.

ჩამოთვლილი, დროთა ვითარებაში სხვადასხვა მიზეზით გამჭრალი ყარაჩაი-ბალყარეთის სხვა ქრისტიანული ეკლესიების სვანურ-ქართულისადმი კუთვნილებზე მეტყველებს ხალხში გვიანდრომდე დარჩენილი ტრადიცია, რომლის თანახმად სვანეთის ზოგიერთი გვარეულობები (ჩანს ჩრდილოეთიდან გადმოსახლებუ-

<sup>25</sup> Д. П. Лавров, Население Сванов на северном кавказе до XIX века, Краткие сообщения института этнографии АН СССР, X. М.-Л. 1950. გვ. 81.  
<sup>26</sup> Д. П. Лавров, Карачия и Балкария до 30-х годов XIX века. Кавказский этнографический сборник, IV, М., 1969, გვ. 106.  
<sup>27</sup> И. Шаховский, Воспоминание о Кавказе, "Военный сборник", 1876, № 10, გვ. 456.  
<sup>28</sup> Е. П. Алексеева, Древняя и средневековая история Карачаева-Черкесии, М., 1971, გვ. 148.  
<sup>29</sup> А. Н. Дьячков-Тарасов, Сентинский храм и его фрески с приложением, Екатеринбург, 1899, გვ. 3-8.  
<sup>30</sup> В. А. Кузнецов, Надписи Хумеринского городища, გვ. 7. 1963, № 1, გვ. 293.  
 2. შახოვსკი, ისტორიის სერია, 1993, №3-4





ლი) XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც განაგრძობდა ამ ქრისტიანულ ენციკლოპედიაში ჭგუფურ სიარულსა და წირვა-ლოცვას<sup>31</sup>.

ყარაჩი ბალყარეთში სევანთა განსახლების ერთ-ერთი მაჩვენებელია იქ სევანური სიტემის მრავალი საფორტიფიკაციო ნაგებობების არსებობა. ხსენებულ ტერიტორიაზე 40-მდე ციხე-კოშკი და მათი ნაშთია გამოვლენილი. ამ თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობა აქვს ბასიანის ვახუშტისეულ დახასიათებასაც: „... არს ეს ბასიანი შენობიან-დაბნეზიანი“...<sup>32</sup>.

ხსენებული ციხე-კოშკების სევანურობაზე მეტყველებს არა მარტო მათი ტიპოლოგიური ერთნაირობა, არამედ აგრეთვე მათი სევანური სახელწოდებები და გეოგრაფიკული კუთვნილება. მაგალითად, ბახსანის ხეობაში, აგრეთვე ყარაჩაიში (ხურზუკი) ციხე კოშკებს ეწოდებათ „გოშაიახ-ყალა“ (გოშუანების ციხე), ბეზინგში (მდ. ჩერეკის მარცხენა მხარეზე) კოშკს თავდაპირველად „ეზზე ყალა“ ერქვა (გვიან კი აკ-ყალა – თეთრი ციხე დაერქვა). სხვათა შორის, ამ კოშკის ახლომდებარე სამარხებსაც „ეზზეთა“ (სასაფლაოები) ეწოდება. მნიშვნელოვანია ისიც, რომ „ეზზე-ყალასა“ და აგრეთვე ჩეგემის „ბალყარუ-ყალას“ ბოლომდე შემორჩათ არა მხოლოდ სევანური კოშკებისათვის დამახასიათებელი ზოგადი ნიშნები, არამედ პარაპეტიც. ბევრის მთქმელია აგრეთვე კურნაიატის საგვარეულო კოშკის სახელწოდება „შუანლარ“, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სევანების თვითსახელ მუშვან-შვანზე (როგორც „შუანა“, აგრეთვე „მშანი“) და ამრიგად სევანბისადმი კუთვნილებაზე.

ბეზინგი ჩერეკის მარჯვენა მხარეზე იღვა ციხე-კომპლექსი (ერთი კოშკი და სამი საცხოვრებელ-სამეურნეო ქვის სახლი), რომელსაც „ეზბოლარის“ ციხე ეწოდებოდა<sup>33</sup>. ეს კომპლექსი დაღმშქელიანების ერთ-ერთ შტოს ოთაროვებს ეკუთვნოდა. ამ ციხე-კომპლექსის ახლო მდებარეობდა „ეზბულარის სასაფლაოც“, რომელზეც აკლდამა მავზოლეუმი („ქემენი“) იღვა.

ჩეგემში და მავლანგში (ბულუნგუში) მდებარე კოშკებს „ბადილშა ყალა“ („ბადილშა მურყვამ“) ერქვა. ცნობილია, რომ „ბადილშა“ გოშთელიანების ერთ-ერთ სამშოს ეწოდება ამჟამადაც. ასევე ყარაჩაიში მდგარი ერთ-ერთი კოშკი „ბასიათ-შა ყალა“ – ჟორჯოლიანების სახელს ატარებდა.

ბევრის მთქმელია ისიც, რომ ყარაჩაიში (ყუბრანის ხეობაში, ხურზუკის ახლოს) დღემდე შეიმჩნევა ციხე-კოშკის ნანგრევები, რომელსაც „თამარის ციხე“ ეწოდება. ამ ციხის ახლოს აღმართული ქვის უზარმაზარი ჭვარიც ასევე თამარის სახელობისაა.

არაერთი მკვლევარის აზრით (ასევე ყველა მონაცემით: მასალით, ქვის წყობით, ზომით, საძირკველ-გადახურვით, შესასვლელით, სათოფურ-სარკმელებით,

<sup>31</sup> ი. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გ. ველაშვილის გამოც., თბ., 1964, გვ. 45, В. Я. Тенцов, Сванетия, СМОМПК, X, ТИФЛИС, 1880, გვ. 651.

<sup>32</sup> ქართლის ცხოვრება, IV, 1973; ს. ყ ა ლ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს გამოც. გვ. 651.

<sup>33</sup> В. Милер, Археологические экскурсии в горских обществах Кабарды, МАК, вып., I, М., 1888; Л. И. Лавров, Карачай и Балкария до 30-их годов XIX века: л. რობაქიძე, დასახლების ფორმა ბალყარეთში, მსმ, თბ., 1960; И. М. Мизнев, Средневековые башни и склены Балкарии и Карачая (XIII-XVIII вв.). Налчик, 1970 г.



პარაპეტით და სხვ.), ყარაჩაისა და ბალყარეთის ძველი კომკები სვანეთში მდგარი კომკების ანალოგიურ არიან. ასევე სვანებს ეკუთვნოდა ყარაჩაი-ბალყარეთში ქრისტიანული სასაფლაოები და მათზე აშენებული აკლამები (ქეშენი).

ყველაფერი ეს საეკვოს არ ხდის ყარაჩაი-ბალყარეთში სვანთა კომპაქტურ განსახლებასა და იქაური ძველი ციხე-კომკების და ქრისტიანული ძეგლების სვანებისადმი კუთვნილებას.

ყარაჩაი-ბალყარეთში სვანთა განსახლების თვალსაზრისით ასევე ბევრის მთქმელია იქაური (უკვე გამაჰმადიანებულ-ასიმილირებულ) და თანამედროვე, ზოგიერთი სვანური გვარეულობების იგივეობა (დამთხვევა), ასევე მათ შორის დღემდე მოღწეული ნათესაური გრძნობა და კავშირ-ურთიერთობა.

როგორც გადმოცემები გვეუბნება და თ. მიბზუნამა გამოიკვლია ყარაჩაი-ბალყარეთში თავის თავს სვანურ წარმომავლობისად თვლიან ისეთი გვარეულობები, როგორც არიან: ეშელარ, ერისტაელარ, ყაბოლარ, ყაბელარ, ყაბილარ, გეკილარ, ბოტტალარ, ოთარლარ, სოტალარ, ტაპასხანლარ, ჭურდანლარ, ხოლალარ, შახმურზალარ, შუანლარ, ჩარკუიანლარ, ჭაპპულარ, ჭაფარლარ, აღმურზალარ, აღმურზალარ, შიხმურზალარ, თეყულარ, ჭარაშულარ, ბეჩილარ, გურჩალარ, დინლარ, მამჟულარ, მეჩიველარ, ჩაგილარ, თებულარ, უზდენლარ, ქოჩკალარ, სუბილარ, ცულკიანლარ, გოჩილარ, პანგანლარ და სხვ.<sup>34</sup>

ჩამოთვლილ გვარეულობებთან გენეტიკურ-ახლობლური შეხვედრები და ურთიერთობა აქვთ სვანეთის გვარეულობებს, როგორცაა: კახიანი, არღელიანი, დადიშქელიანი, ანსიანი, ჭაჭელიანი, ყიფიანი, ჩარკვიანი, ჭაფარიძე, გუჭეჩიანი, გომთელიანი, ქოჩქიანი, ხვიბლიანი, ავალიანი, სუბელიანი, მიბზგანი, ვეზდენი, ბახოლიანი, ფანგანი და სხვ.

რა თქმა უნდა, ორივე მხარის გვარეულობათა დამთხვევები შემთხვევითი არ არის და მარტო მეზობლურ-ტერიტორიული ურთიერთობით (ინფილტრაცია-გაჟონებით) არ აიხსნება. ამ გვარეულობათა გენეტიკურ-ნათესაურ ერთიანობაზე მეტყველებს ყარაჩაი-ბალყარეთში და სვანეთში დღემდე შემორჩენილი თქმულება-გადმოცემები, ასევე ხსენებულ გვარეულობათა და, საერთოდ მთელ ხალხს შორის თბილი მეზობლური დამოკიდებულება, როგორც წაოულში, აგრეთვე ამჟამად. არ გვაქვს იმისი არცერთი შემთხვევა და მაგალითი, რომ ყარაჩაი-ბალყარებს როდისმე ომი ჰქონოდათ სვანებთან და, საერთოდ - ქართველებთან (რასაც ვერ ვიტყვიტ ჩერქეზებზე, ადიღელებზე, კერძოდ, ყაბარდოელებზე, ჩიქეზზე, უბიხებზე, აბაზეზებზე და სხვ.). ამიტომაც, როგორც ძველად, ასევე ახლო წარსულში სვანეთის მოსახლეობის ნაწილი სიამოვნებით მიემშობოდა ყარაჩაი-ბალყარეთში სამუშაოდ, სავაჭროდ, გაცვლა-გამოსაცვლელად და სხვ. შემთხვევითი არ არის არც ის, რომ ყარაჩაელთა და ბალყარელთა ურთიერთობა საქართველოსთან დღესაც (როდესაც ზოგიერთი ჩრდილოელი მეზობელი ასე მტრულად გვეკიდება) კეთილი და ნორმალურია.

Г. ГАСВИАНИ

## О РАССЕЛЕНИИ СВАНОВ НА СЕВЕРНОМ КАВКАЗЕ

Резюме

В настоящем исследовании рассмотрены вопросы расселения сванов на территории Балкарии и Карачаево-Черкесии, в частности, в ущельях рек бахсаны, Чегема, Хулама, Черека, Учквлана, Теберды и др.

На указанной территории сохранилось до 150 свано-грузинских топонимов: среди них названия деревень, городища, башен-крепостей, культовых сооружений, кладбищ, ущелий, пасдбищ, ручейков, рек, скал, гор, перевалов и т. д.

При этом, несмотря на существенные этнические изменения в упомянутых краях встречается до 45 фамилий, свано-грузинского происхождения.

Все это свидетельствует о том, что в древности сваны проживали и в северо-западных горных местностях Кавказа.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის განყოფილებამ.

1991/10

ანრი ბოზვერაძე

ტაო-კლარჯეთის მფლობელი ფეოდალური ბაგრატიონის  
პატივის ბარათებისათვის

1. იყო თუ არა სუმბატ კურაპალატის ძე ადარნესეც კურაპალატი?

სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში 958 წლისათვის აღნიშნულია შემდეგი: „გარდაცვალა ესე სუმბატ კურაპალატი, ძე ადარნასე ქართველთა მეფისა ქრონიკონსა რომ, და დაუტევნა ძენი ორნი: ბაგრატ ერისთავთა-ერისთავი, რომელი ქართველთა მეფედ დასუეს, რეგუენი, და ადარნასე კურაპალატი“<sup>1</sup>.

თავის დროზე ს. ჯანაშიამ მართებულად შენიშნა, რომ სუმბატის ტექსტში აქ შეცდომაა (არის მასში სხვა შეცდომებიც)<sup>2</sup>, რაც, სამწუხაროდ შემდგომში არ იქნა გათვალისწინებული<sup>3</sup>. ამ დაკვირვების სიცხადისათვის წარმოვადგენთ მის დამამტიციებელ არგუმენტებს.

სუმბატ დავითის ძე ამა თუ იმ ტიტულოვანი ბაგრატიონის გარდაცვალების აღნიშვნისას, როგორც წესი, მიუთითებს, როგორც მის პატივს, ასევე მისი მამის (თუ ამ უკანასკნელსაც ჰქონდა რა თქმა უნდა). ადარნასე სუმბატის ძის გარდაცვალების აღნიშვნისას კი მხოლოდ მამამისის პატივია მითითებული: „გარდაცვალა ადარნასე, ძე სუმბატ კურაპალატისა, ძმა ბაგრატ რეგუენისა, ქრონიკონსა სვ (963 წ.)“<sup>4</sup>.

სუმბატ დავითის ძის ცნობით, ადარნესეს მამის სუმბატ კურაპალატის გარდაცვალების შემდეგ, კურაპალატად დასუეს სუმბატის ძმა ადარნასე მაგისტროსი: „შემდგომად მამის ძმათა კურაპალატი იქმნა“ (ამ პატივით არაერთგზის იხსენიება სხვაგანაც). ადარნასე კურაპალატი 961 წელს მისმა შვილებმა ძალით ჩამოაცილეს ხელისუფლებას, რომლის შემდეგ მალე გარდაიცვალა კიდევ. შეიძლება გვეფიქრა, რომ დროის ეს მონაკვეთია სუმბატის მიერ გამოტოვებული და ადარნასე სუმბატის ძე ამის შემდეგაც კურაპალატი. მაგრამ ეს კონტრარგუმენტიც უარსაყოფია. სუმბატ დავითის ძეს აღუნიშვნელი არ დარჩებოდა, რომ ადარნესეს სიკვდილის შემდეგ კურაპალატად დასვეს მისი ძმისწული ადარნასე ბაგრატის ძე. ასეც რომ არ იყოს, როცა დავით ადარნესეს ძე მაგისტროსს 978 წ.

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, I, 1955, გვ. 381.

<sup>2</sup> ს. ჯანაშია, კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობები ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა შესახებ; ს. ჯანაშია, შრომები, V, 1987, შენ. 12, გვ. -55.

<sup>3</sup> საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, 1973, გვ. 476-478.

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება, გვ. 381.





ბიზანტიის იმპერატორისაგან კურაპალატობა ებოძა, ხოლო ანტიპატრიარქის სუბსტიტუტის ძე 983 წლამდე ცოცხალია, ბაგრატიონთა სახლის მემკვიდრეობის მემკვიდრეობის არ აღენიშნა, რომ ამიერიდან ორი კურაპალატი იყო ტაო-კლარჯეთში ერთდროულად. უცნაური, უნიკალური და, ამდენად გამორიცხული ფაქტია, რადგან ბაგრატიონთა სახლში ერთდროულად ერთი და იგივე პატივი (ქართული თუ უცხოური) სხვადასხვა პირს არასდროს უტარებია. ამ პატივისათვის ბრძოლისა და მიტაცების შემთხვევები ყოფილა, მაგრამ, ვიმეორებთ, იგი ერთდროულად არავის არ უტარებია (ბაგრატიონთა სახლში კოლეგიალური მმართველობის ერთ-ერთი მაჩვენებელია).

ბიზანტიელთა უშუალო დამოკიდებულებაში კურაპალატი იყო, ხოლო სხვები მისი მემკვიდრეობით იყენებდნენ მათთან დაკავშირებული. ამიტომ „ზემონი ქუეყანანი“, პირველ ყოვლისა, უნდა მიეღო ადარნასეს, თუ ის, მართლა კურაპალატი იყო და არა დავით მაგისტროსს — მასზე დაბალი ბიზანტიური პატივის მქონეს.

973 წ. გადაწერილ პარხლის სახარების მინაწერში იოანე-ბერაი იხსენიებს ბაგრატ ქართველთა მეფეს, დავით მაგისტროსს და სუმბატ ერისთავთ-ერისთავს, როგორც ტაო-კლარჯეთის უმაღლეს ხელისუფალთ. თუ ამავე ხანებში მოღვაწე ადარნასე კურაპალატი იყო, გადამწერმა რა ნიშნით აუარა მას გვერდი, როცა მასზე ნაკლები პატივის მქონეთა მოხსენიება არ დაივიწყა. ერთი სიტყვით, ადარნასე არც კურაპალატი ყოფილა და არც სხვა, ბიზანტიური თუ ქართული, პატივის მქონე. ასე რომ, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებში ადარნასე ბაგრატის ძე კურაპალატის შემდეგ († 961), ვიდრე 978 წლამდე, კურაპალატი არ ყოფილა.

ამრიგად, ადარნასე სუმბატის ძის კურაპალატობა სუმბატ დავითის ძის ტექსტის დამახინჯების შედეგია და არა ისტორიული ფაქტი.

<sup>2</sup> პროფ. მ. ლორთქიფანიძემ მათი ერთდროულობა იმით ახსნა, რომ დავით ადარნესს ძე 979 წ. იქნა „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატად“, როცა ადარნასე სუმბატის ძე ჩვეულებრივ ქართველთა კურაპალატად რჩებოდა (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 476-478).

ზემოსხენებული განმარტება სუმბატის ტექსტში არსებული შეცდომის გაუთვალისწინებლობის შედეგია, რაც 979-983 წლებში ორი კურაპალატის ერთდროულობას თავისთავად ხსნის. მაგრამ ვინაიდან მას აქვს სხვა კუთხეც, ამის შესახებ უნდა ითქვას შემდეგი. ჯერ კიდევ პროფ. შ. ბაღრიძემ მიუთითა, რომ ბარდა სკლიაროსზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ბიზანტიის ხელისუფლებამ დავით მაგისტროსი დააჯილდოვა განსაკუთრებული უფლებებით: კეისრის კარს მისთვის მიუნიჭებია პოლიტიკურ უპირატესობათა ნიშანების ამსახველი პატივი: „ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატი“ (შ. ბაღრიძე, „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, თსუ შრომები 113, ისტორიულ მეცნიერებათა სერია, 1965, გვ. 229). ასე იხსენიება დავითი ოშკში გადაწერილ „სამოთხის“ ანდერძში, რაც ქართული თვალსაზრისით გამომატველია იმ ახალი, პოლიტიკური შინაარსისა, რომელიც შეიქმნა დავითის მიერ საბერძნეთის ზემო ქვეყნების მიღების შემდეგ, რამდენადაც ბიზანტია მას მისი აღმოსავლეთი სამფლობელოების ნაწილად მიიჩნევდა. მაგრამ ბიზანტიისათვის დავითი ამის შემდეგაც მხოლოდ „ქართველთა კურაპალატად“ რჩებოდა. მხოლოდ კურაპალატად იხსენიება ის სხვა საისტორიო წყაროებშიც. ასე რომ, დავითის და ადარნასეს ერთდროული კურაპალატობა გამორიცხულია ამ თვალსაზრისითაც.

შემდეგში თვით ქართველებმაც გააფართოვეს ამ გეოგრაფიულ-პოლიტიკური ცნების შინაარსი და „აღმოსავლეთში“ „ყოველი საქართველო“-ც შეიტანეს. ამ პოლიტიკური ცნების ქვეტექსტი უკვე ის იყო, რომ საქართველოს ხელისუფლება თავს თვლიდა ბიზანტიის იმპერიის მთელი ქრისტიანული აღმოსავლეთ რეგიონის შემკვიდრე-მფლობელად იმპერატორის ფორმალური სიუჟეტურობის აღიარებით.

## 2. ბაგრატ მაგისტროსი — „ქართველთა მეფე“?

1917 წელს ექ. თაყაიშვილმა თურქეთის საქართველოში ექსპედიციის დროს, იშხანის ტაძრის დასავლეთი კედლის პილასტრთა კუთხეებში ასომთავრულით შესრულებული სამი ვერტიკული წარწერის ნაშთი შენიშნა, რომლებიც შეიცავდნენ დაღუპულ ფრესკებზე წარმოდგენილ პირთა სახელებს. მეორე წარწერა, რომლის საფუძველზეც გამოტანილია ამ საკითხის სათაური, მან ასე ამოიკითხა: „ბაგრატ მაგისტროსი, ქართველთა მეფე“<sup>6</sup>.

ბუნებრივია, რომ ამ ცნობის გამოქვეყნების შემდეგ ბაგრატ მაგისტროსის მიერ „ქართველთა მეფის“ სახელწოდებით მოხსენიებამ 937-845 წლებში (მანამდე „ქართველთა მეფე“ მისი ძმა დავით ადარნესეს ძე) სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაო გავრცელება პოვა. მაგრამ, ქვემოთ დავინახავთ, რომ ეს შეხედულება გადასინჯვას მოითხოვს, რადგან ბაგრატ მაგისტროსი „ქართველთა მეფედ“ მხოლოდ ამ წარწერთაა ცნობილი, როცა სხვაგან ის მაგისტროსად იხსენიება.

გიორგი მერჩულეს, ბაგრატ მაგისტროსის თანამედროვეს, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ 950 წლით დათარიღებულ მინაწერში, 945 წელს გარდაცვლილი ბაგრატ ადარნასეს ძე მაგისტროსად ჰყავს მოხსენიებული, როგორც იმ დროის ერთ-ერთი ხელმწიფის ადარნასე მაგისტროსის (მერე კურაპალატის) მამა. სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში იგი სამჯერ იხსენიება და ყოველთვის მაგისტროსად. ყველაფერი ეს მით უფრო დამაფიქრებელია, რომ ტაო-კლარჯეთში შემუშავებული პოლიტიკური თვალსაზრისით „ქართველთა მეფე“ ყველა დანარჩენ სუვერენზე მალა იდგა პატივით. ამის გამო, სხვა ბაგრატიონ ხელისუფალთა შორის, ცოცხალს თუ მკვდარს, მას პირველს ასახელებდნენ.

973 წლის პარხლის ოთხთავის მინაწერში ჯერ ბაგრატ რეგვენი „ქართველთა მეფე“ მოხსენიებული, მერე დავით მაგისტროსი და ბოლოს სუმბატ ერისთავთ-ერისთავი. ასევე იშხანის ტაძრის 954 წლის წარწერაში, სადაც ჯერ გარდაცვლილი „ქართველთა მეფე“ იხსენიება, მერე ასევე გარდაცვლილი კურაპალატი და შემდეგ უკვე ბაგრატ მაგისტროსი.

„ქართველთა მეფე“ აღემატებოდა არათუ „მაგისტროსს“, არამედ „კურაპალატსაც“ ქართული პოლიტიკური თვალსაზრისით. ამიტომ, როცა ადარნასე დავითის ძემ „ქართველთა მეფის“ ტიტული მიიღო, მას შემდეგ ის კურაპალატად აღარ იხსენიებოდა. სუმბატ დავითის ძეც მას მხოლოდ „ქართველთა მეფედ“ მოიხსენიებს, რადგან ამ აქტით ადარნასემ დამოუკიდებელ ხელისუფლად გამოაცხადა თავი. „ქართველთა მეფეებს“ გაერთიანებული საქართველოს მეფეებისგან განსხვავებით, იმავდროულად ბიზანტიური რაიმე პატივები არ ჰქონიათ. დავით „ქართველთა მეფე“, მაგალითად, არ იხსენიება „მაგისტროსის“ წოდებით, რომელიც იმპერატორმა უბოძა.

ერთი სიტყვით, ბაგრატ მაგისტროსს შეუძლებელია იმავდროულად „ქართველთა მეფის“ პატივიც ჰქონოდა, იმდენად შეუთავსებელი არიან ისინი ერთმანეთთან. თუ ამას მაინც დასაშვებად მივიჩნევთ, რატომ სხვაგან ერთხელაც არ

<sup>6</sup> ექ. თაყაიშვილი, 1917 წ. არქეოლოგიური ექსპედიცია სამხრეთ საქართველოში, თბ., 1960, გვ. 17.



იხსენიება ის ქართველთა მეფედ? ყველაფერს თავი რომ დაეხედო, იმეორეობა-ნის ტაძრის ჩრდილოეთი ეკვდრის სამხრეთ კედელზე არსებულ 954 წ. 27 სტრიქონიან წარწერაში არ იხსენიება იგი ქართველთა მეფედ. ამ წარწერაში გარდაცვლილი ბაგრატ მაგისტროსი მოხსენიებულია, ასევე გარდაცვლილი დავით ქართველთა მეფის და აშოტ კურაპალატის შემდეგ<sup>7</sup>. თუ დავითი ქართველთა მეფე იყო, აშოტი — კურაპალატი, ასევე ქართველთა მეფე ბაგრატი მხოლოდ მაგისტროსად დატოვეს? ახლა თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ წარწერის გარდა კიდევ ორი წარწერა ყოფილა კომპოზიციურად დაკავშირებული სამი დაღუპული ფრესკული სურათის განსამარტავად, ჩვენ ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტას მივალწევთ.

აღნიშნული სურათები, როგორც ექ. თაყაიშვილი აღნიშნავს, სრულიად მოსპობილია, მაგრამ პილიასტრთა კუთხეებში გადაჩენილი ყოფილა წარწერები. საყურადღებოა, რომ ეს წარწერები მას შეუნიშნავს, როცა ქერის მაგივრად დაფენილი ჩალიდან მათ აღმაცერად ჩამოსული სხივები მოხვდა<sup>8</sup>.

მოგვეყავს სამივე წარწერა თაყაიშვილის მიხედვით:

(აღრ)	ბგრატ	ბგრტ
ნსე	(მაგისტ)	ე ე ძე
კორ)	როსი	აღრ
ატბ	ქართ	ნე
ალტ	ველ	სეკ
იძე	თა	რატ
ბგრ	მე	პ
ატ	ფ	ლ
მაგი	ქ	ტი
სტრ		სა
ოსი		ფ
სა		
ფ		

წარწერების მიხედვით, იშხანის ტაძრის ამ კედელზე წარმოდგენილი ყოფილან ცენტრში ბაგრატ მაგისტროსი, მარჯვნივ მისი ძე ადარნასე კურაპალატი, ხოლო ბაგრატის მარცხნივ ადარნასე კურაპალატის უფროსი ძე ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი. ე. ი. ამ კედელზე გამოსახული ყოფილა პაპა (ცენტრში), მარჯვნივ მისი ძე, მარცხნივ შვილიშვილი. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ადარნასე იხსენიება არა ქართველთა მეფისა და მაგისტროსის, არამედ მხოლოდ ბაგრატ მაგისტროსის ძედ, ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი კი ადარნასე კურაპალატის ძედ. ამ წარწერების საერთო აზრი და შინაარსი გასაგებია. რადგან შემოსენებული მმართველებიდან ადარნასე კურაპალატი და ბაგრატ ერისთავთ-ერისთავი წარმოდგენილი არიან, აგრეთვე, მამის სახელებითა და პატივებით, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ამავე ნიშნით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი თვით ბაგრატ

<sup>7</sup> ექ. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი , დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 21.



მაგისტროსიცი — ის ხომ სახელგანთქმული მამის, პირველი „ქართველი ადარნესეს ძე იყო.

ექვს გარეშეა, რომ ამ წარწერაში 1917 წლისათვის აღარ ჩანდა (ანდა ძალიან ცუდად ჩანდა) სწორედ ბაგრატიისა და ადარნასეს მამაშვილობის ამსახველი სიტყვები: ... ძე ადარნესე...“ (ე. ი. გადასული ყოფილა არა მარტო მეორე, არამედ მე-4-ე (ძე აღრ) და მე-5-ე (ნსე) სტრიქონებიც და ბოლო — კიდევ ორი: „სა“ და „მ“). გადარჩენილი ასოებისგან, ბუნებრივია, გამოვიდა, რომ თვით ბაგრატი მაგისტროსი იყო „ქართველთა მეფე“ („ს“ ასო-ნიშანი მისი „წ“-სთან დიდი მსგავსების გამო ექ. თაყაიშვილს, ჩანს, ყურადღების გარეშე დარჩა ანდა დაზიანებული მოეჩვენა. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ვერტიკალურად შესრულებულ წარწერაში გადასული ასოების შემჩნევა უფრო ძნელია, როცა გარკვეული აზრი ამათ გარეშეც გამოდიოდა, ვიდრე ჰორიზონტალურში). ამ რიგად, თუ შევაჯამებთ ზემოაღნიშნულს, შეიძლება დავასკვნათ: ბაგრატი მაგისტროსი არ ყოფილა „ქართველთა მეფე“.

პ. ინგოროყვამ იმ ფაქტს, რომ ბაგრატი მაგისტროსი არსად სხვაგან „ქართველთა მეფედ“ არ იხსენიება, შემდეგი ხსნა მოუძებნა:

დავით ქართველთა მეფის გარდაცვალების შემდეგ, მემკვიდრეობის წესით მეფის ხარისხი უნდა მიეღო მის მომდევნო ძმას ბაგრატი მაგისტროსს (დავითის მომდევნო ძმა იყო აშოტ კურაპალატი და არა ბაგრატი, — ა. ბ.). როგორც ირკვევა, მას კიდევ მიუღია მეფის ტიტული, რასაც დოკუმენტურად ადასტურებს საფრესკო წარწერა იშხანის ტაძრისა. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო საერთაშორისო ცნობა და პირველ რიგში ბიზანტიისაგან. ხოლო იმ დროს ვინაიდან ბიზანტიასა და საქართველოს შორის ურთიერთობა გამწვავებული იყო, ბიზანტია აღარ ცნობდა იბერიის სახელმწიფოს მეთაურს, როგორც მეფის რანგის მქონე ხელმწიფეს. ამიტომ ბაგრატი მაგისტროსს ვეღარ დაუმკვიდრებია მეფის ხარისხი.

მკვლევარმა ივრძნო, რომ საჭირო იყო განმარტება, თუ რა მიზეზით შეიძლებოდა ახსნილიყო წყაროებში არაერთგზის მაგისტროსად მოხსენიებული ბაგრატი მარტო იშხანის ტაძრის ერთი წარწერით, რომელსაც ორი სხვა იმავე ტაძრიდან იქვე უარყოფდა, „ქართველთა მეფეც“ ყოფილიყო. მაგრამ ამ მიზეზით გამართული მთელი მისი მსჯელობა არ შეეფერებოდა სინამდვილეს. ცნობილია, რომ ბიზანტიის სამეფო კარი VII ს-დან მოკიდებული, საერთოდ, არც ერთ ხელისუფალს არ ცნობდა „მეფის“ (ბასილევსის) პატივის ღირსად, იქნებოდა ის მისი სხვადასხვა ხარისხის მორჩილებაში თუ პოლიტიკური გავლენის სფეროში.

ბიზანტიის კეისრის კარზე „მეფეებად“ არ ცნობდნენ არც ადარნასე „ქართველთა მეფეს“, არც მის უფროს ძეს დავით „ქართველთა მეფეს“. პირველი კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებაში მხოლოდ მისი წინანდელი ბიზანტიური ტიტულით — კურაპალატადაა მოხსენიებული, როცა თვითონ ადარნასე, მას შემდეგ, რაც IX ს-ის დასასრულს თავი ბიზანტიისაგან დამოუკიდებელ სუვერენად გამოაცხადა და „ქართველთა მეფის“ სახელწოდება მიიღო, კურაპალატის პატივი სამუდამოდ უკუაგდო (სუმბატ დავითის ძე მას საერთოდ არ იხსენიებს კურა-

<sup>9</sup> პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1945, გვ. 108-109.





პალატად არც ადრეული ხანისათვის). დავით „ქართველთა მეფეთა“ ბიზანტიელი იმპერატორის მიერ კიდევ უფრო დაბალი ტიტულით — „მაგისტროსად“ იწოდება (სუმბატ დავითის ძე კი, პირიქით, მასაც მხოლოდ „ქართველთა მეფედ“ იხსენიებს). ბიზანტიის კარზე შემუშავებული დიდმპყრობელური პოლიტიკის გამო „მეფეებად“ არ ცნობდნენ არც სომეხთა და არც აფხაზთა მეფეებს და არც თვით გაერთიანებული საქართველოს მეფეებს.

ასე რომ, იმპერატორისგან მისი პატივის უგულვებელყოფა ხელს ვერ შეუშლიდა ბაგრატ მაგისტროსს მამამისივით „ქართველთა მეფის“ ტიტული ჰქონოდა. ამავე დროს, საეჭვო არაა, რომ ბაგრატს შეეძლო უძეოდ გარდაცვლილი დავითის შემდეგ „ქართველთა მეფე“ გამხდარიყო, რადგან მასზე აშოტი უფროსი კარგა ხნის კურაპალატი იყო. საყურადღებოა, რომ მისი მემკვიდრე ადარნასე — „შემდგომად მამისა თქვისა მაგისტროსი იქმნა“<sup>10</sup> (951 წ. ის ამ პატივით იხსენიება აგრეთვე გიორგი მერჩულეს მიერ), ხოლო აშოტის გარდაცვალების († 954) შემდეგ 958 წელს — კურაპალატი.

არა მარტო ბაგრატისა და მისი მემკვიდრეების ბიზანტიური პატივები, არამედ მათი ქმედებანიც ამ ხელისუფალთა საგარეო პოლიტიკურ გეზს ნათელყოფენ. მაგრამ ამის საჩვენებლად საჭიროა მოკლედ მიინც დაეახსიათოთ X ს-ის პირველ ნახევარში ტაო-კლარჯეთის სამეფო-სამთავროებში შექმნილი ვითარება, რომელიც მნიშვნელოვანწილად გამოწვეული იყო ბიზანტიასთან ურთიერთობით.


როგორც ცნობილია, ადარნასე II კურაპალატმა IX ს-ის მიწურულს თავი „ქართველთა მეფედ“ გამოაცხადა (897 წ. აღიშის ოთხთავის ანდერძ-მინაწერის მიხედვით ის ჭერ კურაპალატია) და ბიზანტიური პატივი უკუაგდო. ამ განსაკუთრებული პოლიტიკური აქტით ადარნასე ბიზანტიის იმპერიის პოლიტიკური დამოკიდებულებიდან საჯაროდ გამოვიდა და თავი სრულ სუვერენად გამოაცხადა. აშოტის მეფობას ცნობდნენ კავკასიური სამყაროს ხელისუფალნი (პირველ რიგში სომეხთა და აფხაზთა მეფეები), მაგრამ არა ბიზანტიის სამეფო კარი. კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებაში („περὶ τῆς ἀρχῆς“ ანუ „De administrando imperio“) ის ამის შემდეგაც იბერიის კურაპალატად იწოდება და მითითებულია, რომ მას კურაპალატობა ებოძა ლეონ VI-ისგან (886–911)<sup>11</sup>. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ეს ბოძება ფაქტობრივ ვითარების მხოლოდ დადასტურება იყო, რადგან 891 წ. ს. მგლინავთან ბრძოლაში ადარნასემ დაამარცხა და მოკლა გურგენ ადარნასეს ძე კურაპალატი და წაართვა მას ეს პატივი, რომელსაც ადრე დავით ბაგრატის ძე ფლობდა და ნასრა გვარამის ძის მიერ მისი მოკვლის შემდეგ გურგენ ადარნასეს ძემ მიიტაცა<sup>12</sup>.

ადარნასეს მეზობელ მეფე-მთავრებთან გართულებული ვითარება საშუალებას არ აძლევდა ბიზანტიაზე დამოკიდებულებისაგან თავი სავსებით დაეღწია და მისი მეფობისათვის რეალური პოლიტიკური შინაარსი მიეცა. როგორც კონსტანტინე

<sup>10</sup> ა. ბოგვერაძე, ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონთა სახლში ბრძოლის ისტორიიდან, „მაცნე“, ისტორიის ... სერია, 1987, № 2, გვ. 40-41.

<sup>11</sup> კონსტანტინე პორფიროგენეტი, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, 2, 1952, გვ. 259.

<sup>12</sup> ს. ჭანაშვილი, შრომები, V, 1987, გვ. 254; ა. ბოგვერაძე, დასახ. ნაშრომი.



პორფიროგენეტის თხზულებიდან ცნობილია, მეფობის ბოლო წლებში იმპერატორმა საყვედური გამოუთქვამს რომანოზ კეისრისათვის (921–944) ვასპურკანის მიწა-ვარ გაგიკთან ერთად იმის თაობაზე, თუ რატომ მხოლოდ ტარონელი ლებულობდა სამეფო სარგოს, როცა ისინიც არანაკლებ „სამსახურს უწევდნენ“ მას<sup>13</sup>.

ადარნასეს ოთხი ვაჟი ჰყავდა: დავითი, აშოტი, ბაგრატი და სუმბატი. დავითის შესახებ სუმბატ დავითის ძე ამბობს, რომ ის, „შემდგომად მამისა თჳსისა ქართველთა მეფე იქმნა“. კონსტანტინე პორფიროგენეტი, როგორც ითქვა, დავით ადარნასეს ძეს მხოლოდ „მაგისტროსად“ მოიხსენიებს, როცა ქართულ წყაროებში ის ამ პატივით არ იხსენიება. საფიქრებელია, რომ დავითმა „ქართველთა მეფის“ სახელწოდება მამის გარდაცვალებისთანავე მიიღო და, რასაც, ცხადაა, იმპერატორის დასტური არ სჭირდებოდა. მაგრამ, საკითხავია, ბიზანტიური პატივი როდის უნდა მიეღო მას?

მაგისტროსობას „ქართველთა მეფეს“ იმპერატორი მათი შეუსაბამობის გამო, საფიქრებელია, ვერ მიანიჭებდა. ამიტომ უფრო მოსალოდნელია, რომ ეს პატივი მას ადარნასეს სიცოცხლეშივე მიეცა, ხოლო თვითონ, არც ეს და არც სხვა, გამეფების მერე მამამისივით აღარ ინდომა. თუ მისთვის მაინცდამაინც ბიზანტიური პატივის მინიჭება იქნებოდა მიზანშეწონილი, მას უნდა მიეღო კურაპალატობა — „მისი მამის პატივი“<sup>14</sup>, როგორც ეს შეუთვალა იმპერატორმა ბაგრატიონებთან დავალებით გაგზავნილ კონსტანტი პატრიკიოსს, მხედველობაში ჰყავდა რა აშოტ ადარნასეს ძე.

ადარნასე „ქართველთა მეფის“ გარდაცვალების შემდეგ დავა შეექმნათ (ალბათ სამამულო ნიადაგზე) მის შვილებსა და გურგენ ადარნასეს ძეს — გურგენ კურაპალატის შვილიშვილს. უკანასკნელმა კეისართან კაცი მიავლინა საჩუქრებით და სთხოვდა მას კურაპალატობის ან მაგისტროსობის ბოძებას. ამ თხოვნის შედეგად იმპერატორმა მასთან გაგზავნა კონსტანტინე პატრიკიოსი. ადარნასე ქართველთა მეფის შვილებს ეჭვი აღძრათ, რომ იმპერატორის წარგზავნილი იმისთვის მოდის, რომ გურგენი გააკურაპალატოსო. დავითმა შეიპყრო ის და შემდეგ კითხვებზე მოსთხოვა პასუხი: „სად გამოგაგზავნა მეფემ და რა საქმის შესრულება გევალება, რომ ამდენი ერი თან მოგიყვანია“<sup>15</sup>.

როცა აშოტ კისკასმა არტანუჯის ციხე გადასცა იმპერატორს ამ კონსტანტი პატრიკიოსის ხელით, მას სწორედ გურგენ მაგისტროსმა და დავითმა მისწერეს პროტესტის წერილი: „თუ შენი მეუფება ამას დაუშვებს და ჩვენს მიწა-წყალში შემოიჭრება, შენი მეუფების მორჩილებიდან გამოვალთ და სარკინოზებს მივეკედლებით“<sup>16</sup>. გურგენის გულისწყრომა ამ აქტთან დაკავშირებით გასაგებია. მას ეჭვე თვალი უჭირავს ტაო-კლარჯეთის ამ უმთავრეს ციხე-ქალაქზე, რომელიც მის უძეო სიმამრს გადაეცა მემკვიდრეობით. მაგრამ დავითი იმიტომ უერთებს მას თავის ხმას, რომ ბაგრატიონთა საგვარეულოს მეთაურად ითვლებოდა. ამის გამო, აშოტ პატრიკიოსის მოქმედება დავით ქართველთა მეფემ და ამ ქვეყნის

<sup>13</sup> კონსტანტინე პორფიროგენეტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 243.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 286.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 282.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 285.



უმულო მემკვიდრე გურგენ მაგისტროსმა „მისი მეუფების თავისუფალი შემოჭრად“ მიიჩნეს.


დავითი მამამისივით თავს იმპერატორის სამსახურში თვლის, მაგრამ არც მას აქვს სურვილი ბიზანტიური ტიტულის მიღებისა, თუნდაც ეს კურაპალატობა იყოს. ამავე დროს ადარნასეს შვილები კატეგორიული წინააღმდეგი არიან, რომ ის გურგენს მიენიჭოს. ცხადია, რომ ეს პატივი ამ „დიდი ერისთავთ-ერისთავის“ შემდგომი გაძლიერების საწინდარი იქნებოდა, რადგან იმპერატორის პოლიტიკით კურაპალატს უნდა ექვემდებარებოდნენ დანარჩენები. ამავე დროს იმპერატორს არ სურს ადარნასეს შვილების განაწყენება და გურგენს მხოლოდ მაგისტროსობას უბოძებს. საყურადღებოა, რომ გურგენს ეს პატივი არ მიუღია (ერისთავთ-ერისთავად იყო ცნობილი ამის შემდეგაც), რადგან ანგარიშს უწევდა ბაგრატიონთა სახლის ტრადიციას, სადაც ერთდროულად ორი ერთნაირი პატივის ხელისუფალი არ შეიძლებოდა ყოფილიყო. იმპერატორის კარი კი უხვად ურიგებდა მათ მაგისტროსობას<sup>17</sup>, უფრო ნაკლებად პატრიკიოსობას, მაგრამ კურაპალატობის მინიჭებაში თავმეკავებებს იჩენდა. როგორც ჩანს, დავითმა პატრიკიოსობა მამის სიცოცხლეშივე მიიღო, თორემ „ქართველთა მეფედ“ გამოცხადების შემდეგ მას ამ პატივს ვეღარ მიანიჭებდნენ. როდის მიიღო ბაგრატ მაგისტროსმა პატრიკიოსობა, არ ვიცით, მაგრამ, ჩანს რომ გურგენზე ადრე და შესაძლებელია, მამის სიცოცხლეშივე დავითთან ერთად. საფიქრებელია, რომ ადრე ამოტივ მაგისტროსი იყო. მაგისტროსად იხსენიებს იმპერატორი „დიდ დავითსაც“, სუმბატ ათანუჯელის ძეს, მაგრამ ქართულ პოლიტიკურ სამყაროში ის „მამფალის“ პატივით იყო ცნობილი<sup>18</sup>.

<sup>17</sup> რადგან ბიზანტიურ მაგისტროსის ტიტულზე ჩამოვარდა სიტყვა, ერთ საკითხსაც უნდა შევეხოთ. ამ ტიტულს რომანოზ ლეკაენი, როგორც ჩანს, უხვად ანიჭებდა ქართული ქვეყნების ხელისუფალთ X ს-ის 20-30-იან წლებში, ცდილობდა რა ამით ბიზანტიის პოლიტიკურ ორბიტაში შეელოდა ისინი. X ს-ის მეორე ნახევარში კი მხოლოდ დავით ადარნასეს ძეს, მომავალ კურაპალატს, შჭონება ეს პატივი მინიჭებულა. XI ს-ში მას უკვე არც ერთი ხელისუფალი აღარ ფლობდა (კლდეკარის ერისთავთ-ერისთავი ლიპარიტ ბაღვაშიცი თუ მაგისტროსია, ეს იმიტომ, რომ უმულოდ იმპერატორის სამსახურშია ბაგრატ IV-ის წინააღმდეგ).

ამიტომ, საეჭვო არაა, რომ ხახულის ხატის მინანქარზე ბერძნულად შესრულებულ წარწერაში მოხსენიებული კვირიკე მაგისტროსი მხოლოდ კვირიკე II ქორეპისკოპოსი — X ს-ის 30-70 წლების კახეთის მმართველი შეიძლება იყოს და არა კვირიკე III დიდი — არნთა და კახთა მეფე. თ. ყაუხჩიშვილი სახეებით მართალია, როცა მას X ს-ის მოღვაწედ მიიჩნევს, წინააღმდეგ ს. კაკაბაძისა და შ. ამირანაშვილისა, მაგრამ ვერ აკონკრეტებს რომელი კვირიკე უნდა იყოს (თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, 1951, გვ. XXVI, 148-150).

როგორც დავინახეთ, მაგისტროსის პატივი მინიჭებული აქვთ კვირიკეს თანამედროვე ტაო-კლარჯეთის ბაგრატიონებს (დავითს, ბაგრატს, გურგენს, დიდ დავითს) და აფხაზეთის მეფეს გიორგი I-ს. ამიტომ, საეჭვო არ უნდა იყოს, რომ ამ პერიოდში მაგისტროსობა მასაც მიეღო. რაც შეეხება ამ ხატის ქართულ წარწერაში კვირიკეს მოხსენიებას მეფედ (ქქაბაძე მფშ) და არა ქორეპისკოპოსად, ეს ძირითადად მისი პატივის მოკლედ გადმოცემის მოხერხებულობის გამოა. აღსანიშნავია, რომ კვირიკე II და მისი მამა ფადლ II „კახთა მეფეებად“ იხსენიებიან სწორედ X ს-ის 30-იანი წლების მიქაელ მეშვიდემს სახელში. „მეფე“ ყველა ამ შემთხვევაში მხოლოდ ხელმოწიფე-სუვერენს აღნიშნავს ზოგადი პირით.

<sup>18</sup> თუ რატომ ეწოდა მას „დიდი დავითი“, ჩვენთვის უცნობია. კონსტანტინე პორფიროგენეტი მამამისსაც „დიდ სუმბატ იბერს“ უწოდებს. სუმბატ დავითის ძის ქრონიკაში კი არც ერთი ამ სახელწოდებით არ იხსენიება. კონსტანტი პატრიკიოსი, რომელიც რომანოზ II-ის ბრძანებით ამოტ პატრიკიოსთან



დიდ დავითს აშოტ პატრიკიოსისგან განსხვავებით ვაჟიშვილი ჰყავდა და მისივე ტომის, მომავალი ერისთავთ-ერისთავი (სწორედ ეს უკანასკნელი დაეუფლა არტანუჯს გერგენ ერისთავთ-ერისთავის გარდაცვალების შემდეგ, როგორც მოსახლერე მიწა-წყლის მფლობელი). მაგრამ ეს მიზეზიც რომ არ ყოფილიყო, არტანუჯის ინციდენტის გათვალისწინებით, საეჭვო არაა, რომ ტაო-კლარჯეთის სხვა ხელისუფალნი არც ამ შემთხვევაში დაუშვებდნენ იმპერატორის გეგმის განხორციელებას.

ერთი სიტყვით ადარნასეს შვილებიდან, იმის გამო, რომ უფროსი „ქართველთა მეფე“ იყო, მომდევნო კურაპალატობა მიიღო, რომ ეს პატივი ადარნასე აშოტის ძის შტოში არ გადასულიყო (ალბათ, მარტო ეს მიზეზიც არ იყო). ბაგრატი, როგორც ითქვა, მაგისტროსი იყო. ზემოაღნიშნულს ადგილი აქვს X ს-ის 20-იან წლებში.

პ. ინგოროყვა კი კონკრეტულად 923 წლით ათარიღებს ანუ ადარნასე ქართველთა მეფის გარდაცვალების ახლო ხანებით<sup>19</sup>. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, თეოფანე გამგრძელებელთან დაცული ცნობა, 922 წლის თებერვალში იბერიელი კურაპალატის კონსტანტინოპოლში ყოფნის შესახებ, უნდა შეეხებოდეს იმპერატორის მიერ კონსტანტინოპოლში კურაპალატის პატივის მისანიჭებლად გაწვეულ აშოტ ადარნასეს ძეს და რა თვით ადარნასეს. ამდენად, ადარნასე გარდაცვლილი უნდა იყოს 922 წელს და არა 923 წელს, როგორც სუმბატის მათიანეშია<sup>20</sup> (მაგრამ ადარნასეს გარდაცვალების თარიღი რომ სუმბატ დავითის ძის ტექსტის გადამწერის შეცდომად ვერ ჩაითვლება, ამას სუმბატისავე სხვა ცნობა მოწმობს:

მიდიოდა არტანუჯის ციხის მისაღებად, მერე მის ძმას დიდ დავითს უნდა სწვეოდა საჩუქრებითა და იმპერატორის მიწოდებით. იმპერატორი, როგორც ირკვევა, დიდ დავითს სთხოვდა აშოტის მაგალითისაჲრ მასაც ბიზანტიისათვის გადაეცა თავისი მიწები. მაგრამ დიდმა დავითმა, როგორც კონსტანტინე იმპერატორი ამბობს: „თავისი მიწა-წყალი არ მისცა მეფეს, თუმცა ის აკამფსისა და მურღულის მიდამოების მოსახლერე არის“. იმპერატორის მიზანი გასაგებია. არტანუჯის ციხე-ქალაქს ბიზანტიელები რომ უშუალოდ მიდგომოდნენ, საჭირო იყო არტანუჯის დასავლეთით მდებარე მიწა-წყალიც, რომელსაც დიდი დავითი ფლობდა და ბიზანტიელთა შვიგ ზღვის სამფლობელოებს ესახლერებოდა, მათ ხელში გადასულიყო. უაღრესად სამიში და მზაკურული გეგმა შეუშუავებით კონსტანტინოპოლში. ეს რომ განხორციელებულიყო, ბიზანტიელები კლარჯეთს დაეუფლებოდნენ, ამ ქართულ პროვინციას პოლიტიკურ ბიზანტიად გადააქცევდნენ და მერე მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს ძალით თუ მსგავსი „მშვიდობიანი“ საშუალებით დაპყრობას შეეცდებოდნენ.

ს. ყაუხჩიშვილს კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულების თარგმანში ერთ ადგილას (გვ. 286) დიდ დავითის სახელი გამოჩნენია. ამის გამო, გამოვიდა, რომ დიდ დავითთან დანაბარები იმპერატორის წარგზავნილს აშოტ პატრიკიოსისათვის გადაეცია. ხოლო იმ ცნობის ადრესატად, კონსტატი პატრიკიოსს დავით მაგისტროსთანაც რომ ჰქონდა მეფისგან მიწოდებლობა და საჩუქრები, მას შეცდომით მისი თანამოსახლერე დავით ქართველთა მეფე მიუჩნევია – ბიზანტიელთაგან ისიც მაგისტროსად სახელდებული (იხ. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV, 2, საკუთარ სახ. სამიხებელი).

იქნებ დავით სუმბატის ძეს „დიდი“ სწორედ დავით ადარნასეს ძისგან გასარჩევად უხუცესობის ნიშნით ეწოდა. თუ ასეა, მწიგნობარმა იმპერატორმა, როგორც შევნიშნეთ, მკითხველი მაინც ვერ აცდინა ამ პირთა გაიგივების საცთურს, რაცა დიდი დავითი ზედწოდების გარეშე მხოლოდ მაგისტროსად მოიხსენია. მაგალითად, ს. ჯანაშია აღნიშნულ პირებს კარგად ასხვავებს ყველა შემთხვევაში, მაგრამ მისი შრომების V ტომის პირთა საძიებლების შემდგენლებს ისინი მაინც არევიათ ერთმანეთში. ამ პირებს კარგად არჩევს ერთმანეთისაგან შ. ბაღრიძე (იხ. მისი, „ქართველთა სამეფოს“ პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, გვ. 233, 263).

<sup>19</sup> პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 102.

<sup>20</sup> კონსტანტინე პორფიროგენეტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 331.





„გარდაიცვალა გურგენ ერისთავი, ძე ბაგრატი არტანუჯელის (923 წ.), მასვე წელსა შინა, რომელსა შინა ქართველთა მეფე ადარნასე მიიკვალა“<sup>21</sup>. ს. ყაუხჩიშვილის საბუთი ამ შემთხვევაში ისაა, რომ იბერიელი კურაპალატი პირველად უნდა ყოფილიყო კონსტანტინოპოლში, რადგან განცვიფრებული ათვალეიერებდა თურმე ქალაქს, გაკვირებული მისი სილამაზით და სიდიდით<sup>22</sup>. ხოლო ადარნასე, რომელსაც კურაპალატის პატივი უკვე 30 წლის წინათ ჰქონდა მინიჭებული, მანამდეც არაერთხელ იქნებოდა კონსტანტინოპოლში<sup>23</sup>. თუ ამ ლოგიკას გავეყვებით, მაშინ ადარნასე 921 წელს მაინც უნდა გარდაცვლილიყო, რაც გამორიცხავს იმ იბერიელ კურაპალატად ამოტის მიჩნევას.


ადარნასეს გარდაცვალების შემდეგ, როგორც ითქვა, მის შვილებსა და გურგენ ერისთავთ-ერისთავს შორის დავას ჰქონდა ადგილი. ამის გამო გურგენმა მოინდომა კეისრისაგან მხარდაჭერის მოპოვება და თუ კურაპალატობის მიღება არა, მაგისტროსობისა მაინც. მეორე მხრით, გურგენს გაუმწვავდა ურთიერთობა თავის სიმამრ ამოტ პატრიკიოსთან, კისკასად წოდებულთან, მას შემდეგ, რაც უკანასკნელმა ძმის გარდაცვალების შემდეგ მემკვიდრეობით მიიღო არტანუჯის ციხე-ქალაქი (923 წ.). ჩანს, რომ გურგენ ერისთავთ-ერისთავს ამოტისათვის არტანუჯის წართმევა მოუხდომებია, რაც შეძლო კიდევ ცოტა მოგვიანებით (ჯერ არტანუჯის საბადლოდ მას ყველის ციხე მისცა და აჭარის წყლის გასწვრივ ქვეყანა, ხოლო მერე ისიც წაართვა, როცა გიორგი აფხაზთა მეფის წინააღმდეგ ომი ჰქონდა და ამოტმა გიორგის მხარე დაიჭირა).

კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, გურგენთან მტრული ურთიერთობის გამო, ამოტმა „ამჯობინა მეფისთვის მიეცა თავის ციხე“. ამ მიზნით ამოტმა მასთან მისულ აგაპი მონაზონის პირით ყველასგან ფარულად კეისარს შეუთვალა, რომ „ჩაებარებინა ეს ციხე და თავის ძალაუფლებაში ჰქონოდა“. იმპერატორმა ამოტის წინადადება სიამოვნებით მიიღო. გურგენისათვის მაგისტროსობის პატივის მისანიჭებლად გაგზავნილ კონსტატი პატრიკიოსს, რომელიც ნიკომედიამდე იყო მისული, კეისრის განკარგულებით პატაკი გადასცეს ამოტისაგან არტანუჯის ციხის ჩაბარებისა და დაპყრობის შესახებ. კეისრის ეს განკარგულება აღსრულდა კიდევ, მაგრამ დროებით, სხვა ბაგრატიონ ხელისუფალთა დიდი წინააღმდეგობის გამო. კეისრის წარგზავნილმა ამოტ ადარნასეს ძე სწორედ ამ კონფლიქტის მოგვარების შემდეგ ჩაიყვანა კონსტანტინოპოლში კურაპალატობის პატივის მისაღებად. ასე რომ, ზემოხსენებული ფაქტების მთელ ჯაჭვს შეუძლებელია ადგილი ჰქონებოდა 922 წ. თებერვლამდე, ადარნასე ქართველთა მეფის გარდაცვალება ერთი წლით უკან რომც გადაეიტანოთ. ამასთან სავალდებულო არ იყო კურაპალატობა მემკვიდრეს წინამორბედის გარდაცვალებისთანავე მიეღო. მაგალითად, იმხანის ტაძრის ჩრდილო ეკვდრის 27-სტრიქონიან წარწერაში სუმბატ ადარნასეს ძე ჯერ კიდევ არაა კურაპალატი, როცა მისი ძმები, მათ შორის ამოტ კურაპალატი, გარდაცვლილად მოიხსენიება (მემატიანე კი ამბობს: „შემდ-

<sup>21</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 380.

<sup>22</sup> კონსტანტინე პორფიროგენეტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 331.

<sup>23</sup> იქვე.



გომად ამოტ კურაპალატისა ძმა მისი დასუეს კურაპალატად, სუმბატ<sup>24</sup> დასუეს დენი წელი დასქირდა დავით მაგისტროსს, ვიდრე მას კურაპალატის პატივის მინიჭებდნენ (მემატინანეს მიხედვით მას იმთავითვე მიუღია კურაპალატობა).

საესებით დასაშვებია, რომ ადარნასე ქართველთა მეფე, მისი დამოუკიდებლობისაკენ მიმართული პოლიტიკის გამო, სიცოცხლის ბოლომდე არ ყოფილიყო ქრისტიანული აღმოსავლეთის სატახტოში და ამით აიხსნებოდეს სწორედ ის განსაკუთრებული ყურადღება და პატივი, რომელიც მისადმი გამოუჩენიათ კონსტანტინოპოლში. ამასთან, ამ ცნობით ისე ჩანს, რომ ის იბერიის კურაპალატია და არა ამ პატივის მისაღებად ჩაყვანილი. საერთოდ, ქართველი ბაგრატიონები და სხვა ხელისუფალნი ბიზანტიურ პატივებს უფრო ადგილებზე იღებდნენ ვინემ ბიზანტიის სამეფო კარზე. ასე რომ, თეოფანე გამგრძელებელთან მოხსენიებული იბერიელი კურაპალატი მხოლოდ ადარნასე დავითის ძე შეიძლება იყოს და ყოველი ზემოთ მოხსენიებული უნდა მომხდარიყო მისი გარდაცვალების მომდევნო წლებში.

დავითის სიკვდილის (†937) შემდეგ მისი მიწა-წყალი, რადგან მემკვიდრე არ ღარჩენია, როგორც წესი იყო ასეთ შემთხვევაში, მის ძმებსა და ბიძაშვილებს უნდა გაენაწილებიათ ერთმანეთში. ასეთი ბედი ერგო, მაგალითად, უძეოდ გადაგებულ გურგენ ერისთავთ-ერისთავს (†941), რომლის მიწა-წყალი იარაღით გაუყვიით ამოტ კურაპალატს, ბაგრატ მაგისტროსს და აფხაზეთის მეფე გიორგი მაგისტროსს<sup>24</sup>. ალბათ, ამ დროიდან ეუფლებიან აფხაზეთა მეფეები ჭავჭავთს – გურგენ ერისთავთ-ერისთავის სამფლობელო ქვეყანას.

ბაგრატ მაგისტროსი ამოტ კურაპალატთან ერთად აქტიურად იბრძოდა ბასიანისა და კარინ-თეოდოსიუპოლის დასაპყრობად. კონსტანტინე პორფიროგენეტის ცნობით, ის მონაწილეობდა იოანე კურკუასის ლაშქრობებში თეოდოსიუპოლის წინააღმდეგ. ამის სანაცვლოდ ბაგრატს იოანესგან მასტატის ციხე მიუღია „თავის მფლობელობაში“ (კონსტანტინე პორფიროგენეტი: „რადგან ის ქრისტიანი იყო და ჩვენი სამეფოს მორჩილი“). ბაგრატის უფროს ძმას ამოტ კურაპალატსაც იმპერატორის „მორჩილად და მეგობრად“ ცნობდნენ კონსტანტინოპოლის სამეფო კარზე. სხვა ბაგრატიონ ხელისუფალთაგან განსხვავებით, ისინი თავს იმპერატორის უშუალო დაქვემდებარებაში თვლიდნენ, რასაც მათი ბიზანტიური პატივებიც მოწმობენ. სამაგიეროდ ეს საშუალებას აძლევდა მათ ბიზანტიელთა ხელშეწყობით თავიანთი სამფლობელოები გაეფართოებიათ სამხრეთის მიმართულებით.

ბაგრატის გარდაცვალების შემდეგ ბასიანისათვის ამოტ კურაპალატთან ერთად იბრძვის მისი ძმიშვილი ადარნასე მაგისტროსი. ჩანს, რომ ადარნასე უშვილო ამოტის მემკვიდრედ ითვლებოდა. მართალია, ამოტის გარდაცვალების შემდეგ კურაპალატის ტიტულს მისი ძმა სუმბატი<sup>25</sup> დაეუფლა, როგორც ადარნასე ქართველთა მეფის სახლის უხუცესი წევრი, მაგრამ ამ უკანასკნელის გარდაცვა-

<sup>24</sup> კონსტანტინე პორფიროგენეტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 277.

<sup>25</sup> სუმბატ ადარნასეს ძეს გიორგი მერჩულე 950 წლისათვის ერისთავთ-ერისთავად მოიხსენიებს. ამ პატივით იხსენიება ის ფორთის მონასტრის ნასყიდობის ფილაზეც, მაგრამ უფრო მეტად კი „მეფედ“ იწოდება კლარჯეთის ეკლესიების წარწერებში. იშხანის მონასტრის 954 წლის წარწერაში, როგორც ითქვა, ის ბიზანტიური (ანთი) პატრიკის პატივით იხსენიება.



## К УСТАНОВЛЕНИЮ ТИТУЛОВ НЕКОТОРЫХ ВЛАДЕТЕЛЕЙ ТАО-КЛАРДЖЕТСКИХ БАГРАТИОНОВ

Резюме

В статье показано, что в доме Тао-Кларджетских Багратионов было не в правилах одновременное ношение его членами одинаковых почестей, грузинских или византийских, что и было показателем принципа феодальной коллегияльности среди них. Противоположные примеры в летописи историка Багратионов Сумбата Давитисдзе, объясняются ошибками переписчиков, доказательством чему являются другие места его же сочинения. Исходя из этого, Адарнасе, сын Сумбата († 983) не был куропалатом и вообще не имел никаких титулов. Также Давид, сын Адарнасе († 908) не был эриставт-эристави, был только эристави. И Баграт магистрос не был в то же время "царем Картвелов", как это принято в грузинской историографии. Этот взгляд утвердился после того, как Е. Такаишвили в 1917 году на западной стене Ишханского кафедрального собора прочел поврежденные три вертикальные надписи, которые содержали имена лиц, изображенных там же на погибших уже фресках. По моему заключению, изображенный в центре Баграт магистрос упоминался не "царем картвелов", а сыном царя картвелов Адарнасе II-го. То есть так же, как изображенный правее его сын Адарнасе куропалат упоминается сыном Баграта магистроса, а левее его внук баграт эриставт-эристави сыном Адарнасе куропалата. Так как эти последние представлены и титулами своих отцов, Баграт магистрос должен был быть также представлен сыном царя картвелов Адарнасе II-го. Должен отметить, что и все остальные источники подтверждают это заключение.

В статье показано также, что византийские титулы носили владельцы Южной Тао, что указывало на их политическую зависимость от империи. Это со своей стороны, давало им возможность в союзе с императором завоевывать земли арабских эмиратов, находившихся южнее Тао.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის განყოფილებამ



რობერტ აოქლაპაზაშვილი

საქართველოს გლეხთა საზოგადოებრივ პოლიტიკური  
ცხოვრებთან  
(1917-1921 წწ.)

გლეხთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობისათვის 1917-1921 წლებში გარკვეული პირობები არსებობდა. ამ პირობებს ქმნიდა: 1. თვითმპყრობელობის დამხობა; 2. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა; 3. მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური გარდაქმნები; 4. სხვადასხვა პარტიების, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობა; 5. თბილისის უნივერსიტეტის დაარსება, განათლების დონის ერთგვარი ამაღლება და სხვ.


საქართველოს გლეხთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა აღნიშნულ პერიოდში გამოიხატებოდა შეიარაღებული გამოსვლებით. გლეხობა უმთავრესად მიწას მოითხოვდა და სოციალური თანასწორობის დასამყარებლად იბრძოდა.

სახელმწიფოს მესვეურები გამოსვლების მიზეზად ანარქიას ასახელებდნენ. ირწვრეთელი საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომაზე 1918 წლის 30 ივლისს აღნიშნავდა: „ხდება აჯანყება ყოველგვარი წყობილების წინააღმდეგ. არც ერთ სახელმწიფო არ ყოფილა იმაზე უარეს მდგომარეობაში, როგორშიც ჩვენ ვიმყოფებით. არსად, არც ერთ სახელმწიფოს ისეთი სიძლიერით არ უქადდა ის საშინელი საფრთხე, როგორც ჩვენ გვიქადის. ეს საფრთხე არის ანარქია. როდესაც სახელმწიფო მოცულია ანარქიით, მაშინ შეუძლებელია კონსტიტუციურ გარანტიებზე ლაპარაკი!“<sup>1</sup>.

მაგრამ გლეხთა აღნიშნული გამოსვლების მიზეზი იყო არა მარტო ანარქია არამედ უმიწობა, უკმაყოფილება, რომელიც გამოწვეული იყო არსებული მიწის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით.

ეს იქიდანაც ჩანს, რომ თვითონ მთავრობა ძლიერ შემფოთებული იყო გლეხთა „თვითნებობით“, რომლებიც ძალით იტაცებდნენ მემამულეთა მიწებს და ურთიერთშორის ინაწილებდნენ. ჭერ კიდევ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი აფრთხილებდა მოსახლეობას, რომ არ მიეთვისებინა სხვისი საკუთრება. ე. ი. ხელი აეღო მემამულეთა და სახაზინო მიწების, საძოვრებისა და ტყეების გამოყენებაზე და ძველებურად ეხადა გადასახადები. შინაგან საქმეთა სამინისტრო ამიერკავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტს აუწყებდა, რომ „ამიერკავკასიაში მოხდა შემთხვევები გლეხობის მიერ მემამულეთა მიწების განსაკუთრების

<sup>1</sup> გაზ. საქართველოს რესპუბლიკა, 1918 წ. 14 აგვისტო.



რომ გლეხები აღარ აძლევენ მესაკუთრეთ ხვედრ იჯარას..., ხოლო ადგილას კი მემამულეთ მიწები მთლად ჩამოართვეს და თვის შორის გაიყვეს, ჩეხენ ტყეებს და სხვ<sup>2</sup>. ანალოგიურ ფაქტებს იუწყებოდა საქართველოში მიწათ-მოქმედების მინისტრი ნ. ხომერიკი<sup>3</sup>. 1920 წლის 3 ივნისს მთავრობისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში იგი აღიარებდა, რომ „მიწების სოფლის მუშებზე გადაცემის გაჭიანურება არასასურველ პოლიტიკურ ატმოსფეროს ქმნის მშრომელთა შორის“<sup>4</sup>.

მდგომარეობას ისიც ამძიმებდა, რომ ყაჩაღთა ბრბოები განუკითხვად დაძრწოდნენ და აწიოკებდნენ სოფლებს და ისედაც მწირ მოსავალს ძალით ართმევდნენ გლეხობას. „ნავარდობენ ეს სოფლის ნაძირალები და მოსვენებას არ აძლევენ, არც მდიდარს, არც ღარიბს, არც ქალს, არც კაცს, იპარავენ ყველაფერს, ეინც არ მისცემს, დახვდებიან და წუთისოფელს გამოასალმებენ, რომ სხვამ აღარ გაბედოს უარი!“<sup>5</sup>.

გლეხთა გამოსვლებმა მოიცვა ღუშეთის, ლეჩხუმის, შორაპნის, ზუგდიდის, სენაკის მზარები, აგრეთვე აფხაზეთი და ცხინვალის რაიონები<sup>6</sup>. სოფლებში დაბრუნებული ჭარისკაცები ამხედრებდნენ გლეხობას არსებული წყობილების წინააღმდეგ. გლეხობა აუჭმებდა მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს და ქმნიდა თავის ხელისუფლებას, რომელთა ხელშიც გადადიოდა ძალაუფლება.

გლეხობა გამოდიოდა, აგრეთვე მათთვის საძლეველი ამა თუ იმ თავადის წინააღმდეგ. ამ გამოსვლებს ბიძგს აძლედა ზოგიერთი ძველი მემამულის მოქმედებაც. ეს უკანასკნელნი ქმნიდნენ შეიარაღებულ რაზმებს და გლეხებისაგან მოითხოვდნენ ყველა გადასახადის გადახდას<sup>7</sup>. გლეხობაც არ რჩებოდა ვალში და რამდენადაც სახელმწიფო ორგანოები ვერ ლაგმავდნენ თავადაზნაურთა თავგასულობას, ამიტომ თვითონ ერეოდა საქმეში და წესრიგისაკენ მოუწოდებდა მათ.

გლეხთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა მკლავდებოდა ერობათა საქმიანობაში. ერობები დაარსებულ იქნა მთავრობის მიერ ადგილობრივი თემებისა და სოფლების მმართველობისათვის.

საერობო მმართველობის სისტემა ასეთი იყო: პირველადი უჯრედი იყო წვრილი საერობო ერთეული — თემი. სათემო ერობებს აერთიანებდა სამაზრო ერობა, ხოლო ამ უკანასკნელებს კი ერობათა ცენტრი.

ერობათა თვითმმართველობის ხმოსანთა არჩევა ხდებოდა თანასწორი, საყოველთაო და ფარული კენჭისყრით.

თემის მმართველობის განმკარგლებელი ხელისუფლება ეკუთვნოდა თემის საბჭოს, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება — გამგეობას. გამგეობა იყო მუდ-

<sup>2</sup> გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 8 მარტი.

<sup>3</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ. 17 აპრილი; გაზ. „შრომა“, 1913 წ. 23 თებერვალი.

<sup>4</sup> საქართველოს ცსია, ფ. 1833, აღწ. 1, ს. 862, ფურც 3.

<sup>5</sup> გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 22 თებერვალი.

<sup>6</sup> სამეცნიერო ლიტერატურაში ეს გამოსვლები დეტალურად არის შესწავლილი, ამიტომ ჩვენ აქ ფურცლებს აღარ შევაჩერებთ.

<sup>7</sup> გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 1 ოქტომბერი, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1918 წ., 29 სექტემბერი.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

მიემოქმედი კოლევიალური ორგანო. მას სათავეში ედგა გამგებნი (საქმედობა-  
რე, თემის თავი, ჰყავდა მოადგილე.

თემის მოქმედებას კონტროლს უწევდა საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული განყოფილება. თემის საბჭოს დადგენილებანი (სესხი, იჯარა, კონცესია) საჭიროებდა მთავრობის დასტურს, რომელიც განხორციელებოდა სამაზრო ერობის წინასწარი დასკვნის შემდეგ.

ერობათა ცენტრი იწვევდა წარმომადგენლების ყრილობას და იღებდა გადაწყვეტილებას ახალი თემის მოწყობისა და მათი მმართველობის გაუმჯობესების შესახებ.

სამაზრო ერობა აღძრავდა შუამდგომლობას მთავრობის წინაშე ამა თუ იმ ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხის მოსაგვარებლად. ზოგჯერ ეს შუამდგომლობა აღიძვებოდა ხოლმე საერობო ცენტრის მეშვეობით. სამაზრო ერობა განსაზღვრავდა თემის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ სტრუქტურას.

უნდა ითქვას, რომ არ არსებობდა ერობათა და მთავრობას შორის გამიჯნვი იურიდიული კანონები. „ერობასა და მთავრობას შორის დამოკიდებულების ფორმა გაურკვეველია და არსად არა აქვს ერთნაირი იურიდიული სახე. ზოგიერთ დარგში ერობას განუსაზღვრელი დიდი უფლებები აქვს, ზოგიერთში კი უფლებოა ...

სხვა მრავალ მხარეებს შორის გაურკვეველია მთავრობის კონტროლის უფლება ერობაზე. აგერ ერთი წელიწადია ერობა არსებობს და ჩვენ დღემდე არ ვიცით, რა სახისაა ეს კონტროლი. პრაქტიკულ ცხოვრებაში კონტროლს ადგილი არ ჰქონია და მისი დებულება, რამდენადაც ეს ჩვენ ვიცით, არც ქალაქებში არსებობს. ეს დიდი დანაკლისია ერობასა და მთავრობას შორის დამოკიდებულებაში“ — იუწყებოდა „სახალხო საქმე“<sup>8</sup>.

სადაც საერობო მოღვაწეობა სათანადო დონეზე იდგა, მთავრობა მხოლოდ კონტროლით კმაყოფილდებოდა. მაგრამ მთავრობა ხშირად გვერდს უვლიდა კონტროლს, მმართველობის სადავეები კი მის ხელში იყო. ამიტომ ხშირად ერობები თავმნიებებული იყო და ეკონომიკურ გაჭირვებას განიცდიდნენ.

ეს გარემოება მეტად აფერხებდა ერობათა საქმიანობას, იწვევდა ფუნქციების აღრევას და გაუგებრობას. გაზ. „საქართველო“ წერდა, რომ თემის ერობა ზოგჯერ ყურადღებას არ აქცევს სამაზრო ერობის დადგენილებას და ამ უკანასკნელის საწინააღმდეგო დადგენილებებს იღებს<sup>9</sup>.

მთავრობასა და ადგილობრივ მმართველობას შორის უფლებებისა და კომპენტენციების სფეროში დაპირისპირება უმთავრესად ეკონომიკურ საფუძველზე იყო წარმოშობილი. ადგილობრივ მმართველობაში ჯამაგირების გასაცემად და სხვა ხარჯების დასაფარავად ხან სხვადასხვა სახის რეკვიზიციას მიმართავდნენ, ხან გასაყიდ საქონელს ადებდნენ ბაჟს, ხანაც ამ საქონელში წილს იღებდნენ და ყველაფერი ეს, უმეტეს შემთხვევაში ხდებოდა თვითნებურად და უკანონოდ. ხალხი უკმაყოფილო იყო ასეთი მოქმედებით. დაინტერესებული პირები ხშირად ასაჩივ-

<sup>8</sup> გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 27 სექტემბერი

<sup>9</sup> გაზ. „საქართველო“, 1920 წ., 27 იანვარი.

რებდნენ მთავრობის წინაშე თვითმმართველობის ასეთ უკანონო მოქმედებას. მთავრობა გზავნიდა ფიცხელ განკარგულებას ასეთ უკანონო მოქმედებათა აღსაკვეთად. ეს განკარგულებები ხშირად ქალაქებში რჩებოდა და მთავრობა იძულებული იყო პროკურორი ჩაერია საქმეში, რომელიც ადგილობრივ თვითმმართველობებს პასუხისმგებლობაში აძლევდა.

როგორც ჩანს, ადგილობრივ თვითმმართველობათა შენახვა მთავრობის ხარჯზე არ ხდებოდა. ერობებს თვითონ უნდა გამოეძებნათ მათთვის საჭირო სახსრები, რისთვისაც ფულის შონის სხვადასხვა გზას მიმართავდნენ.

ამის მიუხედავად, სამაზრო და სათემო ერობები დიდ მუშაობას ეწეოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის სურსათით, ტანსაცმლითა და ფეხსაცმლით უზრუნველყოფის საქმეში, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების საქმის მოწყობის, გზების გაყვანის, ხიდების აგების, ტრანსპორტის მოწესრიგების საქმეში, ეწეოდნენ აგრეთვე ქველმოქმედებას ომში წასულთა ოჯახებისა და სხვა გაპირვებულთა მიმართ. „დღეს ადგილობრივი ერობა ყველაფერია. სწავლა-განათლება და ხალხის ჯანმრთელობა, წესიერება და მშვიდობიანობა მაზრაში, მცხოვრებთა ეკონომიკური აღორძინება და გაუმჯობესებულ საწარმოო იარაღთა შემოღებით შრომის ნაყოფიერება, სოფლისა და სამაზრო გზების მოწყობა და მათზე იაფი მიმოსვლის საშუალებების შემოღება, სამშობლოს დასაცავად ჯარისკაცთა დროზე და წესიერად შეკრება და მათ ოჯახებზე ზრუნვა, იაფ ფასებში ხალხისათვის სანოვავის მიწოდება და ბაზრის გამონახვა იმ საგნებისათვის, რომელსაც ადგილობრივ ამუშავებენ. ყოველივე ეს და ბევრი სხვა რამ დღეს ადგილობრივი მმართველობის საზრუნავ საგნებს შეადგენს“<sup>10</sup>. ასეთი შეხედულება არსებობდა ერობების შესახებ.

ერობათა კავშირის ცნობით საქართველოში იყო 20 სამაზრო ერობა და 356 თემი (აქ არ შედის ბათუმის ოლქი). ერობები არ იყო მხოლოდ ახალქალაქის მაზრაში და გაგრის ოლქში. თითქმის ყველა სამაზრო ერობაში მოწყობილი იყო თემები.

თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ერობებს მეტად მძიმე პირობებში უხდებოდა მუშაობა, მაგრამ მაინც დაიმსახურეს მოსახლეობის საერთო ნდობა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მწვავე სასურსათო კრიზისის გამო თითქმის ყველა მაზრაში მოეწყო სასურსათო მალაზიები. ამასთანავე საერობო დაწესებულებები მცხოვრებთა საერთო მდგომარეობის შესახებ კრებდნენ ცნობებს, აგროვებდნენ სურსათ-სანოვავებს, დანაკლისს ავსებდნენ შესყიდვით და შემდეგ ანაწილებდნენ მცხოვრებთა შორის, იმის მიხედვით, თუ ვინ როგორ განიცდიდა მის ნაკლებობას. ამავე დროს, საერობო დაწესებულებანი ღებულობდნენ შესაბამის ზომებს მომარაგების სამინისტროს მიერ სასურსათო გეგმის ცხოვრებაში გასატარებლად. ერობები ახორციელებდნენ მთელ რიგ ღონისძიებებს რაიონის ეკონომიკური კეთილდღეობის გნსამტკიცებლად. ზუგდიდის სამაზრო ერობამ ამ მიზნით 7 მლნ მანეთზე მეტი გადასდო, ბორჩალოს მაზრამ – 12 მლნ, გორის მაზრამ – 3 მლნ., თიანეთის მაზრამ – 2 მლნ. მან.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდნენ სამაზრო ერობები სახალხო განათ-

<sup>10</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 13 ოქტომბერი.





ლების საქმეს. გახსნილ იქნა საშუალო და დაწყებითი სასწავლებლებზე მოეწყობა დასახვა კურსები, საკვირაო სკოლები, სამკითხველოები და სხვ. თბილისის სამაზრო ერობამ განათლების საქმეზე თავისი წლიური ბიუჯეტის მერვედი ნაწილი დახარჯა, გორის მაზრაში ერობამ 50 მლნ მან., ოზურგეთის სამაზრო ერობამ 21 მლნ. მან მოახმარა განათლების საქმეს<sup>11</sup>.

სერიოზული ყურადღება ექცეოდა აგრეთვე ჯანმრთელობის დაცვის, საგზაო მშენებლობის საქმეს, აგრეთვე ვეტერინარული ღონისძიებების განხორციელებას. სამაზრო ერობებმა და ზოგიერთმა თემმაც გახსნეს საერობო აფთიაქები. ოზურგეთის საერობო თვითმმართველობამ 5 აფთიაქი გახსნა, ქუთაისის სამაზრო ერობამ — 5, სენაკის სამაზრო ერობამ — 6 აფთიაქი. ადგილობრივი პირობების, ბუნებრივი სიმდიდრისა და მცხოვრებთა მოთხოვნების მიხედვით რაიონებში ვითარდებოდა მრეწველობის ესა თუ ის დარგი. ეწყობოდა მექანიკური სახელოსნოები, შენდებოდა ხე-ტყის სახერხი ქარხნები, წისქვილები და სხვ. ასეთი ქარხნები აშენდა გორის, თიანეთის, ქუთაისის, ოზურგეთის, ზუგდიდისა და სხვა მაზრებში. მექანიკურ სახელოსნოებთან მოწყობილი იყო სახარატო, საზეინკლო და სადურგლო საამქროები. დიდი თანხები იხარჯებოდა ერობების მიერ აგრეთვე რკინიგზების მშენებლობისა და სამკურნალო წყლების მოწყობისათვის, კერძოდ, სიღნაღისა და კოდორის ერობები ცდილობდნენ კარგად მოეწყოთ აბტალის ტალახის და ტყვარჩელის წყლების აბანოები<sup>12</sup>.

ერობათა ხელში იყო აგრეთვე აგრონომიული მომსახურების საქმე<sup>13</sup>. ერობათა კავშირმა ქალაქებში მოაწყო ცენტრალური სახელოსნოები, გახსნა ხე-ტყის სახერხი, საპნისა და სხვა ქარხნები. ერობათა კავშირი აწარმოებდა აგრეთვე საქონლის შესყიდვას და შემდეგ მცხოვრებლებზე დასარიგებლად აწვდიდა წვრილ საერობო ერთეულებს.

საერობო ყრილობები სოფლად თვითონ ირჩევდნენ უბნის მოსამართლეებს.

ერობათა შორის დიდ მუშაობას ეწეოდა ერობათა ცენტრი. იგი იწვევდა ერობათა წარმომადგენლების ყრილობას, თათბირებს, რომელთა გადაწყვეტილებანი და რეზოლუციები წარმომადგენდა ერთგვარ დირექტივებს ადგილობრივი ერობებისათვის. თათბირი იძლეოდა მითითებას ამა თუ იმ საკითხებზე, აღძრავდა შუამდგომლობას მთავრობის წინაშე, ასწორებდა საერობო მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებს.

1920 წლის აპრილში საქართველოს ერობათა კავშირის კომიტეტი მიწათმოქმედების მინისტრს მოახსენებდა, რომ ერობებს არ შეუძლიათ მიწების შეძენა, რადგან ამის საშუალება არა აქვთ და ამიტომ ითხოვდა სათანადო დახმარებას<sup>14</sup>.

1920 წლის იანვარში შედგა საქართველოს საერობო წარმომადგენლებისა და მთავარი კომიტეტის თათბირი. თათბირმა მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მთავ-

<sup>11</sup> გაზეთები „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ. 26 აგვისტო, „საქართველო“, 1920 წ. 26 აგვისტო, „სახალხო საქმე“, 1920 წ. 27 აგვისტო.

<sup>12</sup> იქვე.

<sup>13</sup> საქ. ცსია, ფ. 1915, აღწ. 1, ს. 2138, ფურც. 7.

<sup>14</sup> საქ. ცსია, ფ. 1915, აღწ. 1, ს. 2040, ფურც. 91-92.

რობის ყურადღებას მიაპყრობდა რესპუბლიკის მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას და მოითხოვდა, რომ საგარეო ვაჭრობის ბალანსის მოწესრიგების მიზნით გზარდილიყო საზღვარგარეთ გასატანი საქონლის ოდენობა, ამასთან საექსპორტო საქონლის დამზადება უნდა მომხდარიყო თვითმმართველობათა საშუალებით<sup>15</sup>.

თათბირმა მიზანშეწონილად სცნო ერობათა წარმომადგენლების მეორე ყრილობის დადგენილების თანახმად საქართველოს საერობო ბანკის დაარსება. მისი მიზანი იყო ერობებისთვის თანხების მიწოდება მრეწველობის და აღებ-მციცმონის განვითარებისათვის. ბანკი უნდა ყოფილიყო სააქციო. სააქციო თანხა განსაზღვრულ იქნა 20 მლნ მანეთით, აქციის ღირებულება კი — 1000 მანეთით.

თათბირმა გადაწყვიტა აგრეთვე საერობო ჟურნალის „ერობის“ დაარსება.

ერობათა კავშირის კომიტეტმა საერობო მოღვაწეობის მოწესრიგებისა და ერობათა დასახმარებლად მოაწყო საინსტრუქციო განყოფილებები — საექიმო-სანიტარული, სტატისტიკური, აგრონომიული, საბეითლო და საბუღალტრო. ინსტრუქტორები იგზავნებოდნენ სამაზრო და სათემო ერობებში — საერობო ორგანიზაციების მუშაობისთვის ხელმძღვანელობის გასაწევად. ამ მიზნით გამოცდილ საერობო მოღვაწეთაგან შედგა სპეციალური კომისია, რომელიც გაეცნო ყველა საერობო დაწესებულების მუშაობას და მათ საჭირო ახსნა-განმარტებებს აძლევდა<sup>16</sup>.

ერობათა კავშირი სამაზრო ერობებს მიმართავდა თხოვნით, რათა დახმარებოდნენ ქალაქის მუშებს, რომლებიც შიმშილობდნენ: „მეტად მძიმე პირობებში სვარდნენ ამ უკანასკნელ დროს ქალაქის მუშები და საზოგადოდ ქალაქის მცხოვრებნი. მიუხედავად მთავრობის მიერ რესპუბლიკის ფარგლებში თავისუფალი ვაჭრობის გამოცხადებისა და მიუხედავად მიმდინარე წლის კარგი მოსავლისა, ქალაქს სოფლიდან არ შემოუდის საჭირო სურსათი და რაც შემოდის, ძლიერ ძვირი ღდება და უმეტესობისათვის ხელმიუწვდომელია... აუცილებლად ერობის მოქმედება ამ მხრივ ნაყოფიერი იქნება, სოფელი არ დაიშურებს თავის მხრივ დახმარება გაუწიოს ქალაქს და ამით მტკიცე და მყარი ნიადაგი მოუშალოს საქართველოს დამოუკიდებლობას და მის სახელმწიფოებრივ ცხოვრებას“<sup>17</sup>.

უნდა ითქვას, რომ თუმცა ერობები ადგილებზე მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდნენ ეკონომიკურ და საზოგადოებრივ სარბიელზე, მაგრამ მათი მოღვაწეობა საეკონომიკური იყო მაზრის ფარგლებში და მთელი საქართველოს მასშტაბით ვერ ახდენდა შესამჩნევ გავლენას. შეიძლება ერთი მაზრა ყველაფრით უზრუნველყოფილი ყოფილიყო, მაგრამ მეორე მათგანი შიმშილს განიცდიდა. „რომ ყოველ კუთხეს თავისი „ეკონომიკური პოლიტიკა“ არ ჰქონდეს, თბილისი ყოველთვის საკმაო ფქვილს მიიღებდა და მაშინ სიმინდის ფქვილი 350—400 მან არ ეღირებოდა და გატირებული ხალხიც შიმშილის სიმკაცრეს შეიმსუბუქებდა. ადვილი არ არის ამ მდგომარეობის ლიკვიდაცია, იგი შედეგია რევოლუციური ცხოვრებისა და პრაქტიკის, შედეგია იმ ფრანგოლოგიისა, დაპირისპირებისა და ყალბი დემოკრა-

<sup>15</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 30 იანვარი; გაზ. „ერობა“, 1920 წ., 30 იანვარი.

<sup>16</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 1 სექტემბერი.

<sup>17</sup> იქვე, 30 სექტემბერი.



ტიზმის, რომელსაც უვიცი პროპაგანდისტები წლობით უნერგებდნენ ხალხს, მოსთქვამდა გაზეთი „საქართველო“<sup>18</sup>.

გლეხობა გარკვეულ მუშაობას ეწეოდა აგრეთვე გლეხთა დეპუტატების საბჭოებში.

23 მაისს თბილისში გაიხსნა კავკასიის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების I ყრილობა. მას ესწრებოდა 261 დელეგატი, აქედან 144 იყო გლეხთა საბჭოების დელეგატი.

16 ივნისს კავკასიის არმიის სამხარეო საბჭო და მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები ერთ სამხარეო ცენტრად გაერთიანდა.

1917 წლის ივნისში მოწვეულ იქნა ამიერკავკასიის გლეხთა ყრილობა, რომელსაც 1500-მდე დელეგატი ესწრებოდა (ერთი დელეგატი 500-1000 კომლზე). ყრილობამ აირჩია გლეხთა დეპუტატების საბჭოების სამხარეო ცენტრი, ხოლო ივლისში შეიქმნა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების გაერთიანებული ცენტრი 102 წევრის შემადგენლობით. აქედან 41 იყო გლეხთა დეპუტატების სამხარეო ცენტრიდან. მას ეწოდა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების კავკასიის სამხარეო კომიტეტი.

გლეხთა ყრილობამ განიხილა ომისა და ზავის, დროებით მთავრობასთან დამოკიდებულების, დამფუძნებელი კრების, აგრარული საკითხები, ადგილობრივი თვითმმართველობის, სახალხო განათლების, სასამართლოს შესახებ და სხვ. საკითხები.

ყრილობის აზრით, ომი გამოწვეული იყო სახელმწიფოთა იმპერიალისტურ და მტაცებლური პოლიტიკით. რუსეთის დემოკრატიის მიერ წამოყენებული ფორმულა „ომი უკონტრიბუციო და უანექსიო“ – სამართლიანია. ამიტომ ომი არ უნდა დამთავრდეს სახელმწიფოთა ერთი ჯგუფის გამარჯვებით მეორე ჯგუფზე. ამიტომ გლეხთა ყრილობა ვალდებულია ხელი შეუწყოს თავდაცვასა და შეტევაზე გადასვლას, ნათქვამია ყრილობის რეზოლუციის<sup>19</sup>.

ყრილობამ მოითხოვა მოქმედ სასამართლოთა გარდაქმნა, მისი დემოკრატიზაცია. ამ მიზნით საჭიროდ იქნა ცნობილი ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შექმნა, ზოგიერთი საქმეების სასამართლო პალატაში წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით განხილვის წესის გაუქმება. ყრილობაზე აღინიშნა, რომ საჭირო იყო ადვოკატის დასწრება წინასწარი გამოძიების დროს, მთელი საქმეები გადასულიყო მომრიგებელი მოსამართლეების ხელში, რომლებიც ხალხს უნდა აერჩია. საქმის წარმოება უნდა ყოფილიყო ადგილობრივ ენაზე, უნდა გაუქმებულიყო საოლქო სასამართლოები.

ყრილობამ საჭიროდ სცნო სასურსათო კრიზისის მოგვარება, საქონელზე მტკიცე ფასების დაწესება, ღვინის გაყიდვის აკრძალვის გაუქმება.

ამიერკავკასიის გლეხთა ყრილობამ აღნიშნა, რომ დამფუძნებელ კრებას რუსეთში უნდა დაემყარებინა დემოკრატიული რესპუბლიკა, უნდა გადაეჭრა მიწის, ომის, მუშათა და ეროვნული საკითხები, უნდა მოეხდინა ადგილობრივი მმართვე-

<sup>18</sup> გაზ. „საქართველო“, 1920 წ., 27 იანვარი.

<sup>19</sup> გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 28 ივნისი.

ლობის რეორგანიზაცია, შემოელო სავალდებულო სწავლება და სხვა ღონისძიებები. ყრილობამ მოითხოვა განათლების საქმის რეორგანიზაცია, სახანძრო, საზოგადოებრივი, საეკლესიო, საუფლისწულო მიწების კონფისკაცია და ადგილობრივი თვითმმართველობის ხელში გადასვლა. ადგილობრივი თვითმმართველობის ხელში უნდა გადასულიყო აგრეთვე ტყეები და წყლები.

ხე-ტყის შემოსავალი უნდა გადასულიყო სახელმწიფოს ხელში, დამფუძნებელი კრების მოწვევამდე უნდა გაუქმებულიყო გლეხთა გადასახადები.

გლეხობა ეკონომიკურ გაჭირვებასთან ერთად მოქალაქეობრივ დამცირებასაც განიცდიდა ბიუროკრატიული წყობილებისაგან. დამცირება და გაუნათლებლობა იყო გლეხობის თანამგზავრი. გაზეთი „საქართველო“ წერდა:

„ყველამ იცის თუ რა დიდ გაჭირვებას განიცდის ქართველი გლეხი, ეგრეთ წოდებული „ძველი რეჟიმის“ დროს. მაგრამ ძალიან შემცდარი იქნება ის, ვინც იფიქრებს, რომ ახალმა დრომ გლეხი ასე თუ ისე გაასწორა წელში.... თუ უწინ ბიუროკრატიული წეს-წყობილება სულს უხუთავდა გლეხს, დღეს ასეთი მდგომარეობა სოფლისა ოდნავ თუ გაუმჯობესდა. გლეხს მისცეს ნება თავისი პირდაპირი უფროსებისა და მსაჯულების ამორჩევისა, მაგრამ ამასი არც ისეთი ხსნა და სიტკბოება ყოფილა. კომისრები და სხვა უფროსები ძველ ბოჭაულებად და მის თანამემწეებად მოევიდნენ ხალხს. ძალადობა, გაუგებრობა, მეჭრთამეობა ისევ არსებობს. ზოგიერთ პესიმისტს თუ დავუჯერებთ, მეჭრთამეობა ახლა უფრო გახშირდა. სრული თავისუფლებათა — და სოფელში მაინც და მაინც ვერ ვხედავთ ამ თავისუფლებას. მიტინგები რა არის (ხეირიანი მიტინგები მაინც იყოს) — და ბევრი ყოფილა ისეთი მაგალითები, რომ მიტინგებზეც კონდახის კვრით მიერეკებოდნენ ხალხს. ესეც თავისუფლება“<sup>21</sup>.

გაზეთი იქვე მიუთითებს, რომ ხალხს ათასგვარი სნეულება მუსრავს და საადამიანოებრივი კი არ არის. როცა გლეხებს ეკითხებოდნენ: „რომელი პარტია უფრო გირჩენიათ“ — ისინი პასუხობდნენ: ის პარტია, რომელიც კარგად წყვეტს ჩვენთვის მიწის საკითხს, ე. ი. გვინდა მიწა კერძო საკუთრებადო.

გლეხობამ არ იცოდა რომელი პარტიისათვის დაეჯერებინა. იგი ხშირად დამაგოგისა და უვიცობის მსხვერპლი ხდებოდა. მას იმდენად პოლიტიკა არ აინტერესებდა, რამდენადაც მიწის საკითხი.

იმდროინდელი პრესა შეულამაზებლად ხატავს გლეხობის მდგომარეობას. „მართლაც თუ წინათ, ძველად გლეხი უპატრონოდ იყო მიგდებული და მხოლოდ საწველ ფურად იყო გადაქცეული ვიგინდარა „მოხელეებისაგან“, არც დღეს არის მოსვენებული და ვისაც როგორ მოესურვება, ისე იქცევა, ყოველივე კანონიერება შელახულია სოფლად და გლეხის პიროვნება აბუჩად და მასხრად არის აგდებული“<sup>22</sup>.

გლეხობის ასეთი დამცირება ხშირი იყო იმდროინდელ სოფელში. გორის მაზრის სოფელ დვანში მილიციის უფროსმა სკოლა წაართვა სოფელს, გლეხებს სცემა,

<sup>20</sup> გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 28 ივნისი.

<sup>21</sup> იქვე, 20 სექტემბერი.

<sup>22</sup> გაზ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 10 აპრილი.





ზოგიერთი მათგანი კი დააპატიმრა.

1920 წლის 26 სექტემბერს აბაშაში, II ინტერნაციონალის ლიდერებთან შეხვედრისას სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის წარმომადგენელმა აღნიშნა: „აქ ამბობენ, რომ მიწა მიიღო გლეხმა, რომ ის თავისუფალია, ეს სიმართლე არ არის, გლეხს არ მიუღია მიწა, გლეხი ეწინააღმდეგება იმ კანონს, რომელიც მისცა ქვეყანას მენშევიკურმა მთავრობამ“<sup>23</sup>.

დღეგაცაიას ესალმებოდნენ ქართველი გლეხებიც<sup>24</sup>.

გაზეთი „ერთობა“ მოგვითხრობს შემთხვევას, როცა გლეხობა აბუჩად აიგდეს და ფიზიკურ შეურაცხყოფა მიაყენეს. „29 იანვარს გორის ერობის (სოფ. ზემო გომი) კანცელარიაში შემოვიდა ორი გლეხი, რომლებმაც ტირილით განაცხადეს: კომისარი ჩვენს შვილებს ცემით ჰკლავს, თუ ვინმე ხართ ქრისტიანი, გვიშველეთო. ეს განცხადება გამგეობამ გულდასმით მოისმინა და ყოველივე გამოჰკითხა გლეხებს. ამის შემდეგ გამგეობამ მოიწვია რამდენიმე საზოგადო მოღვაწე და ყველანი ერთად წავიდნენ კომისარიატში საქმის გამოსარკვევად. როდესაც კომისარიატში მივიდნენ, იქ კომისარი აღარ დახვდათ, სადღაც წასულიყო. კომისარიატში ნახეს სამი მილიციელი და სამივე სახეჩალურჯებულები ტუსადი, რომლებიც შეკითხვაზე პასუხის მიცემას ვერ ახერხებდნენ, გული ყელში ეჩხირებოდათ და ცრემლების წმენდით საცოდავად სლუკუნებდნენ. როგორც გამოძიებიდან გამოირკვა, თურმე კომისარი და მისი მილიციელები სველი დაგრებილი ტილოთი სცემდნენ ტუსალებს. ერთი ტუსალისათვის ფეხის გულზე ჯოხით იმდენი ეცემათ, რომ საბრალო ბიჭს ფეხის გული დასიებოდა და ამის გამო ფეხს ძირს ველარ ადგამდა.

ამ სურათმა ყველანი ცუდ გუნებაზე დააყენა, ერობის გამგეობამ ეს ამბავი მამინვე დეპეშით აცნობა გორის მაზრის მილიციის უფროსს. გორის მაზრის გამგეობას არაერთხელ განუცხადებია ბ. კომისარისათვის – სოლოღაშვილისათვის, რომ ძველი რეჟიმი ნუ შემოგაქვს ცხოვრებაში, მაგრამ ის ასე ამბობდა. „მე ჩემს უფროსს ვემორჩილები, სხვას არავის, არა გვგონია, რომ მის უფროსს დაევალე-ბინა ხალხის ცემა“<sup>25</sup>.

საგულისხმოა, რომ დიდ ქართველ მეცნიერს ივ. ჯავახიშვილს უნივერსიტეტის გახსნის დღეს, როგორც დამსწრე ი. მჭედლიშვილი აღნიშნავს, განუცხადებია, რომ დღეს პიროვნება დაკნინებულა, იგი შეიძლება გენიოსიც იყოს და ვიღაც მაწანწალამ ისე მოკლას, რომ ორი დღითაც არ დააპატიმრონო<sup>26</sup>.

შესაძლოა გლეხთა შევიწროების შესახებ ზოგიერთი ფაქტი გაზვიადებულიც იყოს, მაგრამ მათი მძიმე მდგომარეობა აღნიშნულ პერიოდში მაინც ცხადია.

ამიტომ იყო, რომ გლეხი ხშირად უკმაყოფილებას გამოსთქვამდა არსებული მდგომარეობის გამო.


გლეხობა მოითხოვდა მთავრობისაგან ეკონომიკურ დახმარებას. ახალქალა-

<sup>23</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 3 ოქტომბერი.

<sup>24</sup> იქვე, 28 სექტემბერი.

<sup>25</sup> გაზ. „ერთობა“, 1920 წ., 6 თებერვალი.

<sup>26</sup> გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 6 თებერვალი.



ქს გლეხთა საბჭომ 1919 წლის 6 აპრილს სხდომაზე დაადგინა, თესვების სეზონის მოახლოების გამო ეთხოვოს მთავრობას მიაწოდოს მცხოვრებთ და ლტოლვილებს ხორბალი, ხოლო 7 აპრილს მაზრის მიწის მუშათა დეპუტატების საბჭომ დაადგინა ეთხოვოს მთავრობას, რათა გაწმინდოს ფოცხოვი მავნე ელემენტები-საგან. ვილებთ რა მხედველობაში რომ დამფუნქციონირებელ კრებას დიდი პოლიტიკური და ისტორიული მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით მშრომელი ხალხისათვის, ჩვენ კი შევადგენთ განუყოფელ ნაწილს საქართველოს დემოკრატიისას, ჯერაც არ მიგვიღია მონაწილეობა არჩევნებში ოსმალეთის ემისრების, ზოგიერთი ბეგებისა და ანტიურისტების წყალობით. ამიტომ ეთხოვოს მთავრობას ჩვენც მოგვცეს საშუალება არჩევნებში მონაწილეობის მიღებით ქვეყანას ვამცნოთ, თუ რა გვსურს ჩვენ, რის შემდეგ ძალაუფლებურად უნდა დადუმდნენ ყველა ჩვენი მოლაღატენი. ეთხოვოს მთავრობას მატერიალური დახმარება აღმოუჩინოს ახალციხის მუშათა საბჭოს, რადგან ახლა მრავალი სამუშაო აქვს<sup>27</sup>.

გლეხობა ხშირად მიმართავდა მთავრობას, სამართალში მიეცა მავნე ელემენტები, რომლებიც ხშირად ღალატობდნენ სამშობლოს. საქართველოს დუხობობის საზოგადოებამ თხოვნით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს, რომ ახალციხისა და ახალციხის მაზრის მცხოვრები ვინმე ბოზბეკოვი ოსმალეთის შემოსულის დროს სოფ. გორელოეს ბოქაულად ითვლებოდა და ძარცვავდა მცხოვრებთ, ამიტომ მოითხოვდნენ მის სამართალში მიცემას. შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოიკვლია და იგი, მართლაც, დამნაშავედ სცნო, რის შემდეგაც ბოზბეკოვი დაპატიმრეს<sup>28</sup>.

ასევე გლეხობისა და მათი ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით დუხობის მაზრაში აღკვეთილ იქნა ყაჩაღთა თარეში.

გლეხობა ქმნიდა რაზმებს, რომელთა მეშვეობითაც ანადგურებდა ყაჩაღებს, ცვადა წესრიგს<sup>29</sup>.

გლეხობა მტკივნეულად განიცდიდა უცხოელთა შემოჭრას საქართველოს ტერიტორიაზე. ჩვენს ხელთ არის ფშავიდან მთავრობის სახელზე გამოგზავნილი წერილი, სადაც გლეხობა სრულ მზადყოფნას გამოთქვამს მტერთან საბრძოლველად: „დავრწმუნდით, რომ ჩვენი სამშობლო განსაცდელშია და ჩვენს დახმარებას და სამსახურს თხოულობს, ამიტომ, ჩვენ, ფშაველებმა გადავწყვიტეთ, გარდა ამ ახალგაზრდებისა (19-25 წლამდე), რომლებიც მოთხოვნილი არიან საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ, თავისუფლებისა და საქართველოს დასაცავად, — 26-40 წლის ყოველი ფშაველი ჩაეწეროს ქართულ ლაშქარში, მოხალისედ, რათა იარაღით ხელში დაიცვას სისხლით მონაპოვარი თავისუფლება“<sup>30</sup>.

ამ განცხადებას ხელს აწერდა 101 კაცი და ამას გარდა, მას მოჰყვა 243 მან. და 50 კაბ. გამოგზავნა თავდაცვის საქმის ორგანიზაციისათვის ხელის შეწყობის მიზნით. თბილისის გენერალ გუბერნატორთან გამოცხადდა 100 ქიზიყელი ცხენოსანი და მოითხოვეს, რომ ისინი გაეგზავნათ ფრონტზე მტრის წინააღმდეგ საბრძოლ-

<sup>27</sup> გაბ. „საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წ., 10 აპრილი.

<sup>28</sup> იქვე, 1920 წ., 31 ივლისი.

<sup>29</sup> გაბ. „ერთობა“, 1920 წ., 11 იანვარი; გაბ. „სახალხო საქმე“, 1919 წ., 29 ივნისი.

<sup>30</sup> გაბ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 14 მარტი.



ველად. რაზმის მეთაურები იყვნენ ვ. ლაფიაშვილი, თ. ბახტაშვილი, ბ. ბატიანი<sup>31</sup>. მოხალისეები ჩამოდიოდნენ ქიზიყიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან, გორიდან<sup>32</sup>.

გლახობა ქმნიდა ფრონტისათვის დახმარების ფონდს, სადაც შემოდიოდა შემოწირულობანი როგორც ფულის, ისე ნატურალური ფორმით<sup>33</sup>.

ქართველმა საქველმოქმედო საზოგადოებამ ჯარისათვის მიიღო შემოწირულება ფულით და ნატურით სხვადასხვა კოოპერაციული ორგანიზაციებისაგან და პიროვნებებისაგან<sup>34</sup>.

ქალთა ორგანიზაციათა კავშირმა მოუწოდა ქართველ ქალებს შეეტანათ თავიანთი წვლილი მტერზე გამარჯვების საქმეში — ფულით, ტანსაცმლით, სურსათით, სამსახურით და დაქრილთა მოვლით<sup>35</sup>.

აჭარის მუსლიმანმა ქართველებმა შექმნეს რაზმი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისათვის<sup>36</sup>.

სოფლის ახალგაზრდობა კახეთში თესდა და მკიდა ომში წასულთა ოჯახების მიწებსა და ნათესებს, აგროვებდა თანხებს მათ დასახმარებლად<sup>37</sup>.

გლახობა აქტიურ მუშაობას ეწეოდა ისეთ კოოპერაციულ გაერთიანებებში, როგორც იყო „კახეთი“, „მწყემსი“, „ხორბალი“ და სხვ. როგორც ნ. ჟორდანიას აღიარებდა, მთავრობას ამ ორგანიზაციებთან პირდაპირი კავშირი არ ჰქონდა<sup>38</sup>.

მოსახლეობა ფართოდ იღებდა შემოწირულებებს განათლების საქმის ორგანიზაციისათვის, მოსწავლეებისათვის, ბიბლიოთეკებისათვის, გაზეთების გამოსაცემად, უნივერსიტეტისათვის, საქართველოს საისტორიო და ეთნოგრაფიული საზოგადოებისა და სხვა ეროვნული საქმეებისათვის<sup>39</sup>.

ქართველი ხალხი ქმნიდა აგრეთვე საქველმოქმედო საზოგადოებებს. 1918 წ. ივნისში დაარსდა „სამეგრელოს დამხმარე კომიტეტი“, ხოლო 1919 წ. აპრილში — „მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტი“<sup>40</sup>.

<sup>31</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1910 წ., 15 იანვარი.

<sup>32</sup> გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 28 დეკემბერი.

<sup>33</sup> გაზ. „სახალხო საქმე“, 1918 წ., 27 დეკემბერი; იქვე, 1919 წ., 12 იანვარი; იქვე, 22 იანვარი; იქვე, 1920 წ., 18-19 მარტი; გაზ. „საქართველო“, 1920 წ., 30 დეკემბერი; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 12 იანვარი, 15 იანვარი, 18 იანვარი; გაზ. „შრომა“, 1919 წ., 18 იანვარი.

<sup>34</sup> გაზ. „საქართველო“, 1919 წ., 3 იანვარი; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 15 იანვარი.

<sup>35</sup> გაზ. „საქართველო“, 1 იანვარი.

<sup>36</sup> იქვე, 1920 წ., 31 სექტემბერი.

<sup>37</sup> იქვე, 1917 წ., 15 აგვისტო, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1921 წ., 28 იანვარი

<sup>38</sup> გაზ. „საქართველო“, 1921 წ., 22 იანვარი.

<sup>39</sup> გაზ. „სახალხო საქმე“, 1917 წ., 19 ივლისი, 21 ივლისი, 22 ივლისი, 2 აგვისტო, 10 სექტემბერი, 29 სექტემბერი; 1918 წ. ნიანვარი, 3 მარტი, 17 მარტი, 6 ივნისი, 22 ივნისი; 1919 წ., 8 თებერვალი, 3 აპრილი; გაზ. „შრომა“, 1917 წ., 24 აპრილი, 1 მაისი; გაზ. „ერთობა“, 1919 წ., 25 მარტი; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ. 26 ნოემბერი, 27 დეკემბერი; გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 4 იანვარი, 7 მაისი, 13 ივლისი, 21 ივლისი, 26 სექტემბერი; 1918 წ., 22 დეკემბერი, გაზ. „Кавказский рабочий“, 22 марта, 12 июля 1918 г.; გაზ. „ბროლა“, 1917 წ., 30 ივლისი, 27 აგვისტო, 8 ოქტომბერი, გაზ. „თანამედროვე არი“, 1917 წ., 8 იანვარი, 23-26 თებერვალი, 1 მარტი, 3 მარტი, 11 მარტი.

<sup>40</sup> გაზ. „ერთობა“, 1919 წ., 1 აპრილი, 13 აპრილი.

ქართველი საზოგადოება ოცნებობდა შ. რუსთაველისათვის ძეგლის აგებას რისთვისაც სურდა მოსახლეობაში საჭირო სახსრები შეეგროვებინა, მაგრამ მთავრობა ამის ნებართვას არ აძლევდა<sup>41</sup>.

ქართველი ხალხი აგროვებდა აგრეთვე ფულსა და სურსათს სტიქიური მოვლენებისაგან დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად. დიდძალი სურსათი და ფული შეგროვდა გორში მიწისძვრებისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად<sup>42</sup>.

სხვადასხვა რელიგიური მრწამსის მიუხედავად, ქართველ გლეხებში ცოცხლობდა საქართველოს ერთიანობის შეგნება. ახალციხის მპრის გლეხთა ყრილობამ (1919 წ. 2-3 იანვარს), რომელსაც დაესწრო 100 მუსლიმანი და 30 ქრისტიანი ქართველი გლეხი, მოწოდებით მიმართა მუსლიმან ქართველებს: „ძმებო, მუსულმანო ქართველებო! სამუსულმანო და საქრისტიანო საქართველო განუყოფელი ნაწილებია იმ სხეულისა, რომელსაც ეწოდება მთლიანი საქართველო. საუკუნეების განმავლობაში საქართველოზე მოსულმა მტრებმა ცეცხლითა და მახვილით დასცეს სამუსულმანო საქართველოს ძლიერი კულტურა, ჩასტეხეს ორ ძმათა შორის ხიდი და ეკონომიკურად, კულტურულად და გეოგრაფიულად ერთი მთლიანი სხეული ხელოვნურად დაჰყვეს ორ ნაწილად.

ჩვენ ახალციხის მპრის ქართველი მუსულმანები და ქრისტიან გლეხთა ყრილობა, მოგმართავთ თქვენ, ძმებო, აქარა ქობულეთელებო და არტაანელებო, გამოგვიწოდეთ ძმური ხელი, ნუ აყოვნებთ და მოიხსენით მონობის უღელი. მოდით ხენს ოჯახში, თქვენ მშობელ საქართველოში, აქარის მთების შვილებო, არტაას ყინულებში ნაწრთობო ქართველო მუსულმანებო. დაე თქვენი ხმა მისწვდეს მთელ ქვეყანას, გაიგონ მტრებმა და მოყვარემაც რომ სამუსულმანო და საქრისტიანო საქართველო ერთია, ის განუყოფელი ნაწილია, ერთი სხეულის შვილია, ერთი დედის საქართველოსი, რომელიც ერთნაირად გესურს როგორც მუსულმან, ისე ქრისტიან ქართველებს“<sup>43</sup>.

დაარსდა მაჰმადიან ქართველთა დამხმარე საზოგადოება, რომლის მიზანსაც შეადგენდა მაჰმადიან ქართველთათვის სკოლების აშენება როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, მაჰმადიან სტუდენტთათვის სტიპენდიების დანიშვნა, სამკითხველოების აშენება, ქართული წიგნების, წერა-კითხვის, სამეურნეო და სხვადასხვა გვარი ცოდნის გავრცელება მათ შორის.

საზოგადოების თანხა შედგებოდა საწევროების, შემოწირულებებისაგან, აგრეთვე საქველმოქმედო კონცერტებისაგან მიღებული შემოსავლისაგან. საზოგადოება შედგებოდა ნამდვილი და საპატიო წევრებისაგან. ნამდვილი წევრები წელიწადში იხდიდნენ 20 მან<sup>44</sup>.

ქართველი გლეხი არ იყო მოკლებული ინტერნაციონალიზმის გრძნობას. რო-

<sup>41</sup> საქ. ცსია, ფ. 1861, აფწ. 1, ს. 400, ფურც. 1.

<sup>42</sup> გაზ. „ერთობა“, 1920 წ., 12 მარტი, 15 მარტი; გაზ. „საქართველო“, 1920 წ., 22 თებერვალი, 25 თებერვალი, 10 მარტი; გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1920 წ., 21 თებერვალი, 28 თებერვალი, 2 მარტი, 3 მარტი, 25 აპრილი, 5 ივნისი.

<sup>43</sup> გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 11 იანვარი.

<sup>44</sup> იქვე, 1920 წ., 18 აპრილი.





დესაც 1919 წ. ნოემბერში ქიზიყში იმოგზაურა ოლივერ უორდროპმა, მას აღტაცებით შეხვდა სიღნაღის მაზრის გლეხობა.

სტუმარს ქიზიყელ გლეხთა სახელით აღფრთოვანებული სიტყვით მიმართა სანაშაველიძე, რომლის სიტყვამაც კარგი შთაბეჭდილება დატოვა სტუმარზე: „დამავალეს ქიზიყის გლეხებმა გიძღვნათ სალამი და სალამთან ერთად თხოვნა მცურედი. მისტერ უორდროპის მობრძანების ამბავი ხალხს ელვის სისწრაფით მოედო: „იმის ძმა მოდის, ჩვენი შოთა რომ თარგმნაო!“ – ასე – ეუბნებოდნენ ერთმანეთს გლეხები. ჩვენს მდაბიო ხალხს გაგონილი აქვს თქვენი დის, მის უორდროპის მოღვაწეობა, რომ მან ინგლისურად ჩვენი სათაყვანებელი და საყვარელი „ვეფხისტყაოსანი“ გადათარგმნა და თვით თქვენი და ჩვენი ხალხისათვის სათაყვანებელი და საყვარელი შეიქმნა...“<sup>45</sup>.

გლეხობა აქტიურად მონაწილეობდა 1919 წელს დამფუძნებელი კრების არჩევნებში. მაზრებში 519 226 ამომრჩეველიდან დამფუძნებელი კრების წევრებს ხმა მისცა 330 617-მა<sup>46</sup>.

გლეხობა ეწაფებოდა აგრეთვე სწავლას, რასაც ხელს უწყობდა ქართული უნივერსიტეტის დაარსება 1918 წელს. მოსახლეობაში ფართო საგანმანათლებლო მუშაობას ეწეოდნენ საქართველოს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება, სახალხო უნივერსიტეტები და სხვ. საქართველოს სოფლებში იმართებოდა სხვადასხვა წარმოდგენები, რომლებშიც გამოჩენილი მსახიობები მონაწილეობდნენ.

Р. Г. КОЧЛАМАЗАШВИЛИ

## ИЗ ИСТОРИИ ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКОЙ АКТИВНОСТИ КРЕСТЬЯН ГРУЗИИ (1917-1921 ГГ.)

Резюме

В труде исследованы формы и методы общественной активности крестьянства в 1917-1921 годах. Эта активность выражалась главным образом в выступлениях против существующего правительства. На местах они свергали политический режим и устанавливали свою власть. Нередко крестьяне самовольно захватывали земли помещиков и устанавливали революционный порядок, наказывали виновных.

Большую активность проявляли крестьяне в выборах сельских органов и их деятельности. Эти органы руководили экономической и культурной жизнью уездов и сел, обеспечивали население продуктами питания и хозяйственными товарами, строили школы, заводы, фабрики.

<sup>45</sup> გაბ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1919 წ., 15 ნოემბერი.

<sup>46</sup> იქვე, 11 მარტი.

дороги, места. создавали сеть медицинского обслуживания. Крестьяне принимали участие в работе советов крестьянских депутатов.

Крестьянство самоотверженно защищало свою Родину от иностранных захватчиков, требовало присоединения к Грузии отторгнутых территорий, создавало фонд для организации защиты Родины, а также фонд помощи населению, пострадавшему от стихийных бедствий.

В работе приведены факты, свидетельствующие, что крестьянство Грузии проявляло интернациональную солидарность с другими народами и уважение к ним.

წარმოდგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს უახლესი ისტორიის განყოფილებაში

პიპის ნაწარმი

მეცნიერება კანონი

XIX ს-ის მეორე ნახევრიდან საქართველოში, კერძოდ, კახეთში, ოჯახის ცხოვრების ძირითადი ამინდის შემქმნელი უნდა ყოფილიყო საშუალო გლეხობა. იგი სოფლის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას შეადგენდა. ისტორიულ-ეკონომიკური თუ ეთნოგრაფიული ლიტერატურიდან ვიცით, რომ ქონებრივი შეძლებით საშუალო გლეხი ამ დროის დამახასიათებელი ტიპია<sup>1</sup>.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ XIX ს-ის 60-70 წლებიდან მესაქონლეობამ სავაჭრო-სამეწარმოდ ხასიათი მიიღო, რაც მანამდე სუსტად იყო განვითარებული<sup>2</sup>. მკვლევართა მიერ კახეთში მოსახლეობის ქონებრივი ნიშნით კატეგორიებად დაყოფის სურათს არსებითად თანხვედბა ჩვენ მიერ შეკრებილი მასალა. აქ მეცხვარეობის დამოუკიდებელ დარგად განვითარება ერთგვარად ანელებდა მიწათმოქმედების განვითარებას. სწორედ მეცხვარეობის საფუძველზე ხდებოდა გლეხობის დიფერენციაცია და „გამოიყოფოდა ახალი კლასი – მდიდარ გლეხთა ოჯახებისა, კულაკებისა, სოფლის ბურჟუაზიისა. მეცხვარეთა რიცხვი კლებულობდა (ისევე, როგორც დიდი ოჯახებისა – ბ. ნ.), მაგრამ მით უფრო იზრდებოდა დარჩენილთა ეკონომიკური და საზოგადოებრივი გავლენა (მსგავსად დიდი ოჯახებისა – ბ. ნ.). ... ასეთი ოჯახები ჩვეულებრივ მრავალწევრიანია და თვით ეს მომენტიც უმნიშვნელო ფაქტორი როდია ამ კომლთა ეკონომიკურ ძლიერებაში“<sup>3</sup>.

საკვლევი რეგიონის პირობებში ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, თუ რომელ ზოლს ეხება ერთობის სახლში შრომის განაწილება და საერთო ქართულ ვითა-

<sup>1</sup> А. М. Аргутинский, Экономический быт государственных крестьян Сигнахского уезда тифлисской губернии, МИЭБГКЗК, т. IV ч. II, Тиф., 1886, М. В. М а ч а б е л и, Экономический быт государственных крестьян Тифлисского уезда, МИЭБГКЗК, Т. V, Тиф., 1887, გვ. 198; სტ. მენთემპილი, ქიზიური ლექსიკონი, თბ., 1943, გვ. 18, 73, 277; დ. გ. გ. ო. ლ. ა. ქ., საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება გვიანდელდარსებულ ხანაში, თბ., 1971, გვ. 330; ბ. ნ ა ნ ო ბ ა შ ვ ი ლ ი, საოჯახო ყოფა აღმოსავლეთ საქართველოში (ქორწინება ქიზიის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით), თბ., 1988, გვ. 28-29.

<sup>2</sup> П. Гугушвили, Сельское хозяйство и аграрные отношения. т. I, Тб., 1938, И; Г. Антелава, Э. А. Орджоникидзе, Э. В. Хоштария, К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, Тб., 1967, Э. А. Орджоникидзе, эволюция аграрных отношений дореформенной Грузии XIX века, Тб., 1969, О. К. Ж о р д а н и я, История крестьянской реформы в Грузии, Тб., 1982, 31-32.

<sup>3</sup> პ. გ. უ. შ. ვ. ი. ლ., საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტ. II., 1956, გვ. 844.



საქართველოს  
ენციკლოპედია

რებასთან შედარებით გაირკვეს მისი ამა თუ იმ ნაწილის თავისებულება. ცნობილია, რომ ქიზიყში თქმა უნდა, ისტორიული ჭრილის გათვალისწინებით. ცნობილია, რომ ქიზიყში მეცხოველეობა უფრო მეტად იყო დაწინაურებული, ვიდრე კახეთის სხვა ნაწილებში<sup>4</sup>. თავის მხრივ, მეცხვარე ხალხი ქიზიყის უკანამხარში სავარაუდოდ მეტი იყო<sup>5</sup>. მოუხედავად ამისა, მოუხნავი ადგილი აქ არ დაჩენილა. ეს ფაქტი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ აქ მეცხვარეობა, როგორც მეურნეობის დარგი, შერწყმული არ იყო მიწათმოქმედებასთან (მემინდვრეობასთან).

კულტურულ-ისტორიული ასპექტით საგულისხმოა, რომ „უღუმო“ ცხვარი გადაუმეზობიათ და „ღუმიანი“ მოუმრავლებიათ. ცხვრის ახალი ჯიშის ქებას ამ ნიმუშით ხაზგასმით გამოხატავენ: „ცოროკანთ (სოფ. ბოდბე – ბ. ნ.) ცხვარ მოფენილი იყო რიყეზე. რიყე სულ იმათ ეჭირათ. იმათი ცხვარი ღობეზე გადასვლი დროს ღუმეა ძლივ გადაიტანდა“. ამ რეგიონში ძირითადად ახალი ჯიშის ცხვარია გავრცელებული, განსხვავებით მთისაგან, სადაც კულტივირებულ ცხვარს გამოყოფენ. უკანამხარში XIX ს-ის 70-80-იან წლებში რამდენიმე ოჯახს 2000-5000 სულიც კი ჰყავდა. „ჩემს ბიძას რო დკითხამდნენ, სად მიდიხარო, იტყოდა – ცხვრებში მივდივარო. ეს ცოტასა დნიშნავდა. მე რო დაებადებულვარ, ერთობის სახლში უკვე ცხვარი იყოლიათ. ამიტომ იტყოდა ცხვარში მივდივარო. არ იკვებნიდა – 2000 სულამდე გაუზრდიათ“<sup>6</sup>. ყველა მთხრობელი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ცხვარსა და მეცხვარეს სისხლიანი გზა უნდა გაეელოთ, რადგან ბევრი მტერი ჰყავდათ.

სოფ. ზემო მაჩხაანს თავისი მთა ჰქონდა – ნაბაკარი. ის მთა 2000 სულიან ფარას ჰყოფნიდა ერთ ზაფხულს. აღნიშნული ცნობა, გარდა იმისა, რომ სამეურნეო ტრადიციისა და ისიც მეცხვარეობის მიმანიშნებელი მთის – სამოვრის სახელს გვაცნობს, მნიშვნელოვანი მითითებაა იმითაც, რომ ამ სოფელს დიდძალი პირუტყვი ჰყოლია. ზემო მაჩხაანსა და მის მიმდგომ სოფლებში ცხვრის სიმრავლეზე მეტყველებს ასევე ბევრი სხვა მასალა<sup>7</sup>. ნატროანთ, რომლებიც ყველაზე მეტი ცხვრის პატრონები იყვნენ, დიდ ოჯახად ცხოვრობდნენ. 2000 სული მარტო მათ ჰყავდათ და, რა თქმა უნდა, „ნაბაკარი“ ვერ დააკმაყოფილებდა მთელი სოფლის სამოვარზე მოთხოვნილებას. მათ ცხვარზე ლექსიცაა: „ტილო ოსმალთ მინდორო, გამლილო ბაღდადივითა, ნატროანთ ცხვარი მოგაწვა ქვემო მთის ნანქარივითა“<sup>8</sup>. 1865 წლის სტა-

<sup>4</sup> А. И. Аргутинский, დასახ. ნაშრომი, გვ. 292; Т. Харадзе, Грузинская семейная община, т. I, Тб., 1960, გვ. 57; აღ. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890-1917 წლებში, თბ., 1965, გვ. 71-72; თ. ლ ვ ი ნ ი ა ნ ი ძ ე, ისტორიულ-გეოგრაფიული ნარკვევი, წიგნში: „საქართველოს აღმოსავლეთი ეკონომიკური რაიონი“, თბ., 1977, გვ. 54; გ. ჭ ა ლ ა ბ ა ძ ე, მემინდვრეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1986, გვ. 236.

<sup>5</sup> А. И. Аргутинский, დასახ. ნაშრომი, გვ. 198; Т. Харадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 100-101, 104; არ. მარტიროსოვი, გრ. იმანიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956, გვ. 165-166, დ. გ ვ რ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, I, თბ., 1962, გვ. 62, დ. ჰ ა ვ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, მეცხვარეობა კახეთში, თბ., 1964, გვ. 81.

<sup>6</sup> მთხრობელი ნიკა გეგენას ძე ცოროკაშვილი, 95 წლის, სოფ. ბოდბე, 1975 წ.

<sup>7</sup> გაბ. „სახალხო გაზეთი“, 1910, № 62; მასალები საქართველოს შინაგარეურობისა და წერილი ხელისნობის ისტორიისათვის, ტ. IV, ნაწ. I, მესაქონლეობა, თბ., 1986, გვ. 16, 21.

<sup>8</sup> „ნაქარი“ – ჩვენი მასალით ნიავქარს ნიშნავს. მთხრობელი ლევან იაგორას ძე ნატროშვილი, 80 წლის, სოფ. ზემო მაჩხაანი, 1973 წ.

<sup>9</sup> „მაცნე“, ისტორიის სერია, 1993, №3-4





ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

ტისტიკის მიხედვით, იმ დროს ზემო მაჩხაანში 366 კომლი ცხოველები იყვნენ. სახელმწიფო გლეხი, 5 საეკლესიო, ხოლო 20 კომლი დროებითვალდებული გლეხი იყო<sup>9</sup>. ამ მხრივ კიდევ უფრო დაწვრილებითი ცნობები მოგვეპოვება 1886 წლისათვის: ზემო მაჩხაანში 684 კომლი იყო, 2071 კაცი, 1795 ქალი – სულ 3866<sup>10</sup>.

ერთობის სახლს (მაგ., გოგიშვილებს) ჰყოლიათ 5 ათასზე მეტი ცხვარი, 600 ძროხა, 200 ცხენი, 300 ღორი, ჰქონიათ 2 ვუთნეული. ოჯახის წლიურ შემოსავალს ემატებოდა 60 ურემი ხორბალი, 500 ურემი ქერი, 80 ურემი ფეტვი და 30 ურემი სიმინდი. გარდა ამისა, ამზადდებდნენ საკმაო რაოდენობის მატყლს, ყველსა და კარაქს<sup>11</sup>.

ჩვენი მასალების მიხედვით, ზემომაჩხაანელთა ამ ოჯახის მეურნეობაში საგრძნობი ადგილი ეკავა მეღორეობას. მეღორე მეტწილად ბალლი იყო, რადგანაც კოლტს შორს არ მიერეკებოდნენ და ბინაც სახლთან ახლოს ჰქონდათ. უმრავლეს შემთხვევაში ერთობის სახლს ეს პირუტყვი ცოტა ჰყოლია და იგი უმეტესად შინამოთხოვნილებას აკმაყოფილებდა: მას შობა-ახალწელს კლავდნენ და ასევე, ქირანახულის მოწვევის დროისათვისაც („ქოსმენად“) ინახავდნენ.

მეღორეობას სხვადასხვა დროს სხვადასხვა ხვედრითი წონა უნდა ჰქონოდა: თავდაპირველად მხოლოდ შინამომხარების ფუნქცია ჰქონდა, შემდეგ კი თანდათან მეურნეობის ძირითადი დარგის დამატებით შემოსავლის წყაროდ იქცა<sup>12</sup>. ამასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ღორის სულადობა. საძიებელი დროისათვის კი ერთობის სახლში ღორის კულტის არსებობა ძირითადად ფულადი შემოსავლის ერთ-ერთი და ზოგჯერ ძირითადი წყარო იყო და ამ საქმეზე ერთობის სრულწლოვანი წევრის გაპიროვნებასაც მოითხოვდა. რა თქმა უნდა, ღორის შინამომხარება ყოველი დროისათვის არის სავარაუდებელი და, ამდენად, ერთობაში მეღორის ხელობაც ძველი უნდა იყოს.

მესაქონლეობის მეტ-ნაკლებად წამყვან დარგად მიჩნევა მთელ კახეთში საესებით რეალურია, რამდენადაც ბუნებრივი მდებარეობის გამო ის (თავდაპირველი კახეთი მოიცავდა ივრის ხეობის ზემო წელს, ერწო-თიანეთიდან უჯარმის ჩათვლით) დაეუფლა მთისა და ბარის უმეტეს ნაწილს<sup>13</sup>. ისიც ცნობილია, რომ მეურნეობის ამ დარგის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბაზას ივრის ხეობა წარმოადგენდა მისი იშვიათი ზამთრის საძოვრებით<sup>14</sup>. ამ გარემოებისათვის დავით აღმაშენებ-

<sup>9</sup> Документы по истории Грузии, Серия II, том I, Грузия в период буржуазных реформ (1862-1872 гг), т. I, Под редакцией проф. Ш. К. Чхетия, Тб., 1954.

<sup>10</sup> Свод статистических данных о населении Закавказского края, извлеченных из посемейных списков 1886 г., Тиф., 1893.

<sup>11</sup> ი. კახელი, დაბა და სოფელი (მოწერილი ამახი), გაზ. „ივერია“, 1887, № 21; P. X a რ ა დ ზ ე დასახ. ნაშრომი, გვ. 16-17, 91-94.

<sup>12</sup> ი. როსტომაშვილი, ღორის მოვლა და მოშენება, თბ., 1914; პ. გუგუშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 612-613; ბ. გამყრელიძე, სამეურნეო ყოფის ზოგიერთი მხარე პანკისის ხეობაში, ფურნ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1977, № 2, გვ. 42.

<sup>13</sup> დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, I, თბ., 1977, გვ. 332.

<sup>14</sup> ივ. ჭავჭავაძე, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წ. 1, ტფ., 1930, გვ. 147; ბ. გამყრელიძე, ცენტრალური კავკასიის მთიელთა ალპური მესაქონლეობა (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1982, გვ. 98; მისივე, ქართველი ხალხის სამეურნეო ტრადიციები და თანამედროვეობა, თბ., 1993, გვ. 9.



ლის ისტორიკოსსაც მიუქცევია ყურადღება<sup>15</sup>. ვახუშტი ბაგრატიონის აღწერილობაც გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ხეობის მთელ სიგრძეზე ანაბეზის ზომის სამეურნეო ხასიათსა და დანიშნულებას<sup>16</sup>, რაც ისტორიული გეოგრაფიის სპეციალისტების მიერაცაა შენიშნული<sup>17</sup>. ჟინვალში, უჯარმისა და თიანეთში მუშაობის დროს ჩაეიწერეთ ეთნოგრაფიული მასალა, რომლის მიხედვით, „კახებს“ ტყეში საქონელი ედგათ და ბინებიც ჰქონდათ. უხუცეს მთხრობელს ია პეტრეს ძე ყარმაზანაშვილს თავისი პაპისგან გაუგონია აქ არსებულ ტყეთა სახელები: „ნახოზორის ტყე“, „ქაისხევის ჩირდილი“, „ქედის ჩირდილი“, „ფიტავის ტყე“, „ფატის ჩირდილი“, „მზორე“, „ჯღუნთან საბძლის მზორე“, „გულიანთკარის ქედის მზორე“, „ნეზვი ქედი“, „ლორბენდიანის ქედი“, „წითელი კლდის მზორე“, „ნაქაჩი ქედი“, „წყარონა“, „ყრუ ჩირდილი“, „ფუძნარის ჩირდილი“, „კორტოლისი“, „საუღბნო“, „ნალოთხევი“, „ეგნაყე“, „ბრძამენაყვირი“, „ნაოსპარა“, „კუბოთანა“, „სალიხენი“, „ფახვიჯი“, „ქოხაქი“, „ქალჩემი გორი“, „ქვაგატეხილი“, „ქვათქცულ სათავე“, „საგუბთანო“, „სალიკთ წყალი“, „დამპალ წყალი“<sup>18</sup>.

ცნობილია, რომ ივრის ხეობა ბერქასა და თემურ ლენგის ლაშქრობების შედეგად მოოხრებულა. მოოხრებულ მიდამოებში, კერძოდ, ციხისძირში, როგორც სავლელ მასალა გვაცნობს, დამდგარა ბატონი. ქარმეული ყოფილა გვარად. ნაყვრის ქედების ძირში, ესოჯის წმინდა გიორგის სიახლოვეს უცხოვრიათ ყარმაზანიანებს და გულიანანებს. მათი წინაპრებისთვის ბატონს უჩუქებია ბაგისხევი. ანანურს ქვემოთ ფიტავის ტყეს აზნაური მაჭავარიანები დაპატრონებინან. მამულები ჰქონიათ ნაქუბარზე<sup>19</sup>. მოშენებული კუთხე ხელახლა გამხდარა ბრძოლის ასპარეზი XVI ს-ში ქართლის<sup>20</sup>, ხოლო XVII ს-ში კახეთის ძნელბედობის დროს. ამ გაუკაცრიელებულ რეგიონზე მიუთითებს დ. გურამიშვილი:

„კახთა ცოლ-შვილით თვალივსა მძლივ ფეხი მოიკიდესა:  
რაც ხანი იყვნენ, სარჩოსა ვერც სთესდეს, ვერცა მკიდესა:  
რაც აქენდათ თვისი საუნჯე, სულ პურ-ღვინოზე ყიდესა“<sup>21</sup>.

უჯარმისა და მისი მიმდგომი სოფლების მოსახლეობა შემდგომშიც არ იეიწყებდა თავის მამაპაპურ ნასახლარებს. ერთობის სახლის ის წევრები, რომლებიც მსხვილფეხა საქონლის მოვლა-პატრონობით იყვნენ დაკავებულნი, ზაფხულობით

<sup>15</sup> ქართლის ცხოვრება, I, გვ. 332.

<sup>16</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, აკად. ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, თბ., 1973, გვ. 527.

<sup>17</sup> დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ციხე-ქალაქი უჯარმა, თბ., 1969, გვ. 55.

<sup>18</sup> მასალა ჩაეიწერეთ 1974 წელს.

<sup>19</sup> მთხრობელი ეფრემ იოსების ძე გუმარაშვილი, 80 წლისა, თვალივი, 1978 წ.

<sup>20</sup> მთხრობლის სისწორე დასტურდება სათანადო ლიტერატურით: „1575 წელს ერთმა ვანათელმა ანანურმა ქართლის სამეფოს მოუძღურებთ ისარგებლა და ქსნის ერისთავის დახმარებით შეესია არაგვის საერისთავოს და ამოხოცა არაგვის ერისთავების, თურმანიძეებისა და ქარმეულების საგვარეულო და 1578 წ. არაგვის ერისთავობა თვითონვე დაიმტკიცა“. იხ. ს. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მთელეთი, ტფ., 1930, გვ. 28; П. Иоселиани, Описание гор. Душети, Тиф., 1860

<sup>21</sup> დ. გ უ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავითიანი, წიგნში: ქართული პოემა, წ. II, თბ., 1984, გვ. 68.



კვლავ უბრუნდებოდნენ ახლა უკვე სასაძოვრედ — სახაროვნედ გამოსაყენებელ სოფლარებს<sup>22</sup>.


რაკილა სიტყვამ მოიტანა, ამიტომ აქვე შეეჩერდებით საძოვრების სარგებლობის წესზე. საძოვრები, გამონაკლისის გარეშე, სოფელ-სოფელ დაყოფილი<sup>23</sup>, ხოლო შიგნით გაუნაწილებელი იყო. საძოვრების სასოფლო სარგებლობას თავისი წესი ჰქონდა. საქონლისათვის, როგორც წესი, საძოვრის დაშლა არ იქნებოდა. საძოვარი ადგილების განსაზღვრულობა განაპირობებდა ადგილზე შესანახი პირუტყვის არა მხოლოდ რაოდენობას, არამედ თითოეული მათგანის (ცხვარი, ძროხა) მეტ-ნაკლებობასაც (ცხვრის ადგილზე შენახვა უფრო ძნელია, ვიდრე ძროხისა).

ამრიგად, საძოვრების შინარესურსები ის ბუნებრივი ფაქტორი იყო, რომელიც უბრუნველყოფდა ადგილზე მხოლოდ „შინაური“ — „ტყის“ ცხვრის გამოკვებას, ხოლო ძროხის შენახვის შედარებით მეტ შესაძლებლობას (ვახუშტის ცნობით, ხევში იყო იმდენი ცხვარი და საქონელი, რამდენიც შეიძლებოდა ადგილზე გაკვებილიყო). ეს ვითარება აიძულებდა სოფელს, რომ საძოვრები სასოფლოდ დარჩენილიყო. საძოვრების სასოფლოდ არსებობა, რა თქმა უნდა, ვერ განსაზღვრავდა კომლების მიერ თანაბარ სარგებლობას, რადგანაც ერთს მეტი პირუტყვი ჰყავდა, ვიდრე მეორეს. საძოვრების „სასოფლოდ დაგდება“ ძველი და უწყვეტლივ არსებული წესი ჩანს და მათი საერთო-სასოფლოდ მიჩნევის წესის სიძლიერეზე ისიც მიუთითებს, რომ, როგორც აღნიშნული გვექონდა, ყანის ადების შემდეგ საერთო სასოფლო საძოვრებად გამოიყენებოდა. მეძროხეობის (იმ მნიშვნელობით ვხმარობთ „ძროხას“, როგორც ხალხი — „ცხვარს“. „მამინ ძროხაში მე მიკრეს თავი“, ი. ჭავჭავაძე, „აკაკო ყაჩაღი“), როგორც სოფლის მეურნეობის ცალკე დარგის, არსებობა, გარკვეული დროიდან მოყოლებული მაინც, კახეთის მაგალითზეც შესაძლებლად მიგვაჩნია.

<sup>22</sup> „აქური საქონელი ქართული საქონელია, ურევია ქიძტური (ქისტური). ქისტურში სომხური და აქური საქონელიც ყოფილა. სომხური საქონელი გაიძლია, აქური წერილი. სომხური მეტს იწველის, მაგრამ მსუქანი რძე ჩვენს მთის საქონელს აქვს. ქართული ძროხა იწვევს 3-4 ლიტრა რძეს. წინათ რძის ზომა არ იყო. არავის არ მიჰქონდა, რომ აგვერწყა — ყველას თავითინ ჰქონდა.

რძისათვის კარგია სამყურა, ქონდარა და მზერის ბალახი. ჩირდილის ბალახი არ ვარგა, იქნება მეტი მოაწველინოს, მაგრამ ღალა არ ექნება. მზერის ბალახს საქონელი ცოტასა ძოვს და ღალა მეტი აქვს. კარგ მუწველ ძროხას გვერდიდან სინჯავენ. იტყვიან — წიბო აკლიაო და კარგი მუწველი იქნებაო. ძროხის სახელებია — მესკვლია — შუბლზე რომ ნიკორი აქვს, ჭერემა ჰქვლია, წიგნარაც ასევე წიგნითი ჰქვლია, ტრედანა თეთრია, ირმია წითელია, წითელ ხარს ირმის ეძახიან, ასეთივეა ლებელა, სანათა, ყორანა. შავნა ძროხაა, ასეთივეა შავგულა, გრუხაი ლურჯია, ქართული წითელი და შავნაი უფრო ჰქვლებიც არის. ქისტური საქონლის რქები მოხრილია და შუბლზე მიმდგარი მაღალკანჭიანი; სურათა მთვარისფერია, ღამაზა თეთრია. თოლოშა ხარის სახელია. თუ ძროხაც დიდია, იქნება იმასაც დაუფახხოთ, თორემ ისე არ შეიძლება. როცა ქიძტური საქონელი მოსულა იმ საქონელს არეული სახელი აქვს, რაც უნდა, იმას დაუძახებ. ზეირანიც ქისტურია — ნისლის ფერი თრთივლის ფერია. ბაღდადაი, ყირიზია, პირხილაი, თაფლაი, წითელია, გვირგვინაი“ (მთხრობელი ეფრემ იოსების ძე გუმარამვილი).

<sup>23</sup> „ლოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, წინასიტყვაობა და რედაქცია ნ. ბერძენიშვილისა, I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-VXIII სს.); თბ., 1940, გვ. 374; P. Харадзе დასახ. ნაშრომი; В. М. Шамиладзе, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, Тб., 1979, გვ. 71-72.



მთხრობლები ერთხმად და დარწმუნებით გვიმტკიცებდნენ, რომ „მეტწილად ქიზიყელთა საარსებო წყაროს საქონელი — „საქონი“ წარმოადგენდაო. მტკიცების უპირველეს არგუმენტად მათ მოჰყავდათ კარაქის, როგორც ოჯახის აუცილებელი საკვების, შემოსავლის წყაროს მნიშვნელობა. კარაქი იყო ის პროდუქტი, რითაც აქაურნი ქალაქთან ურთიერთობაში ებმებოდნენ: „აქედან (ზემო მაჩხანნიდან — ბ. ნ.) ცხენებს გაყვებოდით ქალაქში, კარაქის საპალნეებს ავკიდებდით. აქაური შარვალი მეცვა შალისა, ლაჯებს მიწყულვებდა“<sup>24</sup>. ყოველივე ეს იმის მაჩვენებელიცაა, რომ ძროხა, როგორც ცხოვრების წყარო, ხოლო მეძროხეობა — მეურნეობის კერძო დარგი, უწინარესი და უპირველესია აქაურ მკვიდრთა საქმიანობაში. „შინაური“, „ტყის“ ცხვრის არც რძის პროდუქტი და არც მატყლი მახლობელ რეგიონებს ვერ აღწევდა, ყოველ შემთხვევაში იმ დროიდან, რაც კახელი კაცის მესხიერებას შემოუნახავს. გადმოგვცემენ: „არღე (სანამ მეცხვარეობა სოფლის მეურნეობის ცალკე დარგი გახდებოდა — ბ. ნ.) უფრო მეტ ძროხას ინახავდნენ. მერე თანდათან გაასაძოვრეს, რადგან ცხვარი გამრავლდა“.

საყოველთაოდ მიღებული და დადგენილია, რომ გარკვეულ ისტორიულ დროსა და პირობებში ესა თუ ის კულტურა ახალი დროის მოთხოვნილებათა გამო ადგილს უთმობს მეორეს. XIX ს-ის II ნახევარში ცხვრის სიმრავლე და მისი ადგილზე გამოკლება ქიზიყში, ცხადია, ძროხას განდევნიდა საძოვრებიდან. რა თქმა უნდა, ბუნებრივ-სამეურნეო ზონალობა ერთ-ერთ პირობად მეტ-ნაკლები ხარისხით კვლავ რჩებოდა. კახეთის დანარჩენ ნაწილებში მსხვილფეხა მესაქონლეობა ახნავ-სათესი ადგილების განაყოფიერებასა და დროულად ხვნა-თესვას, ჭირნახულის დაბინავებას და მოხმარებას ემსახურებოდა და, პირუკუ. ცნობილია, რომ მსხვილი მეურნეობის ყოველ ცალკეულ დარგს აქვს მისთვის დამახასიათებელი კრიტიკული მომენტები, ანუ სამუშაო პროცესის მიერ განსაზღვრული პერიოდი, როცა უნდა დაიწყოს და დამთავრდეს ეს თუ ის სამუშაო ოპერაცია, რა დროსაც უნდა იქნეს მიღებული შრომის ნაყოფი. ამ კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო დარგების კონკრეტულ მაგალითებად მითითებულია მესაქონლეობა (მეცხვარეობა) და მიწათმოქმედება (მემინდვრეობა). „მიწათმოქმედებაში არ არის უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი, ვიდრე დროის ფაქტორი“<sup>25</sup>. მეურნეობის ამ გზით წარმართვაც როგორც ეკონომიკურ, ისე სოციალურ დიფერენციაციას აღრმავებდა. ამ დონეზე შექმნილი ეკონომიკური შეძლება-ძლიერება ერთეული დიდი ოჯახისა ადგილად ძლევდა მიწათმოქმედების თანმხლებ ე. წ. „კრიტიკულ მომენტებს“, მიწათმოქმედებას ინტენსიურს ხდიდა და ამ სოციალურ ფენას კიდევ უფრო ამორჩებდა სოფლის უმრავლეს ნაწილს — საშუალო გლეხობას, რომ არაფერი ვთქვათ „ბოლო კაცის“ მდგომარეობაზე.

ცნობილია, რომ საძიებელი პერიოდის კახეთის სოფლებში, ვთქვათ, ზემო მაჩხანში, რამდენიმე ერთობის სახლი იყო. მეტწილად, როგორც ვიცით, „მემც-

<sup>24</sup> ამაზე მეტყველებს ჩვენ მიერ ჩაწერილი ლექსი: „კიდევ უნდათ ქალაქელს აქაური კარაქები, მაჩხანში არ გაწყდება ჟანგისანი მანათები“ (მთხრობელი ლევან იაგორას ძე ნატროშვილი, 1974 წ.).

<sup>25</sup> კ. მ. ა. რ. ქ. ს. ი., კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 421.





ხვარეები“ სწორედ ეს ოჯახები იყვნენ და ამითაც ითვლებოდნენ „მეძღვლებად“ და „შეძლებულად“. ამიტომ, „ჩვენს სოფელში ბევრი ცხვარი იყო“, იმას როდი ნიშნავს, თითქოსდა აქ ყველა ოჯახს — „კომლს“ ჰყავდა „ბევრი“ ცხვარი, იმდენი, რომ თავიანთი საძოვარი მთა აღარ აკმაყოფილებდათ. ვიცით ოჯახები, რომელთაგან ზოგს 10-15, ზოგს 50-60 სული თუ ეყოლებოდა და მწყემს-მოჯამაგირედ მიჰყვებოდნენ სხვებს<sup>27</sup>.

საყურადღებო მასალა შემორჩენილა მწყემს-მოჯამაგირეთა შესახებ. მათ არ ენდობა საქონელი, თუმცა „ზოგიერთის ფარას მგელი ვერ მიუდგებოდა, მოჯამაგირეზე რომ არაფერი ვთქვათ“. მწყემსი იყო ისიც, ვისაც ჰყავდა 100-200 საკუთარ ცხვარი. ამით ცხვრის პატრონი — „ხაზენი“ თავისუფლებდა საძოვრის გადასახადისაგან, 20-30 სულის პატრონს ტანსაცმელ-ფეხსაცმელს აძლევდა და ცხვარსაც, ხოლო სულ უცხვაროს, რომელსაც მეტწილად სეზონურად ქირაობდა, ცხვარზე ურიგდებოდა.

რამდენი მწყემს-მოჯამაგირეც არ უნდა ჰყოლოდა პატრონს, თავადაც ცხვარში უნდა ყოფილიყო. როგორც აღნიშნული გვქონდა, ასე იყო მამინ, როცა ოჯახში რამდენიმე ძმა და ბიძაშვილი ერთად ცხოვრობდნენ. ეთნოგრაფიული ლიტერატურიდან ცნობილია და რეალურადაც ასე უნდა ყოფილიყო — პატრონი ასე თუ ისე მაინც უნდობლობას უცხადებდა წლიურად თუ სეზონურად დაქირაებულთ<sup>28</sup>; უმეტეს, თუ მათ საკუთარი ცხვარი არც ჰყავდათ, თავდადებით არ საქმიანობდნენ.

დიდი ცხვრის პატრონები მწყემს-მოჯამაგირეებს იმიტომ ქირაობდნენ, რომ სოფლის სამუშაოები ან კიდევ ცხვრის საქმეები ჰქონდათ მოსაწესრიგებელი. მათი ცხვარი მუდამ „ბედნიერად“ მგზავრობდა და „შენდებოდა“ კიდევ. განსხვავებით მათგან, ვისაც შედარებით ცოტა ცხვარი ჰყავდა და შეამახანაგებელი გზაზე ნახევრად მშვიერი მიუდიოდა, დიდი მეცხვარეები, რომლებსაც „ფული ტომრით მიჰქონდათ, სადაც უნდოდათ და როგორც უნდოდათ, ისე კვებავდნენ“.

ცხვრიდან შემოსული შემოსავალი, პირველ ყოვლისა, ისევე იმავე მეურნეობის ზრდა-დაწინაურებას ხმარდებოდა<sup>29</sup>, როგორც ნატურალური მეურნეობისდროინდელი ვითარებისათვის ნაკლებ დამახასიათებელი იყო, მაგრამ აქ „ცხვრის ფულით“ მიწას ყიდულობდნენ. მსგავსი ვითარება შეიმჩნეოდა საქართველოს სხვა კუთხეებშიც<sup>30</sup>. კახეთს ამ მხრივ დიდი შესაძლებლობა არ ჰქონდა — მიწები ნაკლები იყო, ხოლო, რაც იყო, მდებარეობდა საცხოვრებელი ადგილებიდან შორს. ისინიც ერთმანეთისაგან დაშორიშორებულ პატარ-პატარა ნაჭრებს წარმოადგენ-


<sup>26</sup> „ბევრი“ და „დიდი“ ხშირად ცვლიდა ერთმანეთს, ერთიმეორის სანაცვლოდ იხმარებოდა — „დიდი ფული“ = „ბევრი ფული“. მათ ზოგჯერ მაგარიც შეენაცვლებოდა — „მაგარი ფული“.

<sup>27</sup> მათი ურთიერთობის შესახებ იხ. P. Харაძე დასახ. ნაშრომი.

<sup>28</sup> ი. ჭყონია, შრომის დანაწილების ზოგიერთი საკითხისათვის, წიგნში: ჯ. რ უ ხ ა ძ ე, ან. ლ ე კ ი ა შ ე ი ლ ი, ი. ჭყონია, სოფელი აქურა, თბ., 1964, გვ. 41.

<sup>29</sup> ი. ჭყონია, სახლიშვილობის სოციალური ბუნებისათვის, ჟურნ. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1974, № 3, გვ. 161; გ. ჭალაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

<sup>30</sup> M. B. Мачабели, экономический быт государственных крестьян Тианетского уезда, тифлисской губернии, МИЭБГКЗК, т. V, Тиф., გვ. 343, 429; გ. ჭალაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.



საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

და კახეთის მთიან ზოლში, კერძოდ, ქიზიყის უკანამხარში მცხოვრებნი კომლექტი ძირითადად დედოფლისწყაროსა და გაღმამხარში იძენდნენ ადგილებს. მაგალითად, სოფ. მალაროელში 1882 წელს დაბადებული დათა გიორგის ჰე ბაიდოშვილის თქმით, მათ ქიაურში ჩოლოყაშვილისაგან ჰქონიათ ნაყიდი ადგილი. „რაც სახლში ოქრო მოუხელავთ, სულ მიუციათ, რაც არა, ის ქალაღდის ფულზე გაუცვლიათ და ოქრო მიუტანიათ“. ამ ოჯახს აქ ძროხაც დაუდიოდა, ხარი, მოცადი საქონელიც ჰყოლიათ. სახნავი ადგილები ტყიანად სულ ხუთ ჰექტარს შეადგენდა. ვინაიდან თავადს თბილისში უცხოვრია, იმ ადგილის ნაღალურს თბილისში აბარებდნენ<sup>31</sup>. გასული საუკუნის დასასრულის ამსახველი მსგავსი მასალა ერთობის სახლის ცხოვრებიდან არაერთგან გვაქვს ჩაწერილი.

როგორც ჩანს, ასეთი ოჯახები საქონელს ზრდიდნენ და ხენა-თესვას კიდევ უფრო აფართოებდნენ. დიდი ცხერის პატრონი პატარა ოჯახი კი ადგილ-მამულის, მეტადრე სახნავ-სათესის გაფართოებას, მისი შეძლების კვალობაზე, ისე არ მისდევდა იმის გამოც, რომ მას, პირველ ყოვლისა, დრო არ ჰყოფნიდა ამ საქმის გასაშლელად. იგი მიწას მეზობლებს ახენვენიებდა ქირის გაღებით. თუ დააკლდებოდა, ყიდულობდა და შემოჰქონდა — „ფული არ ჰქონდა თუ რა“<sup>32</sup>.

ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალების მიხედვით, სოფ. ბოდბის „თავაკაცები“ იყვნენ მძები ქესიკაშვილები — პავლე და მემცხვარე<sup>33</sup>. პავლე სოფლის დიდი დამცველი ყოფილა — ყველა მწყემსი ემადლიერებოდაო. სხვა ხალხთან ჩხუბში ბევრჯერ ჩარეულა — თავისი სოფლისათვის ჩხუბობდაო, დღეობებში საკლავს კლავდა, ხალხს პატივებდა, ყველა წესს ასრულებდა: თუ ვინიცობაა მტერი დაგესხათ, არ შეებძოლოთ; ისე დაიცავით თავი, რომ არც თქვენ მოგკლან, არც იმათი სისხლი დაიდვაროსო, თითო-ოროლა ცხვარი გაატანეთ, ეცადეთ მტერი არ გაიჩინოთო. ყველას ჭკუაზე დამრიგებელი იყო — „სახლი გედგას ფანჩატური, შიგ რომ გედგას ფარსაგულიო“, მარტო უნჯი სპილენძი, კიდობნები, კოდები კი არა, საბანიც უნდა იცოდეთო, ნაბადში წოლის დრო წაეიდაო. ერთმა ყოფილმა ჯარისკაცმა გიორგი მოლოდინაშვილმა ოჯახში ღუმელი მოიტანა. მამამისმა დანთებული ღუმელი რომ დაინახა, შვილს გაუჯავრდა, რად გინდა ეს შეაშეთის ცეცხლიო, შემოიტანა შეშა და ბუხარში დაანთო — ეს არის კარგიო. პავლე იმ დროს იქ ყოფილიყო და დაეტუქსა გიორგის მამა — ჩასპანდობა მარტო ისა გგონია, რომა ამოგჩრია მხარში სტეირიო და პირში სალამურიო, დადიხარ, ქეიფობ და არშიყობ ქალბშიო. მძიმე ხალხი<sup>34</sup> როდემდე უნდა იყოთო. ამ კაცს თავისთავზე ჯავრი

<sup>31</sup> მასალა ჩაიწერეთ 1974 წელს.

<sup>32</sup> შტრ. ვენახით მდიდარი კომლექტი შიდა კახეთში, რომლებიც თავიანთ მამულს ქირაზე ახენვენიებდნენ და იმდენს, რამდენიც მათ ოჯახს ჰყოფნიდა წლიდან წლამდე. იხ. ი. ჭყონია, შრომის დანაწილების ზოგიერთი საკითხისათვის, გვ. 39; ალ. ბენდიანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 121-122.

<sup>33</sup> საინტერესოა, ერთი ძმა საკუთარი სახელით იხსენიება, მეორე, რომლის საკუთარი სახელია დაეთი — როგორც მემცხვარე. შტრ. ი. ჭყონია, ვინაღის ეთნოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში (1972-1973 წწ. მასალების მიხედვით), წიგნში: „ჭინვალი“, 1, თბ., 1983, გვ. 205.

<sup>34</sup> მთხრობელთა თქმით, „ადრე მძიმე ხალხი იყო“ ნიშნავს — საჭირო არ იყო, მოთხოვნილება არ ჰქონდათ, რომ დიდი რაოდენობით ჰყოლოდათ ცხვარი და ამის შესაბამისად „ქვეყანაში გამოსულყვენენ“. ეს ზარი — „მძიმე ხალხი იყო“ შემდეგდროინდელი კაცის — მთხრობლის ზარი — ახალი საზოგადოების (კაპიტალიზმისა და მომდევნო ხანის) შეხედულებაა.



მოსვლია: ქედილა გადაუცვლია დედალ ცხვარზე, 1000 ცხვარი გზავნიდა, არე ჩოხასაც გაყიდდა და საქონს იყიდდა, სახლს არ უვლიდა, ჩაცმა-დანატრავს არ მისდევდა, ამის შემდეგ „გაახილა თვალი, გამოვიდა კამეჩის რქიდან“. ერთხელ ვირით ოქრო ამოჭქონდათ პავლესა და დავითს. ვირი ხევში გადავარდნობდათ, თვითონ თავი მიენებებინათ და შინ ამოსულიყვნენ. მოჯამაგირისთვის ეთქვათ — წადი და ამოიტანე, იმით ეკლესია უნდა შევაკეთოთო. მართლაც, მაგათ-ქუსიკანებმა, გოგილაანთმა და ამგვარმა ხალხმა ეკლესიები შეაკეთეს.

საზოგადოების განვითარების ობიექტური კანონები თავისას აკეთებდნენ. მეცხვარეს ხშირად უხდებოდა ურთიერთობა მეზობელ ხალხებთან. ეს კი იწვევდა უცხო ენის შესწავლის აუცილებლობას. ამიტომაც კახელი მეცხვარენი მოჯამაგირედ გზავნიდნენ თავიანთ შვილებს აზერბაიჯანში, რათა 1-2 წლით ცხვარში მწყემსად მდგარიყვნენ. ეს კი იმიტომ, რომ ცხვარი „სათათრეთში“ დაუდიოდათ. გავიხსენოთ ა. ყაზბეგის მოგონება იმის თაობაზე, თუ რა გაჭირვება ადგათ მეცხვარეებს რუსული ენის უცოდინარობის გამო.

ამ გზით მიმავალი მეცხვარეები — მწყემსი თუ ცხვრის პატრონი, ცხვრის მოვლასაც და „საგარეო“ ენასაც ერთდროულად სწავლობდნენ. აქ არ შეეჩერდებით იმაზე, თუ მომთაბარე ცხოვრებას, რომელიც ცხვრის მომრავლებით იყო განპირობებული, რაოდენ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა თვალისა და გონების საწიერის გაფართოებასა და განვითარებაში საერთოდ. ცხვრის პატრონობა — „ხაზინობა“ კახელთა ცხოვრების შედარებით ახალი მოვლენა ჩანს და შრომის ამგვარი დანაწილება სოფელ-ქვეყანაში ახალი ურთიერთობის მაჩვენებელია. შეკრებილი მასალებიდან ერთ მონაცემს მოვიყვანთ: „ადრე ჩემს მამა-ბიძებს 9 ცხვარი ჰყოლოდათ ბაგაზე დაბმული<sup>35</sup>. უფროსს — გეგენას უთქვამს, ეს ჩვენ არ გვეყოფაო. მიყენენ ერთიმეორეს, ღორებს დაუდგენენ, სოფლის ხბორებს დაუდგენენ, ფასი აიღეს და ცხვარი შეიძინეს“, — გადმოგვცა მეცხვარეობით სახელგანთქმული ჯალაბი ოჯახის მონაწილე გიგა მალაქოს ძე ჯანიკაშვილმა (სოფ. ქვემო მალარო, 85 წლის, 1974 წ.).

როგორც აღნიშნული იყო, „ცხვრის პატრონები“, რომლებსაც ათასობით სული ცხვარი ჰყავდათ, ხნავდნენ და იმაზე მეტსაც, ვისაც ცოტა ან სულ არ ჰყავდა. ჩოქელანთ გიორგის პატარა ოჯახს (სოფ. ზემო მალარო), რომელსაც 7-8 ათასი ცხვარი ჰყავდა, მამულიც ჰქონდა და ხნავდა კიდევ, მას ზოგიერთი ცნობით 30, ზოგიერთისა — 50-მდე მოჯამაგირე-მწყემსი ჰყავდა<sup>36</sup>. ერთადერთი შეი-

<sup>35</sup> შტრ. „ბაქის ცხვარი“ — „ტყის ცხვარი“, დადგენილი და გამოკვლეულია მისი ადგილი სოფლის მეურნეობის კომპლექსში. იხ. გ. ჩიტაია, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა, ფურ. „მომოხილელი“, I, თბ., 1949, გვ. 366; ვალ. ითონიშვილი, მოხვევების საოჯახო ყოფა, თბ., 1970, გვ. 81 და სხვ.

<sup>36</sup> შტრ. ს. შაკალათია, თუშეთი, თბ., 1985, გვ. 61; ალ. ბენდიანიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 121-122; მისივე, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება სოფელში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 355; ვალ. ითონიშვილი, მოხვევების საოჯახო ყოფა, გვ. 71; მისივე, ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბ., 1974, გვ. 43-44; ა. შავხელიშვილი, თუშეთი, თბ., 1987, გვ. 37; ი. ქყონია, სახლიშვილობის სოციალური ბუნებისათვის, გვ. 157-158; გ. ჯალაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 19; რ. ხარაძე, საოჯახო თემის გადმონათობები თუშეთში, მსმ, X, თბ., 1959, გვ. 196; მისივე, Грузинская семейная община, т. I, გვ. 71, 102-103, 123.



ლი ჰყოლია ამ ვაჟკაცს და ისიც ცხვარში დაუდიოდა. მთხრობელს მოედინა ცხვრის პატრონს ცხვარში რაღა უნდაო. „იმასთან მოჯამაგირედ ვიყავი და მის ვაჟს, ჩობნად რომ დამდეგდა, ქაღმები დაეხია და ახლები შეიკერა. მამამ საყვედურა — ეგ კიდევ მოიხმარებოდაო. კაცსა ღვთისგან გაჩენილსა თვალი უნის ეშმაკისა. იმის თვალი არ გაძღებოდა — კაი ადგილებზე გაუდიოდა და შენობდა. ერთი ცხვარი კირკლით ება, მემრე გამენდა, გამენდა, ადგილები უჩვენა და გამრავლდა. მწყემსი იგეთია, აქამდე ბალახში რომ ცურავდეს ცხვარი, კიდევ ახეა უნდა. ცხვარიც ვგრეა, ხამ ბალახში რომ გაუშვა, ვერ ძღება და ისევე ჯამი უნდა. ჩოქელანთან ცხვრის ღუმები ჩამოკიდებული იყო მთელი სახლის გასწვრივ. წვეთები ჩამოდიოდა. ერთი ოთახი სავსე ჰქონდა გუდის ყველით — დასაპნული იყო. თავის მწყემსებს დაათვალიერებდა, ხურჯინით დაჰქონდა ფულები. თუ ცხვარი ყანაში გადავიდოდა, მიაყრიდა ფულებს და წავიდოდა. ერთ ალაგას, თურმე, მივიდა, ლარიბად ეცვა, ხალხმა დაეცინა. უთქვამს — რას იცინითო, დაცალეთ აქაურობა და სულ მე ვიყიდო. იმი ცხვარი რო გაივლიდა ქალაქში, გზა იკეტებოდა. რო მოკვდა, აღარაფერი ჰქონდა, მოკეთემ მოუყვანა ცხვარი — გლებმა დაუკლა“<sup>37</sup>.

ამგვარ მდგომარეობაში თითო-ოროლა თუ იყო. არც ერთი იმათგანი უკვე აღარაა თავისი ხელით მხვენელ მთესველი და ოჯახში თითო-ორი მუშახელი კაცი ჰყავთ. მაშინაც იმათ ხენა-თესვისათვის არა სცალიათ, რადგან მეცხვარეობა ისეთი დარგია, კაცი სახლისთვის ვერ მოიცლის. მეცხვარეობასაც აქვს კრიტიკული მომენტი — დოლიანობა. ამ დროს მეტი მუშახელია საჭირო. ცნობილია, რომ დღიური მუშების დაქირავება „უალრესად დამახასიათებელი ნიშანია გლეხური ბურჟუაზიისა“<sup>38</sup>. ეს ნიშანი არ აკლდათ საკვლევ რეგიონში გაუყრელ ოჯახებს, რომლებსაც ათასობით ცხვარი ჰყავდათ და „ხაზენების“ სახელითაც იხსენიებოდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ საგრძნობლად მეტი მუშახელი შინ ჰყავდათ, უფრო მეტს ქირაობდნენ, ვიდრე მიწათმოქმედი თავკაცნი, რადგან „პირუტყვის კონცენტრაცია უფრო ძლიერია, ვიდრე ნათესების კონცენტრაცია; ცხადია, შეძლებული გლეხობა მსხვილ კაპიტალისტურ ნათესებთან აერთებს კაპიტალისტურ მესაქონლეობას. მოპირდაპირე პოლუსზე ვხედავთ „გლეხებს“, რომლებიც უნდა მიეკუთვნონ ნადელის მქონე მოჯამაგირეებსა და დღიურ მუშებს, რადგან მათი არსებობის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს სამუშაო ძალის გაყიდვა... ზოგჯერ თვით მიწათმფლობელნი აძლევენ თავიანთ მოჯამაგირეებს თითო-ოროლა სულ პირუტყვს, რომ ამით მიაჯაჟონ ისინი თავიანთ მეურნეობას და დასწიონ მათი ხელუფასი“<sup>39</sup>.

საკვლევ რეგიონში და აღმოსავლეთ საქართველოს მთაში ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალის მიხედვით, „გლეხი“ ღარიბის აღმნიშვნელია: „მწყემს-მოჯამაგირედ გლეხები მოდიოდნენ, ცხვარ ვინ გაიწვდებოდა, მოჯამაგირეები ყვანდათ, მამ! მოჯამაგირედ გლეხი იმიტომ დგებოდა, რომ ცხვრისა, საქონლის ინტერესი ჰქონ-

<sup>37</sup> მთხრობელი ჯარმა ლაზარეს ძე გოდერძიშვილი, 90 წლისა, სოფ. ქვემო მალარო, 1974 წელს.

<sup>38</sup> ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 3, გამოცემა მეოთხე, სახელგამი, 1948, გვ. 110.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 84-85.





და<sup>40</sup>. „მთიულურ ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „დაგლებავა აბაგლებავა, დაბაღაბაგა“<sup>41</sup>. ამავე რეგიონში ჩაწერილ ზღაპარში „უხეირო“ მოთხრობილია, რომ გაუმაძღარი ბიჭი, სახელად „უხეირო“ ერთ მდიდარ კაცთან დადგა, პურის ჭამაზე დადგა, არაფერი ჭამაგირი არა აქვს. ამ მდიდარ კაცმა ველარ გამაიყვანა თავის ოჯახიდან, დააგლებავა ძალიან, სულ შაჰამა, რამა რამა ქონდა“<sup>42</sup>. შემდეგ ... „დაიჭირა ერთმა მონახირემ პურის ჭამაზედან კიდა. ეს ნახირი სულ დაჭამა წლამდისან, არაფერი დარჩა. წავიდა იმ კაცისგანაც, ისაც დააგლებავა სულ“<sup>43</sup>. გარდა ამისა, საყურადღებოა, რომ ზოგიერთი კახელი და ფშაველი მოთხრობელი „გლების“ ადგილზე „გლახა“-ს ამბობდა<sup>44</sup>.

შესაძლებელია „ოჯახიშვილი“ და „გლები“ ანუ ღარიბი, თანადროული, ერთი და იმავე დროის წარმონაქმნი, ერთმანეთთან დაპარისპირებული სოციალური კატეგორიის წარმომადგენელი იყვნენ. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ვ. ი. ლენინის თვალსაზრისი: „შეძლებულ გლებთა კომლების უ მ რ ა ვ ლ ე ს ო ბ ა ამა თუ იმ ფორმით სარგებლობს დაჭირავებული შრომით. შე ძ ლ ე ბ უ ლ ი გ ლ ე ხ ო ბ ი ს ა რ ს ე ბ ო ბ ი ს ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ პ ი რ ო ბ ა ს წ ა რ - მ ო ა დ გ ე ნ ს მ ო ჯ ა მ ა გ ი რ ე ე ბ ი ს ა და დ ლ ი უ რ ი მ უ შ ე ბ ი ს კ ო ნ ტ ი ნ გ ე ნ ტ ი ს გ ა ჩ ე ნ ა“<sup>45</sup>.

როგორც ვიცით, ზოგიერთ კუთხეში მწყემსი-მოჯამაგირეები გამოდიოდნენ „პატარა ოჯახებიდან“<sup>46</sup>. მსგავსი ვითარება იყო კახეთშიც. „პატარა“ ამ შემთხვევაში ოჯახის წევრთა მცირერიცხოვანებას გამოხატავს. ამავე დროს ეს ოჯახი ღარიბია და ამის გამო მისი წევრები იძულებულნი არიან, მწყემსად მიუვიდნენ „ხაზინს“<sup>47</sup>. დამჭირავებელი მწყემსს მოჯამაგირეობაში აძლევდა პირუტყვს, რაც „მოჯამაგირის წინაშე ხსნიდა ცხვრის გამრავლების მაცდუნებელ პერსპექტივას; კულაკი კი ერთდროულად ორ კურდღელს იჭერდა: ერთი მხრივ საგრძნობლად დაბლა სწევდა დაჭირავებული მუშის ხელფასს, ხოლო, მეორე მხრივ, მოჯამაგირე, რომელსაც პატრონის ფარაში თავისი ცხვარიც ეგულებოდა, გაათკეცებულ

<sup>40</sup> მოთხრობელი დათება ჭიტესას ძე ბოსტონანშვილი, 85 წლისა, სოფ. სამრეკლო (დედოფლისწყაროს რ-ნი) 1974 წ.; ბიჭური ჭრელას ძე ბადრიშვილი, ბაბა ხარციას ძე მახაური და სხვ.

<sup>41</sup> ი. გ ი გ ი ნ ე ი შ ე ვ ი ლ ი, ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, ჭართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 566.

<sup>42</sup> ი. გ ი გ ი ნ ე ი შ ე ვ ი ლ ი, ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 72.

<sup>43</sup> ი ქ ვ ე .

<sup>44</sup> ამის ამსახველია ჩვენ მიერ ჩაწერილი ლექსი: „მოჯამაგირე ღალაო, დაგვენია წალო, ხაზინებსა სთხოვ, გლახა, ფული მამეკი რალო“. მოქმელი პოლინე გიორგის ასული ლულენიშვილი, 75 წლისა, სოფ. აფენი, (ლაგოდეხის რ-ნი), 1980 წ. „გლებისა“ და „გლახის“ გენეზისის საკითხის შესახებ დაწერილებით იხ. რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში (V-XII სს) თბ., 1976; ილ. ა ბ უ ლ ა ძ ე, ძველი ქართული ლექსიკიდან, ხიმ, I, თბ., 1959, გვ. 167-175; ა. ბ ო გ - ვ ე რ ა ძ ე, ეკონომიური და სოციალური ვითარება IV-V საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში. აღრეფეოდალურ სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობათა გაბატონება, სინ, ტ. II, თბ., 1973, გვ. 153-156.

<sup>45</sup> ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 111.

<sup>46</sup> P. X ა რ ა დ ჯ ე, Грузинская семейная община, I, ი. ჭყონია, სახლიშვილობის სოციალური ბუნებისათვის, გვ. 156 და სხვ.

<sup>47</sup> შდრ. ალ. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ე ვ ი ლ ი, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარება სოფელში, გვ. 355; ბ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, ცენტრალური კავკასიის მთიელთა ალპური მესაქონლეობა, გვ. 153-155, 165-167



წერტილით შრომობდა და, ამდენად, იზრდებოდა მისი შრომის ნაყოფიერი შედეგები. პატარა ოჯახის პირობებში მემინდვრეობისა და მეცხვარეობის ერთდროული შეთანასწორება-შეთანაბრება შეუძლებელია. მევენახეობა-მემინდვრეობა, მებაღეობა-მემინდვრეობა „ერთმანეთს“ ერთმანეთს, ამათი სამუშაოები დროში ერთმანეთს არ თანხვედება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღებულ ხანაში სპეციალიზაცია, საზოგადოებრივი შრომის დანაწილება აქაც სწრაფი ტემპით ვითარდებოდა და ეს ნაშინ, როდესაც იმავე რაიონში მესაქონლეობა — ხარი და ძროხა შერწყმულია მემინდვრეობასთან<sup>49</sup>; ამ პირობებში მემინდვრეობა განმსაზღვრელია საქონლის, თუ შეიძლება ასე ითქვას, აუცილებელი რაოდენობისა და, ამდენად, მესაქონლეობა წარმოადგენს სოფლის მეურნეობის წარმოების აუცილებელ საშუალებას. მესაქონლე იგივე მხენელ-მთესველია. შრომის საზოგადოებრივ დანაწილებაში მესაქონლეობა-მემინდვრეობას გამოეყოფა სხვა დარგები, თუ არა და მას ეთანაბნება, ეგუება და ეწყობა. აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ იმის თაობაზე, თუ რა მნიშვნელობა აქვს კულტურის ისტორიისათვის აღნიშნულ გარემოებას.

ამგვარი ჯალაბი ოჯახები ერთდროული მოვლენაა — ე. ი. საზოგადოების განვითარების შემდგომ საფეხურზე, როცა ამ გზით იგი გარკვეულ ეკონომიკურ სიძლიერეს მიაღწევს, აღარ იქნება „კოოპერაციის“ აღნიშნული ფორმა სიმდიდრის აუცილებელი პირობა, შეიძლება იგი (კოოპერაცია) სხვა ფორმაში გადაიზარდოს, ანდა მისთვის პატარა ოჯახიც საკმარისი აღმოჩნდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში დათა ბაილმშვილს (ჩვენი მაგალითის მიხედვით) აღარ შეეძლებოდა ცხვრის მონაგრება და მეურნეობის გაძლოლა.

ჯალაბი ოჯახის მიერ ცხოველების მოწყობისა და შრომის განაწილება-ორგანიზაციის თვალსაზრისით ზემოთ განსხვავებული მიდგომითაც იქნა გამოკვლეული. წინასწარვე გვინდა შევნიშნოთ: მიუხედავად განსხვავებულობისა, ერთი და იგივე ერთი და იმავე საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების წარმონაქმნაა.

90 წლის ბოღბისხვევლი სიკა საბას ძე ტუხაშვილისაგან 1072 წელს ჩაწერილი მასალის მიხედვით, მისი მამა — ბიძა — სვიმონა, საბა და ივანე ერთად ცხოველობდნენ. სვიმონა მეცხვარე იყო, დიდძალი ცხვარი და „საქონი“ ჰყავდა იორზე ფურცელწყალთან, ყათარზე, გოგიჯარზე, ნატახტარზე, საბაღურზე<sup>50</sup>. ამ ადგილებში ახლაც მიუთითებენ ფაშანთ ნაბინაერებს<sup>51</sup>.

საბა ვაჭრობდა. ივანე შინაკაციც იყო და საბასაც ეხმარებოდა. სოფელში ქონდათ დუქნები, სადაც მოჯამაგირეებს ცხენებით, ურმით ყველა მხრიდან, უმე-

<sup>48</sup> გ. ბ. ო. ს. ტ. ო. ლ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., დსახ. ნაშრომი, გვ. 53.

<sup>49</sup> შტრ. ი. ბ. კ. ო. ნ. ი. ა., შრომის დანაწილების ზოგიერთი საკითხისათვის, გვ. 38-39; მისივე, ვინაშის ვინოგრაფიული ექსპედიციის ანგარიში, გვ. 188; მიხ. რ. ჩ. ე. უ. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., კახეთისა და თუშეთის მეცხოველეობის განვითარების ზოგიერთი საკითხი, წიგნში: „მასალები კახეთისა და თუშეთის სოფლის მეურნეობის შესასწავლად“, თბ., 1957, გვ. 61-62.

<sup>50</sup> ბ. ნ. ა. ო. ბ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., მექორწინეთა ქონებრივი ურთიერთობის საკითხისათვის (ქიზიყის მასალების მიხედვით), ფურნ. „ეკონომისტი“, 1979, № 9, გვ. 71.

<sup>51</sup> ბ. ნ. ა. ო. ბ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., მექორწინეთა ქონებრივი ურთიერთობის საკითხისათვის, გვ. 71; მისივე, სოქობა ყოფა აღმოსავლეთ საქართველოში (ქორწინება ქიზიყის ვინოგრაფიული მასალების მიხედვით), თბ., 1988, გვ. 41.



ტესად თბილისიდან მოჰქონდათ გასასყიდი. მიუხედავად იმისა, რომ სწინდონა უფროსი იყო, საბას გარეშე ვერაფერს აკეთებდა<sup>52</sup>, რადგან შემოსავალი სწორედ მისი ჰქონდათ. ისე დაიხოცნენ, არ გაყრილან.

ბოღბისხევის სასაფლაოზე ამოვიკითხეთ ამ ოჯახის წევრთა წლოვანება და დაბადება-გარდაცვალების თარიღები, რაც, გარდა იმისა, რომ მთხრობლისეულ მსჯელობას ადასტურებს, გვაძლევს მათი ერთად ცხოვრებისა და საქმიანობის დროის ზუსტად დადგენის შესაძლებლობას. მასალებში იმის კონკრეტული მონაცემების გვაქვს, რომ ზოგიერთი ასეთი ოჯახი ეკონომიკურად ეცემოდა და იწლებოდა — „ხმელობა დაუდგებოდა“, ხოლო ზოგიერთი ახლად იმართებოდა. „ჩაღლები ოჯახები“ ერთიმეორეს უსწრებდნენ. „ჩარხი დატრიალდა, თქვენი გადაბრუნდაო — ცხოვრებაზეა ნათქვამი“, — გადმოგვცემდნენ უხუცესი მთხრობლები. არაერთ ოჯახს მოსვლია „ხმელობა“ ნაადრევად გაყრის გამოც. ყველასათვის ცნობილია, რა მაღალია მრავალი მუშახელის ერთ ოჯახად ცხოვრების ეკონომიკური ეფექტი. ჩვენი ქვეყნის XIX ს-ის 80-იანი და შემდგომი წლების სოციალ-ეკონომიკური ვითარება ცნობილია და ჩვენთვის ნათელი უნდა იყოს ამ ოჯახის ერთიანობის საფუძველიც.

როგორც ვნახეთ, არ არსებობს არც ერთი მომენტი, რომელიც ექვს ადგილჩარავს, რომ დიდი ცხვრის პატრონი პატარა ოჯახი სოფლის ბურჟუაზიის წარმომადგენლად არ მივიჩნიოთ. დიდი ცხვრის პატრონი დიდი ოჯახი თავისი ხალხმრავლობის გამო კიდევ უფრო მეტად და ერთგულად შრომობს ცხვარსა და სოფელში, ვიდრე მწყემსი-მოჯამაგირე. მამასადამე, დიდია მეურნეობაში მისი შრომითი მონაწილეობის ხვედრითი წონა. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მდგომარეობა არ იძლევა საბუთს, ვამტკიცოთ — ამგვარი დიდი ოჯახი სოფლის ბურჟუაზიას კი არ წარმოადგენს, არამედ საოჯახო თემის „გადმონამთური ფორმააო“. ცნობილია: კაპიტალიზმის განვითარებისას, განსაკუთრებით კი მის საწყის პერიოდში, კაპიტალისტი ფიზიკურად თავგამეტებით შრომობს საკუთარ მეურნეობაში.

სათანადო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ კახეთში გოგნივილები, გოგნილავილები, მოსაშვილები, ილაშვილები, ბერიკელაშვილები, ბურნაძეები, ჩარეკაშვილები და სხვ., ალაზნისა და ივრის ველებზე, გომბორის მთებზე, ლეკი მთაში აძოვებდნენ საქონელს, სადაც საამისოდ გამოყოფილი ბინებიც ჰქონდათ<sup>53</sup>. ამ მიდამოებში სასაძოვრე ადგილებად დაედასტურეთ ტოპონიმები: „სათრეველა“, „გუთიანთ წყარო“ (ეს იყო მიჯნა ჭიმიტსა და ჩუმლაყს შორის), „რეჯახი“, „ნაბუდარი“, „ბაღჩები“, „ვირაო კორომი“, „რუსი წყარო“, „ბაცია და ნადგომი“, „ქაბრები“, „საკონდოლო“, „ხმელიანი“, „საჩაღები“ „ბლუყიან ბაგა“, „გორძელწარაფი“, „გომები“, „ძორი ტუა“, „დიდნაშე“ „მოკუნტულა“, „ვიწრო კლდე“, „ჩაღლაან გუბე“, „დიდი ჩხართვი“, „პატარა ჩხართვი“, „ბერები ნადგომი“, „თარხნი წყარო“, „ლაფნიანი“, „ნაქცევი“, „ბრუდე წყარო“ „ნავრი გუბე“, „საატურავი ფერილიპირი“, „ხევის სათავე“, „გვერდი“, „ჟუნაური“, „ნაზვაევი“, „ვიიწყალი“, „ქა-

<sup>52</sup> ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში მთხრობელს, როცა ჩაგვაწერინა ლექსი: „შემოსავალი ცხვრიდან გვაქვს, მატყლში არ უჩანს ყურები, ვერ მოგცემთ მახანდაზედა, ხალხო, ნუ დამემღვრებით“.

<sup>53</sup> P. Харадзе, დასახ ნაშრომი, გვ. 59, 61062, 65, 93, 95, 98, 103.



ლიციე“ „ნაბაზრალი“, „ჯერანხო“, „ნაური“, „ევიწყალთან“ საფლავისეურობით ქვაზე გამოსახულია ჭიქნიანი ძროხა. ჭიქანთან ჩამუხლულია მამაკაცი, რომელსაც ცალ ხელში საწველი ჭურჭელი უჭირავს, ხოლო მეორეთი წველის. ძლივს იკითხება: „მკათათვის ოცს უცნობმა მტერმა მომამორა წუთისოფელს, დამანატრა ოჯახს, სახლ-კარს, შვილივით გაზრდილ საქონელს, საქონლის ღმერთი ვიყავი, რომოცისა შევესრულდი წელს, დაგიბარებთ შენდობის თქმას, გზას მივიღივარ გრძელსა და ვრცელს“. მთხრობელთა გადმოცემით, მეძროხე ზალიკოს საქონელს ხელზე კვება ნაკლებად უნდოდა, დაუდიოდა ხრამებში. ბინა გაღმამხარში ჰქონდა საქონლისათვის, „სალეკოსთან“ ახლოს, „მარკოზაანთ კაკლებთან“. ჰყავდა მოზერები, დეკეულები, 10-12 მეწველი. მიმდინარე საუკუნის 20-იან წლებში, კოლმეურნეობები რომ არსდებოდა, პირუტყვის სულადობა შეუმცირებია. იმავე წლებში მოუკლავთ. მისი ძმა, რომელიც აგრეთვე ძროხასთან ერთად საწველით არის გამოხატული საფლავის ქვაზე, მოურავად მდგარა საგინაშვილებთან – ტყეს ყარაულობდა. ამ საქმიანობას მანამდე მამამისი დუთხა ეწეოდა. შვილი – გეგენა ყარაულობასთან ერთად საქონელსაც მწყემსავდა.

მოყვანილი მასალიდან საყურადღებოა, რომ ძმებს ტყესთან საქმე მემკვიდრეობით ჰქონიათ. ამ გარემოებამ უბიძგათ მათ მესაქონლეობისთვის მოეკიდათ ხელი, მაგრამ მათი არჩევანის განმსაზღვრელი ფაქტორი მაინც ის იყო, რომ ქვეყნად და სოფლად მიმდინარეობდა შრომის ისეთი დანაწილება, რომ ჩვეულებრივი კომლი მემინდვრობასთან ერთად ყველა სხვა საქმეს, რომელსაც ფული უნდა შემოეტანა, ვერ გასწვდებოდა. ამ მდგომარეობას მათი მამა ნაკლებად უნდა შეეუბებინა, რადგან „იმი დრო სხვა იყო“.

სამეურნეო წლის განმავლობაში მესაქონლე იძულებულია სახლს დამორდეს. ამის გამო ფუძემზე სამუშაოები ასევე მეტ-ნაკლებად ფერხდებოდა მაშინ, როდესაც კომლი მრავალმუშახელიანი არ იყო.

Б. И. НАНОБАШВИЛИ

## СКОВОДСТВО В КАХЕТИ

Резюме

Историко-этнографическое изучение скотоводства имеет Важное значение для понимания целого ряда вопросов культурно-исторического характера.

Развитию животноводства в данном районе способствовали не только природные и климатические условия, но и наличие прекрасной кормовой базы-сочных лугов и пастбищ, обширных площадей свободных земель и их территориальная близость к административным центрам. Кахети снабжала животноводческими продуктами (молоком, сыром, мясом) в основном Тбилиси.





Этнографическим исследованием Кахети выявлена взаимная обусловленность земледелия и скотоводства. Они были непосредственно связаны друг с другом: развитое земледелие нуждалось в тягловой силе и удобрении почв, а скотоводство - в обеспечении зимним запасом Кормов, в том числе и продуктами земледелия. Хотя исторически в Кахети и развивалось многоотраслевое скотоводство, однако хозяйственные и географические условия способствовали преимущественному развитию крупного рогатого скота. Глубокие эмпирические знания кахетинского населения дают возможность практически использовать вековые трудовые навыки и производственный опыт местных скотоводов.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული მუზეუმის განყოფილებამ

კვირის აზროვნება

სამართლებრივი პრაქტიკა ჩამოსახლების ისტორიიდან

პალესტინა, რომელსაც უკავია დაახლოებით 26 ათასი კვ. მ., გადაჭიმულია ლიბანის მთისწინეთის სამხრეთიდან არაბეთის უდაბნოს საზღვრამდე. დასავლეთით მას აკრავს ხმელთაშუაზღვა, აღმოსავლეთით მას ესაზღვრება სირია მესოპოტამიის სტეპი. სირიის რელიეფს, რომლის 1/3 უკავია პალესტინას, ღრმულის ფორმა აქვს, რამაც დიდი გავლენა იქონია მის პოლიტიკურ ბედზე. მდინარე იორდანე მკვეთრად მიჯნავდა ერთმანეთისაგან პალესტინის აღმოსავლეთსა და დასავლეთს, რომლის ორსავე ნაპირებიდან ამოწვერილი მთები ართულებდა ქვეყანაში შეღწევას, ასუსტებდა მხარეებს შორის კავშირს. პალესტინა და ფინიკია მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საგზაო კავშირურთიერთობებში, მაშინ როცა სახმელეთო ვაჭრობა მნიშვნელოვნად უსწრებდა საზღვაო ვაჭრობას. ამდენად, ამ ქვეყნებს, „თითქოს წინასწარ იყო განსაზღვრული, უნდა შეესრულებინათ განხეთქილების ვაშლის მაგივრობა ეგვიპტესა და მესოპოტამიას შორის“<sup>1</sup>.

აქედან გამომდინარე, ასურეთ-ბაბილონის და ეგვიპტის მმართველები განუწყვეტლივ დაეობდნენ პალესტინისათვის. ძვ. წ. 1313 მოხდა ეგვიპტისაგან ებრაელთა ერთ-ერთი დიდი გამოხსნა. ეგვიპტიდან ებრაელები (600 ათასი კაცი) გამოიყვანა მოსემ და მათვე გადასცა 10 მცნება, თორა-წმინდა წიგნი.

სახელი პალესტინა ქანაანის სამხრეთ სანაპიროზე ძვ. წ. XIII-XII ს-ში დამკვიდრებული ტომის, პელეშტის ბერძნულენოვანი ფორმაა. ქანაანელები, რომელნიც წარმოადგენდნენ პალესტინის უძველეს მოსახლეობას, იყვნენ დასავლეთსემიტური მოდგმის ტომები, რომელთაც შექმნეს თვითმყოფადი კულტურა.

ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევარში პალესტინაში იჭრებიან ებრაელი ტომები, ასევე დასავლეთსემიტური მოდგმის ხალხი, რომელნიც ქანაანელებთან შედარებით განვითარების დაბალ დონეზე იდგნენ.

ძვ. წ. XI-X ს-ში ეგვიპტის დასუსტებამ განაპირობა პალესტინის ტერიტორიაზე ცალკეულ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ჩამოყალიბება. ძვ. წ. XI ს-ში პალესტინის ყველაზე დიდი და ძლიერი სახელმწიფო იყო ისრაელის სამეფო, რომელსაც სათავეში ედგა საული. მეფე დავითმა ძვ. წ. XI ს-ში პალესტინის სამხრეთ ნაწილში ჩამოაყალიბა იუდეის სამეფო და გაერთიანებულ იუდა-ისრაელის სახელმწიფოს ჩაუდგა სათავეში. მისი მემკვიდრის „სოლომონის მეფობის წლები ისრაელის უმაღლესი ეკონომიური და პოლიტიკური აყვავების ხანა იყო, ერთადერთი პერიოდი ძლიერებისა და აყვავებისა ქვეყნის ისტორიაში“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Очерки по еврейской истории и культуры, под ред. М. Кулишер, А. Сева, Петербург., 1912. გვ. 6.

<sup>2</sup> ა. ბ ა თ შ ვ ი ლ ი, ებრაელი ხალხის ისტორიიდან, თბ., 1991, გვ. 64.



აუხდა სოლომონს იაჰვეს დანაპირები, რომ მისი სიკვდილის შემდგომ სახელმწიფო სამეფოს სხვას გადასცემდა. ამ დიდი მეფის გარდაცვალების შემდგომ სახელმწიფო ორად გაიყო: ისრაელად, დედაქალაქი სამარია და იუდეად, დედაქალაქი იერუსალიმი, რომელსაც სოლომონის მემკვიდრე რობოამი ჩაუდგა სათავეში.

ძვ. წ. 722 წელს ასურეთმა დაამხო სამარია, „დაანგრის ერთიანი, ძლიერი და ერთი ღმერთის, იაჰვეს ღრმა რწმენის სახელმწიფო“<sup>3</sup>.

ასეთივე ბედი ეწია იუდეის სამეფოსაც, VI ს-ში, ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის ლაშქრობის შედეგად. ის დიდი ნადავლით დატვირთული დაბრუნდა სამშობლოში.

სპარსეთის მეფის კიროსის მიერ ბაბილონის აღების შემდეგ ებრაელებმა (დაახლოებით 50 ათასი კაცი) მიიღეს სამშობლოში დაბრუნების უფლება და იწყეს სოლომონის ტაძრის ხელახალი შეკეთება. „საერთო მოგონება და საერთო მოლოდინი ყოველ სახელმწიფოებრიობაზე მჭიდროდ კრავდა ებრაელებს და ქმნიდა შეკავშირებულ და ერთგვაროვან ერს“<sup>4</sup>. „ქალაქი იერუსალიმი კიროსის ბრძანებით თვითმმართველ სატაძრო ქალაქად გამოცხადდა.

ძვ. წ. IV ს-ში სპარსეთთან ერთად ებრაელები ალექსანდრე მაკედონელის დაქვემდებარებაში აღმოჩნდნენ. მისი გარდაცვალების შემდგომ ებრაელები პტოლომეელთა დინასტიის გავლენის ქვეშ მოექცნენ, ხოლო ძვ. წ. II ს-ში სელევკიდურ სირიას დაემორჩილნენ. ახ. წ. I ს-ში იუდეამ დაჰკარგა დამოუკიდებლობა და იქცა რომის პროვინციად, პროკურატორით სათავეში. სწორედ ამ პერიოდში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის იოსებ მათათია (ფლავიუსი), რომელმაც შექმნა „იუდეის სიძველენი“ და შემოგვინახა ძვირფასი ცნობები ძველი ისრაელისა და ძველი იუდეის შესახებ.

ახ. წ. 70 წელს კვლავ დაეცა იერუსალიმი რომის იმპერატორ ტიტუსთან ბრძოლაში. 70 ათასი კაცი კვლავ მონად იქცა. ტაძრიდან გადარჩა მხოლოდ „დასავლეთის კედელი“, რომელიც დღესაც დგას „ვითარცა მოწმე შემადრწუნებელი ბარბაროსული აქტისა და სიმბოლო იუდეველთა უსაზღვრო ერთგულებისა თავისი რწმენის მიმართ“<sup>5</sup>.

დაიწყო ახალი პერიოდი ებრაელთა ცხოვრებაში, გაიზნენ მთელს მსოფლიოში. მათ დიასპორას „მალუთი“ ეწოდა. მათ თან წაიღეს გულში იმედი, რომ კვლავ დაბრუნდებოდნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოში. „ებრაელი ხალხი გაჭირვებით ეწეოდა თავისი უბადრუკი არსებობის ჭაპანს და არ იცოდა საით გადაკარგულიყო, რათა გადაერჩინა საკუთარი თავიცა და მასთან ერთად მოსეს რჯული“<sup>6</sup>.


ალბათ, გადარჩენის ინსტიქტმა მოიყვანა ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის მიერ (ძვ. წ. 597 წ.) დევნილი ებრაელები საქართველოში უძველეს დროს, ძვ. წ. VI ს-ში. ამ ფაქტს იხსენებს ძვ. წ. IV ს-ის ისტორიკოსი მაგოსტენი. ქარ-

<sup>3</sup> ა. ბ ა თ ო შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

<sup>4</sup> Очерки по еврейской истории и культуры გვ. 194.

<sup>5</sup> ა. ბ ა თ ო შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, 154.

<sup>6</sup> იქვე, გვ. 341.



თული წყარო კი მოგვითხრობს: „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსცა ეგვიპტის ნაიერუსალიმ და მუნით ოტებულნი ჰურიანი მოვიდეს ქართლს, მოითხოვეს მცხეთელ მამასახლისისაგან ქვეყანა ხარკითა, ხოლო მცხეთელმა მამასახლისმან მისცა და დახსნა არაგვსა ზედა წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი და რომელთა ქვეყანა აქენდათ მათ ხარკითა აწ ჰქვიან ხერკ, ხარკისა მისთვის“<sup>7</sup>.

ძვ. წ. VI ს-ის 50-იან წლებში აქემენიდურ ირანს სათავეში ჩაუდგა ენერგოული მეფე კიროს II, რომლის დროს „ირანის ზეგანზე პოლიტიკური ჰეგემონობა მიდიელებისაგან სპარსელების ხელში გადავიდა“<sup>8</sup>, მნიშვნელოვნად გაფართოვდა სპარსელთა საზღვრები. ძვ. წ. 538 წელს სპარსეთმა დაიპყრო ასურეთი, ხარკი დაადო ბერძნებს და ქართველებს. იმ ხანად ქართლში ცხოვრობდა მრავალი ერი და „ზრახებოდა ქართლსა შინა ექუს ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული, ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა“<sup>9</sup>. როგორც ჩანს, ებრაელები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქართლის ცხოვრებაში, რადგან სხვა ენებთან ერთად ამ ენის ცოდნა საჭიროდ მიიჩნდათ ქართველ მეფეებს.

1872 წელს მცხეთაში არქეოლოგმა ფრიდრიხ ბაიერნმა სამთავროსა და ბებრისციხეს შორის აღმოაჩინა საფლავის ქვა ებრაული წარწერით, რომელიც წაიკითხა დანიელ ხვოლსონმა და დაათარიდა ძვ. წ. აღ-ის IV-V სს-ით. ეს აღმოჩენა ადასტურებს საქართველოს ტერიტორიაზე ებრაელთა უძველესი დასახლებების არსებობას. 1938 წელს მცხეთის მახლობლად ნაპოვნი ებრაული წარწერა წაიკითხეს გ. წერეთელმა და არონ კრიხელმა.

ებრაელთა შესახებ ცნობები დაცულია VI ს-ის ჰაგიოგრაფიულ ნაშრომში „ეესტათი მცხეთელის მარტილობა“. „ნაწარმოებიდან ირკვევა, რომ VI ს-ის შუა წლებში, როდესაც საქართველოს სახელმწიფო რელიგია იყო ქრისტიანობა, მცხეთაში არსებობდა ებრაელთა სალოცავი, რომელიც მონახულა ეესტათი მცხეთელმა: „ჰურიათა თანაც ბაგინად (სინაგოგა) შევედი და მათსაცა მას მსახურებას ვხედვედი“<sup>10</sup>. როგორც ჩანს, საქართველოში ტოლერანტობას შორეული ფესვები აქვს.

უცნობი ავტორის ეს თხზულება იმითაც არის საინტერესო, რომ მთელს იმდროინდელ მსოფლიოში გავრცელებული აზრი ღმერთის მიერ ებრაელთა გამორჩეულობის შესახებ ცნობილი ყოფილა ქართველთათვის. „ჰურიანი გამორჩინა ღმერთმან და სათნო იყენა და მიცა მათ რჩული და მცნება დამარხვად“<sup>11</sup>.

საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა შესახებ ცნობებს გვაწვდიან XI-XII ს-ის ებრაელი მოგზაურები: ბენიამინ ტუდილელი, იეჰუდა ალ-ხარიზი.

ებრაელები საქართველოში რამდენჯერმე მოვიდნენ. ისინი ძირითადად დასახლდნენ ლაზისტანს, მცხეთას, ჯავახეთს, იმერეთს, გურიას, ქიზიყს, ქართლს

<sup>7</sup> „ქართლის ცხოვრება“, ს. ყაუხჩიშვილის რედ., თბ., 1942, გვ. 10.

<sup>8</sup> ძველი აღმოსავლეთის ისტორია, გ. მელიქიშვილის რედ., თბ., 1988, გვ. 407.

<sup>9</sup> „ქართლის ცხოვრება“, გვ. 11.

<sup>10</sup> „ქართული მწერლობა“, თბ., 1987, ტ. I, გვ. 259.

<sup>11</sup> იქვე.

5. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1993, №3-4





ე. ი. გაიფანტნენ მთელს საქართველოში. „ქართლის ცხოვრებაში“ მითითებულია, რომ როდესაც ალექსანდრე მაკედონელი საქართველოში შემოვიდა, მას აქ ურიათა დიდი რაოდენობა დახვდა. მათ შეინარჩუნეს რჯული და არც არავის შეუფიქროებია ისინი, რაზეც მიუთითებს ებრაელთა ამგვარი განსახლება საქართველოში.

ახ. წ. I ს-ში, როცა იშვა იესო, ქართლში მეფობდა ადრეკი. ქართული საისტორიო ტრადიციის მიხედვით ქართლში მოსულმა „მოციქულმა ჰურიათა“ მცხეთელი ებრაელები მიიწვია ქრისტეს გასამართლებამზე და „წარვიდეს აქათ ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი მუნ დახუდეს ჭუარცმასა უფლისასა და მათ მიიღეს მუნით კუართი უფლისა“<sup>12</sup>. ელიოზმა მცხეთაში ჩამოიტანა მაცხოვრის კვართი, რომელიც ჩაიკრა მისმა დამ, სიღონიამ და განუტევა სული. ქალის საფულავზე ამოვიდა ხე, რომელიც გამოიყენეს ქრისტიანული ტაძრის ასაგებად და უწოდეს სვეტიცხოველი.

ადრეკის მეფობაშივე მოვიდნენ თორმეტი წმინდა მოციქულთაგანი ანდრია და სვიმეონი აფხაზეთსა და ეგრისში, ქრისტეს სჯულის საქადაგებლად. ანდრიამ მოაქცია ეგრისელნი და გადავიდა კლარჯეთს, სვიმეონი აღესრულა ქ. ნიკოფსისას, ბერძენთა საზღვართან.

ებრაელთა მეორე ნაკადი საქართველოში შემოდის ახ. წ. I ს-ში ადრეკის ძეთა ბარტამისა და ქართამის დროს, როცა „რომის კეისარმან (ტიტუს ვესპასიანე) წარმოტყუენა იერუსალიმი და მუნ ოტებულნი ურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდნენ ძელთავე ურიათა თანა და ერთნეს შვილნი ბარაბასნი, რომელნი ჯერ არცმასა უფლისასა განუტევეს ურიათა უფლისა ჩვენისა იესოს წილ“<sup>13</sup>.

როგორც კ. კეკელიძე, ზ. კიკნაძე და სხვა მკვლევარები მიუთითებენ პირველი ქრისტიანები სწორედ ებრაელები იყვნენ და სწორედ მათ წრეში იპოვა დასაყრდენი ქართლის გასაქრისტიანებლად მოსულმა ნინო კაპადოკიელმა.

ჯავახეთის მხრიდან ქართლში მოსული წმინდა ნინო დაბინავდა ქ. ურბნისში. „შევიდა უბანსა ურიათასა ენისათუის ებრაულისა“<sup>14</sup>, სადაც დაჰყო ერთი თვე. წმინდა ნინომ ქრისტეს რჯულზე პირველნი სწორედ ებრაელები მოაქცია: მღვდელი აბიათარი, მისი ქალიშვილი სიღონია და „ექუსნი დედანი სხუანი ურიანი“<sup>15</sup>. ისინი, ალბათ, მანამდეც იცნობდნენ ქრისტეს მოძღვრებას, რამეთუ ქართველ ებრაელებს არასოდეს გაუწყვეტიათ კავშირი იერუსალიმთან, „იერუსალიმის მაჯისცემის ყოველი დარტყმა ვიბრირებდა მცხეთაში“<sup>16</sup> — წერდა ქართველი სასულიერო პირი, შემდგომში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კირიონ II.

ებრაელთა გადმოსახლება საქართველოში გააზრებულად მიმდინარეობდა. მათ ახლდათ ყველა დარგის წარმომადგენლები: სასულიერო პირნი, მწიგნობარნი, მასწავლებლები, მკურნალნი. ჩანს, გადმოსახლებამდეც იცნობდნენ საქართველოს,


<sup>12</sup> „ქართლის ცხოვრება“ გვ. 36.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 27.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 54.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 58.

<sup>16</sup> ქ. აჭიაშვილი, გამოიღვიძე ქნარო, თბ., 1992, გვ. 25.



მის პირობებს, ხალხს. საქართველოში ხშირად ჩამოდიოდნენ ებრაელები, კულტურის მსახურები, „შალიახები“, რომელთაც ჩამოჰქონდათ ბიბლიური რახელის სახელის მითითებით — „სალეთო მიწა“ და თვისტომში ჰყიდდნენ, რამეთუ მათი რწმენით საფლავში მისი ჩატანება მესიის მოსვლამდე ანუ მკვდრეთით აღდგომამდე გვამს გაუხრწნელად შეინახავდა. ამ რიტუალმა თავი იჩინა ჩვენს დროშიც, როცა საქართველოდან ისრაელში მიმავალ ებრაელებს თან მიაქვთ ქართული მიწა.

რაც შეეხება კავკასიის მთიანეთს, აქ ებრაელთა გადმოსახლების შესახებ წერილობითი წყაროები არ გაგვაჩნია. ჩრდილო კავკასიაში მოსახლე ებრაელები, წინაპართა გადმოცემის თანახმად, თავს თვლიან იმ ებრაელთა შთამომავლებად, რომელნიც ბაბილონის მეფემ აშყარა პალესტინიდან და დაასახლა მიდიაში, რომელთაც მონაწილეობა არ მიუღიათ იესოს სიკვდილში (ან ჯვარცმში). სპარსეთის ებრაელთა ნაწილმა მიიღო მათი წარმართული რელიგია, ნაწილში კი გავრცელდა მოსეს მოძღვრება. ამის გამოა, რომ კავკასიელ ებრაელთა ენა ენათესავება სპარსულს, თურქულს, ოსურ და სხვა ენებს. და მათში დარჩა კერპთაყვანისმცემლობის ზოგიერთი გამოვლინება. შუა საუკუნეებში არაბობის დროს ბევრმა ებრაელმა მიიღო მუსლიმანობა, ხოლო ნაწილი დარჩა ერთგული მოსეს რჯულისა, რომელთაც შემდგომ ეწოდათ მთის ებრაელები.

„ამ დიდი გარდატეხის ეპოქის (ახ. წ. აღ-ით I საუკუნე — ქ. ა.) შემდგომ საქართველოს ისტორიაში ქართველ ებრაელთა კვალი თითქმის აღარსად ჩანს“<sup>17</sup> წერს გრიგოლ აბაშიძე. მაგრამ ლეჩხუმში, ლაილაში სინაგოგაში, აღმოჩნდა XI-XII ს-ის ხელნაწერი „მოსეს ხუთწიგნეულისა“. ამ პერიოდში საქართველო პოლიტიკურად და ეკონომიურად ძალზედ დაწინაურებულია და ქართველი ებრაელები, ჩანს, მხარს უზამდნენ საერთო კულტურულ აღმავლობას. მიკვლეულ იქნა 1207 — 1208 წლებში ძველებრაულ ენაზე შესრულებული ორი ტრაქტატი. ამის შემდეგ ქართველ ებრაელთა შესახებ ისტორია დუმს. შესაძლოა ეს განპირობა ებრაელთა ცხოვრების წესმა, რომელნიც განერიდნენ ყველაფერს და არსებობდნენ მხოლოდ მესიის მოლოდინით.

ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობა აგებული იყო პატივისცემასა და სიყვარულზე. „ქართველებს ჩვეულებათ ჰქონდათ, რომ ვინც კი მათ ქვეყანას მიეკვდებოდა და დასახლდებოდა, იმას იგინი მამინ მეტის თავაზითა და პატივისცემით უმზერდნენ“<sup>18</sup>.

გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის ბაგრატ III-დან მოყოლებული ვიდრე XVIII ს-ის დასასრულამდე „საქართველოს ყველა მეფე ბაგრატიონთა ან როგორც ძველად უწოდებდნენ, ბაგრატიონთა სახლის შვილი იყო“<sup>19</sup>. როგორც ჩანს, შუა საუკუნეებში საქართველოში კარგად იცოდნენ რა გაერცვლებული მოსაზრება ებრაელთა შესახებ, შეეცადნენ ბაგრატიონთა გენიალოგია დაეკავშირებინათ ბიბლიის პერსონაჟებთან. სუმბატ დავითის ძის ნაშრომის „ცხოვრება და უწყება ბაგრატიონთას“ მიხედვით, ქართველი მეფეები თავს თვლიდნენ

<sup>17</sup> ჯ. აჭიაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

<sup>18</sup> ზ. ჭიჭინაძე, ქართველი ებრაელები საქართველოში, თბ., 1904, გვ. 21.

<sup>19</sup> ა. გრიგოლია, რას მოგვიტხრობს ქართლის ცხოვრება, თბ., 1971, გვ. 129.



ეთნარქებისა და მეფეების აბრაამის, იაკობის, ნოეს, იესეს, დაუნთის, სოლომონის შთამომავლად. როგორც ცნობილია, ბაგრატიონები თავიანთი ოფიციალური ტიტულატურაში „იესიან-დავითიან-სოლომონიანებად“ იწოდებოდნენ.

ასეთ პირობებში, როდესაც ქართველი მეფეები იდეოლოგიურად ასაბუთებდნენ თავიანთ წარმომავლობას ბიბლიური პერსონაჟებიდან, ხოლო სამეფო გვირგვინის წარმოშობას ძველ ებრაელ მეფეთა სახელებს უკავშირებდნენ, ცხადია, მათ ქვეყანაში ადგილი არ ექნებოდა ებრაელი ხალხის დევნას და ფიზიკურ განადგურებას.

ქართველი ებრაელი ისევე შეთვისებული იყო საქართველოს მიწას, როგორც თვით ქართველი, რადგანაც „ქართველი ებრაელები ცხოვრების მხრით, როგორც ქართველ მამასალისარის გამგეობის დროს, ისევე ერთმეფობის დროსაც სრულის დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ“<sup>20</sup>, ეს მაშინ როდესაც მთელი შუასაუკუნეების მანძილზე ებრაელები იღვევებოდნენ როგორც აღმოსავლეთის, ისე დასავლეთის მთელი რიგი ქვეყნებიდან. შუა საუკუნეების ეპოქა ძალზე რთული იყო ებრაელი ხალხის ცხოვრებაში. მიუხედავად ისტორიული წყაროებით მრავალგზის დადასტურებული ძარცვა-შევიწროებისა, მათ მაინც შეინარჩუნეს თავიანთი რელიგიური შეხედულებანი და თვითმყოფადობა. „ებრაელთა ერმა არა თუ გადააბიჯა შუა საუკუნეების ზღურბლს, არამედ თან მოიტანა ორიათასწლოვანი ისტორია, საკუთარი კულტურა, განაგრძო მდიდარი სულიერი მემკვიდრეობის განვითარება და ამ ეტაპზე შექმნა და დაამკვიდრა საკუთარი ისტორია“<sup>21</sup>.

ქართველ ებრაელებს მუდმივი კავშირი ჰქონდათ „ჟრიასტანის“ ებრაელებთან, ამიტომაც იქიდან ხშირად მოდიოდნენ მოგზაურნი, მღვდელმთავარნი, სწავლული რაბინნი. XII ს-ის მოგზაური რაბინი აბრამ ბენდიორი მოგვითხრობს საქართველოში ებრაელთა დიდ რაოდენობაზე, რომელთაც ებრაული სახელები დაურქმევიათ თავიანთი ქალაქისა და დაბისათვის.

შუა საუკუნეებში საქართველოს ებრაელი მოსახლეობა ორგანულად იყო ჩართული ქართულ ფეოდალურ ურთიერთობებში. ქართული წყაროებიდან არა ჩანს, რომ სოციალურ სტრუქტურაში მიწათმოქმედ ებრაელებს ქართველებისგან განსხვავებული სტატუსი ჰქონოდათ. ებრაელებს შორისაც იყვნენ როგორც სამეფოსახასო, ასევე საეკლესიო-სამონასტრო ყმები. გვიანი შუასაუკუნეების პერიოდში ქართველი გლეხების მსგავსად ჩნდებიან ქართველ თავადებზე დამოკიდებული ებრაელი ყმა-გლეხები.

XVII ს-ში ქართველი ებრაელები საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში სახლდებიან, რაზეც ცნობებს გვაწვდის ვახუშტი ბატონიშვილი. მისი გადმოცემით იმდროინდელი საქართველოს მთელ რიგ ადგილებში: ატენში, მძორეთში, ცხინვალში, თამარაშენში, ბრეთაში, მუხაურში, სურამში, ალში, ახალდაბაში, ქუთაისში, საჩხერეში, ხოტევეში, ონში, ოზურგეთში, აწყვერში, ახალციხეში, გოკიაში, ჯავახეთში, ბარალეთში, ბორჯომის ხევიში, ქალა-ტყევი (ზორე-

<sup>20</sup> ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

<sup>21</sup> ა. ბათოშვილი, დასახ. ნაშრომი, თბ., 1991, გვ. 192.

თის ხეობა), ჩიხორში არსებობდა ებრაელთა საკმაოდ მრავალრიცხოვანი დასახლებები.

XIX ს-ში ზემოთ ჩამოთვლილ ტერიტორიათა გარდა ზ. ჭიჭინაძე მოუთხოვს ებრაელთა შემდეგ დასახლებებს: თბილისი, ძეგამი, მუხრანი, ქარელი, კულში, ზეკარი, მანგლისი. მათი დიდი უმრავლესობა ამ ადგილებში დასახლებული იყო XVIII-XIX სს-ში და ისინი უპირატესად სავაჭრო საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი.

XIX ს-სათვის საქართველოში ჩნდებიან ქალდეველი ებრაელები, რომელნიც სწავლობდნენ ქართულ ენას და ნათესაურ კონტაქტებში შედიან ქართველ ებრაელებთან. ურუმისა და ნინევიის ქალდეველთა ებრაელები საქართველოშიც მისდევდნენ ტრადიციულ სავაჭრო საქმეს (ძირითადად ჰყიდდნენ ძვირფასეულობას). მათ შეითვისეს ქართული ენა და ქართული ყოფა-ცხოვრება.

როგორც სათანადო ლიტერატურიდან ირკვევა XIX ს-ის საქართველოში ცხოვრობდნენ სპარსეთის და ევროპელ ებრაელთა წვრილ-წვრილი თემები, რომლებიც კავკასიაში რუსული ადმინისტრაციის დამკვიდრების შემდეგ გავრცელებულან.

საქართველოში სპარსეთის ებრაელები მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ. ისინი საუბრობდნენ და იცვამდნენ სპარსულად. თავს ირჩენდნენ იარების მკურნალობით.

ლეკეთის ებრაელები არიან საქართველოდან გადასახლებულნი, სადაც დიდხანს შეინარჩუნეს ქართული ენა და ტანსაცმელი. ისინი ძირითადად მისდევდნენ ვაჭრობას.

ევროპელი ებრაელები ძირითადად გერმანული კილო-კავით საუბრობდნენ. მათი რიცხვი საქართველოში გამრავლდა XIX ს-ის დასაწყისიდან. მისდევდნენ ისინი მესაათეობას, ოქრომჭედლობას, ვაჭრობას, იცოდნენ ქართული ენა. მათში, სხვა კუთხის ებრაელთაგან განსხვავებით განათლებულთა რიცხვი მეტი იყო. ძირითადად ისინი ცხოვრობდნენ თბილისში, სადაც ფლობდნენ ქარხნებსა და მაღაზიებს, ატარებდნენ მუსიკის გაკვეთილებს. ამასთან თბილისი, როგორც კავკასიის ადმინისტრაციული ცენტრი საჭიროებდა ხელოსნობის სხვადასხვა დარგების განვითარებას, რაშიც დაწინაურებულნი იყვნენ ებრაელები.

ამასთან, მასიურ გადმოსახლებას საქართველოსკენ განაპირობებდა მათ მიმართ ქართველი ხალხის კეთილი განწყობაც.

უნდა აღინიშნოს, რომ XIX ს-ის 30-იან წლებამდე თბილისში ებრაელები მცირერიცხოვანი იყვნენ. ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ არც ერთი მოგზაური, რომელმაც მოინახულა თბილისი არ მოიხსენიებს მათ. აქედან გამომდინარე, მათი როლი ქალაქის ეკონომიკაშიც უმნიშვნელო იყო<sup>22</sup>.

XIX ს-ის მეორე ნახევრიდან კი თბილისის ებრაელთა რიცხვი რამდენაღმე მატულობს ევროპიდან გადმოსახლებულთა ხარჯზე.

XIX ს-ის მეორე ნახევარში „ბატონყმობის გადავარდნისა და კაპიტალისტურ ურთიერთობათა განმტკიცების ხანაში, ქართველ ებრაელთა კომპაქტურმა მასამ

<sup>22</sup> ამას ამტკიცებს XIX ს-ის მოღვაწე პლატონ ზუბოვის, გერმანელი მოგზაურის ბოდენშტედტის ცნობები.





დაბა სოფლებიდან სამრეწველო ცენტრებისაკენ იწყო გადაადგილება. ამასთან აღსანიშნავია ნ. ელიაშვილის მოსაზრება, რომ იყო ებრაელთა მიგრაცია აღმოსავლეთ საქართველოდან დასავლეთ საქართველოში, რადგანაც „აღმოსავლეთ საქართველოს (ქართლის) მემამულენი იყვნენ უფრო შეუბრალებელნი, დესპოტნი თავის ყმა-გლეხებთან ურთიერთობაში“<sup>24</sup>.

XIX ს-ის 20-იან წლებში ქუთაისში 1600 მცხოვრებიდან 800 იყო ებრაელი, რომელთა რიცხვი II ნახევარში კიდევ უფრო გაიზარდა<sup>25</sup>.

ებრაელთა დიდი ნაწილის თავმოყრას ვაჭრობაში განაპირობებდა სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორი (უმიწოდ, უსახსროდ დარჩენა) და არა ეროვნული მიდრეკილებანი, როგორც ეს ზოგიერთს მიაჩნია – მიუთითებს იცხაკ დავითი თავის წიგნში „ებრაელთა ისტორია კავკასიაში“.

1870-72 წლებში საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მიერ შეგროვებული მასალების მიხედვით, საქართველოში ცხოვრობდა ქართველ ებრაელთა 2 020 ოჯახი, დაახლოებით 13 120 სული.

XIX ს-ის 70-იან წლებში (ისევე როგორც წინა წლებში) ქართველი ებრაელების რაოდენობა თბილისში მცირეა. ამის მიზეზად საქართველოში მოგზაურ ჯეიმს ბრაისს მიაჩნია სომხები, „რომელნიც არ უტოვებდნენ მათ (ებრაელებს – ქ. ა.) არსებობის სივრცეს“<sup>26</sup>.

1897 წელს რუსეთის იმპერიაში ჩატარებული აღწერით თბილისში ცხოვრობდა 159 590 კაცი, აქედან 2935 ებრაელი<sup>27</sup>.

XX ს-ის დასაწყისში, იცხაკ დავითის ცნობით, რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე ცხოვრობდა 3 333 367 ებრაელი, აქედან სომხეთში 3787, აზერბაიჯანში 25 000, საქართველოში 25 000, თუმცა ამ 25 000-დან რამდენი იყო ქართველი ებრაელი უცნობია.

საინტერესო ცნობებს გვაწვდის ამ პერიოდის თბილისის მოსახლეობის შესახებ შ. კაკურია წიგნში „ქ. თბილისის მოსახლეობა 1803 – 1970 წლებში“. ამ ნაშრომის მიხედვით 1922 წლისათვის თბილისში ცხოვრობდა 233 958 კაცი (ჯარის გამოკლებით), აქედან 8768 ებრაელი<sup>29</sup>. 1926 წლის აღწერით კი თბილისში ცხოვრობდა 294 044 კაცი, აქედან 8962 ებრაელი<sup>30</sup>. ამ დროისათვის, წინა წლებისაგან განსხვავებით, თბილისის ქართველობა პროცენტულად აღემატებოდა სომეხთა რაოდენობას. ამის მიზეზი მრავალი იყო. თბილისის უნივერსიტეტის დაარსებამ გამოიწვია დასავლეთ საქართველოდან ინტელიგენციის დენა დედაქალაქში, თბილისში იხსნება სხვადასხვა სპეციალობის სასწავლებელი, რომელთა კურსდამთავრებულებსაც საჭიროებს ახალი ად-

<sup>23</sup> ე. მამისთვალიშვილი, ქურჩიშვილი – საქართველოს ებრაელთა ისტორიულ ეთნოგრაფიული მუზეუმის შრომები, თბ., 1958, გვ. 12.

<sup>24</sup> И ц х а к Д а в и д, История евреев на Кавказе. Т I, გვ. 183.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 416.

<sup>27</sup> შ. კაკურია. „ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წლებში“, თბ., 1979, გვ. 42.

<sup>29</sup> შ. კაკურია, ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წლებში, თბ., 1979, გვ. 69.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 91.



მინისტრაცია. ესეც იწვევდა თბილისისაკენ საქართველოს მოსახლეობის სწრაფვას.

1930 წელს თბილისის 310 100 მოსახლიდან 9373 იყო ებრაელი. 1939 წლისათვის მათი რიცხვი 13 915-მდე გაიზარდა, რომლის დიდი ნაწილი ცხოვრობდა კიროვის რაიონში (ახლანდელი კრწანისის რაიონი)<sup>31</sup>.

როგორც აღენიშნეთ, 1870-72 წლებში საქართველოში ცხოვრობდა 13 120 ქართველი ებრაელი. 70 წელიწადში, 1939 წლისათვის კი მარტო თბილისში ცხოვრობდა 13 915 ებრაელი (მასში შედის ქართველ ებრაელებთან ერთად მოსული ებრაელიც). ე. ი. მარტივად რომ ვთქვათ ებრაელებს საქართველოში ეცხოვრებოდნენ და თანაც კარგად, თუმცა ეს კარგად ცხოვრება არ გამოირიცხავდა ებრაელთა შორის სოციალურ-ეკონომიური უთანასწორობის არსებობას, რაც თვით ქართველთა ყოფისათვისაც იყო დამახასიათებელი.

სიყვარულზე, პატივისცემაზე, ურთიერთგაგებაზე და ურთიერთის მოფრთხილებაზე იყო აგებული ქართველთა და ებრაელთა ურთიერთობა. იერუსალიმი ქართველთათვის რაღაც წმინდას და სანუკვარს უკავშირდებოდა, აქ ეგულებოდა მაცხოვრის საფლავი, აქეთ ილტვოდნენ ქართველი მეფე-დიდებულები, აქ აწენებდნენ ეკლესია-მონასტრებს, ლეგენდის მიხედვით აქ აღესრულა დიდი შოთაც, ფრანგი რაინდის გიიომ დე-ბუას ცნობით, ლაშა გიორგის იერუსალიმს გადაუსვენებია დედოფალ თამარის ნეშტი.

ქართველთა და ქართველ ებრაელთა ურთიერთობანი თვალში საცემი იყო საქართველოში ჩამოსულთათვის. ისინი საქართველოს ებრაელებს მოიხსენიებდნენ ტერმინით „ქართველი ებრაელი“. ჩამოსულნი ხვდებოდნენ, რომ ეს არ იყო მარტო ტერმინი. ისინი ხედავდნენ, რომ ქართული ენა იყო გამაერთიანებელი და თანაბრად ძვირფასი ორსავე ხალხისათვის, როგორც მათ შორის საურთიერთო (საკომუნიკაციო) საშუალება, რომ ამ ტერმინში იღო ქართველთა და ებრაელთა ისტორიის, ადათ-წესების, ფსიქიკის ნაწილობრივი ერთობა, გამომუშავებული 2600 წლის ისტორიული თანაცხოვრებით.

К. К. АБУЛАДЗЕ

## ИЗ ИСТОРИИ ПЕРЕСЕЛЕНИЯ ЕВРЕЕВ В ГРУЗИЮ

Резюме

По данным „Картлис цховреба“, евреи переселились в Грузию и попросили убежища у Мцхетского мамасахлиси во времена царя Навуходносора в VI веке до нашей эры. Археологические раскопки на территории Мцхета подтверждают наличие здесь еврейского населения.

<sup>31</sup> შ. კაკური, ქ. თბილისის მოსახლეობა 1803-1970 წლებში, თბ., 1979, გვ. 109.



საქართველოს  
საქართველოს

Второй поток эврейского населения поступил в нашу эру, когда Римский император Веспасиан разорил Иерусалим.

В XVIII-XIX вв. еврейские поселения появляются почти по всей территории Грузии.

Со времен утверждения русской администрации в Грузии появляются также евреи европейского происхождения.

К началу XX века в Грузии проживало до 25000 евреев.

За 1922-1939 гг. количество евреев в Тбилиси возросло с 8768 до 13915 человек.

Быстрый рост еврейского населения в Грузии свидетельствует о мирном сожительстве евреев и грузин, об их взаимной любви и уважении.

წარმოადგინა სულხან-საბა ორბელიანის სახ. პედაგოგიური უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრამ

## 6. ჩანტლაჰი

### მხიობარ გოუმის ტრაქტატი „ქართველთაშვის“ რობორც ისტორიული წყარო

(XII-XIII ს-ის მიჯნაზე სომეხ-ქართველთა ურთიერთობის შესწავლისათვის)

XII-XIII სს-ის მიჯნა საქართველოს აღზევების ხანაა. იგი მახლობელი აღმოსავლეთის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოა და მეტად აქტიურ სახელმწიფო პოლიტიკას ახორციელებს. საქართველო აფართოებს თავის საზღვრებს, მატულობს მისი ყმადნაფიცი ქვეყნების რიცხვი, მთელი რიგი ტერიტორიები კი უშუალოდ შედის მის შემადგენლობაში. ამ უკანასკნელთ შორისაა სომხეთის დიდი ნაწილი, საიდანაც ქართველებმა სისხლისმღვრელი ომების შედეგად განდევნეს მამადაინი დამპყრობლები. საინტერესოა, რა ურთიერთობები დამყარდა ამის შემდეგ სომხურ მოსახლეობასა და საქართველოს სახელმწიფოს შორის.

ქართულ და სომხურ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი მოსაზრებაა. სომეხ ისტორიკოსთა ერთი ნაწილი თვლის, რომ თამარის მეფობის ხანაში, სომხეთში მხარგრძელების მმართველობისას, მოხდა სომხეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენა საქართველოს პროტექტორატით, რასაც მოჰყვა ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული აყვავება და საქართველო-სომხეთის ურთიერთდამოკიდებულება დაჰყავთ „მხარგრძელების სომხეთისა“ და საქართველოს განსაკუთრებით მჭიდრო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სამხედრო და კულტურულ ურთიერთობამდე. ასე მაგალითად, ლ. ბაბაიანი წერს: „ეთიქმის ასეთივე (საუბარია საქართველოს სამეფოში არსებულ ადმინისტრაციულ-პოლიტიკურ წყობაზე) ადმინისტრაციულ-პოლიტიკური სტრუქტურა არსებობდა ზაქარიდების ავტონომიურ სამთავროში, შუა საუკუნეების სომხურ ფეოდალურ სახელმწიფოში, რადგანაც თავისი არსით ის იყო სწორედ სახელმწიფო, სამოყალიბებელი ფეოდალური იერარქიით, რომელსაც სათავეში ედგნენ ქართული სახელმწიფოს ვასალები — ზაქარია და ივანე მხარგრძელები“<sup>1</sup>. ხ. თოროსიანი ასე ახასიათებს XII ს-ის მიწურულის სომხეთს: „სეღჩუკთა წინააღმდეგ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში მიღწეული წარმატების კვალად სომეხ ხალხს და ზაქარიანებს უჩნდებათ ბუნებრივი მისწრაფება ტერიტორიული გამოყოფისა და სახელმწიფოებრიობის აღდგენისაკენ. დამოუკიდებლობის დასაწყისის თარიღის დასახელება კი შეიძლება, — 1185 წ. ამ წელს თამარ მეფემ სარგის ზაქა-

<sup>1</sup> Л. Бабаян, Социально-экономическая и политическая история Армении в XIII-XIV веках, М., 1969 г. 31.





საქართველოს  
ისტორიის ცენტრი

რიანს „უბოძა ლორე სათავადო და სამთავრო სომხეთისა შინაგარეულნი ცხოვრება, გვ. 33)“<sup>2</sup> ს. პოლოსიანი კი თავის „სომეხი ხალხის ისტორიაში“<sup>3</sup> „ამგვარად, განთავისუფლებულ სომხურ მიწებზე შეიქმნა დამოუკიდებელი სომხური სამთავრო ზაქარიანების მეთაურობით, თუმცა ეს სამთავრო შედიოდა ქართული სამეფოს შემადგენლობაში და შეადგენდა მის ნაწილს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ზაქარიანების სამთავრო წარმოადგენდა ვასალურ სამთავროს ქართულ სახელმწიფოს, როგორც სიუზერენის, პროტექტორატის ქვეშ“<sup>3</sup>.

სომხურ ისტორიოგრაფიაში განსხვავებული თვალსაზრისიც არსებობს, რომლის მიხედვითაც, სომხეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საქართველოს სამეფოს ნაწილს შეადგენდა, ხოლო მისი მმართველები — ზაქარია და ივანე მხარგრძელები, საქართველოს სამეფო კარის მოხელეები იყვნენ<sup>4</sup>.

ქართველი ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ სომხეთი (მისი ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი) შედიოდა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში და არავითარი პოლიტიკური დამოუკიდებლობა, თუ „ვასალური სტატუსი“ არ გააჩნდა; მხარგრძელები კი, იმისდა მიუხედავად, რომ, მართლაც, ამ ტერიტორიების მმართველები იყვნენ და საქართველოს სამეფოში საკმაოდ ფართო უფლებებით სარგებლობდნენ, თავიანთ სამფლობელოებში მთლიანად ქართული კურსის განმახორციელებლად გვევლინებიან. ს. ჯანაშიას დასკვნით, მხარგრძელები თავიანთი ეროვნული თვითშეგნებით და კულტურით სრულიად არ განსხვავდებოდნენ სხვა დიდგვარიანი ქართველი აზნაურებისაგან. მათი მამული ჩვეულებრივი ფეოდალური სამფლობელო იყო, რომელიც მათ ფეოდალური სამსახურის პირობით საქართველოს მეფეებისგან ჰქონდათ მიღებული“<sup>5</sup>.

შ. მესხიას თქმით კი, „საგვარეულოს, როგორი წარმოშობისაც არ უნდა იყოს ის, რომლის სახელმწიფოებრივ, სამწიგნობრო და საეკლესიო ენად ქართული ენა იქცა, და რომელიც, დაწინაურების დროიდან, ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობის ინტერესების მიხედვით მოქმედებდა, მისი შენების საქმეს ემსახურებოდა და, ამდენად, მთლიანად ეკუთვნოდა ქართულ ფეოდალურ სამყაროს, სხვა რა შეიძლება ეწოდოს, თუ არა ქართული ფეოდალური საგვარეულო“<sup>6</sup>.

ვფიქრობთ ამ პრობლემის შესასწავლად საინტერესო იქნება XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე ცნობილი საეკლესიო მოღვაწის და ლიტერატორის, მხითარ გომის მიერ შეთხზული ტრაქტატი „ქართველთათვის“<sup>7</sup>, რომელშიც ავტორი ეხება სომეხ-ქართველთა ურთიერთობებში სარწმუნოებრივ ნიადაგზე წამოჭრილ უთან-

<sup>2</sup> Х. Торосян, Суд и процесс в Армении X-XIII вв., Ер., 1985, гв. 22.

<sup>3</sup> ს. პოლოსიანი, სომხეთი განვითარებული ფეოდალიზმის ეპოქაში IX-XIII სს., ერევანი, 1958, გვ. 165 (სომხ. ენაზე).

<sup>4</sup> Б. М. Арутюнян, Армянский судебник Мхигара Гоша // Вступительная статья, Ер., 1954, гв XI, XXXIV.

<sup>5</sup> С. Джанашия, Об одном примере искажения исторической правды, Тб., 1947, гв. 46.

<sup>6</sup> შ. მესხია, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XIII ს-ის საქართველოში, თბ., 1979, გვ. 275.

<sup>7</sup> ეპისტოლე მხითარ ვარდაპეტისა, რომელსაც გომს უწოდებენ // არარატი, ვლარმაპატი, 1900, გვ. 497.

მოიბას, რაც უშუალოდ იყო დაკავშირებული იმ პერიოდში საქართველოში  
ლიტერატურულ მისწრაფებებთან.

მხითარ გოშის ტრაქტატი „ქართველთათვის“ არის მიმართვა ზაქარია და ივანე  
მხარგრძელებისა და ქართველი საეკლესიო მოღვაწეებისადმი. ამ ეპისტოლეს მი-  
ზნა აჩვენოს სომეხი ხალხის ქვემარტი მრწამსი, დაიცვას სომეხთა სარწმუნო-  
ბა ცილისწამებისა და გმობისაგან და განმარტოს, თუ რატომ არის შეუძლებელ-  
ი ქართველებისა და სომეხების გაერთიანება (იგულისხმება სარწმუნოებრივი).

ვრცელ შესავალში მხითარი მიმართავს ზაქარია და ივანე მხარგრძელებს, ყუ-  
ლად იღონ მისი მონათბრობი; იმავეს სთხოვს ქართველთა კათალიკოსს, ეპისკო-  
პოსებს, მონაზვნებს და საერთოდ მთელ საეკლესიო სამსოს. ამის შემდეგ მხითარ  
განიხილავს პირველ ოთხ მსოფლიო საეკლესიო კრებას, რომელთაგან სამს —  
ნიკეის, კონსტანტინოპოლის, ეფესოს კრებებს, იგი, როგორც სომეხი მონოფი-  
ზატი იზიარებს, ხოლო მეოთხეს, ქალკედონის „ბოროტ“ კრებას უარყოფს. შემ-  
დეგ ის საუბრობს იმ ადგილობრივ კრებათა შესახებ, რომლებიც სომხეთში გაი-  
მართა, დაწყებული ვლარაშაპატის და დამთავრებული მანაზკერტის კრებით, და  
იძლევა სომეხი კათალიკოსების სიას ნერსე II-დან იოანე ოძუნელამდე. მოკლედ  
აქვს გადმოცემული, აგრეთვე, ქართველთა და სომეხთა საეკლესიო განხეთქილე-  
ბის ისტორია. სომეხთა გასამართლებლად, რომ მათ უარყოფს ქალკედონის კრე-  
ბას, ის ჩამოთვლის სხვა ქვეყნებსაც, რომლებმაც ასევე არ მიიღეს IV მსოფლიო  
კრების მრწამსი. მხითარ გოში დაწვრილებით საუბრობს იმ საწესო განსხვავე-  
ლებზე, რომლებიც არსებობს ქართულ, ბერძნულ, სომხურ, თუ სირიულ ეკლესი-  
ის შორის. განსაკუთრებით გამოყოფს იმ ფაქტს, რომ კაცობრიობის ისტორია-  
ში ყოველი რელიგიის შიგნით, იქნებოდა ეს ქრისტიანული, მაჰმადიანური, თუ  
სხვა, აუცილებლად იყო განსხვავებული მიმდინარეობანი და ამით ცდილობს და-  
ამტკიცოს, რომ სომეხთა განსხვავებულობა კანონზომიერია და შეუძლებელია მათი  
შეერთება ქართველებთან, ბერძნებთან, ან რომელიმე სხვა ქრისტიანულ ეკლესი-  
ასთან. ყოველივე ამის შემდეგ იგი იძლევა თავისი სარწმუნოების სიმბოლოს. ავ-  
ტორი ვრცლად მსჯელობს იმ დოგმატურ საკითხებზე, რომლებიც დიოფიზიტებსა  
და მონოფიზიტებს შორის ყველაზე გაცხარებული კამათის საგანია, კერძოდ კი:  
ორთუნებიანია თუ ერთთუნებიანი ქრისტე, ნერწყვი მისი ხრწნადია თუ უხრწნე-  
ლი, რამდენი ნება და მოქმედება შეიძლება ჰქონდეს ქრისტეს. ამ საკითხების  
დადასტურებაში იგი ქვემარტი სომეხი მონოფიზიტია და აღიარებს ქრისტეში ერთ  
უნებას (დმორთეებრივს), ერთ ნებას, ერთ მოქმედებას, ნერწყვის უხრწნელობას.  
შესაბამისად, არ უშვებს წმინდა ზიარების პურში საფუარის, ღვინოში წყლის,  
მარონის ზეთში კეთილსურნელებათა შერევას. თავის პოზიციას გამოთქვამს იმის  
თაობაზეც, თუ როდის და როგორ უნდა იღღესასწაულონ შობის, გამოცხადების,  
ნათლობის, ხარების და სხვა მნიშვნელოვანი ქრისტიანული ღღესასწაულები; რო-  
გორ აღსრულდეს წმინდა საიდუმლო; როდის და რა მარხვები უნდა იქნეს დაცუ-  
ლი და ყოველივე ამასთან დაკავშირებით რა წესები შესრულდეს. სპეციალურად  
სურდება მხითარი წმინდა სარგისის ღღესასწაულსა და ალაჯორის მარხვაზე, რის  
გამოც სომეხები არა ერთხელ გახმდარან ქართველთა დაცინვის საგანი; ასევე სამ-  
წმინდა გალობის წარმოთქმის წესზე. ავტორი თავის ტრაქტატში რამდენჯერმე



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

უბრუნდება საკითხს, რომელიც არაერთხელ დასმულა ქრისტიანული ისტორიაში. კერძოდ, ხელახლა უნდა მოინათლოს თუ არა ის პირი, რომელიც ეკუთვნის ქრისტიანობის ერთი მიმართულების ეკლესიას და მოისურვებს სხვა მიმართულების ეკლესიის მრწამსის აღიარებას: მონოფიზიტი ან ნესტორიანი დიოფიზიტი გახდება, ან პირიქით, და სხვა. მხითარ გომის აზრით, ხელმეორედ მონათვლა დაუშვებელია, საკმარისია მრწამსის წარმოთქმა შესაბამისი პროცედურით, რომელიც მას მოჰყავს კიდევ. ბოლოს ის გულისტკივილით ლაპარაკობს იმ დევნასა და შეურაცხყოფაზე, რომელსაც განიცდის სომეხთა სარწმუნოება, ეკლესია და სთხოვს ზაქარია და ავანე მხარგრძელებს, მათი მეშვეობით კი „აქეთილმორწმუნე მეფეებს“ – თამარს და დავითს, აღკვეთონ უსამართლობა და მფარველობა გაუწიონ სომეხებსა და მათ სარწმუნოებას, რაც, უთუოდ, ქრისტეს ნება და სურვილი იქნებოდა.

რომელმა კონკრეტულმა შემთხვევამ აიძულა მხითარი ასეთი ეპისტოლეთი მიემართა ქართველებისათვის. ლ. მელიქსეთ-ბეგი წერს, რომ თითქმის „ამ საკითხს (სომეხ-ქართველთა განხეთქილებას) საგანგებო დავალებით მხითარი სპეციალურად ეხება 1197-1205 წლებში თბილისში და 1205-1207 წლებში ლორესა და ანისში მომხდარ საეკლესიო კრებებთან დაკავშირებით“<sup>5</sup>. ილ. აბულაძე კი მიაჩნდა, რომ „ძნელია საზოგადოდ იმის თქმა, თუ რომელი კონკრეტული შემთხვევა გახდა მიზეზი ამ შრომის დაწერისა, მაგრამ რომ დიოფიზიტთა წრიდან კერძოდ, ქართული ეკლესიის წიაღიდან გამოსული წერილობითი წყარო უდევს საპასუხოდ წინ და სარგებლობს ზოგჯერ კიდევაც მით მხითარი, უდავოა“<sup>6</sup>.

ჩვენი აზრით ეპისტოლეს დაწერის მიზეზი რაიმე კონკრეტული მოვლენა, ან წერილობითი წყარო არ უნდა ყოფილიყო, და თუ ასეთი არსებობდა კიდევ, ის მხოლოდ საბაბი თუ იქნებოდა, რადგანაც ეს ტრაქტატი გულისხმობს პასუხს, თუ შეფარულ პროტესტს საქართველოს პოლიტიკის შესახებ საერთოდ სომხეთის და, განსაკუთრებით, სომეხთა სარწმუნოებისადმი. საქართველოს პოლიტიკა კი თამარის ეპოქაში სომხებისადმი საკმაოდ მკაცრი უნდა ყოფილიყო. დამორჩილებული ჰყავდა რა მას სომხეთი პოლიტიკურად, ცდილობდა თავის გავლენის სფეროში მოექცია რელიგიურადაც, რათა უფრო მტკიცე ყოფილიყო მისი კავშირი და დამოკიდებულება საქართველოზე. ამიტომ ცდილობდა სომხეთის სამღვდლოება, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, დაეცვა თავისი ეკლესია ქართული გავლენისაგან. ამის შედეგად XII-XIII სს-ის მიჯნა გახდა ახალი, საკმაოდ მწვავე ეტაპი ქართველებსა და სომეხებს შორის სარწმუნოებრივი დავისა, რომელიც VII ს-ში დაიწყო.

1197-1205 წლებში სომეხებსა და ქართველებს შორის მომხდარა პაექრობა საქართველოს სამეფო კარზე თამარის, დავითის და ქართველ წარჩინებულთა თანდასწრებით, რომლის ინიციატორიც ზაქარია მხარგრძელი ყოფილა. „დარბაზის მსერებელი ზაქარია ამირსპასალარი მცირედ რასმე სიტყუასა ჰყოფდა ურწმუნოსა, რამეთუ სიტყუთა ჰგომობდა სარწმუნოებასა ჩუენსა ვითარ სულმობერული კა“

<sup>5</sup> ლ. მელიქსეთ-ბეგი, ჩრდილო მხარეთა მოძღვარი, თბ., 1928, გვ. 248.

<sup>6</sup> ილ. აბულაძე, შრომები, ტ. IV, თბ., 1985, გვ. 5.

ალიკოსი მიუგებდა და აუხსნიდა, წინააღმდეგობად ვერ შემძლებელნი ვართ. მან უთხრა: „მე, მელაშქრე, ვერ კეთილად მეცნიერ ვარ სიტყვ-ს-გებად შენდა; არა-მედ მოუწოდო მოძღუართა სარწმუნოებისა ჩვენისათა, რომელთა ჩემ წილ არცხლელ-გყონ“. კათალიკოსი იოანე მიუგებდა: „იყავნ ნება ქრისტესი და სარადის ქალწულისა ღმრთისმშობელისა, რომელმან სირცხლელუ ყენეს უარის-ყოფელნი თუენი... და მოვიდა კათალიკოსი ვანისა და ყოველნი ვარდაპეტნი და დაიდგა სამსჯავრო, და დაჯდა დედოფალი, დედოფლისა მოსავი დავით მეფე წარ-მხედელნი საქართველოსნი ერთ-კერძო, მხარგრძელნი ზაქარია და ივანე ერთ-კერძო. მოუწოდეს კათალიკოსსა იოანეს“<sup>10</sup>.

კამათი ქართველთა გამარჯვებით დამთავრდა, რის შედეგადაც ივანე მხარგ-ზელმა ირწმუნა, რომ „ქართველთა მართალი სარწმუნოება უპყრიეს და ნათელ-ლო სარწმუნოებასა ზედა ჩვენსა იოანეს მიერ კათალიკოსისა და მრავალი სიმ-ბავლე სომეხთა მოვიდა ნათლისღებად და იქმნა სიხარული და ზაქარია ეგოვე ირწმუნოებასა ზედა“<sup>11</sup>.

ზაქარია მხარგრძელს მონოფიზიტობა სიცოცხლის ბოლომდე არ დაუტოვე-ია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სწორედ ის ცდილობდა ყოველნაირად, დაეახ-ლოებინა სომხური ეკლესია ქართულთან და ამ მიზნით მთელი რიგი საეკლესიო უფრობების გატარება მოუსურვებია.

ზაქარიამ, პირველ ყოვლისა, სომხურ ლაშქრობაში, ქართული წესისამებრ, გა-დაწყვიტა საველე, სალაშქრო, ეკლესიები და მოლაშქრეთათვის საეკლესიო დღე-საშუალების აღნიშვნა შემოეღო, რომელთა უქონლობის გამოც ქართველები სომ-ხებს მუდამ დასცილდნენ. შემდეგ კი განიზრახა სომხურ წესმსახურებაში შემდე-გი ცვლილებები შეეტანა: 1. ჟამისწირვა აღასრულონ მკითხველებითა და დიაკ-ონებით; 2. იღღესასაშუალონ ხარება 6 აპრილს, ღვთისმშობლის მიძინება 15 აგ-ოსტოს, ჭვრის ამაღლება 14 სექტემბერს და სხვა მოწამეთა ხსენებები იმის და-სახედავად, კვირის რა დღეც არ უნდა ყოფილიყო; 3. იმარხულონ შობისა და აღ-დგომის წინა დღეს მუწხრამდე და გაიხსნილონ მხოლოდ თევზითა და ზეთით; 4. წირვა გადაიხადონ ცოცხლებისთვისაც; 5. მიიღონ უფლისა და წმინდანების საეკლესიო პირებს ხორცის ჭამა; 7. ეკურთხოს ჭერ მკითხველად, კარგა ხნის შემდეგ დიაკვნად და მხოლოდ სრულ ასაკში მღვდლად; 8. სომეხი საეკლესიო პირები ერთად ცხოვრობდნენ მონასტრებში და ნუ განცალკევდებიან<sup>12</sup>.

საგულისხმოა, რომ ზაქარიას მოთხოვნები არ არღვევს სომხების სარწმუნო-ების ძირითად დოგმებს. ეს უფრო საწესო ხასიათის ცვლილებებია და, როგორც ხანს, გამიზნული იმისთვის, რომ მოხდეს სომხების ცხოვრების წესის (საეკლესიო დღესასწაულების აღნიშვნისა და წესმსახურების ფარგლებში) ქართულთან დაახ-ლოება. ეს საგანგებო მსჯელობის თემაა და ამზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძე-ლებთ.

<sup>10</sup> ქართლის ცხოვრება, თბ., 1959, ტ. II, გვ. 83-84.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 90-91.

<sup>12</sup> კ ი რ ა კ ო ს გ ა ნ ძ ა კ ე ც ი, სომეხთა ისტორია, ერევანი, 1961, გვ. 169-170, (სომხ. ენაზე).





ცხადია, ზაქარია თვითონ ვერ განახორციელებდა ამ ცვალებადობის მას სომხური სამღვდლოების ნებართვა სჭირდებოდა. ვინაიდან აღმოსავლეთ სომხეთში იმ დროს კათალიკოსი არ მჯდარა, მას, როგორც მოგვითხრობს სომეხი ისტორიკოსები კირაკოს განძაკეცი და ვარდან დიდი<sup>13</sup>, წერილი გაუწავნია კილიკიის სომხეთის მეფე ლეონ II-სა და კათალიკოსისათვის და მათგან უთხოვია ასეთი ნებართვა.

უნდა აღინიშნოს, რომ კილიკიაში იმ დროს განსაკუთრებული ვითარება იყო შექმნილი. არამდგრადი პოლიტიკური მდგომარეობის გამო კილიკიის სომხეთი მუდამ ძლიერი მოკავშირის ძიებაში იყო. იმ პერიოდში ასეთად ის ბიზანტიას ხედავდა, რომელიც საკმაოდ მომძლავრებული იყო ალექსანდრე კომნინის მმართველობის დროს. მხარდაჭერას მოელოდა ლეონი, ასევე, რომის პაპისგანაც. ისინი კი თავის მხრივ, მხარდაჭერის სანაცვლოდ სომხებისაგან გარკვეულ დათმობებს მოითხოვდნენ.

ბიზანტიის მოთხოვნები სომხებმა მიიღეს 1196 წელს ტარსონის კრებაზე: 1. დაიწყებოდა ეკლესიის და მისი მსგავსი ერთი ბუნების აღმსარებლები; 2. გადაწყვეტიეს ელიარბინათ ორი ბუნება; 3. სამწმიდა საგალობელში დაამატეს ფრაზა, „რომელი განხორციელდა და ჩვენთვის ჭკარს ეცვი“; 4. გადაწყვეტიეს საუფლო დღესასწაულები ბერძნებთან ერთად აღენიშნათ სომხური ტრადიციის გაუთვალისწინებლად; 5. წმინდა მირონი ზეთისხილისგან უნდა დამზადებულიყო; 6. საზღვარსაღმოსავლეთში წყალი გაუირიეს, თუმცა პურში ცომი არ შეუირიეს; 7. განმარტეს, რომ ეკლესიის გარეთ უამისწირვა ტაძრების სიმცირის გამო ხდებოდა, რაც შეიცვალა, როგორც კი აშენდა დიდი ეკლესიები; 8. მიიღეს ქალკედონის, V, VI და VII მსოფლიო საეკლესიო კრებები; 9. დათანხმდნენ, რომ სომეხი კათალიკოსები ბერძნებს დაემტკიცებინათ<sup>14</sup>. მიიღეს, ასევე, რომის პაპის მოთხოვნებიც: 1. საუფლო და წმინდა დღესასწაულები უძრავი გაეხადათ; 2. დღისა და ღამის წირვები მუდამ ეკლესიაში შეესრულებინათ; 3. შობისა და აღდგომის წინა დღეს მწუხრამდე გაეხსნილებინათ მხოლოდ თევზითა და ზეთით<sup>15</sup>.


ასეთი ცვლილებები, ფაქტობრივად, სომხურ მრწამსზე უარის თქმას ნიშნავდა. ამიტომ აღარც არის გასაკვირი, რომ უარი არ ეთქვა ზაქარია მხარგრძელსაც, „დიდი ძალაუფლების მქონე მძლეველ მთავარს“<sup>16</sup>, და სიმში საგანგებო მოწვეული საეკლესიო კრების თანხმობით, ლეონმა და დავით კათალიკოსმა ნებართვა გაუზავნეს ზაქარიას. თანხმობა მიიღო მან ასევე ლეონ მეფისგან შერისხული იოანე კათალიკოსისგანაც. უფრო მეტიც, კილიკიიდან გამოემართნენ მღვდლები, რომელთაც უნდა დაემკვიდრებინათ სომხურ ეკლესიებში ეს ახალი წესები. მაგრამ ამათი თანხმობა არ იყო საკმარისი იმისათვის, რომ რეფორმები განხორციელებინათ აღმოსავლეთ სომხეთში, მით უფრო, რომ აქაური სამღვდლოება უკმაყოფილო იყო კილიკიელთა უპრინციპობით. მათ დასაყოლიებლად

<sup>13</sup> იქვე, გვ. 168-171; ვარდან დიდი, მსოფლიოს ისტორია, მოსკოვი. 1861, გვ. 181-183 (სომხურ ენაზე).

<sup>14</sup> ა ბ რ ა ა მ ზ ა მ ი ნ ი, სომხური ეკლესიის ისტორია, ნახიჭევანი, 1914, გვ. 220 (სომხ. ენაზე).

<sup>15</sup> იქვე, გვ. 221.

<sup>16</sup> ვ ა რ დ ა ნ დ ი დ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.



ზაქარიამ 1205 წელს ლორეში მოიწვია საეკლესიო კრება, რომელშიც მონაწილეობის საეკლესიო პირი ესწრებოდა. მათ შორის იყო ტრაქტატის ავტორიც — მხითარ ვარდაპეტი.

კირაკოს განმარტებით ასე მოგვითხრობს ამ კრების შესახებ: „ხოლო როდესაც მოისმინეს და გაიგეს კათალიკოსის და მეფის (ლეონ II და იოანე კათალიკოსი) ბრძანება, ზოგი დათანხმდა და ზოგი არა და არ იყვნენ ერთიანნი, გაიმჩნენ ერთმანეთისაგან. ზოგი უჩუმრად გაიპარა ღამით და სხვები კი ძალით დააკავეს. ასე ვერ შეთანხმდნენ და დაიშალნენ ერთმანეთის მამრალე-ბელნი“<sup>17</sup>. ზაქარიამ გადაწყვიტა უფრო გადაქრით ემოქმედა და თავისი მხარდამჭერები დააგზავნა ეკლესიებში, რათა მოახლოებული ღვთისმშობლის მიწინებისა და ჭვრის ამალღების ღღესასწაულები ახალი წესების შესაბამისად შეესრულებინათ, რამაც დიდი წინააღმდეგობა და არეულობა გამოიწვია. ზაქარია იძულებული გახდა ისევ მოეწვია კრება. 1207 წელს ანისში კვლავ შეიკრიბნენ სომეხი მღვდელმთავრები. მხითარ გომი ამჯერად კრებაზე არ გამოცხადდა — ავადმყოფობა მოიმიზეზა, მხოლოდ მოიწერა, რომ თანახმა იქნებოდა კრების გადაწყვეტილებების. მდგომარეობა კრებაზე უკიდურესად დაიძაბა, — მონაწილეთა ნაწილს არაფრით უნდოდა დათმობებზე წასვლა, ამირს-სასალარი კი მათ არ უშვებდა და შეპყრობით ემოქმედებოდა. ამის შედეგად კრების მონაწილეების დაჟინებული მოთხოვნით მხითარ გომი მაინც ჩავიდა ანისში, ჩასვლისთანავე ის ზაქარიამ თავისთან დაიბარა, რამაც ეჭვი გაუჩინა იქ იძულებით შეკრებილთ, რომ მხითარი მათ გადაუღდა. როდესაც გაიგო ვარდაპეტმა ამ ბრალდების შესახებ, კრებას შეუთვალა: „თქვენ იზრუნეთ ხალხზე, რომ არ შეერიონ ქართველებს ამგვარი სწავლების წყალობით და მე ეიზრუნებ იმაზე, რომ მხედართმთავარი არ გახდეს ქართველი თავის ძმის მსგავსად, რასაც ასე ელიან ქართველები.“

და თუკი მას ნებართვა აქვს მეფისა და კათალიკოსისგან, მე რაღას მემართლებით? ის მაინც არ შეწყვეტს ამის კეთებას, გესურს ეს ჩვენ, თუ არა. აწ დაბრუნდით თქვენ-თქვენ ადგილებში, ჩვენ კი შევევედრებით, რომ არ გაგაძევონ თქვენი ეკლესიებიდან და ადგილებიდან. რაც შეეხება ჩვენს ღვთისმსახურებას, როგორც აქამდე იყო. ისევე ვიმსახურებთ“<sup>18</sup>.

კრების ასე უშედეგოდ დამთავრებით უკმაყოფილო ზაქარია მხარგრძელმა ურჩი მღვდელმთავრების გაძევება ბრძანა, თუმცა მალე ისევე დააბრუნა, ზოგი მხითარ გომის თხოვნით, ზოგიც თავის ძმის ჩარევით. და მაინც, ის სიცოცხლის ბოლომდე ცდილობდა დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა.

თავის ეპისტოლეში მხითარი საგანგებოდ მსჯელობს ყველა იმ ცვლილებაზე, რომელთა შემოღებაც ასე სურდა ზაქარია მხარგრძელს სომხურ წესმსახურებაში. ასე მაგალითად, ის სალამჭრო ეკლესიებზე ამბობს: „კანონი იმის ნებას კი იძლევა, რომ ჭარისთვის კარავი შემოიღონ, მაგრამ ის რომელი კანონით არის დამწვეული, რომ რთული წესები ნაჩქარევად აღასრულონ და განსაკუთრებით კი ის,

<sup>17</sup> კირაკოს განმარტები, დასახ. ნაშრომი, გვ. 170-171.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 177.



რომ (ამ კარავს იქაც ხმარობენ) სადაც შეიძლება ეკლესიის უპატივცემლობით მოსდით, თუმცაღა სხვა რამეს იმიზეზებენ<sup>19</sup>.

სომხურ ეკლესიაში ჟამისწირვა რომ დიაკვნისა და მკითხველის გარეშე სრულდება, მხითარი იმით ხსნის, რომ „ასეთი აკრძალვა წვალება კი არ არის, არამედ იმითაა გამოწვეული, რომ ეკლესიის დიდება არ უნდა დამცირდეს“<sup>20</sup>.

„სომხებს იმასაც საყვედურობენ, წმინდა ხატებს არ ცნობენო“, – წერს მხითარი და იქვე უარყოფს ამ ბრალდებას, თან ამტკიცებს: „სხვაზე მეტად (ხატებს) ჩვენ ვღებულობთ, რამეთუ პირველი ძღვენი ქრისტესაგან სომეხთა მეფეს, აბგარს ებოძა და ეს იყო მისი ხატი ... ძალიან რომ გაამრავლეს, ამით გაუფასურდა წმინდანთა ხატები და როგორც სომეხებმა შეურაცხვეს ჯვარი, უპატიოდ ყველგან რომ აღმართეს, ეგრევე უქმნეს ხატებს ბერძნებმა და ქართველებმა. რომელ ხატსაც ეცნობთ იმას ვღებულობთ და პატივს ვცემთ, რამეთუ წმინდანთა ცხოვრებას მოგვავგონებენ. სულელებს ჰგონიათ, რომ სათაყვანებელია და ჭკვიანები უბრალოდ ამ შეურაცხყოფენ. ამიტომაც არ ცდილობენ სომეხები, რომ (ხატები) აკეთონ“<sup>21</sup>.

ტრაქტატის ავტორი მაინცა და მაინც წინააღმდეგი არ არის, რომ წირვა ცოცხლებისთვისაც სრულდებოდა: „ვიცი, რომ ძე იმისთვის მოკვდა და აღდგა, რომ ცოცხალთა და მკვდართა უფალი ყოფილიყო. ცოცხალთათვის წესის შესრულება მიღებული იყო იმ ეკლესიაში, მაგრამ, რადგანაც სიზარმაცე და განცხრომა გამოიწვია, ამიტომ მიუღებელი გახდა სომეხებისთვის ... კარგია, რომ სიკვდილის შემდეგ შესწირონ შესაწირავი, ხოლო თუ ვინმეს ცოცხალთათვის წესის შესრულება უყვარს, როგორც მიცვალებულისთვის, სიფრთხილე მართებს, რომ ცოდვა არ ჩაიდინოს“<sup>22</sup>. და სხვა. ამასთან, ეპისტოლეში გარჩეულია სხვა ისეთი საკითხებიც, რომლებიც, თუმცა ამ კრებებზე და ამ პერიოდში არ დასმულა, მაგრამ სომეხებისა და ქართველების კამათის საგანი იყო მუდამ. მართალია, მხითარ გოში თავისი თანადროული ცხოვრების კონკრეტულ ფაქტებს ან მოვლენებს თავის თხზულებაში არ გადმოგვცემს, მაგრამ. ამის მიუხედავად, ეპისტოლეში არის მთელი რიგი ადგილები, რომლებიც თავის მისწრაფებებით და პათოსით გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნიან სომეხთა საზრუნავზე ქართულ სახელმწიფოში.

თავის ეპისტოლეს მხითარი შემდეგი სიტყვებით იწყებს: „ეს მცირე ეპისტოლე გარკვეული მოსაზრებით დაედით ქართველთათვის, რომლებიც ჩვენ საქაოლ მტრულად გვეკიდებიან, ბერძნებს კი, რომელთა მიმდევრებიც არიან, – არა ამ სიტყვის შესავალში უწინარესად თქვენ მოგმართავთ, ღვთისმოყვარე და ღვთის მოშიშო მთავართ-მთავარო, ზაქარია და ივანე! შობილნო ღვთის სიყვარულით კეთილად შემკობილ მშობელთაგან. გულში დანასავით მესობოდა, როდესაც გუდავდი და მესმოდა, სიტყვის მსახური ქართველები როგორ სწამებდნენ ცილს ჩვენს სარწმუნოებასა და საეკლესიო წესებს. განსაკუთრებით მტკივნეული ის იყო, რომ თქვენც ეთანხმებოდით მათ ნათქვამს ამის გამო სიტყვაშიც და საქმეშიც

<sup>19</sup> ეპისტოლე მხითარ ვარდაპეტისა, გვ. 58.

<sup>20</sup> იქვე.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 60.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 59.



Digitized by Google

თქვენმა მონა-მორჩილმა, მხითარმა, განვიზრახე ცოტა რამ დამეწერა ჩვენი ჭეშმარიტი სარწმუნოების სახის გამო და ვემუღრე მეჩვენებინა, რომ შეუძლებელია ბერძნებთან და ქართველებთან შეერთება, რისთვისაც გვგმობთ<sup>23</sup>.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მხითარი მხარგრძელებს ქართველთა ბანაში ხედავს. ისინი ქართველ „სიტყვის მსახურებს“ უფრო უგდებენ თურმე ყურს, ვიდრე სომხებს და მათაც ისევე, როგორც „სომეხთა მგმობელ“ ქართველებს, სჭირდებათ სპეციალური განმარტება, რათა შეიტყონ, თუ რას წარმოადგენს სომხური სარწმუნოება, რომ „ის მცდარი აზრები, რომლებიც სომხების შესახებ აქვთ, მტვერივით გაიფანტონ თვალთაგან“<sup>24</sup>.

მოკლედ რომ ვთქვათ, მხითარ გოშს სჭირდება, რომ სომეხ მონოფიზიტს — ზაქარიას, და ყოფილ სომეხ მონოფიზიტს — ივანეს, განუმარტოს, თუ რა არის სომხური მონოფიზიტობა, რომ მათი სიმუხლებით დაიცვას თავისი სარწმუნოება.

მსგავი სიტყვებით მიმართავს მხითარი ქართველთა კათალიკოსს და მივლ ქართულ სამღვდელმთავრებს: „რომ გავიზრე ის შური და სიძულვილი, რომელიც სატანამ დათესა მორწმუნეთა შორის, გაგებდე და ეგ მცირე ეპისტოლე დაწვერე არა რომელიმე ერის წინააღმდეგ, ან ძვირის სათქმელად, არამედ, როგორც სამსჯავროს წინაშე, ჩვენი ღირსებისა და სიმართლის საჩვენებლად ის ცხადეყავით, რომ ძნელია ახლა ჩვენი შეერთება ... მაგრამ ვეჭვობ, რომ ჩვენს შესახებ ბევრი რამ არ იცით და თუ ვინმემ არ შეგატყობინათ, ქრისტეს განარისხებთ იმით, რომ თქვენს ხალხს შეცდომაში შეიყვანთ, თითქოს სომხები თურქებსა და ოღდეველებზეც კი უარესები იყვნენ“<sup>25</sup>.

ძნელი უნდა ყოფილიყო სომხებისთვის ასეთი გმობის ატანა, თუკი ეს, მართლაც ხდებოდა, მით უფრო, რომ, თუ მხითარ გოშს დაუუჭერებთ, ქართველები სომხების მხოლოდ სიტყვიერი შეურაცხყოფით არ არ იფარგლებოდნენ: „როგორც აღრე ვთქვით, ამ ხუთ ხალხს (ბერძნები, რომაელები, სირიელები, სომხები, ქართველები) არ შეუძლია გაერთიანება, მაგრამ შეუძლიათ ერთმანეთის მტრები არ იყვნენ, ჭვარი და ეკლესია ერთმანეთის თაყვანისცემით მიიღონ, მაგრამ სატანამ ისეთი სიძულვილი ჩამოაგდო მათ შორის, რომ ერთმანეთის ჭვარსა და ეკლესიას პატივს არ სცემენ და აგინებენ“<sup>26</sup> ...

ვარდაპეტი შესთხოვს ჭერ ქართველ მღვდელმთავრებს და შემდეგ ივანე და ზაქარია მხარგრძელებს, როგორმე მიიტანონ ეს ამბავი ქართველ მეფეთა ყურამდ, — იქნებ მათ მაინც შეძლონ სომეხთა ასეთი გმობის შეწყვეტა: „თუ თქვენ ღვთის წყალობით ცნობთ ამ ეპისტოლეს მცირე მიზეზს, თქვენც (ქართველმა სავკლესიო პირებმა) უშურველად აღწყვთ თქვენს ღვთისმოყვარე მეფეებს, რამეთუ ისინიც მოსურნენი არიან სიმშვიდისა და სიყვარულის მორწმუნეთა შორის ... და აწ, თუმცა ჩვენი კეთილმორწმუნე მეფეები, თამარი და დავითი, ალბათ ვერ შეძლებენ, რომ მსოფლიო კრება მოიწვიონ ყოველ ხალხთა ბერძნთა, რომაელთა და სხვათა სიმორის გამო, მაგრამ ღვთის მადლით, შეუძლიათ სომეხთა და ქართველთა მტრობა მოსპონ, რომ ქრისტეს არ შეურაცხყოფდნენ, რადგან ეგ ქრის-

<sup>23</sup> ეპისტოლე მხითარ ვარდაპეტისა, გვ. 497.

<sup>24</sup> იქვე.

<sup>25</sup> იქვე.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 126.





ტეს მტრობაა, ერთმანეთის ჯვარს, სარწმუნოებასა და ეკლესიას, რომ თელავს და შეურაცხყოფენ ... თქვენ ღვთის ნებით ხართ სომეხთა და უარსულებსა მთავარნი და თუ ისურვებთ, გააცანით (ეს ყოველივე) ღვთისმოყვარე მეფეებს, რათა მეფური ძალაუფლებით სასჯელი დააწესონ, რომ ღვთის ეკლესია არაფერს დაანგრეოს და ჯვარი არ დაწვას“<sup>27</sup>.

ამგვარად, მხითარი თავის ეპისტოლეში მიმართავს მხარგრძელებს, როგორც საქართველოს კარის მოხელეებს. არსად ჩანს, რომ იგი მათ სომხეთის დამოუკიდებელ მმართველებად, „სომხეთის მეფეებად“, თვლიდეს, რომელთა მიზანიც სომხეთის გაშენება და აყვავებაა. უმაღლესი ხელისუფლება მისთვის საქართველოშია, მფარველობასა და სამართლის გაჩენას მხოლოდ მისგან მოელოს.

Н. Т. ЧАНТЛАДЗЕ

ТРАКТАТ МХИТАРА ГОША “К ГРУЗИНАМ”, КАК  
ИСТОРИЧЕСКИЙ ИСТОЧНИК (К ВОПРОСУ ОБ АРМЯНО-  
ГРУЗИНСКИХ ВЗАИМООТНОШЕНИЙ НА РУБЕЖЕ XII-XIII  
ВЕКОВ)

Резюме

Трактат “К ГРУЗИНАМ” известного литератора, политического и церковного деятеля Мхитара Вардапета, является интересным источником для изучения армяно-грузинских взаимоотношений на рубеже XII-XIII веков. В трактате говорится о разногласиях, которые возникли между армянами и грузинами на конфессиональной основе.

Цель данной работы - выявить новые исторические данные, касающиеся армяно-грузинских взаимоотношений. Мхитар Гош в своем произведении не описывает какие-либо конкретные события и факты, но по ряду высказанных им соображений и пафосу всего трактата можно составить довольно-таки четкое представление об этих взаимоотношениях.

წარმოდგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტმა.

<sup>27</sup> ეპისტოლე მხითარ ვარდაპეტისა, გვ. 126-127.

ბიოგრაფიული ნაშრომები

სულხან ბარათაშვილი ქართულ ისტორიოგრაფიაში

XIX ს-ის გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსთა შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილს (1821-1866), რომელიც იკვლევდა საქართველოს წარსულს, ქართველი ხალხის სულიერ და მატერიალურ კულტურას.

XIX ს-ის ქართული ისტორიული აზრის განვითარების საკითხებით დაინტერესებულმა მკვლევარმა ს. ბარათაშვილის მსოფლმხედველობა და სამეცნიერო ღვაწლიც უთუოდ უნდა გაითვალისწინოს. ქართულ ისტორიოგრაფიას არაერთხელ აღუნიშნავს ს. ბარათაშვილის დამსახურება, მისი მეცნიერული მემკვიდრეობის თაობაზე სხვადასხვა დროს აზრი გამოთქვებს: ვ. თულაშვილმა, თ. სახოკიამ, დ. ბაქრაძემ, ს. ზუნდაძემ, დ. სტაროსელსკიმ, უსლარამა, მ. ლორთქიფანიძემ, ა. ბარამიძემ, შ. მესხიამ, გ. ახვლედიანმა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ს. ბარათაშვილი ჩაღრმავებით არავის შეუსწავლია. ასეთ ვითარებაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პროფესორ გრიგოლ ნათაძის წიგნი<sup>1</sup>.

მასში მოცემულია ს. ბარათაშვილის როგორც ისტორიკოსის შეხედულებათა ჩვენი აზრით, არც თუ იშვიათად გაუმართლებლად მკაცრი და უსაფუძვლო კრიტიკა.

წინამდებარე წერილში შევეცდებით შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინო ს. ბარათაშვილის ცხოვრებასა და მსოფლმხედველობაზე ნათაძისეული შენიშვნების მართებულობა. ასეთი მცდელობა იქნებ გახდეს დასაწყისი ს. ბარათაშვილის შემოქმედების საფუძვლიანი შესწავლისა, რაც აუცილებლად უნდა იტვირთოს ქართულმა ისტორიოგრაფიამ.

უპირველეს ყოვლისა საინტერესოა, რა მიზანს ისახავდა გ. ნათაძისეული კრიტიკა: „შეარჩია რა ბურჟუაზიული ისტორიული სკოლის ნაშრომთა გარკვეული წყება, კრიტიკული შესწავლისათვის, მეცნიერებათა აკადემიას მხედველობაში ჰქონდა, საქართველოს თუ ამიერკავკასიის სხვა სახელმწიფოთა ისტორიის დამუშავებისათვის გამოყენებული ამა თუ იმ კლასობრივი იდეოლოგიის მხილება... ჩვენ საქმე გვაქვს XIX ს-ის ისტორიკოსებთან, რომლებიც კავკასიის ისტორიას შეისწავლიდნენ, მეტ-ნაკლებად მაინც იყენებდნენ სამეცნიერო საკვლევ ელემენტარულ ხერხებს, რომლებიც შორს იყვნენ ბურჟუაზიული ისტორიოგრაფიის დონისაგან და მით უმეტეს იმ ჭეშმარიტად მეცნიერული ისტორიოგრაფიიდან, რომელიც მარქსისტულ-ლენინურმა მეთოდოლოგიამ შექმნა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Г. Наталдзе Сулхан Баратов как историк Грузии, тб. 1934.

<sup>2</sup> Г. Наталдзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 1



საინტერესოა, მეცნიერებათა აკადემიის განზრახვის შედეგად, რაც გულისხმობდა საქართველოს ისტორიის შესახებ შრომებში კლასობრივი იდეოლოგიის გავლენის გამოაშკარავებას, რატომ შეჩერდა გ. ნათაძე ს. ბარათაშვილის კანდიდატურაზე. მას ნამდვილად ჰქონდა არჩევანის საშუალება: ვახუშტი და თეიმურაზ ბატონიშვილები, მარი ბროსე, დიმიტრი ბაქრაძე, ნ. ხიზანიშვილი და სხვ. შეიძლება არჩევანი აკადემიას ეკუთვნოდა, ამას გვაფიქრებინებს წიგნის დასაწყისშივე ავტორისაგან თქმული: „აკადემიამ შეარჩია რა ბურჟუაზიული აკადემიური სკოლის ნაშრომთა გარკვეული წყება, კრიტიკული შესწავლისათვის“, მაგრამ რახან გ. ნათაძე თვითონ გამაცნობს, რატომ იყო შერჩეული ს. ბარათაშვილის ნაშრომი, ასეთ შემთხვევაში წიგნის ავტორისა და აკადემიის აზრი ალბათ ემთხვევა, ისე რომ სულ ერთია ვისგან მოვისმენთ განმარტებას საკითხის შესახებ. გ. ნათაძე გარკვევით ამბობს, რატომ არ შეისწავლა კრიტიკულად ვახუშტი, თეიმურაზი, ნ. მარი ან დ. ბაქრაძე, შედარებით ბუნდოვნად განმარტავს რატომ აარჩია ს. ბარათაშვილი: ბარათაშვილი „საინტერესოა როგორც პირველი ისტორიკოსი, რომელმაც სცადა ევროპული ისტორიოგრაფიის კონცეფცია საქართველოს ისტორიის მიმართ გამოეყენებინა“<sup>3</sup>.

ფიქრობთ, მოყვანილი მოტივი თუ რატომ აირჩია მან კრიტიკის საგნად ს. ბარათაშვილის შემოქმედება, არ არის დამაჯერებელი. ჩვენი მოსაზრება თუ რატომ აირჩია კრიტიკის საგნად გ. ნათაძემ ბატონიშვილებიდან დ. ბაქრაძემდე, ს. ბარათაშვილი ასეთი არის: გ. ნათაძისათვის უპირველესია კლასობრივი იდეოლოგიის საკითხი. ე. ი. საკითხი როგორი იდეოლოგია უნდა ედოს საფუძვლად საქართველოს ისტორიის მეცნიერულ დამუშავებას. მისთვის როგორც მკლევრისათვის, ჩანს, მიუღებელი იყო ს. ბარათაშვილისეული „იდეოლოგია“, განწყობილება, მსოფლმხედველობა და მშობლიური ისტორიისადმი დამოკიდებულება, მაგრამ ამ მხრივ არც ბატონიშვილები და ბაქრაძე უნდა ყოფილიყვნენ არასასურველი კანდიდატურები. საქმე ის არის, რომ მეფის შთამომავლებს ვახუშტი და თეიმურაზ ბაგრატიონებს გარკვეული და „დადგენილი“ კლასობრივი „იდეოლოგია“ ჰქონდათ, ვახუშტი ისტორიის შესწავლის საგნად მიიჩნევს „ქმნულებასა და ყოფათა მეფეთა მთავართა და დიდებულთა“. ასეთ აზროვნებას საბჭოთა მეცნიერება ფეოდალური ისტორიოგრაფიის პრინციპს უწოდებდა, მაგრამ პრინციპის აზროვნებისათვის ეს იმდენად „ბუნებრივი“ განწყობილებაა, რომ მსგავსი „მკრებელობისათვის“ მეფის შვილების კრიტიკა, ღია კარის მტვრევას ჰგავს, რაც შეეხება დიმიტრი ბაქრაძეს, გ. ნათაძეს არ შეეძლო მისი ისტორიული კონცეფცია აეხსნა იმ მოტივით, რომლითაც ს. ბარათაშვილის ახსნა. მიმოიხილავს რა ს. ბარათაშვილთა საგვარეულოს როლს საქართველოს ისტორიისათვის, წარმოაჩენს და განმარტავს მათ

<sup>3</sup> Г. Натадзе, დასახ. ნაშრომი გვ. 3.

<sup>4</sup> ჭკე, გვ. 298.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

გენეალოგიას, გ. ნათაძე იძლევა მეტად უარყოფით დასკვნებს ამ  
ლოს ფეოდალური ცხოვრების შესახებ. შემდეგ კი აქედან გამომდინარე ცდი-  
ლობს ახსნას ს. ბარათაშვილის, როგორც ისტორიკოსის კონცეფცია: "Вот все  
те соображения, которые следует, на мой взгляд выставить,  
как предварительные условия прежде, чем попытаться  
выяснить историческую конценцию и приемы исторического  
исследования С. Баратова"<sup>5</sup>.

რამდენადაც საჭურნალო წერილში შეუძლებელია ყურადღება დავუთმო ბა-  
რათაშვილის შემოქმედებისადმი გ. ნათაძისეულ ყველა შენიშვნას, შევეცდები მხო-  
ლოდ ჩვენი აზრით, მისი გაუმართლებლად მკაცრი მსჯავრის უსაფუძვლობის დამ-  
ტკიცებას.

როგორც ვიცით, სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილი გარდაიცვალა სოხუმ-  
ში 1866 წელს 13 აგვისტოს. აი, როგორ პირობებში მომხდარა ეს სამწუხარო  
ამბავი: „1866 წელს აფხაზეთში აჯანყება მოხდა. მთავრობამ კომისია დანიშნა ამ  
ამბოხების მიზეზის გამოსარკვევად... კომისიაში სხვათა შორის მოჰყვა ს. ბარათა-  
შვილიც. ერთხელ მთელი კომისია თურმე იფრინა გათამამებულმა გუნდმა აფ-  
ხაზეთისამ. ხელში ჩაუვარდათ კომისიის თავმჯდომარე და ნაჭერ-ნაჭერ აჰკადეს.  
ს. ბარათაშვილმა გამოქცევა მოასწრო... თავს უეჭველად უშველიდა, რომ ერთს  
ბრმა შემთხვევას არ წაერთმია საქართველოსთვის ეს ძვირფასი შვილი, გამოქა-  
ნებულმა ცხენმა თავი ვერ შეიმაგრა და და გზაში ურემს დაეჯახა, ბარათაშვილი  
გაუხიდან გადმოვარდა, დაჰკრა ფერდი ურმის ქალას და ცოცხალ-მკვდარი საა-  
ვადმოყოფოში წაიყვანეს, სადაც სამი დღე იწვა და დიდის ტანჯვის შემდეგ ღმერთს  
თავისი ნათელი სული ჩააბარა“<sup>6</sup>.

ჩვენი აზრით, არაფერია საჩოთირო ან დამამცირებელი იმ მოვლენაში, რომ  
ს. ბარათაშვილი აფხაზეთში მომხდარი ამბების გამომკვლევეი კომისიის შემად-  
გენლობაში შეუყვანიათ და სოხუმში გაუგზავნიათ. გ. ნათაძე კი წერს: „ჩვენი  
ისტორიკოსი ს. ბ. არ იყო მსხვილი მემამულეთაგანი, რახან იგი მუშაობდა და  
გარდაიცვალა ისეთ მიყრუებულ ქალაქში როგორც იყო იმდროინდელი სო-  
ხუმი“<sup>7</sup> საინტერესოა, რატომ დასჭირდა გ. ნათაძეს, ს. ბარათაშვილის სოცი-  
ალური თუ ეკონომიური მდგომარეობის განსაზღვრისათვის, „მიყრუებულ ქა-  
ლაქში“ სამსახური გამოეყენებინა, როცა ისტორიკოსის ბიოგრაფიის ეს მხა-  
რე სავსებით ნათლად არის წარმოჩენილი მის პირად წერილებსა და დოკუმ-  
ენტებში, თუ ნათაძეს აღნიშნულ მასალებზე ხელი არ მიუწვდებოდა, შეეძლო  
ესარგებლა თ. სახოკიას და ვ. თულაშვილის მონაცემებით, რომელთაც იგი  
კარგად იცნობს.

გაუგებარია სულხანის მამის გერმანოზ ბარათაშვილისადმი ასეთი „ბრალდება“:

<sup>5</sup> Г. Натадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

<sup>6</sup> თ. სახოკია, თ-ლი სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილი, ჟურნ. „მოამბე“, 1896, № 7, გვ. 24-25.

<sup>7</sup> Г. Натадзе, დასახ. ნაშრომი გვ. 9.





„სჩანს მამამისი (ს. ბარათაშვილის მამა — გ. ნ.) ბიუროკრატიული წესები იცავდა ვერ სარგებლობდა, რახან თავისი შვილის მოწყობა თბილისში ვერ შეძლო“.

ს. ბარათაშვილის მამა გარდაიცვალა 1832 წელს ე. ი. მამინ როცა, სულხანი მხოლოდ თერთმეტი წლისა იყო. როგორი გავლენიანიც არ უნდა ყოფილიყო, გერმანოზ ბარათაშვილი, ბუნებრივია, მცირეწლოვან ბავშვს სახელმწიფო სამსახურში ვერ მოაწყობდა.

გ. ნათაძეს წიგნის მე-9 გვერდზე საგანგებოდ აქვს მითითებული, რომ ს. ბარათაშვილმა მშობლები „ადრე დაჰკარგა“, მართალია აღნიშნული არ არის რა იგულისხმება „ადრე“-ში, მაგრამ ის ხომ გასაგებია რომ თუ 1866 წლის გაზაფხულისთვის, როცა სულხან ბარათაშვილი სოხუმში სამუშაოდ წავიდა გ. ნათაძეს გერმანოზ ბარათაშვილი ცოცხალი ეგულვება, მამინ მას საფუძველი აღარ ჰქონდა 45 წლის კაცის მისამართით ეთქვა „მშობლები ადრე დაჰკარგაო“. ზემოთ მოცემული მსჯელობის ლოდიკა ასეთ დასკვნას გეთავაზობს: გ. ნათაძემ, არ იცოდა რომელ წელს დაიბადა ან გარდაიცვალა ს. ბარათაშვილი; როდის და რა დავალებით გაიგზავნა იგი სოხუმში. როდის გარდაიცვალა გერმანოზ ბარათაშვილი. ძნელად სარწმუნოა, რომ ნათაძემ, რომელმაც მეცნიერული პრეტენზიის მქონე წიგნი მიუძღვნა „საქართველოს ისტორიის“ ავტორის ნალვაწს არ გაითვალისწინა, ამავე ავტორისადმი მიძღვნილი ვ. თულაშვილის<sup>9</sup> და თ. სახოკიას<sup>10</sup> შრომები, სადაც გარკვეულად და ნათლად არის განმარტებული ზემოთ მოყვანილი საკითხები. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ გ. ნათაძე იცნობს ვ. თულაშვილის და თ. სახოკიას შრომებს, რომელთაც თავისი აზრის დასადასტურებლად არაერთხელ იმორწმუნებს, როგორც სანდო წყაროს, ზემოთ მოყვანილ კონკრეტულ შემთხვევებში კი მათგან სავსებით განსხვავებულ აზრს გადმოსცემს, რა თქმა უნდა მას სრული უფლება ჰქონდა ასე მოქცეულიყო, თუ თავის მოსაზრებას რაიმე ანგარიშგასაწევი საბუთით გაამყარებდა.

ჩვენი აზრით, მოვლენებისადმი ზერელე დამოკიდებულება უნდა იყოს ზემოთ აღნიშნული შეუსაბამობის ნამდვილი მიზეზი. ასეთი კატეგორიული დასკვნების უფლებას გვაძლევენ ფაქტები, მიუხედავად ჩვენი ავტორისადმი კარგი განწყობილებისა.

ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ გ. ნათაძისეულ ციტატას, სადაც საუბარია ს. ბარათაშვილის მამის შესახებ, ასეთი გაგრძელება აქვს: „რუსეთის ტახტისადმი მისი ერთგულება იმითაც მტკიცდება, რომ მის შვილს წილად ხედა „პატივი“ პავლოვსკის კადეტთა კორპუსში მიეღოთ, სადაც იმ დროისათვის მსხვილ თავადთა გვარის შვილებს იღებდნენ და მათაც მკაცრი შერჩევით“<sup>11</sup>.

არ უნდა იყოს სწორი თითქოს გ. ბარათაშვილი რუსეთის ტახტისადმი რაიმე განსაკუთრებულ ერთგულებას იჩენდა. ყოველ შემთხვევაში გ. ნათაძე თავის აზრს

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> ვ. თულაშვილი, რამდენიმე სიტყვა სულხან ბარათაშვილზე, გაზ. „დროება“, 1866, № 26.

<sup>10</sup> თ. სახოკია, თ-დი სულხან გერმანოზის ძე ბარათაშვილი, ჟურნ. „მოამბე“, 1896, № 7.

<sup>11</sup> თ. სახოკია, Кн С. Г. Бараташвили (Его жизнь и литературная деятельность), გაზ. „Кавказ“, 1896 № 214.

<sup>12</sup> თ. სახოკია, из Сухуми, გაზ. „Новое обозрение“ 1886, №4342.

<sup>13</sup> Г. Натадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

ვერ ასაბუთებს. გ. ბარათაშვილს სახელმწიფო სამსახურში თავი არაფერი უნდოდა და მაიორის ხარისხს ვერ გასცილდა. ამ შემთხვევაშიც გ. ნათაძე ერთგული არის თავის განზრახვის წარმოაჩინოს რუსეთის ტახტისადმი ბარათაშვილთა განსაკუთრებული ერთგულება, რაც მას ისტორიკოს ს. ბარათაშვილის მსოფლმხედველობის ასახსნელად ესაჭიროება.

საეჭვოა, რომ კადეტთა კორპუსში მიღებისათვის აუცილებელი იყო მისაღები ყმაწვილის მამის რუსეთის ტახტისადმი განსაკუთრებული ერთგულება, რამდენადაც ჩვენ ვიცით, რომ სულხანთან ერთად კადეტთა კორპუსში სასწავლებლად წასულა „რამდენიმე სხვა ქართველი ყმაწვილი“. მათ შორის დიმიტრი ბარათაშვილი, რომლის მამა ზაალ ბარათაშვილი რუსეთის მეფის საწინააღმდეგო „მოძრაობაში“ იღებდა მონაწილეობას<sup>14</sup>. რაც რუსეთის ტახტის ერთგულებად ვერ ჩაითვლებოდა; ერთი სიტყვით, კადეტთა კორპუსში შემსვლელთათვის არსებობდა გარკვეული პირობები, მაგრამ არავითარი განსაკუთრებული „მკაცრი“ შერჩევები, პეტერბურგის კადეტთა კორპუსის როგორც სასწავლებლის უპირველესი დანიშნულება მეფის რუსეთის ერთგულ ქვეშევრდომ ოფიცერთა აღზრდა, ეს მისია სასწავლებელს უნდა შეესრულებინა, რაც მშვენივრად იცის გ. ნათაძემ, რომელიც მსჯელობს რა ს. ბარათაშვილის, როგორც რუსეთის მეფის ტახტის ერთგულ ქვეშევრდომზე და წარმოაჩენს ასეთი ერთგულების საფუძველს საგანგებოდ მიუთითებს „თვითონ იგი (ს. ბარათაშვილი – გ. ნ.) ისეთ სასწავლო დაწესებულებაში სწავლობდა, სადაც ტახტის ერთგულ კადრებს ამზადებდნენ“<sup>15</sup>. სავესებით გასაგები მიზეზის გამო ამ სასწავლებლის მიზანი ისიც იყო, რომ რაც შეიძლება მეტი არარუსი ეროვნების მოსწავლე მიეზიდა. ასეთი მიზნის გათვალისწინებით განსაკუთრებით მკაცრი შერჩევა სასურველ შედეგს ვერ მოიტანდა, ისიც ყურადსაღებია რომ მოსწავლეთა, სწავლა, კვება, ჩაცმადახურვა უფასო იყო.

გ. ნათაძე თავის აზრს „მკაცრი შერჩევის“ თაობაზე იმითაც ასაბუთებს რომ, „ქართველ თავადზნაურთა ბრძოლა ბატონიშვილების მეთაურობით რუს დამპყრობთა წინააღმდეგ ჯერ კიდევ არ იყო დავიწყებული“<sup>16</sup>.

ასეთ შემთხვევაში გაუგებარია, როგორ მიიღეს ს. ბარათაშვილთან ერთად კადეტთა კორპუსში, აჯანყების მონაწილე ზაალ ბარათაშვილის ვაჟი დიმიტრი. ჩვენი აზრით, პეტერბურგის კადეტთა კორპუსში ქართველ მოსწავლეებს იღებდნენ თუ კანდიდატი აკმაყოფილებდა საერთოდ დამკვიდრებულ მისაღებ წესებს. არავითარი სხვა მკაცრი კრიტერიუმები არ არსებობდა, ასეთი სასწავლებლებში არარუს მოსწავლეთა აღზრდა მეფის რუსეთის ინტერესებით იყო ნაკარნახევი, და ამდენად, ეს იყო სახელმწიფო პოლიტიკა. მეტროპოლიას აუცილებლად ჭირდებოდა რუსული არმიის ოფიცრები არარუსული გარეგნობით და წარმოშობით, მაგრამ რუსული იმპერიული სულით. ასეთი სურვილის მისაღწევად, სასწავლებელში მისაღები პირობების გათვალისწინებისას „ლიბერალობას“ ვერ გამოირიცხავთ და, როგორც ჩანს, ზოგჯერ სასწავლებელში მიღებისათვის მხოლოდ სურვილიც საკმარისი იყო. სხვათა შო-

<sup>14</sup> თ. სახოკია, სულხან გერმანოვის ძე ბარათაშვილი, გვ. 7.

<sup>15</sup> Г. Натадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 9.



რის პირადი სურვილის საფუძველზე ჩაურთიყვანეთ აღნიშნულ სასწავლო დაწესებულებაში რათამვილი, რომელიც ამ ფაქტს საგანგებოდ გვაუწყებს თავის დღიურში<sup>17</sup>.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გ. ნათაძეს ბარათამვილთა მიერ მეფის რუსეთის ტახტისადმი განსაკუთრებული ერთგულების დამტკიცება თავისი მიზნისათვის სჭირდება: ახსნას ს. ბარათამვილის, როგორც ისტორიკოსის კონცეფცია მეფის რუსეთის ტახტის ერთგულებით. ან როგორ უნდა დასაბუთდეს, განათლებული და პატრიოტი სწავლულის ფსიქოლოგიაში მისი სამშობლოს დამმონებელი ტახტისა და სახელმწიფოსადმი ერთგულება?

„საქართველოში რუსთა ხელისუფლების განმტკიცების შემდეგ, ისინი (ბარათამვილები – გ. ნ.) უკვე ვეღარ ასრულებდნენ მნიშვნელოვან როლს საქართველოს ისტორიაში. მაგრამ სახელმწიფოებრივი სამსახურის მიმართ ლტოლვას ამჟღავნებდა ისეთი მგზნებარე პატრიოტიც კი როგორც იყო ცნობილი პოეტო ნიკოლოზ ბარათამვილი. სახელმწიფო სამსახური და რუსული ტახტისადმი ერთგულება მათ შეგნებაში არ ეწინააღმდეგებოდა დამონებული სამშობლოს სიყვარულს“<sup>18</sup>. აი, როგორ არის განმარტებული ნათაძისაგან ბარათამვილთა საგვარეულოს მიერ რუსეთის ტახტისადმი განსაკუთრებული ერთგულება. გამოდის, მათ მგზნებარედ უყვარდათ თავიანთი სამშობლო, მაგრამ უსაზღვროდ ერთგულნი იყვნენ იმ ტახტის და სახელმწიფოსი ვინც საქართველო დაიპყრო.

თუ ნათაძის ასეთი აზრი მხოლოდ ბარათამვილთა საგვარეულოზე უნდა გავრცელდეს, მაშინ ლოდიკა ირღვევა. ბარათამვილთა საგვარეულოს ცხოვრება და მათი რუსეთის ტახტისადმი დამოკიდებულება, რატომ უნდა ყოფილიყო დანარჩენ თავადთა სახლობისაგან განსხვავებული და მხოლოდ მათთვის დამახასიათებელი? არ არსებობს საფუძველი ასეთი კითხვის დამაკმაყოფილებელი პასუხისათვის. იქნებ გ. ნათაძე ბარათამვილთა მიმართ ბრალდების შემთხვევაში კონტექსტსა „აიბულა“ ე. ი. რახან მათ შესახებ მსჯელობდა ბრალდებაც მათ წაუყენა თორემ, მისი აზრი ნებისმიერი ქართველ თავადთა საგვარეულოზე ვრცელდება, რომ ყველა ისინი ერთგულნი იყვნენ რუსეთის ტახტის და რუსული მმართველობისა.

მაშინ რას წარმოადგენდა 1832 წლის შეთქმულება? რომელიც ნებისმიერ ქართული წყაროს შეფასებით მიმართული იყო მეფის რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ. აი, რას წერს შეთქმულების შესახებ ალ. ორბელიანი, რომლის ცნობა ნამდვილად იმსახურებს ყურადღებას: „სრულიად საქართველოს დიდი კაცნი და მცირენი და ბევრი სასულიერო წოდებანი, რომელთაც ხნიანი დედაკაცნი და ყმაწვილქალთა ერთი აზრი ქონდათ ყველას ჩვენთანა: ან უნდა გავწყვეტილიყავით სულ ერთიან, ან არადა მამული გამოგვეხსნა სმინელის ჩვენის მტრის რუსეთისაგან“<sup>19</sup>. ამ სიტყვების დამწერი ალ. ორბელიანი განა თვითონ არ იყო ერთ-ერთ დიდ თავადთა საგვარეულოს წარმომადგენელი, რომელსაც უსაზღვროდ ეზიზღებოდა „სამინელის ჩვენის მტრის რუსეთის“ სახელმწიფო.

ბარათამვილთა საგვარეულოს ფსიქოლოგიის განსაკუთრებულობის თემა გ. ნათაძესთან მოულოდნელად ვრცელია და „დასაბუთებული“, მაგრამ თვით მო-

<sup>17</sup> თ. სახოკია, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

<sup>18</sup> Г. Натадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

<sup>19</sup> გ. გოზალიშვილი, 1832 წლის შეთქმულება, 1945, გვ. 128.

ღენის მიზეზი აუხსნელი და დაუსაბუთებელი — „თავად ბარათაშვილთა მემორიალური გამოირჩეოდა, ერთი მხრივ ყოველი ახალი დამპყრობელის წინაშე ფეოდალური მფლობელობის შენარჩუნებისათვის ლაქიანობით, მეორე მხრივ... გლეხებისადმი სასტიკი დამოკიდებულებით“;<sup>20</sup> — ამტკიცებს გ. ნათაძე.

კვლავ გვინდა საგანგებოდ აღვნიშნოთ, რომ ბარათაშვილთა გენეალოგიის შესახებ მსჯელობა გ. ნათაძის წიგნში თემა არის და არა ექსკურსი. მშინ, როცა ჩვენის აზრით, წიგნი: „სულხან ბარათაშვილი როგორც საქართველოს ისტორიკოსი“ სრულებით არ გულისხმობს, ბარათაშვილთა საგვარეულოს ფეოდალურ-პოლიტიკური ცხოვრების ისტორიის ან ფსიქიკის თავისებურების შესწავლის. აუცილებლად აღნიშვნის ღირსია, რომ გ. ნათაძე ბარათაშვილთა საგვარეულოს შესახებ ხანგრძლივი მსჯელობის მთელ მანძილზე არც ერთხელ არ იმომწმებს არც ერთ სერიოზულ წყაროს.

ზედმეტი იმაზე საუბარი, რომ ბარათაშვილთა სახლი, რომელმაც XV ს-დან ქვემო ქართლის ტერიტორიაზე დიდ სათავადოს „საბარათიანოს“ ჩაუყარა საფუძველი ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამიტომ ბუნებრივია საბარათიანოსადმი, ნებისმიერ იმ ქართველ თუ არაქართველ ისტორიკოსთა დიდი ინტერესი, ვინც ოდესმე შეხებია ქვემო ქართლის მნიშვნელობის საკითხს, საქართველოს პოლიტიკური თუ ეკონომიკური არსებობისათვის, ისე რომ გ. ნათაძეს შეეძლო ესარგებლა ისეთ მნიშვნელოვან ავტორთა შრომებით და წყაროებით როგორც არის: ვახუშტი ბატონიშვილი,<sup>21</sup> თ. ჟორდანიას<sup>22</sup>, ს. კაკაბაძე<sup>23</sup>, ქართლის ცხოვრება, საისტორიო მოამბე, (ნ. I, 1924წ.)<sup>24</sup> 1924 წ. დასტურლამალი<sup>25</sup>, ფარსადან გორგიჯანიძის ცნობები, საქართველოს სიძველენი, (II) და ბევრი სხვა ცნობილი ღირსეული ავტორი და ღირებული წყარო. გ. ნათაძეს არ უსარგებლნია არც ერთი ჩვენს მიერ დასახელებული ავტორების ნაშრომებით ან წყაროებით.

სამაგიეროდ განსაკუთრებული სიმპათიით ეყრობა და დიდ ნდობას უცხადებს ქართული ისტორიოგრაფიისათვის თითქმის უცნობ სომეხ ისტორიკოსებს, რომელთა მოწმობითაც ყოველი ახალი დამპყრობლის წინაშე „მლიქვნელი“, და „ლაქია“ ბარათაშვილები თავიანთი გლეხების მუდამ მტანჯველი, და სასტიკი მებატონეები ყოფილან. როგორც გ. ნათაძე განმარტავს ყველაფერი ეს კარგად ჩანს: „Из рассказов армянских историков Иоана Крымского и Суреняна. Эти данные я привожу по исследованию, С. В Тер-Аветисяна, которое к сожалению до сих пор не напечатано. Исползовать его мне удалось, благодаря товарищеской помощи со стороны автора, за что приношу ему глубокую благодарность“<sup>26</sup>.

<sup>20</sup> Г. Натадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

<sup>21</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1979.

<sup>22</sup> თ. ჟორდანიას, ქრონიკები, წ. II, 1897.

<sup>23</sup> ს. კაკაბაძე, ისტორიული საბუთები, წ. III, 1913.

<sup>24</sup> ს. კაკაბაძე, ბარათაშვილი და მისი წიგნი.

<sup>25</sup> დასტურლამალი მეთის ვახტანგ მეექვსისა, 1886 წ.

<sup>26</sup> გ. ნათაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.





არ ვიცით რამდენად გასაზიარებელია გ. ნათაძის წუხილს „წინააღმდეგობის“ გამო. არ ვიცით, რადგან გაუგებარია რომელ და რა ღირებულების ნაშრომზეა საუბარი.

საესებით გასაგებია ნათაძის, როგორც მეცნიერის დელიკატობა სომეხი კოლეგის მიმართ, რომელსაც მისთვის ნება დაურთავს გასცნობოდა გამოუქვეყნებულ ნაშრომს, მაგრამ გაუგებარია მისივე განსაკუთრებული ინტერესი ზემოთ დასახელებულ სომეხ სწავლულთა აზრების მიმართ, როცა არაერთარ სიძნელეს არ წარმოადგენდა საინტერესო საკითხის გასარკვევად გამოყენებინა მრავალი საესებით სანდო ქართული წყარო, რომელთაგან ზოგიერთი ზემოთ უკვე დასახელებით, შეიძლება გვეფიქრა, რომ უცხო ავტორთა ნდობა, კვლევის „დემოკრატიული“ მანერის მაჩვენებელია ან იქნებ ესეც „ინტერნაციონალურა“ პოლიტიკაა, ნდობა უფრო უცხოელს გამოუცხადო ვიდრე საკუთარს.

ასეთი სამეცნიერო „ალტრუიზმი“ საქართველოში მეტროპოლიის „პრინციპული“ მოთხოვნით ინერგებოდა. თუ ჩვენი ვარაუდი უსაფუძვლოა ან სადემოკრატიო იმის თქმა დაბეჯითებით შეიძლება, რომ გ. ნათაძის მიერ, თითქმის უცნობო სომეხი ავტორის, გამოუქვეყნებელ ნაშრომზე დაყრდნობით საქართველოს ისტორიის იმ საკითხთა გარკვევა, რომელთა შესახებ უამრავი ძვირფასი ქართული ლიტერატურა არსებობს, შემთხვევითი მოვლენა არ არის, რისი ახსნაც სხვანაირად არ ხერხდება ვიდრე შევეცადე, ამიტომ საკითხის შესახებ ჩვენი პრეზუმფცია საესებით ნორმალურად გვეჩვენება.

რაც შეეხება სომეხი ისტორიკოსის „გულითადობას“, რაც გ. ნათაძის განმარტებით, მხოლოდ და მხოლოდ „ამხანაგური“ უანგარო გრძნობით ყოფილა ნაკარნახევი, არ უნდა იყოს სწორი. საქმე ის არის, რომ გ. ნათაძის, სომეხი ამხანაგები ძალზე დაინტერესებული ყოფილან სოფელ ახპატის და მისი სომეხი მოსახლეობის ბედით. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სოფ. ახპატს ბარათაშვილები უკანონოდ ფლობდნენ. ახპატი იყო მდიდარი და ხალხმრავალი სოფელი, იგი თურმე ადრე ახპატის მონასტერს ეკუთვნოდა, რომლისთვისაც ეს სოფელი ლორეს მფლობელებს შეუწირავთ — „უსამართლობისადმი“ შეუთრგებელ ახპატელ სომეხებს გადაუწყვეტიათ, ქართველი ბატონი ოჯახიანად ამოეხოცათ, რაც შეუსრულეებით კიდევ: „Группа крестьян-заговорщиков ночью ворвалась к нему, убила его и вырезала всю его семью“<sup>27</sup>.

ბარათაშვილთა საგვარეულოს თაობაზე სომეხი „ამხანაგების“ „ნააზრეს“ გ. ნათაძე ქვემარტად მიიჩნევს, ქართული წყაროებიდან მხოლოდ არსენას ლექსს იმოწმებს<sup>28</sup>.

ბ. ბარათაშვილთა საგვარეულოს „ფსიქიკით“ გ. ნათაძის დაინტერესება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმით არის გამოწვეული, რომ სურს ამ გზით ახსნას ს. ბარათაშვილის როგორც პიროვნების მსოფლმხედველობა და როგორც ისტორიკოსის კონცეფცია. კვლავ აღვნიშნავთ, რომ გ. ნათაძეს ბარათაშვილთა გენეალოგიის წარმოსაჩენად სუსტი საბუთები მოჰყავს, სუსტი საბუთი არასოდეს იმ-

<sup>27</sup> Г. Натадзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

<sup>28</sup> იქვე.

განმარტებული  
განმარტებული

ლევა დამაჯერებელი დასკვნის საფუძველს, თუმცა ასეც რომ არ ყოფილიყო და ნათაძეს ქართულ მნიშვნელოვან წყაროებზე დაყრდნობით გამოეკვლია ბარათაშვილთა გენეალოგია, მათი ფეოდალური ცხოვრების ისტორია, მას არ შეეძლო კვლევის ასეთი შედეგი ისტორიკოს ს. ბარათაშვილის ისტორიული კონცეფციის და კვლევის მეთოდების პირობად გამოეცხადებინა, რადგან ასეთი კრიტიკიუმით არ შეიძლება შეფასდეს მკვლევრის შეხედულებათა სისტემის არსი. ოპონენტს მათ თუ იმ მკვლევარის კონცეფციის, გნებავთ იდეოლოგიური მიმართულების შეფასებისათვის, აქვს ერთადერთი მართებული საზომი, რაც მიიღება მხოლოდ და მხოლოდ განსახილველი ტექსტის მეცნიერული ანალიზის შედეგად.

ძალზე საინტერესოა ს. ბარათაშვილის როგორც მოაზროვნის გ. ნათაძისეული ერთი შეფასება. უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ იგი ბარათაშვილს პროვიდენციალისტად მიიჩნევს (სხვათა შორის გ. ნათაძე ამ მხრივ გამოწკლისი არ არის) და თვლის, რომ ბარათაშვილისათვის ისტორიის შემოქმედებითი ძალა მხოლოდ და მხოლოდ უზენაესი განგება არის: „Вершителем судеб народных у него является проведение и избранных им лица“<sup>29</sup> — ამბობს ბარათაშვილის შესახებ გ. ნათაძე. თავისი აზრის დასადასტურებლად მას მრავალი საბუთი მოჰყავს, რომელთა შორის უპირველესი არის ს. ბარათაშვილის განცხადება: „ყველაფერი ქვეყანაზე განგების ნებით მოხდება ხოლმე“ ეს სიტყვები ნამდვილად ს. ბარათაშვილს ეკუთვნის, მაგრამ მას აქვს გაგრძელება. მოვიყვანოთ მოლიანად და შევეცდები დავამტკიცო, რომ მისი შინაარსი არ შეიცავს პროვიდენციულ აზროვნებას. „ყველაფერი ქვეყანაზე განგების ნებით მოხდება ხოლმე, და ეს ნება გამოიხატება ბუნების კანონებით, ამ კანონების ძალით ყველაფერი, როგორც ფიზიკური ისე მორალურიც... ყველაფერი იცვლება პოლიტიკური და სარწმუნოებრივი ხალხთა დაწესებულებანიც არ არიან დაფარულნი ამ საერთო წესისაგან. სარწმუნოებაც დაწესებულებაა, იმისთანა, როგორიც შეეფერება კაცთა საზოგადოების განვითარების მდგომარეობას, მაგრამ როდესაც საზოგადოების მოწინავე წევრთა შეხედულება იცვლება და გამოდის იმ მდგომარეობისაგან, რომელშიც დაწესებული იყო რომელიმე სარწმუნოება, — მაშინ ეს გარეობა კარგავს მთელს თავის ძალას და, ვითარცა ცრუ მოძღვრება, — პატივისცემას ხალხის მხრით“<sup>30</sup>.

ს. ბარათაშვილის „საქართველოს ისტორიიდან“ ეს გრძელი ამონარიდი პროვიდენციალიზმის საწინააღმდეგო ბევრ „შეგონებას“ შეიცავს და უფრო ცვალებადობის უცვლელობაზე ლაპარაკობს, რაც თავისთავად ისტორიული მოვლენების შინაგანი კანონზომიერებით ახსნას გულისხმობს.

ამონარიდს ს. ბარათაშვილის წიგნიდან, რომელიც ზემოთ მოვიყვანე, კარგად იცნობს, გ. ნათაძე, მაგრამ მისთვის მთავარი მაინც პირველი წინადადებაა: „ყველაფერი ქვეყანაზე განგების ნებით ხდება“. თუ ქვეყანაზე განგების ნების გარეშე არაფერი ხდება, მაშინ რა მნიშვნელობა ენიჭება ბუნების ფაქტორებს? — ამბობს გ. ნათაძე. სავსებით მისაღები შეკითხვაა, მაგრამ რამდენადაც აზრი „ყველაფერი

<sup>29</sup> Г. Натадзе, დასახ. ნაშრ, გვ. 17.

<sup>30</sup> ს. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორია, რვეული 2, 1895, გვ. 8-9.



განგებების ნებით ხდება“ არავითარ განვითარებას არ განიცდის ტექსტის შემდგომ გაგრძელებაში, იმდენად ეულია, რომ გაკვირვებას იწვევს რატომღაც დასკვნით დასკვნით ავტორს. ფრაზა „ყველაფერი განგების ძალით ხდება“, ჩვენი აზრით, მორწმუნე კაცის წამოძახილი, „რეპლიკა“ უფროა და მას კონტექსტში სხვა ფუნქცია აკისრია. თუ ასეთი ვარაუდი უადგილოა და საფუძველი არ არის ს. ბარათაშვილის პროვიდენციალისტობის უარსაყოფად, მაშინ არც: „ყველაფერი ქვეყანაში განგების ნებით მოხდება ხოლმე“ გამოდგება საწინააღმდეგო მტკიცებისათვის, რასაც როგორც აღვნიშნეთ ადასტურებს ზემოთ მოყვანილი ს. ბარათაშვილისეული ტექსტის მთელი შინაარსი.

გ. ნათაძეს მიაჩნია, რომ ს. ბარათაშვილი სიყრმიდან განგებისადმი რწმენის ერთგული იყო და ვერასდროს განთავისუფლდა ასეთი ტყვეობისაგან. ერთი სიტყვით იგი ვარაუდობს, რომ ღვთის მორწმუნე კაცის მდგომარეობა ს. ბარათაშვილს საღად განსჯის უნარს უკარგავდა, რაც პროვიდენციული მსოფლმხედველობის საფუძველი იყო.


ჯერ ერთი ასეთი აზრის საწინააღმდეგოდ ნამდვილად გამოდგება ს. ბარათაშვილის ზემოთ მოტანილი ტექსტი. შემდეგ, თუ გავიხსენებთ, რომ ს. ბარათაშვილი წიგნში „საქართველოს ისტორია“ წმინდა ნინოს მკაცრ „ოპონენტად“ გვევლინება. ეს ყოველად მოულოდნელია ბავშვობიდან განგების ტყვეობაში მყოფი ადამიანისაგან. წმინდა ნინომ წერს ს. ბარათაშვილი „ქრისტიანული ფილოსოფიის გარდა ძლიერ კარგად გამოიყენა, აგრეთვე, ზოგიერთი ავადმყოფობის მკურნალობის ცოდნა და ყოველთვის მკურნალობაში თავის წარმატებას მიაწერდა ხოლმე ლოცვას იესო მაცხოვრისადმი და ჯერის ძლიერებას, რომელსაც ის დებდა ავადმყოფთა სარეცელზე“<sup>34</sup>. ყურადღება მივაქციოთ ს. ბარათაშვილის იმ აზრს რომ თურმე ნინო თვითონ კურნავდა ავადმყოფს, მაგრამ ტყუოდა და თავის წარმატებას, „ლოცვას“ იესო მაცხოვრისადმი და ჯერის ძლიერებას“ მიაწერდა. ვფიქრობთ, იესო მაცხოვრის, წმინდა ნინოს და წმინდა ჯერის შესახებ ასე „დემოკრატიულად“ მოლაპარაკე ს. ბარათაშვილი არ ჰგავს განგების ყოველშემძლეობით დათრგუნულ მოაზროვნეს, რომელიც მზად არის ყოველი ამქვეყნიური პრობლემის ახსნა განგების და ბედისწერის გაგლენით ახსნას.

გ. ნათაძის განმარტებით, ს. ბარათაშვილისათვის საზოგადოების ისტორიული განვითარების დედაბოძია პრივიდენციალიზმი და ასეთი შთავგონება არის იწყობა, რომელიც მას საფუძველს აძლევს გაუთავებლად და უსაფუძველოდ აქოს და აღიღოს ქართველი მეფეები, რომლებიც განგების მოვლენილად მიაჩნია. სწორედ ამ მოტივით არის ახსნილი ს. ბარათაშვილის განსაკუთრებული თავყვანისცემა დავით აღმაშენებლისადმი და მემპტიანისეული „დაუჯერებელი“ მონათხრობის დაჯერება. „საქმე იქამდის მიდის, რომ ბარათოვს სინამდვილედ მიაჩნია ეპითალმწერლის მიერ გადმოცემული ლეგენდა იმის შესახებ, რომ ერთხელ ეს მეფე იმდენად გაერთო წიგნის კითხვით, ხელიდან გაუშვა თავდასხმისათვის ხელსაყრელი

<sup>32</sup> Г. Натадзе, დასახ. ნაშრ. გვ. 15.

<sup>33</sup> იქვე, გვ. 19.

<sup>34</sup> ს. ბარათაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.



წოდება სიციოცხლე საფრთხეში ჩაიგდო<sup>35</sup> გასაგებია, რომ გ. ნათაძეს მემკვიდრის ცნობაში დაუჭერებლად მიაჩნია, დავით აღმაშენებლის განსაკუთრებული მნიშვნელობა მწიგნობრობით. დაუჭერებლად მიაჩნია, რომ საფარში მყოფი მეფე თურ-ზე ერთხელ ისე გაერთო წიგნის კითხვით, რომ სიციოცხლე საფრთხეში ჩაიგდო. გ. ნათაძე იმასაც საყვედურობს ს. ბარათაშვილს, რომ იგი ძალზე ბევრს ლაპარაკობს დავით აღმაშენებლის მწიგნობრობის შესახებ.<sup>36</sup>

ისტორიკოსთაგან ვინც ოდესმე შეხებია დავით აღმაშენებლის პიროვნების არკვევის საკითხს, ეჭვი არავის შეპარვია, მწიგნობრობით მის, მართლაც, საბრძოლო გაცემაში, განსწავლულობაში. „იგი ბუნებითაც უხვად ყოფილა დაჭილ-ლობუღი და მთელს თავის თავისუფალ დროს სიკვდილამდე წიგნების კითხვას და გონებრივ მუშაობას ანდომებდა... ამასთანავე წიგნები ყველგან თან დაჰქონდა ხელში<sup>37</sup>. — წერს ივ. ჯავახიშვილი. არც იმის საფუძველი არსებობს უარყოფითი მტკიცების ზემოთ მოტანილი ცნობა, რომელსაც გ. ნათაძე ლეგენდას უწოდებს. მართლაც არ არის დაუჭერებელი, რომ დავით აღმაშენებელი, რომელსაც წიგნები ყველგან თან დაჰქონდა სანგარში ჩასაფრებული ისეთი გაცემათი კითხულობდა, რომ გარე სამყაროს გამოეთიშა.

სხვათა შორის ერთ ადგილს გ. ნათაძე ამბობს, როცა წყაროები ამა თუ იმ საკითხის შესახებ სდუმან „ძალაუწებურად წყაროების სიჩუმეს უნდა დავემორჩილოთ<sup>38</sup>. თუ ეს სწორია, რატომ არ უნდა დავემორჩილოთ წყაროების მკვრივ-მკვრივ ცნობებს, როცა ისინი რეალობის თვალსაზრისითაც საესებით მისაღებად და არც საწინააღმდეგო საბუთი გვაქვს.

გ. ნათაძე, ჩვენი აზრით, მემკვიდრის ცნობას იმ მიზნით უარყოფს, რომ უარყოფა თავისი მიზნისათვის გამოიყენოს, კერძოდ წარმოაჩინოს ს. ბარათაშვილის განსაკუთრებული და „უსაფუძვლო“ თაყვანისცემა, განგებისაგან გამოგზავნილი ბუფის მიმართ და უდავო გახადოს ისტორიკოსის პროვიდენციალიზმი.

ისტორიკოს ს. ბარათაშვილის განსაკუთრებული თაყვანისცემა დავით აღმაშენებლის პიროვნებისადმი სავსებით რეალურ საფუძველს ეყრდნობა. ქართველმა ხალხმა მრავალ მეფე დავითთა შორის მხოლოდ ერთს დავით IV-ეს უწოდა აღმაშენებელი: „უტყუარმა განაჩენმა ერისამ ეკლესიის დალოცვითა და კურთხევით, აღმაშენებლის სახელი დაარქვა საუკუნო სახსენებლად. ამ, მართლაც, და დიდებულმა მეფემ... აოხრებული ქვეყანა ააშენა“<sup>39</sup>, — ამბობს ი. ჭავჭავაძე.

გ. ნათაძე დავით აღმაშენებლისადმი ს. ბარათაშვილის დამოკიდებულებას, ისტორიკოსის პროვიდენციალიზმის სასარგებლოდ მიიჩნევს, მაგრამ ასეთი აზრის მტკიცება უსაფუძვლოა თუნდაც იმიტომ, რომ ბარათაშვილის შეხედულება საკითხის შესახებ არაფრით განსხვავდება ი. ჭავჭავაძის და ივ. ჯავახიშვილის აზრისაგან. ეს ორი დიდი მოაზროვნე კი ნამდვილად შორს არის ყოველგვარი პროვიდენციალიზმისაგან.

<sup>35</sup> Г. Наталдзе, *დასახ. ნაშრ.* გვ. 23.

<sup>36</sup> გ. ნათაძე, *იქვე*, გვ. 23.

<sup>37</sup> ივ. ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია II*, 1965, გვ. 210.

<sup>38</sup> გ. ნათაძე, *საქართველოს ისტორიის მოკლე სოციოლოგიური მიმოხილვა 1925*, გვ. 47.

<sup>39</sup> ი. ჭავჭავაძე, *ტ.* 4, 1937, გვ. 154.





ჩვენი აზრით, ს. ბარათაშვილის მეცნიერული კონცეფციის განხილვა და დოკუმენტის გამოყენებით, უფლებას გვაძლევს განვაცხადოთ ჩვენთვის ცნობილი ისტორიკოსის მსოფლმხედველურ სისტემაში პროვიდენციალიზმს, სერიოზული ადგილი არ უკავია, ყოველ შემთხვევაში საწინააღმდეგო მტკიცებისათვის გ. ნათაძეს დამაჯერებელი საბუთი ვერ მოჰყავს.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ გ. ნათაძე განსაკუთრებული შეუწყნარებლობით და სიმკაცრითაც კი ეპყრობა ს. ბარათაშვილის „მონარქიზმს“.

გ. ნათაძის მხრივ საკითხთან დაკავშირებული სიმკაცრე უმართებულოდ მიგვაჩნია. ჩვენი აზრის ასახსნელად მოვიყვანთ მაგალითს რუსეთის ისტორიიდან.

ნ. მ. კარამზინი წიგნში „История государства руссического“ ძალზე რელიგიურად წარმოაჩენს თავის განწყობილებას მეფის თუ დედოფლის თაყუანისცემის თაობაზე: „История народа принадлежат Царю“<sup>40</sup> – წერს კარამზინი, იმპერატორ ალექსანდრე I-დმი გაგზავნილ წერილში.

სხვა ადგილას, საუბრობს, რა მეფე ივანე მრისხანის ცოლის ანასტასიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით აცხადებს. „Здес конец счастливых дней Иона и России“<sup>41</sup>.

ვფიქრობთ მოყვანილი ამონარიდებიდან კარგად ჩანს, რომ კარამზინი ორთოდოქსი „მონარქისტი“.

აკადემიკოსი დიმიტრი ლიხაჩოვი ეხება რა კარამზინის მეფეებისადმი განწყობილებას, განმარტავს: „Монархизм Карамзина мы воспринимаем сейчас как своего рода литературную условность, на которой строится изложение“<sup>42</sup>.

რა თქმა უნდა მოყვანილ მაგალითზე დაყრდნობით შეუძლებელია ნათაძის თვალსაზრისის უარყოფა, მაგრამ XX ს-ის მოაზროვნის დ. ლიხაჩოვის „შემწყნარებლური“ დამოკიდებულება XIX ს-ის დასაწყისის მოაზროვნისადმი სავსებით მართებულად მიმაჩნია, რაც შთაგვაგონებს: იმ „დანაშაულისათვის“ რომ საქართველოს სახელგანთქმული მეფეების ან ერისთავებისადმი სიმპათიურადაა განწყობილი, ს. ბარათაშვილი არ იმსახურებს ასეთ საყვედურს: „Слепое преклонение перед сильными личностями.. у С. Баратова превращается нередко в преклонение перед Царями и Эриставами“<sup>43</sup>.

ახალგაზრდა პუშკინმა კარამზინის ისტორიის ეპიგრაფა უძღვნა:

В его „Истории“ изящность простота доказывают нам, без всякого пристрастия  
Необходимость самовластия и прелести кнута“<sup>44</sup>.

სხვა ადგილას პუშკინი ნ. კარამზინის ისტორიკოს-დილეტანტს უწოდებს.<sup>45</sup> მაგრამ, როდესაც პუშკინმა გააცნობიერა კარამზინის ისტორიის სარგებლიანობა და მისი ავტორის სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანის, უანგარო შრომა შე-

<sup>40</sup> Н. М. Карамзин, История государства руссического, книга, 1988, 14.


<sup>41</sup> Н. М. Карамзин, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

<sup>42</sup> იქვე, II გვ. 6.

<sup>43</sup> Г. Наталдзе, сулхан Баратов как историк Грузин. გვ. 32.

<sup>44</sup> Н. М. Карамзин, დასახ. ნაშრომი, ტ. I. გვ. 4.

<sup>45</sup> Жизнь Пушкина, том. II, 1988, II, 1988, გვ. 154


 1993 წლის  
 აპრილის 15

ფასა, ბოდნიში მოიხადა და საქვეყნოდ განაცხადა: “История государства Российского” есть не только создание великого писателя, но и подвиг честного человека”<sup>46</sup>. მოხმობილი ტექსტის ბოლო წინადადება სრული უღესით შეგვიძლია გავავრცელოთ ს. ბარათაშვილზეც. მისი ღვაწლი სამშობლოს წინაშე, ნამდვილად არის პატიოსანი პატრიოტის შრომა და გამარჯვება.

Г. Ш. НАДИРАДЗЕ

## СУЛХАН БАРАТАШВИЛИ В ГРУЗИНСКОЙ ИСТОРИОГРАФИИ

Резюме

Сулхан Германозович Бараташвили (1821-1866) принадлежит к числу видных грузинских историков.

Заслуги С. Бараташвили как исследователя истории Грузии неоднократно отмечались различными авторами, но, тем не менее, его вклад в науку оставался и остается по сей день вне поля зрения серьезных историографических рассматриваний.

На этом неблагоприятном к ученому фоне особый интерес приобретает книга профессора Г. Натадзе “Сулхан Баратов как историк Грузии”, изданная в 1934 году в Тбилиси и содержащая критику взглядов С. Бараташвили как историка, подчас во многом неоправданно резкую и, более того, со всей очевидностью беспочвенную.

В книге неверно осмыслиются основы мировоззрения С. Бараташвили, дается неубедительная трактовка сущности системы взглядов историка.

Разумеется, объем журнальной статьи лимитирует и лишает возможности с соответствующей глубиной и скрупулезностью вникнуть в существо всех замечаний по поводу научных изысканий С. Бараташвили. Объектом обостренного внимания здесь предстает причинность, побудившая Г. Натадзе избрать целью своей критики С. Бараташвили. В статье внимание заострено также на следующих вопросах: правомерен ли взгляд Г. Натадзе на родословную С. Бараташвили, подкреплено ли в достаточной степени данное умозаключение убедительными документами, подтверждающими провиденциальность С. Бараташвили как мыслителя.

წარმოადგინა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრამ.

<sup>46</sup> Н. М. Карамзин, дасახ. ნაშრომი, გვ. 4.

პალზაზ ნაბინიძე

**ზაქარია ჭიჭინაძე და „ქართულში სპარსეობა“**

ზაქარია ჭიჭინაძე (1854-1931 წ. წ.) ქართული კულტურის ისტორიაში ის მოვლენაა, რომელიც ნებისმიერი ერის კულტურულ ცხოვრებას დაამშვენებდა. „პატარა, ჩია, თხელი კაცი ... დანაოჭებული, დაღარული, დროისაგან დაქმუქნული“<sup>1</sup>

პირისახით, ყველასაგან გამორჩეული შრომისუნარიანობითა და თავდადებით უზენაესი გრძნობით თავისი ცხოვრების არც თუ ისე ხანმოკლე მანძილზე ემსახურა იმ საშვილიშვილო საქმეს, რომელსაც ქართული წიგნის გამოცემა ჰქვია.


თუმცა, მისი მოღვაწეობა ერთი რომელიმე კონკრეტული საქმიანობით არ შემოიფარგლება, მაინც, ზაქარია ჭიჭინაძე უპირველესად XIX-XX საუკუნეების უდიდესი ქართველი ბიბლიოფილია. ხელნაწერებისა და წიგნების მოპოვება, ხოლო შემდეგ მათი გამოქვეყნება არის უმთავრესი და უპირველესი საზრუნავი ზაქარია ჭიჭინაძისათვის. მის კალამს 250-მდე წიგნი ეკუთვნის, რომლებიც განსხვავებულ თემებზე შეუდგენია ავტორს. გალაკტიონ ტაბიძის თქმით, „მთელი საქართველო მოფენილია მის მიერ გამოცემული წიგნებით, მან მრავალი ხელნაწერი პირველად გააცნო საზოგადოებას“<sup>2</sup>.

ზაქარია ჭიჭინაძეს სპეციალური განათლება არ მიუღია. იგი მშრომელი გლეხის ოჯახში დაიბადა მეთხუთმეტე შვილად, ამიტომ „14-18 წლამდე ... ასრულებდა სახლში იმავე მოვალეობას, რასაც ოჯახის სხვა წევრები. მთელი რიგი მისი წინაპრებისა თხრიდნენ მიწას, ხნავდნენ, თესავდნენ, ფარცხავდნენ, თიბავდნენ თივას, ლეწავდნენ კალოს“<sup>3</sup>.

ზაქარია ჭიჭინაძემ თავისი ნათელი წინაპრებისაგან ანდერძად მიიღო ქართველი გლეხისათვის დამახასიათებელი ბევრი მნიშვნელოვანი თვისება: სამშობლოში წის სიყვარული, ტრადიციული სიმრთელე გონებისა და სიჯანსაღე სხეულისა, შრომადღეინადაც და ამ შრომით შექმნილი ბარაქა ..., ამიტომ არის ზაქარია ჭიჭინაძის შემოქმედებითი გზაც ქართველი გლეხივით გამრჯე და ალალ-მართალი.

ახალგაზრდობის საკმაოდ ადრეულ პერიოდში გამოიკვეთა ზაქარია ჭიჭინაძის მისწრაფება-მიდრეკილებანი. წიგნის სიყვარულმა დააწყებინა მას „წიგნთსაცავში“ მუშაობა, სადაც „გაუმძღვრად ყლაპავს წიგნებს, განურჩევლად. ზედინზედ, შეუსვენებლად“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ლ. ასათიანი, ქართველი მწიგნობარი, რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1958, გვ. 333.  
<sup>2</sup> გ. ტაბიძე, თხზულებათა სრული კრებული, ტ. XII, თბ., 1975, გვ. 22.  
<sup>3</sup> გ. ტაბიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. :23.  
<sup>4</sup> ლ. ასათიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. :334.



ერთი მნიშვნელოვანი მომენტი ხდება გადამწყვეტი ზაქარია ჭიჭინაძის შემთხვევაში. გლაკტიონ ტაბიძე ამ მოვლენას ასე აგვიწერს: „შტაბის ჭეჭაზე ერთ-ერთ მიდის ხუთი ქართველი კაცი: აკაკი წერეთელი, სერგეი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და კირილე ლორთქიფანიძე. ერთი სასტუმროს წინ ისინი ამჩნევენ 15 წლის ახალგაზრდას, რომელსაც ხელში გაზეთი „დროება“ უჭირავს და გულმოდგინედ კითხულობს“<sup>5</sup>.

გაოცებული სერგეი მესხი (მაშინ „დროების“ სულ 100-მდე ეგზემპლარი გამოდიოდა) დიდხანს ესაუბრება ახალგაზრდას და შემდგომში დაიახლოვებს მას. აქედან იწყება ზაქარია ჭიჭინაძის სამწერლო საქმიანობა. იგი „მთაწმინდელის“ ფსევდონიმით 1872 წლიდან გაზეთ „დროებაში“ ბეჭდავს წერილებს, ხოლო 1875 წლიდან წიგნის გამოცემის საქმეში ებმება. „მთელი სიცოცხლე, ძალღონე და უშრეტო ენერჯია ამ დაუცხრომელმა ენთუზიასტმა შესწირა ჩვენი მშრომელი ხალხის გათვითცნობიერებას და კულტურული განვითარების საქმეს“<sup>6</sup>.

ზაქარია ჭიჭინაძე ბევრ შემთხვევაში თვითონ წერდა, ბეჭდავდა და აწყობდა წიგნებს. რადგან თბილისში იმ დროს არსებული სამივე წიგნის მაღაზია ძირითადად რუსული და სომხური წიგნების ყიდვა-გაყიდვით იყო დაკავებული, ამიტომ ზაქარია ჭიჭინაძე შუა ბაზარში პატარა მაგიდაზე შემოწყობილი წიგნებით, ხოლო მოგვიანებით იმ წიგნის მაღაზიაში ვაჭრობდა თავმდაბლად, რომელიც ქაშუეთის ეკლესიის ეზოში გახსნა.

ზაქარია ჭიჭინაძე წერს და აქვეყნებს ყველაფერ იმას, რაც შეიძლება გამოცემის მომავალ თაობებს. კრებს საინტერესო დოკუმენტაციას ქართველი მაჰმადიანების, კათოლიკეების, გრიგორიანელების და სხვათა შესახებ.

კულტურის ისტორიის თვალსაზრისით მისი ბევრი ნაშრომი არის საინტერესო, მაგრამ აქ მხოლოდ ერთ მათგანზე შევჩერდებით. ეს არის ნაშრომი სახელწოდებით „ქართველები სპარსეთში“, სადაც მოთხრობილია სხვადასხვა დროს სპარსეთში გადასახლებულ ქართველთა მდგომარეობის შესახებ XIX ს-ის II ნახევარში.

საერთოდ, ზაქარია ჭიჭინაძის შემოქმედებაზე თვალის გადავლება ცაკმართის იმისათვის, რომ ნათელი გახდეს შემდეგი: ზაქარია ჭიჭინაძის განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიპყრობილი ქართველი მაჰმადიანებისაკენ. მან არაერთჯერ იმოგზაურა აჭარაში, კერძოდ, ბათუმსა და ქობულეთში, ეწეოდა ქართული წიგნის პროპაგანდას (უფასოდ ჩაჰქონდა და არიგებდა ქართულ წიგნებს) და სახელდაგულად იწერდა ყველა მნიშვნელოვან ცნობას, რომელიც ამ კუთხის მაჰმადიანებას შეეხებოდა. მის მახვილ კალამსა და ნათელ გონებას არც ის გამოსარჩევია, რომ გასული საუკუნის ბოლოს სპარსეთის მიწა მოფენილი იყო რჯულ-შეცვლილი, სამშობლომონატრებული ქართველებით. ამიტომ მან ჯერ შეკრიბა, შემდეგ ერთ წიგნად შეკრა და მომავალ თაობებს დაუტოვა ყველა ის საყურადღებო ცნობა, რომელიც მას ხელთ ჰქონდა.

ზაქარია ჭიჭინაძე გულისტკივილით შენიშნავს, რომ ქართული საისტორიო წაროები ძალზე მწირ და მშრალ ცნობებს გვაწვდიან ქართველების სპარსეთში

<sup>5</sup> გ. ტ ა ბ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. :31.  
<sup>6</sup> ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 334.





გადასახლების შესახებ. „მთელი „ქართლის ცხოვრება“ ცნობებით, – წერს ავტორი, – და თუ არის სადმე რამ მოხსენიებული, ისიც ორი-სამი სიტყვით. ასე: შაჰ-აბაზ მოვიდა, კახეთი აპყარა და სპარსეთში გადასახლა, – ეს არის, მორჩა, მოისვენა, ამით გათავდა საქმე... ნეტა ისეთი დიდ შემთხვევები, როგორც იყო ქართველთა გადასახლება სპარსეთში, ქართველთა მესტორიეთათვის რად იყო უმნიშვნელო და ისე დამამცირებელი, რომ ასეთ დიდ შემთხვევებზე ისე მცირეთადად მოგვცემენ: „აპყარა და წაიყვანა“<sup>7</sup>.

ნაშრომში „ქართველები სპარსეთში“, რომელიც მოცულობით არც თუ ისე დიდია, არაერთი საინტერესო ცნობაა მოწოდებული, რომელიც დაინტერესებს ქართული კულტურის ისტორიის მკვლევართ. ავტორმა ნაწარმოებში ბევრგან ხმა-გასმით აღნიშნა სპარსეთში მცხოვრები ქართველების ენობრივი მდგომარეობა, ქართული ენის გავრცელება-გაუვრცელებლობის არეები.

ზ. ჭიჭინაძე სპარსეთში ქართველებით დასახლებული სოფლების ჩამოთვლასთან ერთად (თელავი, ზემო მარტყოფი, ქვემო მარტყოფი, ნინო წმინდა, ჭაყ-ჭაყი და სხვ.) მიმოიხილავს ამ სოფლებში ქართული ენის გამოყენების საკითხს. თურმე, თექვსმეტი სოფლიდან ცხრა სოფელში ქართველები ქართულად ლაპარაკობენ, ხოლო შვიდ სოფელში ქართული აღარ გამოიყენება. ენის დაკარგვის საშიშროებით გულშეუწებელი ზაქარია ჭიჭინაძე წერს: „ენის მფარველობის საკითხს ჩვენგან ყურადღება უნდა მიექცეს... რათა უკეთესად დაუახლოვდნენ ევროპულს რეალურს განათლებას, ქართული ენის და ქვეყნის მამულიშვილობას, ქართულ მოქალაქეობას“<sup>8</sup>.

ეროვნული შეგნების განადგურება ნებისმიერ ერში ენობრივი საკითხის მოხსნასთან ერთად იწყება, ამიტომ მთელი შესაძლებლობებით ამოქმედებული თვით-გადარჩენის ინსტიქტი არის უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ სპარსეთში მცხოვრებმა ქართველებმა შეძლეს, დაეცვათ და დღემდე შეენარჩუნებინათ მშობლიური ქართული, რამაც, თავის მხრივ, გადაარჩინა ისინი მრავალრიცხოვან სპარსელებთან ასიმილაციისაგან.

როგორც ნაშრომიდან ირკვევა, მძიმე ზეწოლის მიუხედავად, ქართული მოსახლეობა მაინც მშობლიურ ენაზე ლაპარაკობს. თუმცა, „სპარსული სიტყვები უხვად შეჰპარვიათ“ და ზოგ შემთხვევაში საერთოდ დაუკარგავთ ქართული.

ზ. ჭიჭინაძის მიერ მოწოდებული მასალის ფრაგმენტულობის მიუხედავად, სრულფასოვანი სურათი მაინც გვეძლევა სპარსეთში მცხოვრებ ქართველებში ქართული ენის მდგომარეობის შესახებ. ავტორის განმარტებით: „ყველა ამათ მტკიცეთ შეუნახავთ ქართული ენა და ხასიათები, ყველგან ესენი ქართველად იწოდებიან, ტანსაცმელსაც ქართულად იცმენ. მე ძალიან მიკვირს, რომ ასე დამორებულ მხარეში, ამდენი ხნის განმავლობაში ქართველებს ქართული ენა არ დაუკარგავთ“<sup>9</sup>.

ნაშრომიდან ირკვევა, რომ XIX ს-ის დასასრულისათვის ქართულ ენაზე ლაპარაკობენ არა მხოლოდ ფერეიდანის ქართველები, რომლებიც კომპაქტურად

<sup>7</sup> ზ ა ქ ა რ ი ა ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ე, ქართველები სპარსეთში, კრ.: ქართველები კონსტანტინეპოლში და სპარსეთში, თბ., 1990, გვ. 66.

<sup>8</sup> ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 101-102.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 84.



სოფლებად არიან დასახლებულნი, არამედ — ისპაჰანის ქართველები<sup>10</sup> და პირდაპირ მოჰყავს კათოლიკე ბერის, პატრი რაფიელ ნებიერიძის წერილი, რომელიც ამ უკანასკნელმა სპარსეთიდან, ქალაქ ხოროვიდან გამოუგზავნა ქართველ მწიგნობარს. რაფიელ ნებიერიძის წერილში კი ნათქვამია, რომ „ისპაჰანის ქართველთ დღემდე შერჩენიან ქართული ენა, მაგრამ უხმარებლობის გამო ამ ბოლო დროს, მათში ესეც შერყეულა, ენა და მისი კანონიერი ხმარება ამოვარდნას მისცემია. ამის უმთავრეს მიზეზად ის გარემოება უნდა მივიღოთ, რადგანაც ქართული ენა იხმარებოდა მხოლოდ ურთიერთს ქართველობაში ... სპარსელ და სხვა თათრებთან საყოველთაოდ სპარსულს ენაზედ სწარმოებს საუბარი და ამიტომ ადვილი შესაძლებელია, რომ სულ მოკლე დროის განმავლობაში ქართველთ სამუდამოდ დაავიწყდებათ ქართული ენა და ამით ამოვარდება ყოველივე“<sup>10</sup>.

გასული საუკუნის დასასრულისათვის სპარსეთში მცხოვრებ ქართველთა შორის ქართული წერა-კითხვა ფაქტობრივად აღარ სრულდება. მიუხედავად ამისა, რომ პატრი ნებიერიძის გადმოცემით, ისპაჰანის ქართველებს დღემდე შემოუნახათ: „სხვა და სხვა თამასუქები, ქართულად ნაწერები, ზოგს თამასუქს ქართულს ნაწერების გარდა სპარსული ნაწერიც აქვს“<sup>11</sup>.

იგი ამ ნაწერებს იმ პერიოდისად მიიჩნევს, „როცა სპარსელ ქართველებში ქართული ენა და წერა-კითხვა მეფობდა ... და ამიტომაც შუა გულს სპარსეთში ქართველებს თავიანთი თამასუქებიც ქართულად უწერიათ. რასაკვირველია, ყველა ეს უნდა ყოფილიყოს არა უგვიანეს XVIII საუკუნის ნახევრისა“<sup>12</sup>.

ზ. ჭიჭინაძე არაერთგან ეხება ქართული წიგნისა და მწიგნობრობის საკითხს. სპარსეთში იძულებით გადაადგილებულ ქართველთა შორის ხშირად ერივნენ სასულიერო პირები, მწიგნობარი ქართველები და „როცა ესენი მიდიოდნენ სპარსეთში, — წერს იგი, — მამინ ამათ თან რაჰქონდათ მრავლად ქართული ხელ-ნაწერი წიგნები და სხვა და სხვა ძველი ნივთები, რადგანაც მათ საქართველოში დაბრუნების იმედი აღარ ჰქონდათ“<sup>13</sup>.

ზ. ჭიჭინაძის გადმოცემით, 1879 წელს თბილისში თეირანიდან მოსულან სპარსელები, რომელთაც ქ ბევრი სპარსული წიგნი და რამდენიმე ძველი ქართული ხელნაწერი გაუყვიდათ. აღსანიშნავია, რომ „ყველა ხელნაწერი წიგნები სპარსეთში იყვნენ ნაწერი, სამთელ გავლებულს ქალაღდზე, სრულიად სპარსთა წესით“, და რაც მთავარია, „სპარსეთში ნაწერი ქართული ასოები დიდათ განირჩევა საქართველოში ნაწერი ანბანისაგან“<sup>14</sup>.

XVIII ს-ის მიწურულს მთელი სპარსეთი სავსე ყოფილა ქართულ ენაზე ნაწერი საეკლესიო წიგნებით, ხატებითა და ჯვრებით, ძველი საეკლესიო ნივთებით, რომელიც ჩვენს წინაპრებს უხვად წაუღიათ საქართველოდან გადასახლების დროს. სპარსელებისაგან თავზარდაცემულ ქართველებს ყველაფერი ქრისტიანულ ეკლესიებში მიჰქონდათ შესანახად და რადგან სპარსეთში ქართული მართლმადიდებ-

<sup>10</sup> ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 89.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 89.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 63.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 63.



ლური ეკლესიები არ არსებობდა, ამიტომ ისინი ხშირად ეკლესიების წარმომადგენლებს ტიანეთის რელიგიის სხვადასხვა მიმდინარეობას. ავტორი მოგვითხრობს: „ქართველებს თუ რამ გააჩნდათ ქრისტიანობის წიგნები ან სხვა რამ ნივთები, სულ ამ ქრისტიანთ ერთა ეკლესიებში მიჰქონდათ შესაწირავად და შესანახად. დღესაც თურმე სპარსეთში ძრეულ ბევრს ეკლესიებში ნახაეთ ქართულ ძველს წიგნებს, ხატებს და სხვა ნივთებს“<sup>15</sup>.

ქართველები მაჰმადიანობისაგან თავდაცვის მიზნით ქრისტიანულ ეკლესიებს აფარებდნენ იმ ეროვნულ განძეულს, რომელიც მათ სამშობლოსთან და წარსულთან აკავშირებდათ.

სარწმუნოების გადარჩენაც აიძულებდათ ქართველებს, ელოცათ სხვადასხვა მიმართულების ქრისტიანულ ეკლესიებში, ამიტომაც იყო, რომ „სომხის კათოლიკის და აისორების ეკლესიების გალავნები ძველად საესე ყოფილა ქართველთა საფლავებითა“<sup>16</sup>.

სპარსეთში ქრისტიანებად დარჩენილმა ქართველებმა უფრო დაკარგეს თავისი ენა; ზოგი გასომხდა, ზოგი გააისორდა. ზ. ჭიჭინაძის თქმით, დღეს სპარსეთში უხვად შეხვდებით ქართული გვარის მქონე კაცს, რომელიც სომხობს, თუმცა ბევრ მათგანს გაუგონია, რომ იგი ქართველების შთამომავალია.

ამგვარად, უცხო ქვეყანაში ორიენტაციადაკარგული, უსამშობლოდ და უპატრონოდ დარჩენილი ქართველობა დაიქსაქსა და დაქუცმაცდა პატარა-პატარა უმწეო ნაწილებად. ზოგი მათგანი (მცირედი ნაწილი) ქრისტიანად დარჩა, მაგრამ სარწმუნოების შენარჩუნება ეროვნების დაკარგვად დაუჯდა, ხოლო ბევრი „გათათორდა“. გამაჰმადიანებულთა ის ნაწილი, რომელიც გათითოკაცდა, ნელ-ნელა შეერწყა სპარსულ მოსახლეობას, ხოლო მესამე – მნიშვნელოვანი ნაწილი – დღემდე ინარჩუნებს ქართველობას და ქართულ ენას.

ნაშრომში „ქართველები სპარსეთში“ ზ. ჭიჭინაძეს საინტერესო ცნობები მოაქვს ქართველთა გამაჰმადიანების შესახებაც. ეს ცნობები კი მისთვის რაფიელ ნებიერიძეს მიუწოდებია. „ერთის ქართველ ოჯახისათვის გათათრება დაუპირებიათ, – მოგვითხრობს ავტორი, – მაგრამ ოჯახის უფროსს არ უქნია, არ გათათრებულა და მთელი სახლობისათვისაც იგივე დაუვალებია, რომ არც ისინი გათათრებულყვნენ და ქართველობაზედ მაგრა მდგარიყვნენ“<sup>17</sup>.

რამდენიმე ხნის შემდეგ ოჯახის ეს უფროსი შაჰის ბრძანებით დაუპატიმრებიათ, „ციხეში მისთვის სატანჯველიც მიუყენებიათ“, რათა გამუსლიმანებულიყო. ამ ქართველი კაცის მდგომარეობაში ბევრი სხვაც ყოფილა. სპარსეთის საპატიმროები საესე ყოფილა რელიგიურ საკითხზე დაპატიმრებული ქართველებით.


შვილებს მამის გამხნევება განუზრახავთ, მაგრამ სპარსელებს ციხეში არ შეუშვიათ. ქართველებს „რაკი ვერა გაუწყვიათ-რა, აი, რა სამუალეობა გამოუგონიათ: გაუკეთებიათ ეს „ავგაროზი“ და ციხეში მიუტანიათ“<sup>18</sup>. რადგან სპარსელებს ავგაროზებისა ძალიან სჯეროდათ, ამიტომ გადაუციათ ციხეში მყოფი მამისთვის შვი-

<sup>15</sup> ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 65.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 65.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 91.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 92.



ლებისაგან გაგზავნილი „აეგაროზი“. ეს უკანასკნელი კი ჩვეულებრივად მტერი წერილი ყოფილა: „მამაო, შევიტყუეთ, რომ შენ თურმე მანდ ციხეში დიდად გტანჯამენ... შენ იყავ ოლონდ მაგრა და მტერს ნუ შეუშინდები, ნუ გატყუდები“<sup>19</sup>.

არც მამას დაუყოვნებია და მასაც გაუცია პასუხი შვილებისათვის. ორივე ეს „აეგაროზი“, რაფიელ ნებიერიძის გადმოცემით, მშვენიერი მხედრული ასოებით ყოფილა შესრულებული. ასეთი წერილები, რომლებიც სპარსელებს ლოცვები ეგონათ, მრავლად ყოფილა ქართულ ოჯახებში შენახული, რომელთა საქართველოში ჩამოტანა თუ არა, მათი გადმოწერა პატრი ნებიერიძისათვის დაუვალებია ზ. ჭიჭინაძეს.

ამგვარად, XIX ს-ის დასასრულს „სპარსელ ქართველნი, ვინც კი არიან დღევანდლამდე ქართულის ენის დარჩენილნი, სცხოვრობენ ქართულად, მათი ტანსაცმელი ქართულია, ვინემ სპარსული, ქართველი ქალებიც სხვაფერ იცომენ ტანსაცმელს, ვინემ სპარსელნი ქალები. სპარსელ ქალებთან ესენი იმითაც განირჩევიან, რომ ესენი სახეზე პირბადეს არ იფარავენ ... პატარა გოგო-ბიჭებიც კი თავიანთებურ ტანსაცმელს იცომენ და არა სპარსულს“<sup>20</sup>.

მათი სოფლები ძალიან წააგავს კახეთის სოფლებს, სახლები მშვენიერად არის ნაკეთები, გარშემო სულ ბაღები აკრავს. სპარსელთა შორის ასეთი სოფლები იშვიათიაო, — ამბობს ზაქარია ჭიჭინაძე. მევენახეობასაც ქართველები, თურმე, ბევრად უკეთესად მისდევენ ვიდრე სპარსელნი. „ვაზის გამწეება და კეთება კახურად იციან მთლად ბაღები ქართულად აქეთ ნაკეთები და ბაღებში ყველანაირი ხილი მოიპოვება... საქონლის შენახვასაც უხვად მისდევენ. ინახავენ ძროხას, ხარს, ოხას, ცხვარს და სხვანი.“

კარაქის, ყველის და ერბოს კეთებაც ძალიან იციან; უფრო ქართულად ვინემ სპარსულად, პირუტყვის მოვლა და წამლობაც ძველებურად იციან როგორც მამა-პაპას გაჰყოლია აქედან“<sup>21</sup>. ერთი სიტყვით, ამ ქართველების სოფლის მეურნეობა დიდად არ განსხვავდება აჭაური ქართველების მეურნეობისაგან. პურსაც, თურმე, ქართულად აცხობენ და, რაც მთავარია, „გამოცხობის დროს გუნდებს ზეიდან ჭვარს უსმენ“.

ქართულ სიმღერასაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მათ ცხოვრებაში. გუთანთან მუშაობისას (ეს გუთანი კი ძალიან წააგავს აჭაურ გუთანს) ქართულ „შოროველას“ აყოლებენ. „ქართული სიმღერები დღევანდლამდე ახსოვთ თურმე და მღერიან თავ-თავის დროსა და თავის შესაფერად“<sup>22</sup>. „ქართველები ზნეობითაც მაღლა დგანან სპარსელებში“<sup>23</sup>, რადგან ორი ცოლის შერთვაც იშვიათია და არც ქართველი ქალი გაჰყვება ვინმეს მეორე ცოლად.

ამრიგად, ზაქარია ჭიჭინაძის „ქართველები სპარსეთში“ სავესეა დოკუმენტური მასალით, რომელიც ავტორს საგულდაგულოდ შეუკრებია. მისი ეს ნაშრომი ამდიდრებს დაინტერესებულ მკითხველთა წარმოდგენას საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველების ყოფა-ცხოვრებისა და მათი კულტურული მდგომარეობის შესახებ.

<sup>19</sup> ზ. ჭიჭინაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 92.

<sup>20</sup> იქვე, გვ. 75.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 76.

<sup>23</sup> იქვე.



## ЗАХАРИЙ ЧИЧИНАДЗЕ И "ГРУЗИНЫ В ПЕРСИИ"

### Резюме

В истории грузинской культуры Захарий Чичинадзе (1854-1931 гг) известен, прежде всего, как выдающийся библиофил. Только его перу принадлежат 250 книг.

1. В произведении "Грузины в Персии" З. Чичинадзе рассматривает языковое состояние сосланных в Персию грузин, сферы распространения-нераспространения грузинского языка, откуда выясняется, что в последний период XIX века на грузинском языке говорят не только ферейданские грузины, которые поселены компактно, но и испаханские.

2. В последний период прошлого века между живущими в Персии грузинами грузинское письмо-чтение фактически не ведётся.

3. К концу XVIII века вся Персия была полна написанными на грузинском языке церковными книгами, иконами и крестами, старинными церковными принадлежностями, которые сосланные грузины во множестве забрали с собой. "Даже, оказывается, и сегодня в Персии в церквях увидите множество грузинских книг, икон и других предметов" (З. Чичинадзе "Грузины в Персии").

4. Живущие в конце XIX века в Персии грузины "живут по-грузински, их одежда грузинская больше, чем персидская...", виноградарством грузины тоже занимаются лучше, чем персы. Содержат коров, быков, коз, баранов, одним словом, сельское хозяйство этих грузин немногим отличается от наших".

5. Значительное место в их жизни занимают грузинские песни.

"Грузины в Персии" З. Чичинадзе содержит много документальных материалов, которые автор усердно собрал. Этот труд обогащает представление заинтересованных ученых и читателей о быте и культурном положении грузин, живущих за пределами Грузии.

წარმოადგინა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კულტურის ისტორიის კათედრამ.

ბანანა ბახანიძე

## ზრანგული მოგზაურული ლიტერატურის ისტორიისათვის

ფრანგულ მოგზაურულ ლიტერატურას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. იგი უნიკალური მნიშვნელობისაა და დიდად პოპულარულია მეცნიერების სხვადასხვა დარგის მკვლევართა შორის. მოგზაურული ლიტერატურა დღემდე გვაწვდის მასალებს მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხიდან, უცხო ქვეყნების გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ბუნებრივ სიმდიდრეზე, მეურნეობაზე, სოციალურ და სახელმწიფოებრივ სტრუქტურაზე, მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობაზე, ფოლკლორზე, მატერიალურ და კულტურულ საგანებზე და სხვ.

მოგზაურული ლიტერატურა ძვირფასი და შინაარსიანი წყაროა სხვადასხვა მეცნიერული კვლევისათვის. იგი საუკუნეების მანძილზე ამდიდრებს თავის საგანბურს შორეული ქვეყნების შესახებ მეტად საინტერესო მოთხრობებით, სადაც მწარმოდგენილია მოგზაურთა დაკვირვებანი, შეხედულებები, შთაბეჭდილებები უცხო სამყაროზე, ადამიანებზე, მათ გარეგნობასა და შემეცნებაზე, სარწმუნოებასა და ზნე-ჩვეულებებზე, ქვეყნებში მომხდარ მოვლენებზე, მის პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულ მდგომარეობაზე.

ჩვენსანისიდან XVIII საუკუნის ჩათვლით ფრანგულმა მოგზაურულმა ლიტერატურამ გაიარა განვითარების ყველა ის საფეხური, რაც ფრანგულმა ლიტერატურამ. XV საუკუნიდან დღემდე გამოქვეყნებული წიგნების საშუალებით ფრანგი მკითხველი საზოგადოება ცხოველი ინტერესით ეცნობოდა თვითმხილველის მიერ ნაამბობ გეოგრაფიულ სიახლეებს.

მოგზაურობისადმი მიძღვნილ ნაწარმოებებს დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანთა კულტურისა და ინტელექტუალური დონის ამაღლებისათვის. იგი ხელს უწყობს საზოგადოებას ეპოქის მეცნიერული, პოლიტიკურ-ეკონომიკური და კულტურული ვითარების აღქმაში.

მოგზაურული ლიტერატურა შუასაუკუნეების მეცნიერ თეორეტიკოსთა მიერ მიჩნეულ იყო ლიტერატურის არაკანონიერ ჟანრად, მხოლოდ XVIII საუკუნის დასასრულს მეცნიერებასა და ლიტერატურას შორის მოფარფატე მოგზაურულმა ლიტერატურამ საბოლოოდ დაიმკვიდრა მათი უნიფიკატორის ადგილი<sup>1</sup>.

შინაარსის მიხედვით მოგზაურული ლიტერატურა შეიძლება იყოს ორიგინალური, წარმოსახვითი და თეორიული.

<sup>1</sup> Liechhteuhan - Bale F. D. Entre l'erudition et la poetique, Heiiddelberg, 1989.



ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ორიგინალური ლიტერატურა მოგზაურის მიერ გადატანული გახსენებითაა პრეზერვირებული. ის არის ნაწარმოების მთავარი და ერთადერთი პერსონაჟი. მოგზაურულ ნაწარმოებთა სიუჟეტზე ერთგვარად გვატყობინებს, თუ რამდენად იყო დაინტერესებული ომებით და სიღარიბით შექმნილი ფრანგი მკითხველი „ველური“ ქვეყნების ბედით და როგორი ცნობისმოყვარეობით ელოდა იგი მოგზაურთა შობაზე დიღებებს მათთვის უცხო მხარეზე და ხალხზე.


მოგზაურული ლიტერატურა ადრე გეოგრაფულ ლიტერატურად იყო ცნობილი, რადგან მისი ინტერესები მხოლოდ ახალი ქვეყნების აღმოჩენით, მსოფლიოს საზღვრების დადგენით შემოიფარგლებოდა. საფრანგეთში, ლუი XIV-ის მეფობის ე. წ. დიდი საუკუნის დასაწყისში, მეტად მნიშვნელოვანი აღმოჩენების შედეგად გეოგრაფიამ როგორც მეცნიერებამ უდიდესი წინსვლა განიცადა. ადამიანის ცნობიერებაში დედამიწის ზედაპირი გაფართოვდა. მეცნიერებმა და უბრალოდ გეოგრაფიით დაინტერესებულმა პირებმა პტოლომეოსის სისტემიდან სტრაბონის გეოგრაფიული კონცეფციისაკენ გადაინაცვლეს. როგორც ცნობილია პტოლომეოსი, ანტიკური ხანის მათემატიკოსი და გეოგრაფი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა შუა საუკუნეების მეცნიერულ სამყაროში, „პტოლომეოსი ბუმბერაზი პიროვნებაა, მან დაადგინა დედამიწის საზღვრები, კუნძულების გარდა. ყველა ძველი ფილოსოფოსი მისი მოძღვრების მიმდევარი იყო“<sup>2</sup>. მიუხედავად ამისა სტრაბონის, ძველი ბერძენი გეოგრაფისა და ისტორიკოსის გამოკვლევებმა მეტი აღიარება მოიპოვა. იგი ხანგრძლივ მოგზაურობაში იყო და დაწვრილებით აღწერს არა მარტო ქვეყნებს, როგორც მისი თანამედროვენი, არამედ ადამიანებსაც.

ტოპოგრაფიული და კოსმოგრაფიული ნაკლებად სარწმუნო გამოკვლევებითი თქმის შუასაუკუნეებამდე ასაზრდოებდა ადამიანის გონებას, შემდეგ თანდათან ინტერესის მიღმა გადაინაცვლა და XVI საუკუნის II ნახევრამდე მკითხველის ყურადღება ფრანგი ფილოსოფოსისა და ჰუმანისტის მიშელ დე მონტენის თხზულებებმა მიიპყრო, სადაც ძირითადი ადგილი აქვს დათმობილი რენესანის პერიოდის ადამიანის მოულოდნელობით საესე მეტად რთულ ცხოვრებას<sup>3</sup>. მოგზაურულ ლიტერატურაში დასაბამი მიეცა ჰუმანისტურ მიმართულებას. ამგვარი მემკვიდრეობის მიუხედავად ლიტერატურის მკვლევართა ერთი ჯგუფი მოგზაურობის წინააღმდეგ გამოვიდა. მათ აღიარეს დედამიწის შესწავლის საუკეთესო საშუალებად კოსმოგრაფიული გამოკვლევა, რომელსაც მოგზაურობის გარეშე, თავიანთ სამუშაო კაბინეტებშიც შესანიშნავად შესძლებდნენ<sup>4</sup>. საბედნიეროდ, ერთდღობა მკვლევართა პრობლემისადმი ამგვარი მიდგომა მოგზაურობითა და თავგადასავლებით გატაცებულთა ახალმა ტალღამ ჩაახშო. ევროპის აღმოსავლეთისა და აზიის გზები სხვადასხვა პროფესიისა თუ ინტელექტის ადამიანთა, კომერსანტებისა თუ წვრილმან მოვაჭრეთა, შიკრიკთა თუ დიპლომატთა, მისიონერთა და მეცნიერთა ცდუნებად გადაიქცა, რომელიც მათ უცხო, ჯერ არ გაგონილი სივრ-

<sup>2</sup> Broc Numa. La geographie de la Renaissance (1420-1620), Bibliotheque Nationale De France, Paris, 1980.

<sup>3</sup> Montaigne. Essais, Livre II, chapitre 12, New York, 1981.

<sup>4</sup> Dainville Francois de. La geographie des humanistes. Bibliotheque Nationale De France, Paris, 1940.



ცეებისკენ იზიდავდა. მათგან ყველაზე წიგნიერი ცდილობს გამოაქვეყნოს თავისი ჩანაწერები, შთაბეჭდილებანი. „ის, რასაც ვკითხულობთ მოგზაურთა ნაწარმოებებში ყოველთვის როდია რეალური, კეთილსინდისიერება აიძულებს მოგზაურს აღწეროს სრული სინამდვილე არსებული წესების დაცვით დროს, სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, სიფრთხილე და სხვა მიზეზი მას უქმნის დიდ, მაგრამ თითქმის უხილავ დაბრკოლებას“<sup>5</sup>. ჭეშმარიტი მოგზაური მთელი თავისი გონებით და განწყობით მზადაა, რაც შეიძლება დეტალურად და აინტერესოდ ასახოს თავისი დაკვირვებანი. მის ნაწერებში იგრძნობა ავტორის განზრახვა, მიზანი, სტილი, გარკვეულწილად მჭერმეტყველების უნარიც.

„Dictionnaire de Fourastiere“ (1680) განმარტავს, რომ „მოგზაურული ნაწარმოები, მოთხრობა თუ ნაამბობი წარმოგვიდგენს სიუჟეტს, სადაც მთელი სიზუსტითა და კეთილსინდისიერებით არის ასახული მოვლენა ან ამბავი. იგი აბსტრაქტულია, მოქმედი პირის გარეშე“.

მოგზაურული ნაწარმოები სუბიექტურია, რადგან მისი მთავარი და ერთადერთი მოქმედი პირი თვით მოგზაურია, რომელსაც თავისებური აღქმისა და სიუჟეტის გადმოცემის უნარი აქვს. ერთიდაიმავე ქვეყანაზე დაწერილ რამდენიმე მოთხრობაში, თითოეულ ავტორს თავისი ნაამბობი ყველაზე უფრო რეალური ჰგონია. ყოველი მოგზაურის თვალში საკუთარი სიახლე ბინადრობს, მის მოთხრობაში ჩანს მენტალიტეტი, რომელსაც ინაწილებს ავტორი თავისივე მკითხველთან, მოთხრობა არის მათი კულტურის ავტოპორტრეტი“<sup>6</sup>.

თეორეტიკოსთა რჩევებითა და შეგონებებით დამძიმებული მოგზაურის გონე-უცხო ქვეყანაში განიცდის მოდიფიკაციას. თუ რა შედეგი მოჰყვება ამას, დამოკიდებულია მის ინტელექტზე, ერუდიციასა და გამოცდილებაზე. მოგზაური, რომელიც მოქმედებს, მხოლოდ თეორეტიკოსთა მოძღვრებით, რომელიც ძირითადად წინააღმდეგია მწერალსა და მკითხველს შორის დიალექტიკური კავშირისა და ეყრდნობა მხოლოდ „ნამდვილ მოწმეთა ნაამბობს გადმოცემულს მეორე პირის მიერ“, რა თქმა უნდა იგი ეცდება შეძლებისდაგვარად გამოიყენოს მთელი თავისი მჭერმეტყველება, რათა რაც შეიძლება მოხდენილად მიაწოდოს მკითხველს თავისი რეალობას მოკლებული უზარისხო სიუჟეტები, ხოლო მოგზაური, რომელიც მოქმედებს თავისი დაკვირვებების ალღოს უნარით და თან გაითვალისწინებს წინამორბედთა გამოცდილებას, ექვგარეშეა, შექმნის რეალურ და უნიკალურ ნაწარმოებს.

მოგზაურთა ორიგინალურ ნაწერებს შორის, აღსანიშნავია, საეკლესიო მისიონერთა მოთხრობები, რომელთა თემაა სხვადასხვა ქვეყანაში გავრცელებული სარწმუნოება, მ. შმადიანურ სამყაროში ქრისტიანთა მდგომარეობა, სარწმუნოებისათვის წამებული ცხოვრება და ქრისტიანული სარწმუნოების ქადაგება. ისინი ძირითადად, თავიანთ შთაბეჭდილებებს დღეურების ან წერილების სახით ავრცელებდნენ. თვითონ ადგენდნენ სიუჟეტის ჩარჩოებს – რის თქმა იყო მართებული თავის წერილებში, რის არა, – ადრესატის მსოფლმხედველობის გათვალისწინე-

<sup>5</sup> Anonymne. L'Art de voyager utilement, Amsterdam, 1698.

<sup>6</sup> Ceard P. P., Voyager a la Renaissance, Actes du colloque de Tours, 1989.





ბით. ეპისტოლარული სტილის მოშველიებით მწერალი თავისუფლდება იმ დროის მოგზაურთა ნაწერებში არსებული მშრალი, მკაცრი ტონისგან, ველურს თავის ინდივიდუალობას და წერილებში მსუბუქი ელემენტების შეტანით ეძებს მკითხველის კეთილგანწყობას, თანამონაწილეობას.

ღვთისმსახურ მოგზაურთა ნაწერების დიდი ნაწილი ეპისტოლარული ჟანრისაა, რომელიც მხატვრულ ლიტერატურაში რენესანსის პერიოდში წარმოიშვა ჰუმანისტი მწერლების ფრანჩესკო ბოკაჩოს (1304-1374) და შემდეგ ერაზმ როტერდამელის (1469-1536) შემოქმედებაში. მოგზაურულ ლიტერატურაში ეპისტოლარული ჟანრის შემოღება ბელგიელი მოგზაურის ფილოლოგისა და ლიტერატორის ჟიუსტ ლიპსის (1547-1606) დამსახურებაა. იგი თავის მეგობრისადმი მიძღვნილ წერილებს, შემაკულს ეპისტოლარული ჟანრისათვის დამახასიათებელი მოხდენილობით და სტილისტური მოქნილობით აფასებს როგორც „bavardage entre amies“ (მეგობრებს შორის საუბარი)<sup>7</sup>.

საეკლესიო მისიონერთა შთაბეჭდილებები, მნიშვნელოვანია რელიგიის ისტორისათვის, „პელერინაჟი მუდამ იყო კათოლიკეთა ცოდნისა და გამოცდილების მწვერვალი“<sup>8</sup>. მათ იტვირთეს მოგზაურობა, რომლის მიზანი იყო განმანათლებლობა, სარწმუნოების ქადაგება და ქვეყნებში გავრცელებულ რელიგიებზე ინფორმაციის მოკრება. მათი რიცხვი და მოღვაწეობის არე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა.

მოგზაურთა ორიგინალური ნაწარმოების გვერდით საფრანგეთში უკვე XVII საუკუნეში გაჩნდა და იმთავითვე გავრცელდა წარმოსახვითი, გამოგონილ მოგზაურობაზე შეთხზული მოთხრობები, რომანები, დრამები, პოემები.

ფილოსოფიური ნაწერებით გადაღლილი ფრანგი მკითხველი იმთავითვე გაიტაცა მსუბუქი და გასართობი სიუჟეტის მქონე ნაწარმოებებმა. გამოჩენილი ფრანგი მოგზაური და მკვლევარი ე. ატკენსონი თავის წიგნში „რენესანსის პერიოდის ფრანგული გეოგრაფიული ლიტერატურა“ წერს: „XVI საუკუნის ბოლოსა და XVII საუკუნის დასაწყისში საფრანგეთში არ შექმნილა არც ერთი მაღალხარისხოვანი თხზულება. თითქოს ამ მშვიდობიან წლებში ლიტერატურა უფრო მდიდარი უნდა ყოფილიყო ისეთი წიგნებით, რომლებიც მოგვცემდა გეზს კლასიკური ეპოქის მომზადებისაკენ<sup>9</sup>. ეს იყო ლუი XII-ის მეფობის ხანა (1610-1643), მთელი სამეფო კარი მოიცვა წარმოსახვითი მოგზაურობის თემაზე შეთხზულმა, ავტორის მიერ ნამდვილ ამბად მოწოდებულმა ეგზოტიკურმა ნაწარმოებებმა, რომლებშიც საგანგებოდაა შერჩეული აღმოსავლეთის, ფრანგი მკითხველისათვის უცნობი ქვეყნები, მაგალითად, ნაწარმოებში „მანდეველის მოგზაურობა და მღვდელი ჟანრის მიწა“, რომელიც 1520 წელს გამოქვეყნდა, არც მოგზაური მანდეველი და არც მღვდელი ჟანი არ არიან რეალური პერსონაჟები და არც ამბავი შეეფერება სინამდვილეს. მიუხედავად ამისა XVI საუკუნის ფრანგი მკითხველი საზოგადოება დიდი აღფრთოვანებით ხვდებოდა მძაფრსიუჟეტიან მათთვის უჩვე-

7. Fumaroli Marc. Genese de l'epistolographie classique: rhetorique humaniste de la lettre de Petrarque a Juste Lipse. Revue d'histoire litteraire de la France, Paris.

8 Colloques "Les Pelerinages", Livre II. Erasme, Paris, 1983.

<sup>9</sup> Atkinson Geoffroy. Les relation de voyages au XVII siecle et evolution des idees, Paris, 1972.

ელი ნაწარმოებებს. წარმოსახვითი მოგზაურული ლიტერატურისადმი ინტერესი უკვე მაასეთივე სიცხოველით მოიცვა ლუი XIV-ის მეფობის პერიოდი (1643-1715), როდესაც ანტიკური ხანის მწერალთა წყაროებზე დაყრდნობით იქმნებოდა მრავალი პოეტური თუ პროზაული თხზულება.

წარმოსახვით მოგზაურობაზე შექმნილ რომანთა შორის ქართველი მკითხველისათვის განსაკუთრებით საინტერესოა ფრანგი მწერლისა და სახელმწიფო მოღვაწის, მარმონ დიუ ოშამის რომანი სამ წიგნად „მშვენიერი ქართველი ასული რეთიმა“ (1723) და „მშვენიერი ჩერქეზი ასული რუსპია“ (1754) ერთ ტომად<sup>10</sup>. ორივე რომანის პერსონაჟები ქართველი დიდგვაროვანთა წრის წარმომადგენელი არიან. ავტორი დიდ სიმპათიებს ამჟღავნებს მათ მიმართ და სევდით აღსავსე მოგვითხრობს ამ ადამიანთა საბედისწერო თავგადასავალს. მწერალი შესავალშივე გვარწმუნებს, რომ რომანის სიუჟეტი ნამდვილი ამბავია და მისი პერსონაჟებიც რეალურად არსებული ადამიანები.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ტიპის ნაწარმოებებში ჩართულია სხვადასხვა ქვეყნისა და ქალაქის ისტორიული ეპიზოდები და გეოგრაფიული აღწერები, ისინი ისტორიისა და გეოგრაფიის შესასწავლად, რა თქმა უნდა, არ გამოდგება.

წარმოსახვითმა მოგზაურულმა ლიტერატურამ დიდად შეუწყო ხელი სათავგადასავლო რომანის განვითარებას.

მოგზაურული ლიტერატურის თეორეტიკოსთა შორის წარმოსახვითი მოთხრობის განვითარებამ საფრანგეთში დიდი აღშფოთება გამოიწვია. მათი აზრით, სხვის გამოკვლევებზე ორაზროვნად დაყრდნობა და მათი არასწორი გამოყენება მოგზაურული ლიტერატურის დეგრადაციას გამოიწვევდა და თავშესაქცევ ფანტაზიებს შორის მიუჩენდნენ ადგილს. მაგრამ მათ ასევე მიუღებლად მიიჩნიეს ფრანგი რომანისტის (1602-1674) შარლ სორელის დეფინიცია „მოგზაურული ხასიათის წიგნები ფილოსოფიური რომანებია“-ო<sup>11</sup>. ეს გასაგებიცაა, ჟანრობრივი კლასიფიკაციის მიხედვით, ფილოსოფიური რომანის გვერდით ამგვარმა ნაწარმოებებმა შესაძლოა გაიზიაროს რომანის ღირებულები, ხოლო თუ მის სიღრმეს გავუსწორებთ ამ დიდებულ დისციპლინას, მოგზაურული ლიტერატურა აღმოჩნდება გაურკვეველ მდგომარეობაში, იგი ვერც ერთი ჟანრის ჩარჩოში ვერ მოთავსდება<sup>12</sup>. შექმნილმა სირთულეებმა წარმოშვა მისი შესწავლისა და მასზე დაკვირვების აუცილებლობა.

პირველი მეცნიერული გამოკვლევები მოგზაურობასა და მოგზაურული ლიტერატურის შესახებ ჯერ კიდევ ჰენრი IV-ის მეფობის პერიოდში (1589-1610) გამოქვეყნდა საფრანგეთში. ეს იყო პირველი თეორიული ნაშრომები, რომლებიც ძირითადად დიდაქტიკური, განმანათლებლური, ხასიათისა იყო. აქ წარმოდგენილია სხვადასხვა მეთოდი თუ შეგონება გზების დასახვის, მოგზაურობის ორგანიზებისა და მოგზაურთა ქცევის შესახებ. თეორეტიკოსები დეტალურად აღწერენ მოგზაურის პიროვნულ, ზნეობრივ და შემოქმედებით მხარეებს, ასევე დეტალურად განიხილავენ მის შთაბეჭდილებებს რადგან მათ სწამთ, რომ მოგზაურობა

<sup>10</sup> Du Hautchamp Marmont. Rupsia, ou la belle circassienne, Amsterdam, 1754.

<sup>11</sup> Chapelain. Lettres, t. II. Bibliotheque Nationale De France, Paris, 1883.

<sup>12</sup> Liechtenhan F. D. Reflexion sur le recit de voyage au Grand siecle, Heidelberg, 1989.



მეცნიერული კომუნიკაციის საშუალებაა და მას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.


მოგზაურული ლიტერატურის თეორეტიკოსები თავიანთ გამოკვლევებში უპირატესობას მხოლოდ ქვემარტო მოგზაურს ანიჭებენ, ცდილობენ რაც შეიძლება მკაფიოდ წარმოაჩინონ მათი როლი ლიტერატურის განვითარების საქმეში. ისინი ჰგმობენ წარმომსახველ მოგზაურებს, და გაზვიადებულ წინასწარ შეგონებებს, რომლებსაც შეცდომაში შეჰყავს მოგზაური და მკითხველი. უცხო ქვეყნის შესწავლისათვის ისევე აუცილებელია თეორიული განათლება, როგორც რეალური ქმედება-მოგზაურობა. მოგზაური ძირითადად პირადი გამოცდილების შედეგად იძლევა თავისი მოღვაწეობის პრაქტიკულ მოდელს.

მოგზაურული ნაწარმოები, რომელშიც ავტორი გვაცნობს საკუთარ დაკვირვებებს და ამავე დროს დეტალურად აღწერს მოგზაურობის მსვლელობას მის ტექნიკას, დიდ სამსახურს უწევს მომავალ თაობებს, როგორც მეგზური და ინფორმაციის წყარო. ამდენად მას მოგზაურული ლიტერატურის თეორიის ფუნქციაც ეკისრება. იგი განმარტავს მოთხრობის, შთაბეჭდილების მიზანს, მის სტილს და ხელს უწყობს ახალი სტერეოტიპის წარმოშობას.

მოგზაურული მოთხრობა, როგორც ჟანრი განმეორებითი და ტრანსფორმაციულია განსაკუთრებით XV-XVII საუკუნეებში იგი შეიძლება ითქვას, ზეპირი ტრადიციების მქონე, პირველი მეთოდური საშუალება იყო. ისტორიულად ცნობილია, რომ მოგზაური არ გაუდგებოდა გზას თუ არ გაეცნობოდა იმ პერიოდში არსებულ გეოგრაფიულ, მოგზაურულ ლიტერატურას. ჰუმანისტები თავიანთი მომავალი მოგზაურობისათვის ანტიკური ლიტერატურიდან კრებდნენ საჭირო მასალას. უდიდესი მოგზაურისა და მკვლევარის სტრაბონის თხზულებებს ეყრდნობოდა XVII-XVIII საუკუნეების ცნობილი მოგზაურები და მეცნიერები: თეოდორ ცვინგერი, ჟოზეფ ლიპსი, რენე დეკარტი, ჟოზეფ შალი, ჟან-ბატისტ კოლბერი, ბოდლო დე დერვალი და სხვ.

თეორიული და მეთოდოლოგიური გამოკვლევები მოგზაურების შესახებ იჭმნებოდა საგანგებო მზრუნველობითა და გულმოდგინებით. იგი იმდენად მრავლისმომცველი იყო, რომ საჭირო გახდა შინაარსის მიმართულებისა და პერიოდის მიხედვით მისი განლაგება. როგორ გაჩნდა მოგზაურული ლიტერატურის თეორია? ამ კითხვას ღვთისმშობისა და მისიონერებამდე მივყავართ.

ეკლესია თავიანთ წარმომადგენლებს აგზავნიდა შორეულ ქვეყნებში, რათა ისინი გაცნობოდნენ იქ მცხოვრებთა სარწმუნოებრივ მდგომარეობას, გაეცნოთ თავიანთი სარწმუნოება და შეეგროვებიათ ცნობები ქვეყნის სასულიერო საზოგადოების შესახებ. უცხო ქვეყნების შესწავლას და მოგზაურობის წყაროებისათვისებას რამდენიმე თვე სჭირდებოდა. გარდა ამისა მათ აინტერესებდათ ჰიგიენის, სამედიცინო, კვების თუ სხვა საჭირობოროტო საკითხები, რომლის შესახებაც ლიტერატურა ნაკლებად ხელმისწვდომი იყო. ამ მდგომარეობამ განაპირობა პატარა ფორმატის წიგნის ე. წ. ჯიბის ცნობარის გამოცემა, რომელიც განკუთვნილი იყო სალოცავად მავალ მწირთათვის, პელერინებისათვის. ჯიბის ცნობარში შედიოდა სხვადასხვა სახის რჩევები, ქრისტიანული წესები და სხვ. გარდა ამისა ანტიკური ხანიდან არსებობს ექიმთა მიერ შედგენილი წიგნი „მოგზაურობის რე-



დრის“ სახელწოდებით, რომელშიც მოცემულია მარტივი ხერხები ზოგადი ცოდნის თავიდან ასაცილებლად და მის სამკურნალოდ. ამგვარმა ლიტერატურამ დიდი გამოყენება ჰპოვა მოგზაურთა შორის. ჯიბის ცნობარი გახდა მათი საძიებო და შეუცვლელი მეგზური, მისგან იწყება მეთოდური ლიტერატურის შექმნის პროცესი, რომელსაც აღმზრდელითი და შემეცნებითი ფუნქცია აქვს. მისი მიზანია მოგზაურის გონებრივი და ფიზიკური მომზადება, მისი პროფესიონალური შეგნების განვითარება. იგი განსაკუთრებით ახალგაზრდა მოგზაურის მომზადებით არის დაინტერესებული, რჩევა-დარიგება და მითითება სწორედ მისკენა მიმართული: „უცხოეთში გაგზავნილი ახალგაზრდა მთელი თავისი არსებით უნდა შეუდგეს სხვადასხვა მეცნიერების შესწავლას, უნდა ჩაებას სახელმწიფო საქმიანობაში და არ უნდა მიეცეს განცხრომასა და ხორცის ტკობას“<sup>13</sup>.

პირველი სახელმძღვანელოები, რომლებიც გამომხული იყო წარჩინებულთა შვილების სამხედრო და დიპლომატიური სამსახურისათვის მოსამზადებლად, აგრეთვე პროფესიონალური მოგზაურის აღსაზრდელად, საფრანგეთში დამუშავდა XVI საუკუნის დასაწყისში, ეს არის უძველესი სახელმძღვანელოები, (*“De l'utilite des voyages“*, *“L'Art de voyage“*, *“Methode de voyage“*, *Outre - Rhin*, XVI-ის I ნახ.) რომელშიც წარმოდგენილი მოსაზრებები გაცოცხლდნენ შემდეგ ერსმ როტერდამელის, „დილაქტიკასა“ და პიერ დე ლა რამეს „წესებში“<sup>14</sup>.

XVI საუკუნე განსაკუთრებით მდიდარია მოგზაურობაზე გამოქვეყნებული თეორიული გამოკვლევებით, დიდაქტიკური ხასიათის შრომებით თუ კრიტიკული წერილებით.

XV-XVII საუკუნეებში მოგზაურთა მოთხოვნები ფორმითა და შინაარსით ინფორმაციული ხასიათისაა. მისი მდარე და უხერხული სტილი ამჟღავნებს მოგზაურის განათლებას და პროფესიონალიზმის სისუსტეს. მიუხედავად ამისა მკითხველი მოუთმენლად ელოდებოდა მოგზაურთა შთაბეჭდილებებს. ლიტერატურის მკვლევარები კი დიდი შემართებით იხილავდნენ არსებულ ლიტერატურას სწავლობდნენ მის ნაკლსა და ღირსებას, ზრუნავდნენ მოგზაურული მოთხოვნის დახვეწასა და სრულყოფაზე.

მოგზაურული ლიტერატურის თეორეტიკოსთა შორის დიდი ნაყოფიერებით გამოირჩევიან თვით პრაქტიკოსი მოგზაურები, რომლებიც თავიანთი გამოცდილების მეშვეობით განსაკუთრებით სარწმუნო გამოკვლევებს თავაზობენ მკითხველს. ამ მხრივ აღსანიშნავია XVI საუკუნის ცნობილი მოგზაურებისა და მეცნიერების, მოგზაურული ლიტერატურის თეორეტიკოსების თეოდორ ცვინგერის, ჟიესტ ლიპსის, რენე დეკარტის მეცნიერული შრომები<sup>15</sup>, რომლებიც პარიზში ფრანგულ ენაზე იბეჭდებოდა და ფრანგი საზოგადოებისათვის იოლად ხელმისაწვდომი იყო. მიუხედავად მათი მოსაზრებების ზოგიერთი შეუსაბამობისა, ისინი ერთხმად ებრძოდნენ წარმოსახვით, გამოგონილ მოგზაურობას, რომელიც ავტორის ფანტაზიის ნაყოფი იყო და ქვემარტ მოგზაურობასთან არავითარი საერთო ჰქონდა.

<sup>13</sup> Hell Joseph. Quo Vadis ou censure des Voyages, Geneve, 1628.

<sup>14</sup> Bruyre Nelly. Renaissance et Age classique, Vrin, 1984.

<sup>15</sup> Zvinger Theodor. Methodus apodemika, Paris, 1577; Lipse Juste. “Recueil de lettres 1586“, Paris, 1650; Descartes Rene. Discours de la methode et Essais, Vrin, 1982.





თეორეტიკოსთა შორით, მოგზაურობისათვის საჭიროა თეორიისა და პრაქტიკის სინთეზი. მოგზაურმა უნდა შეიძინოს ღრმა ცოდნა, გაეცნოს სხვის გამოცდილებას, რათა წარმატებით გამოიყენოს იგი თავის საქმიანობაში.

XVII საუკუნის მოგზაურულ ლიტერატურაში განვითარების ახალი გზები გამოიკვეთა, მისი არეალი საგრძობლად გაიზარდა, რაშიც უდიდესი წვლილი მიუძღვის საუკუნის უდიდეს ავტორიტეტს, მეცნიერსა და სახელმწიფო მოღვაწეს ჟან-ბატისტ კოლბერს<sup>16</sup>. მან თავის თხზულებაში „კეთილი რჩევები...“ მოგზაურობისა და მოგზაურული ლიტერატურის განვითარების ახალი გეგმები დასახა. მისი მოგზაური თავისი ეპოქის პირმოა. იგი მრავალმხრივ განათლებულია, იცის უცხო ენები და გაწრთენილია ქვეყნის სამსახურისათვის. ყ. ბ. კოლბერმა დაამუშავა ახალგაზრდების დიპლომატიური კარიერისათვის მოსამზადებელი პროგრამა. მისმა მოძღვრებამ ახალი თაობის მოგზაურად აღზარდა, მისი გონებრივი, ფიზიკური და მორალური დახვეწის შესახებ გავრცელება და გამოძახილი ჰპოვა მის თანამედროვე თეორეტიკოსთა: რიმარ ლესელისა, ბოდელი დე დერვალისა<sup>17</sup> და სხვათა შემოქმედებაში. მათმა თხზულებებმა საპატიო ღირსეული ადგილი დაიკავა ფრანგულ განმანათლებლურ ლიტერატურაში.

XVII-XVIII საუკუნეთა ზღვარულ მოგზაურულ ლიტერატურაში შეინიშნება ერთგვარი გაყოფა — განმანათლებლურმა ლიტერატურამ გზი აიღო ერთი მხრით წმინდა აღწერილობით კონცეფციისაკენ და მეორე მხრით რომანის სიღრმეებისაკენ. იგი კიდევ მეტად შეიჭრა მხატვრული ლიტერატურის ფარგლებში — აითვისა ტექსტის პოეტურად გადმოცემის უნარი, ეპისტოლოარული ჟანრი და მხატვრული ნაწარმოებისათვის სხვა დამახასიათებელი ნიშნები. ამ პერიოდის მკვლევარი მაქსიმილიან მისონი<sup>18</sup> უფერულსა და უსარგებლოს უწოდებს მოგზაურთა მოთხრობას, რომელშიაც ქვეყნის ტოპოგრაფია, სახელმწიფოებრივი თუ ადმინისტრაციული სურათი აღწერილია მშრალად, სწორხაზოვნად, ყოველგვარი ლირიკის გარეშე. იგი თვლის, რომ მათ მკითხველს უნდა მიაწოდონ რეალური სურათი მეცნიერული დამაჯერებლობითა და რომანტიკული მომხიბვლელობით.

XVI-XVII საუკუნეების თეორეტიკოსთა გამოკვლევები მოგზაურული ლიტერატურის კლასიკურ ნაწარმოებებად არის მიჩნეული და დღემდე მის მიმართ არ განელეზულა მათი ინტერესი, ვისაც სურს იგრძნოს ამ ეპოქის სუნთქვა, გემოვნება და სურნელება, რასაც ვერ შეიგრძნობს ისტორიული გამოკვლევების ფერცლებზე. მოგზაურულ ლიტერატურას შეუძლია შეიჭრას მეცნიერების ყველა სფეროში. იგი შეიცავს მსოფლიოს ქვეყნების, მათ შორის საქართველოს, გეოგრაფიის, ბუნების, ისტორიის, ეკონომიკის, პოლიტიკის, ასტრონომიის, არქეოლოგიის და სხვა მეცნიერებათა უდიდესი ღირებულების დოკუმენტებს, სერიოზულ დაკვირვებებს საზოგადოებაზე. მის საგანძურშია აგრეთვე სათავგადასავლო რომანები, ანეკდოტური, პუბლიცისტური წერილები, ზღაპრები, თარგმანები და სხვა ლიტერატურული ქმნილებანი.

<sup>16</sup> Clement' Pierre. Instructions de Colbert au Marquis de Seigneley, Paris, 1867.

<sup>17</sup> Lassels Richard. Voyage d'Italie, Paris, 1671; Baudelot de Dairval. Memoire de quelques observations, Bruxelles, 1688.

<sup>18</sup> Misson Maximilien de. Nouveaux voyages, La Haye, 1691.



მიუხედავად რთული პირობებისა, რომელშიც მოგზაურული ლიტერატურა იქმნებოდა და ვითარდებოდა, მიუხედავად მისი სერიოზული ხარვეზებისა, XVII-XVIII საუკუნეების ფრანგული მოგზაურული ლიტერატურის დეაწლი უზომოა. იგი იყო პირველი მედიატორი უცნობ სამყაროსა და ადამიანებს შორის, მან პირველმა ამოგზაურა მკითხველი თავიანთ წარმოდგენაში შორეულ კონტინენტებზე და გაუღვივა მოგზაურობისადმი სიყვარული, მან გაშალა და განავითარა მოგზაურული მოძრაობა. მოგზაურულმა ლიტერატურამ ხელი შეუწყო ადამიანის ინტელექტის, ერუდიციისა და შემეცნების განვითარებას.

М. ЯМАНИДЗЕ

## К ИСТОРИИ ФРАНЦУЗСКОЙ ПУТЕШЕСТВЕННОЙ ЛИТЕРАТУРЫ

Резюме

В работе рассматриваются пути развития французской путешественнической литературы XVI-XVII вв. Дано краткое определение видов путешественнической литературы: оригинального, воображаемого и теоретического.

Показана роль в развитии путешественнической литературы таких известных путешественников и ученых XVII-XVIII вв. как Т. Цвингер, Ж. Липс, Р. Декарт, Ж. Хал, Ж. - Б. Клобер, Б. де Дерваль и др.

Проанализирована роль путешественнической литературы как литературного жанра и показан ее вклад в изучение различных областей науки, так как эта литература содержит исторические документы огромной ценности, касающиеся многих стран, в том числе и Грузии, в области географии, естествознания, истории, культуры, экономики, политики и др. В ее сокровищнице находятся также приключенческие романы, анекдоты, публицистические письма, сказки, переводы и другие литературные произведения.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა გ. ციციშვილმა.

### 03. პენიუზაზვილი

## ინგლისის კოლონიური მმართველობის დამყარება ინდოეთში XVIII-XIX სს მიჯნაზე და ინგლისელების დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ

ნაშრომში განხილულია ინგლისის საზოგადოების გარკვეული წრეების დამოკიდებულება ინდოეთში ინგლისის კოლონიურ მმართველობასთან დაკავშირებით.

XVIII ს. დასასრულსა და XIX ს. დასაწყისში ინგლისის ოსტ-ინდოეთის კომპანიის რიგმა სამხედრო გამარჯვებებმა ინდოეთის ცალკეულ მთავრებზე ამ ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილი ინგლისელთა კონტროლს დაუქვემდებარა. ინდოეთში ინგლისელთა ბატონობის დამყარებამ ეს უკანასკნელი მბრძანებელთა როლში გამოიყვანა და ამან გარკვეული კვალი დაასვა მათ ცნობიერებას. კერძოდ ეს ეხება ისეთ საკითხს, როგორც ინგლისელთა ყოფნა ინდოეთში. ამ საკითხის გასაშუქებლად ერთობ მნიშვნელოვანია იმ მიმართებების (ადრესების) განხილვა, რომლებიც იგზავნებოდა ინდოეთში მცხოვრები ინგლისელების მიერ კოლონიური ადმინისტრაციის ხელმძღვანელთა სახელზე და რომლებშიც გამოხატული იყო ერთგულების გრძნობა და დამოკიდებულება კომპანიის სამხედრო გამარჯვებების მიმართ. აღნიშნულ ნაშრომში განხილულია მიმართებები, რომლებიც 1804 წ. გაგზავნა კომპანიის გენერალ-გუბერნატორს ლორდ უელსლის, რომლის ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს არნახულად გაფართოვდა ინგლისელთა სამფლობელოები. მიმართვა, რომელსაც ხელს აწერენ კალკუტის ინგლისელი მაცხოვრებლები ხოტბას ასხამს უელსლის ბრძნულ და ენერგიულ მმართველობას, გამარჯვებებს მაისორის სულთან თიფუსა და მარათჰ მთავრებზე. მიმართვაში გამოხატულია სიხარული ინგლისელთა სამფლობელოების ზრდასთან დაკავშირებით და იმის გამოც, რომ ჩაიფულმა ფრანგების ინტრიგები. მასში აგრეთვე ქებას ასხამენ ინგლისელი სარდლების, გენერალ ლეიკისა და გენერალ არტურ უელსლის სამხედრო ხელოვნებას. მთელი მიმართვა განმსჭვალულია საყოველთაო სიხარულისა და სიამაყის გრძნობით. მისივე ავტორთა თქმით ყველაფერი ზემოთჩამოთვლილი ერის ღიღებას წარმოადგენს<sup>1</sup>.

არანაკლებად ამაღლებულია ბომბეის მაცხოვრებელ ინგლისელთა მიმართვაც, რომელიც ასევე წარმოსდგება როგორც საყოველთაო მედიდურობის გამოხატულება. მასში ლორდ უელსლის ულოცავენ მართაჭებთან ომის დამთავრებას. „ჩვენ გვჭერა,

<sup>1</sup> The British Library, Oriental and India Office Collections: H/481 Miscellaneous, pp. 545-546.



წერენ წერილის ავტორები, რომ გამოვხატავთ ყველას აზრს ვისაც კი ბრიტანეთის კონტინენტის დიდებისათვის უცემს გული და ვისაც კი შეგნებული აქვს, რომ ბრიტანეთის იმპერიის წამყვანი როლი ევროპის სახელმწიფოთა შორის ურღვევ კავშირშია მის ღირებულებას, მნიშვნელობასა და ძალაუფლებასთან აზრის სახელმწიფოთა შორის<sup>2</sup>. აქ ყველაზე შთამბეჭდავია საყოველთაო იმპერიული აღმაფრენა, საინტერესოა აგრეთვე ინგლისის სიდიადის ახსნა საერთაშორისო ურთიერთობების კრილიში. წარმოებისა და პოლიტიკური ცხოვრების სფეროში არსებული მიღწევები, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ ამ ქვეყანაში სამრეწველო გადატრიალების ხანაში აღიქმებოდნენ ინგლისელთა აღმოსავლეთში ბატონობასთან მჭიდრო კავშირში. ეს უკანასკნელი კი მათი აზრით დასავლურ ყაიდაზე გარდასახვას საჭიროებდა.

შემდგომი მიმართვები, რომლებსაც ხელს აწერენ კვლავ ბომბეის და აგრეთვე მურშიდაბადის ინგლისელები გამოთქევენ აზრს ინგლისელთა მოქმედებების მართებულობასა და გარკვეულწილად იძულებითი ხასიათის შესახებაც. აქ ინგლისელები წარსდგებიან როგორც საფრანგეთის აქტიურობით წაჭეხებული მხარე. მურშიდაბადელი ინგლისელები მიუთითებენ, რომ ინგლისის წარუმატებლობის შემთხვევაში მის ადგილს ინდოეთში საფრანგეთი დაიკავებდა<sup>3</sup>. ბომბეის ინგლისელები კი გამოხატავენ სიხარულს იმის გამო, რომ დაიმსხვრა ნაპოლეონის გეგმები, რომელიც ისწრაფოდა ინგლისისთვის დარტყმა განგის ნაპირებზე მიეყენებინა<sup>4</sup>.

ამგვარი გუნება-განწყობა საყოველთაო იყო ინგლისელთა შორის. ამას ადასტურებს ლორდ უელსლის პასუხი კალკუტის ინგლისელთა მიმართვებზე. იგი მიუთითებს, რომ ყველა ეს მიმართვა ეფუძნება ინგლისელთა საღ გონებას, მათ მიერ პოლიტიკისადმი ყურადღებას. უელსლი ხაზს უსვამს, რომ ინგლისელები თავიდანვე არიან მართლები და რომ მათთვის უცხოა სწრაფვა აგრესიული და უსამართლო ომებისაკენ<sup>5</sup>.

ინგლისურ ცნობიერებაში იმპერიული მედიდურობის და მესიური იდეების ჩამოყალიბების დაფიქსირება ასევე შეიძლება ინდოეთში მოგზაური ინგლისელების ჩანაწერების და დღიურების გაცნობისას. ინგლისის ინდოეთში ბატონობა მათ ღიად ამოცანად, განგების ნების განხორციელებად მიაჩნდათ, რომლის წინაშე ყველაფერი ფერმკრთალდებოდა. „დიდია მსხვერპლი, — წერდა თავის მიმართვაში გენერალ გუბერნატორ ლორდ კორნუელის სახელზე ვინმე ჯორჯ ფოსტერი, რომელიც XVIII ს. 80-იან წლებში ინდოეთში მოგზაურობდა, მაგრამ შედეგი ჰემ-მარტიად დიდია. იგი უფრო მალა დგას, ვიდრე ამის შეფასება შეუძლია ადამიანების მიერ შესხმულ ქება-დიდებას“<sup>6</sup>. ფოსტერის აზრით ინგლისელები დროებით კი არ იმყოფებოდნენ ინდოეთში, არამედ მოეკლინნენ მას როგორც მისი სვებედის უზენაესი განმგებლები, რომელთა წინაშე არა ცალკეული უმნიშვნელო

<sup>2</sup> The British ... p. 592.

<sup>3</sup> The British ... p. 604.

<sup>4</sup> The British ... p. 573.

<sup>5</sup> The British ... pp. 555-559.

<sup>6</sup> G. Forster. A Journey from Bengal to England, through the Northern Part of India, Kashmere, Afganistan, and Persia and into Russia by the Caspian Sea. vol. I. L. 1808. p. VIII





ამოცანები იყო წამოჭრილი, არამედ ფართომასშტაბიანი სამოქმედო გეგმები, რომელიც ინდოეთში რიგი გარდაქმნების ჩატარებას ითვალისწინებდა. რით, ინდოეთი უნდა ქცეულიყო არა წუთიერი გამდიდრების წყაროდ, არამედ სამფლობელოდ, რომელიც ინგლისს მისცემდა მუდმივ მოგებას. რაც შეეხება თვით ინდოელებს, ფორსტერი მათზე ფრიად დაბალი წარმოდგენის იყო. მიუხედავად იმისა, რომ იგი გამოხატავს აღტაცებას ინდოეთის ცივილიზაციის მიღწევებით ძველ ხანაში<sup>7</sup>, იგი ამავე დროს გამოხატავს მტკიცე რწმენას ინგლისელთა უპირატესობაში ინდოელებზე. „ჯანა შეიძლება არ იბატონო ასეთ ადამიანებზე!“ – აცხადებს იგი<sup>8</sup>.

ასეთივე სულისკვეთებით არის განმსჯეალული სხვა ინგლისელი, უილიამ ფრანკლინის ჩანაწერებიც, რომელიც იმავე დროს მოგზაურობდა ინდოეთში. იგი მიუთითებს, რომ ინგლისელებმა ზედმიწევნით უნდა შეისწავლონ ყველმნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი, რომლის ხელში ჩაგდებაც განამტკიცებს ოსტინდოეთის კომპანიის ბატონობას ინდოეთში და თავად აღწერს ზოგიერთ მათგანს<sup>9</sup>.

ავტორი სიამაყით აღნიშნავს კომპანიის ჯარების წარმატებას მაისორთან ომის დროს, ხოტბას ასხამს მათ საბრძოლო თვისებებს და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ინგლისმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დათმოს თავისი პოზიციები ინდოეთში<sup>10</sup>.

ამგვარად, ზემოთ განხილული მიუთითებს იმაზე, რომ XVIII-XIX სს. მიჯნაზე ინგლისის ინდოეთში გაბატონება აღიქმებოდა ინგლისის საზოგადოების სხვადასხვა წრეში, როგორც სავსებით ბუნებრივი და სამართლიანი მოვლენა.

### И. Ш. МЕНТЕШАШВИЛИ

## УСТАНОВЛЕНИЕ КОЛОНИАЛЬНОГО ПРАВЛЕНИЯ АНГЛИИ В ИНДИИ В КОНЦЕ XVIII - НАЧАЛЕ XIX В. И ОТНОШЕНИЕ АНГЛИЧАН К ЭТОМУ ВОПРОСУ.

(Резюме)

В конце XVIII - начале XIX в. в результате завоевательных войн английской Ост-Индской компании под ее властью оказалась значительная часть индийского субконтинента. Установление британского владычества в Индии оказало воздействие и на образ мышления

<sup>7</sup> G. Forster ... p. 3.

<sup>8</sup> G. Forster ... pp. 58-60, 68.

<sup>9</sup> G. Forster ... p. 243.

<sup>10</sup> W. Franklin. Observations Made on a Tour from Bengal to Persia in the Years 1786-1787. L. MDCCXC. p.6.

<sup>11</sup> W. Franklin ... pp. 12-14.



საქართველოს  
ანგლისური

англичан. В сознании представителей различных слоев общества появились имперский мессианиззм и чувство расового превосходства. Пребывание Индии под властью англичан воспринималось ими как вполне естественное и необходимое явление.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. ს.  
ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმმა

თამარ სულუხია

**ტრადიციული ქართული საცხოვრისის გეგმარებითი  
ორგანიზაციის სოციალურ-ფუნქციური მუშაობა**

თანამედროვე ქალაქური საცხოვრისის პროექტირების პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მასში ქალაქის სოციალურ-სივრცითი გარემოს ფენომენის ამოუწურავ შესაძლებლობებს არ ეთმობა შესაბამისი ყურადღება. დღეისათვის ჭერ კიდევ დაუდგენელია თანამედროვე თბილისური საცხოვრისის სოციალურ-ფუნქციური ორგანიზაციის პრინციპები. ამ პრობლემის გადაჭრა საჩქაროა, მით უფრო რომ ინტუიციურად მასობრივი ბინათმშენებლობის ობიექტების სოციალურ-ფსიქოლოგიური გარემო არ შეესაბამება სივრცითი ქცევის იმ ტრადიციებს, რომელიც „თბილისური საცხოვრისისათვის“ არის დამახასიათებელი. ამისათვის აუცილებლობას წარმოადგენს ტრადიციული საცხოვრისის გეგმარებითი ორგანიზაციის სოციალურ-ფუნქციური მექანიზმის გახსნა. ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილია მიემართოთ განსახლების აპრობირებული ფორმების და ცხოვრების ყაიდის სივრცით ტრადიციებს.

აღიარებულია, რომ სივრცის სოციალურ-სივრცით ორგანიზაციაზე მოქმედებს ცხოვრების ყაიდის რეგიონალური სპეციფიკა, რომელიც მოიცავს კულტურული ნორმების შესაბამის ადამიანთა ცხოველქმედობის სოციალურ პირობებს, ტრადიციებს, ჩვევებს, ქცევის სტერეოტიპებს. როგორც ცნობილია, ქალაქური კულტურის ჩამოყალიბების ერთ-ერთი პირობაა მოსახლეობის მიერ ქალაქის სივრცის ათვისების ხასიათი. „ამ პროცესში ძირითადი ადგილი ცხოვრების ყაიდს ეკუთვნის, ვინაიდან მოსახლეობის სოციალური მოწიფულობის კრიტერიუმს სწორედ ცხოვრების ყაიდის განვითარებულობის დონე წარმოადგენს“<sup>1</sup>. ამ კუთხით საინტერესოა ტრადიციული საცხოვრისის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების განხილვა.

ტრადიციული საცხოვრისი ვერცლად არის განხილული ეთნოგრაფთა, ხელოვნებისა და არქიტექტურის ისტორიკოსთა მიერ. ეს მასალა ძირითადად ეხება საცხოვრისის სივრცით-გეგმარებითი ორგანიზაციის მიმოხილვას, ტიპოლოგიას, ლანდშაფტური, კლიმატური, სამეურნეო პირობების და არქიტექტურულ-მხატვრული „ხატის“ კვლევას<sup>2</sup>. მაგრამ ამ ნაშრომებში თითქმის არ ეთმობა ყურადღება

<sup>1</sup> В. Н. Пароль, Социалистический город, Урбанизационный процесс и образ жизни горожан., П. Таллин, "Валгус", 1982, გვ. 94 (აქ და შემდგომ თარგმანი ჩემია - თ. ს.).

<sup>2</sup> ი. ადამია, ვ. გაგოშიძე, მ. გარაყანიძე, გ. გეგეჭკორი, ნ. ვოლკოვა, გ. დავითაშვილი, ვ. ითონიშვილი, გ. ლეყავა, ბ. ნიჭარაძე, ა. რობაქიძე, ლ. სუმბაძე, ა. ქალდანი, გ. ჩიტაია, გ. ჩუბინიშვილი, მ. ცინცაძე, რ. ხარაძე, გ. ჯავახიშვილი, გ. ჯანდიერი და სხვები.



სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებს, რისი განხილვაც ასე საჭიროა. როვე ქალაქური საცხოვრისის ოპტიმალური ტიპის ძიებისათვის.

საცხოვრისის სივრცით-გეგმარებითი სტრუქტურა ოდითგანვე იყო სოციალურად წინასწარ განსაზღვრული, ამიტომ მისი ფორმირების პროცესის ასახსნელად აუცილებელია სოციალურ-ფსიქოლოგიურ განწყობათა (установки, attitudes) და ქცევის სტერეოტიპების გათვალისწინება.

ტრადიციული ქართული საცხოვრისი სივრცით-გეგმარებითი სტრუქტურის თავისებურებებით სამ ძირითად რეგიონულ ჯგუფად იყოფა: აღმოსავლეთ საქართველო, დასავლეთ საქართველო და მთიანი მხარე.<sup>3</sup> თითოეულ ამ არეალთაგან გამოსულ მიგრანტს შესაბამისი სტერეოტიპები და განწყობა ჩამოჰქონდა თბილისში. XX ს-მდე მიგრანტთა ძირითადი ტალღა მოდიოდა აღმოსავლეთ საქართველოდან. ალბათ, სწორედ ამ მიზეზითა და ბუნებრივ-კლიმატური პირობების იგივეობიდან გამომდინარე მოგზაურთა დახასიათებანი გეაცნობენ XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნის თბილისში ორი ტიპის სახლის არსებობას: მიწური სახლისა და დარბაზის<sup>4</sup> — ესენი არიან აღმოსავლეთ საქართველოს საცხოვრისის ძირითადი ტიპები. მეტიც, თბილისური დარბაზი თითქმის არაფრით განსხვავდება სოფლის დარბაზისაგან XIX ს-ის პირველ მესამედში<sup>5</sup>.

დარბაზული საცხოვრისისათვის დამახასიათებელია მასში დიდი ოჯახის განვითარება. ოჯახს ჰყავდა ერთი უფროსი. რომელიც კერასთან მდგარ საუფროსო სკამზე ჯდებოდა. კერიის, დარბაზის სოციალური და სივრცითი შინაარსობრივი ცენტრის ირგვლივ ოჯახის წევრთა ასაკობრივი ნიშნით განლაგების წესი სადილისა თუ სხვა თავყრილობის დროს ყველაზე ნათლად მიუთითებს ოჯახის წევრთა უფლებების იერარქიულობას<sup>6</sup>.

ოჯახში შრომა განაწილებული იყო და ყოველ წევრს თავისი ფუნქცია ჰქონდა. ბავშვიც კი გარკვეულად ჩართული იყო ყოველდღიურ შრომაში. ამიტომ ბავშვის, მოზარდის და ოჯახის სხვა ახალი წევრის სოციალიზაციის პროცესი აქ თანმიმდევრულად, მდორედ მიმდინარეობდა, ანუ ხდებოდა კულტურული ადაპტაცია.

სოციალურ-სივრცით გარემოში ინდივიდი გარკვეული გზით მოქმედებს — მისდევს ქცევის იმ ხაზს (შაბლონს), რომელიც ამ გარემოთია განპირობებული. ცხოვრების პირობები, რომელიც გარემოს სპეციფიკითა და ქცევის სტერეოტიპებით განისაზღვრება დარბაზში ოჯახის ახალი წევრების იდეურ-ემოციური აღზრდის ოპტიმალურ გარემოს წარმოადგენდა.

დიდი ოჯახის კარ-მიდამო მის წევრთა თანაბარი საკუთრება იყო. სწორედ ეს განაპირობებდა გარემოს ისეთ სოციალურ-ფსიქოლოგიური დეტერმინანტის მე-

<sup>3</sup> Сумбадзе Лонгиноз, Типология грузинского народного жилища, Тбилиси, 1966, გვ. 16.

<sup>4</sup> Г. Джавахишвили, Н. Г. Волкова, Бытовые традиции Грузии XVIII-XIX вв., М. "Наука".

<sup>5</sup> Г. Джавахишвили, Н. Г. Волкова, დასახ. ნმრ.

<sup>6</sup> თ. ჩიქოვანი, ამიერკავკასიის ხალხთა საცხოვრებელი ნაგებობათა ისტორიიდან (ისტორიულ-ეთნოგრაფიული გამოკვლევა), თბ., 1967, გვ. 68.





ტად ძლიერ გამოხატულობას, როგორცაა სოციალური კონტრაქტული დოქტრინის საცხოვრებელს ოთახები ანუ გადატიხრული სივრცე არ გააჩნდათ დარბაზში. ყოველ მძას თავისი ცოლ-შვილით აქ ეკავა თავისი კუთხე და ყოველ რაღას განეკუთვნებოდა სპეციალური თარო კედელში, სადაც ქვეშაგებს ინახავდა და იდგმებოდა მისი სკიკერი<sup>7</sup>. ამიტომ ოჯახის ცალკეულ წევრთა ან საქორწინო წყვილთა მიკროსივრცის არსებობაზე საუბარი საცხოვრისის სივრცით – გეგმარებითი გარემოს სტრუქტურების ამ დონეზე თითქმის არ შეიძლება. უნდა დავეუშვათ, რომ ცნობილ – პრივატულობის<sup>8</sup> თეორიის (теория приватности; theory of privacy) გამოვლენას აქ არა აქვს ადგილი. გარკვეულწილად ამის ახსნაში დაგვემარება ამერიკელი ეთნოფსიქოლოგის დოქტორ ჰოლის თეორია<sup>9</sup>. იგი ამტკიცებს, რომ ინდივიდუალური გარემო წარმოადგენს პიროვნების „დახურულ პარამეტრს“. მაგრამ ეს გარემო არ არის აბსოლუტი. მაგალითად ინგლისში მას ცვლის ქცევის რიტუალები<sup>10</sup>. ქართულ საცხოვრისშიც, ალბათ, სწორედ ქცევის გარკვეული რიტუალებისა და სტერეოტიპების არსებობით ჯდებოდა ინდივიდუალური სივრცის არსებობის კომპენსაცია.

ბუნებრივია, ასეთ სივრცით-გეგმარებით გარემოში, სადაც სოციალური კონტროლის მეტად მაღალი დონეა საკუთრებაზე თანაბარუფლებიანობის პირობებში, გადახრილი სოციალური ქცევის ჩამოყალიბების ალბათობა მეტად მცირეა. ნ. აბაზაძე გვიამბობს, რომ დარბაზის ერთიან სივრცეში ცხოვრებით „უკუგდებულება საერთო დოვლათის მითვისების შესაძლებლობა, რომ ყველას თვალწინ ცხოვრება თავიდან ააცილებს უსიამოვნებას ოჯახის წევრებს შორის, ქორებასა და სიზარმაცეს“<sup>11</sup>. ესე იგი დარბაზის სივრცეში 40, 60 და ზოგჯერ მეტი ადამიანის ერთად ცხოვრება გამოწვეული იყო სოციალური პროცესების შინაარსით (სქემა № 2).

მეტად საინტერესოა ამ საცხოვრისის განხილვა როჯერ ბარკერისეულ „ქცევის ადგილად“<sup>12</sup>. ეკოფსიქოლოგიის მიხედვით „შეზღუდულობის გრძნობას“ (чувство стесненности) თან უნდა სდევდეს შემდეგი გამოვლენები: „– ადამიანები ნაკლებად უვლიან ქცევის ადგილს; გულგრილი დამოკიდებულება ქცევის ადგილისადმი; თვითშეფასების დაბალი კრიტერიუმი; ზერელე მოღვაწეობა“<sup>13</sup>.

ამ კომპონენტთა ქართულ საცხოვრისთან მისადაგებით აღმოვაჩინეთ, რომ აქ შეზღუდულობის გრძნობა არ მოქმედებს. ეს უნდა აეხსნათ ფასეულობათა, სტერე-

<sup>7</sup> P. Харалдзе, Грузинская семейная община. ч. II. Тб., "Заря Востока", 1960, გვ. 52

<sup>8</sup> ეს არის სხვებთან კონტაქტში ყოფნისა და არყოფნის პროცესთა სინთეზი. იხ.: Altman, I. The Environment and Social Behavior, Monterey, Ca.: Brooks/Cole, 1975.

<sup>9</sup> ჩვენ ვიცნობთ ამ მონოგრაფიის საფურნალო ვარიანტს.: О дверях стульях и разговорах щепотом, "Знание – сила". 1977. N44.

<sup>10</sup> იხ.: 3.

<sup>11</sup> Н. Л. Абазадзе, Семейная община у Грузин. Этнопсихологическое обозрение, кн. III, 1889, გვ. 15.

<sup>12</sup> Barker R. G. Ecological Psychology. Concepts and Methods for studying the Environment of Human Behavior. Stannford, Ca. Stanford Un Press, 1968.

<sup>13</sup> იხ. 1, გვ. 124.

ოტიპების, წარმოდგენების (schematas), სოციალური კავშირებისა და სხვადასხვა კულტურული კომპლექსის მყარად ჩამოყალიბებული სახის არსებობით.

დიდი ოჯახის დამლა ჩვენში კაპიტალიზმის განვითარებამ დააჩქარა. „ახალი სოციალური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელი მცირე ოჯახებისათვის დიდი ზომისა და კომპლექსური ხასიათის დარბაზული სახლი აღარ იყო საჭირო“<sup>14</sup>. თავიდან მოხდა საერთო საკარმიდამო ნაკვეთზე ოჯახისათვის ცალკეული სახლის დადგმა, ხოლო (სქემა № 2) რიტუალებისა და სადილისათვის მაინც დარბაზში რკობებოდნენ. მეორე შემთხვევაში კი წარმოიშვა დარბაზოვანი სტრუქტურა. ასეთია, მაგალითად, ნასყიდამშვილების დარბაზოვანი ვალეში (სქემა № 3), სადაც სამი ძმის საცხოვრებელი სივრცე ერთ ქერქვეშ არის გაერთიანებული, მაგრამ სივრცე მაინც დიფერენცირებულია გავლენის სფეროებად და გართულებულია ბარიერთა და საზღვართა სისტემა „ჩემს“, „ჩვენს“ და „სხვისს“ შორის.

საცხოვრისის სივრცის სტრუქტურირების შემდგომ ეტაპს წარმოადგენს საერთო მიწების პარცელაცია – საკარმიდამო ნაკვეთებად დამლა ოჯახის წევრებს შორის. ანუ საზოგადოებრივმა დიფერენციაციამ გამოიწვია სივრცის დიფერენციაცია.

როგორც ცნობილია, ტერიტორიულობის ცნება გულისხმობს სივრცის ფიქსაციას და მის კონტროლს. საცხოვრისის სივრცის ფიქსაციის მრავალი ხერხი არსებობდა ტრადიციულ საცხოვრისში: ადგილის შეზღუდვა, საზღვრების მარკირება, რაც მასზე უცხოთა შეღწევის კონტროლსა და ოჯახის ინდივიდუალობის ექსპოზიციის საშუალებას იძლეოდა. ხალხური ტრადიციის მიხედვით, თუ კარმიდამოს კარგი ღობე არ ჰქონდა, ეზოში რაგინდ კარგი სახლი მდგარიყო, შთაბეჭდილება მაინც ძალზე უფერული რჩებოდა. „ყოველი მოსახლე ცდილობს რაც შეიძლება მშვენიერი ღობე გააკეთოს“<sup>15</sup>, ვინაიდან მას არა მარტო უტილიტარული, არამედ დეკორატიული, სიმბოლური და სემანტიკური მნიშვნელობაც აქვს.

საოჯახო თემის დამლის შედეგად მოხდარ სივრცის სტრუქტურირებას მოჰყვა მასზე ნახევრად საზოგადოებრივი ტერიტორიის გაჩენა. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია ე. წ. კოლხური საცხოვრისი (სქემა 4). აქ ოჯახის გაყრის შედეგად ყველაფრის გაყოფის უფლება ჰქონდა ოჯახის წევრს გარდა სუფთა ეზოსი, რომელიც სწორედ ნახევარსაზოგადოებრივ ტერიტორიად იქცა. სუფთა ეზო არა მარტო კომპოზიციური, არამედ რიტუალური და საკულტო ადგილიც იყო. მას ოჯახის ყველა წევრი განსაკუთრებით უვლიდა. „ტალახიანი ფეხებით მასზე საერთოდ არ შემოდის“<sup>16</sup>, ანუ აქ ადგილი აქვს გვეფუფი პერსონალიზაციის დროს სოციალური კონტროლის უმაღლეს გამოხატულებას. სუფთა ეზოს წინ არსებობდა „შუკა, „ვესტიბიული“, გარდამავალი სივრცე ქუჩას (თუ ორღობეს) და კარმიდამოს შორის. აქ სტუმარს უნდა დაეტოვებინა ცხენი, ანუ ეს მცირე მონაკვეთი სასაზღვროა „ჩემსა“ და „სხვისს“ შორის, მომსვლელთათვის ფსიქოლოგიური შემზადების სივრცეა. ვინაიდან სივრცის პერსონალიზაციის ძირითადი ფუნქცია

<sup>14</sup> თ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 26.

<sup>15</sup> ი. აღამია, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, წიგნი II. თბ., „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1968, გვ. 51.

<sup>16</sup> იქვე.



იყო „ფორმალური შენარჩუნება და წარმოდგენა ადამიანის შემსრულებლობისა“<sup>17</sup>, იოლია აღმოვაჩინოთ პიროვნებაზე წინ ოჯახის დაყენების პრინციპი. სხვათა ეზო დარჩა თემის „მეს“ გამოხატულება თემის დამლის შემდეგაც.

პერსონალიზაციის, ტერიტორიულობის და სოციალური კონტროლის სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტები მეტად საინტერესოა მთიანი რაიონების საცხოვრისში. მაგალითად, მოხვეური და ხევსურული სახლები ხშირად ტერასებზე იყო განლაგებული, ერთმანეთთან კედლებით მიჯრილი, სადაც ეზოს როლს ბანი ასრულებდა<sup>18</sup> (მაგ. სოფ. შატილი, სქემა № 5). ამგვარ კომპლექსებში სახლებს ჰქონდათ საერთო შესასვლელი, რომელიც ძირითადად კოშკში მდებარეობდა და შეიძლებოდა ერთი სახლიდან მეორის კარის შეღება და ასე მთელი კომპლექსის მოვლა. ბუნებრივია, ამგვარი ტიპის საცხოვრისში მეტად ძნელია აშკარა სახლებების გავლება საკუთარ და ნახევრადსაზოგადოებრივ ტერიტორიებს შორის, რადგან მათი შერწყმა და ურთიერთგადასვლა მეტად ჰარმონიულია. თუმცა ყოველ ოჯახს თავისი საკუთარი სივრცე აქვს კედლებით მისი ფიქსირების საშუალებით, სახლებს შორის გასასვლელთა არსებობა ამცირებს ოჯახის მიერ სივრცის პერსონალიზაციის ხარისხს. ბანზე გადატანილი იყო სამეურნეო-საყოფაცხოვრებო პროცესების დიდი ნაწილი. სახლების შესასვლელები დაკავშირებული იყო ქუჩასთან კიბით, რაც უზრუნველყოფდა თითოეული ოჯახის სივრცის ჩაბმას საერთო-სასოფლო სოციალურ-სივრცით პროცესებში.

ისევე როგორც ხევსურულ, სვანური საცხოვრისის სივრცით გეგმარებით ორგანიზაციაშიც აქცენტირებულია თავდაცვითი ხასიათი. გამოიწვევია ამ მხარეთა სასაზღვრო განლაგება და სისხლის აღების ტრადიცია<sup>19</sup>.


სვანეთში საცხოვრისის თავდაცვითი ხასიათის ფუნქციის შესუსტებამ დროთა განმავლობაში გამოიწვია დარბაზ-მაჩუბის წარმოქმნა. შემდგომ ამ პროცესს მოჰყვა ოჯახთა გაყრა. ხშირად ახალი სახლები შენდებოდა კოშკის გარშემო, მის მახლობლად და კოშკი რჩებოდა ამ განაყართა საერთო-პატრონომიულ საკუთრებად ნახევარსაზოგადოებრივი სტატუსით. თუ გვარს რამოდენიმე კოშკი ჰქონდა, ისინი საცხოვრებელი სახლების ირგვლივ იყვნენ განლაგებულნი ისე, რომ სოფელში შემოსასვლელ გზებს და სუსტ მისადგომებს კეტავდნენ. ამიტომ შეიძლება თამამად ითქვას, რომ სვანური საცხოვრისი საერთო-სასოფლო ფუნქციის მქონე იყო თავდაცვის თვალსაზრისით. ბუნებრივია, აქ სოციალური კონტროლის და ტერიტორიულობის მეტად მაღალ გამოხატულებას აქვს ადგილი. საკუთარი, ნახევრადსაზოგადოებრივი და საზოგადოებრივი ტერიტორიები თითქოს ურთიერთგადაედებთან და ქმნიან სოფლის სივრცით-სოციალურ სტრუქტურას. უშუალოდ დღემდე შენარჩუნებულია განსახლების პატრონომიული სქემა<sup>20</sup>.

<sup>17</sup> 17. М. Хейдметс, Феномен персонализации среды: теоретический анализ. В кн.: Средовые условия групповой деятельности. Таллин, ТПедН, 1988, гв. 7-58.

<sup>18</sup> ვალ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ხევი ძველად და ახლა (საცხოვრებელი ნაგებობანი), თბ., 1967.

<sup>19</sup> ა. ქ ა ლ დ ა ნ ი, სვანეთის საცხოვრებელი კომპლექსები, სადისერტაციო ნაშრ. ისტორიულ მუცნთა კანდიდატის სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1973.

<sup>20</sup> А. Н. Робакидзе, Сванети, Тб., "Мецниереба", 1984, гв. 107.



სოფლის საცხოვრისი, როგორც მთის, ისე ბარის რაიონებში ჩართულია მისი დასახლებული ადგილის სოციალურ-ფუნქციურ სტრუქტურაში. ხორციელდება სოფლის სივრცით-გეგმარებითი ორგანიზაციის იმ რგოლების საშუალებით, რომელნიც ქმნიდნენ ერთიან იერარქიულ ჯაჭვს. ერთ-ერთი ასეთი რგოლი იყო მოედანი. იგი დასახლებული ადგილის კომპლექსიური ცენტრი და მისი აუცილებელი ელემენტი იყო. „ქართული ეპოსისა და სხვადასხვა დროის ისტორიკოსთა ნაშრომების მიხედვით მოედანი სოფლის ადმინისტრაციული ცენტრი იყო, თავურილობის, უფროსთა თათბირის, დიპლომატიური შეხვედრების, ზეიმების, სასამართლოების, შეჯიბრების ადგილი“<sup>21</sup>.

მოედანზე ხდებოდა ოჯახის და მის ცალკეულ წევრთა ჩართვა სოფლის საზოგადოებრივ ყოფაში. იგი სოფლის მოსახლეთა საზოგადოებრივი საკუთრება იყო და ექვემდებარებოდა აქ სოციალური კონტროლის მაღალი დონე და ასოციალური ქცევის (ვანდალიზმების და სხვა) მცირე ალბათობა.

საინტერესოა სხვადასხვა სოციალურ-ფსიქოლოგიური ასპექტების დაკვირვება უძველესი განსახლების მაგალითზე. მისი ძირითადი სახეა ბორცვებზე განლაგებული ერთი გვარის რამდენიმე ოჯახისგან შემდგარი შეგჯუფებული დასახლების სისტემა (სქემა № 6) ერთი გვარის დასახლება სხვისგან იყოფოდა 10-15 კმ-ით. ერთი გვარის რამდენიმე დასახლება კი ქმნიდა თემს. შემდგომში ეს სისტემა კომლექსად დაიშალა და შეიქმნა უბნები ნათესაური ნიშნის მიხედვით. „სხვადასხვა გვარის რამდენიმე ასეთი საცხოვრებელი უბანი ადმინისტრაციულად გაერთიანებულია და წარმოადგენს სოფლის ერთ-ერთ მიკრორაიონს, რომელსაც თემი ეწოდება“<sup>22</sup> (სქემა 12). დასახლების განვითარების ამ ეტაპზე მომიჯნავე სოფლებს შორის უკვე არსებობდა გარკვეული სათემო-საგვარეულო საზღვრები, როგორც საკმაოდ დიდი ჯგუფის მიერ სოფლის ტერიტორიის პერსონალიზაციის და მასზე დამყარებული სოციალური კონტროლის გამოხატულება. საზღვრებად მიღებული იყო თვალსაჩინო ბორცვები, შეგჯუფებული საკულტო ხეები, მდინარის გაღმა-გამოღმა ნაპირები, წყაროები და სხვა.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სოფლების სივრცით-გეგმარებითი ორგანიზაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სხვაობა იყო ის, რომ აღმოსავლეთში, მაგალითად, კახეთში, სამეურნეო ნაგებობათა ძირითადი ნაწილი და საკარმიდამო მიწები ცალკე იყო განლაგებული და სოფლის გარკვეულ ნაწილს აყალიბებდა, დასავლეთში კი ყოველივე ეს საცხოვრისის ტერიტორიაზე იყო თავმოყრილი.

დასახლების ასეთი ფორმების, ტრადიციული საცხოვრისის ზემოთ აღნიშნული სახეების მოქმედება XX ს-შიც გაგრძელდა. მაგალითად დიდმა ოჯახმა XX ს-ის დასაწყისშიც კი იარსება: „სოფელ ხიზაბაერაში (მესხეთი - თ. ს.) თენოშვილების 40 სულიანი ოჯახი მხოლოდ 1953 წელს გაიყარა ხუთ დამოუკიდებელ ოჯახად“<sup>23</sup>. ხევისურული, სევანური და მთის ზოგიერთი სხვა ტრადიციული საც-

<sup>21</sup> М. Гараканидзе, Грузинское деревянное зодчество, Тб., "Искусство" и "Сабчота Сакартвело". 1959.

<sup>22</sup> ი. ალაძე, ქართული ხალხური ხუროთმოძღვრება, გვ. 40.

<sup>23</sup> თ. ჩიქოვანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.






ხოვრისი დღემდე აგრძელებს თავის ცხოველმოქმედებას. მისი მრავლად არის ოდა სახლი და მისგან წარმოშობილი სახესხვაობანი. სწორედ ამიტომ, როგორც ზემოთ უკვე აღენიშნეთ, სოფლიდან მიგრირებული მოსახლეობის უდიდესი ნაკადების მიღების შედეგად საცხოვრისის მოქმედების მრავალამ ტრადიციათაგანი ძალაუვნებურად გაიზიარა თბილისმა.


ურბანიზაციის ტემპებმა და პირობებმა იმოქმედეს ტრადიციებზე, სტერეოტიპებზე, მაგრამ უკანასკნელთ აღმოაჩნდათ უნარი გამოიჩინონ გასაოცარი მოქნილობა, ნაწილობრივ შეცვალონ და შეიძინონ ახალი ნიშნები ქალაქის გარემოში. რა თქმა უნდა, ჩვენ შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ ტრადიციულ საცხოვრისის სივრცით-გეგმარებითი ორგანიზაციის სოციალურ-ფუნქციური მექანიზმი საფუძვლად დაედოს თბილისური საცხოვრისის პროექტირებას, მაგრამ მისი გათვალისწინება გარკვეული წვლილი იქნება მასობრივ ბინათმშენებლობასა და საზოგადოებრივ ცნობიერებაში ასახული „ტრადიციული თბილისური საცხოვრისის“ შეუსაბამობის გადალახვაში.

სურათი 1. ქაჩუხის ინტერიერი (სახსნაო ოსათი).




სქემა. ელემენტარული კვადრატის სტრუქტურის განმარტება.


ა. დარღვევილი ელემენტარული კვადრატის განმარტება "საქ-  
მადი" ტერმინით.




ბ. ტრადიციული საქართველოში  
კვადრატის განმარტება "საქმადი" ტერმინით, დარღვევილი კი  
გადა "განმარტება" ტერმინით.



გ. სტრუქტურის სტრუქტურის განმარტება  
ერთად "საქმადი" ტერმინით  
ინტელექტუალური ტერმინით განმარტება  
— მოხდა განმარტების.



დ. განმარტება ერთად სტრუქტურის  
განმარტება ერთად ელემენტარული  
განმარტება ინტელექტუალური  
განმარტება.




საბუჟო 3. ნასყიდშვილების მახატავრისის გეგმა. (ვალა)

3კლუ

ნასყიდშვილების  
მარბაზოვანი  
გეგმა

- 1 კარაპანი
- 2 დერეფანი
- 3 ბოსელი (ახორი)
- 4 საბჭლო
- 5 მელელი (ლმური)
- 6 ოლა (ახურის ოლა)
- 7 კალო
- 8 საყვარე
- 9 ფურნის სახლი




III იაკობ და კვიციანი ნასყიდშვილების

საბუჟო 3. ნასყიდშვილების მახატავრისის გეგმა. (ვალა)





სქემა 4. ზოფ. ლიხნი. ბ. უბჯს. პან-ბაბაქა. (ქვსუჯეთი). I. სუხიოვხაჭალო-სუოთუ უო, II წინა უო (უხუ), III უბუხუ (სუ-ბუხინაო უო, 1. სუხ. სუსლი (ოქუ), 2. სუუტუხი 3. სუუთუ, 4. ძულო სუხ. სუსლი. 5. სუსიოინი 6. წუილუხუ სუ. სეღოი (ბუხუ), 7. უოჟილი ქიხუნი.







Т. Т. СУЛУХИЯ

## СОЦИАЛЬНО-ФУНКЦИОНАЛЬНЫЙ МЕХАНИЗМ ПЛАНИРОВОЧНОЙ ОРГАНИЗАЦИИ ТРАДИЦИОННОГО ЖИЛИЩА

Резюме

В статье рассмотрены социально-психологические аспекты традиционного жилища разных регионов Грузии, как один из факторов региональной специфики объемно-планировочной организации жилища.

В статье даются доводы и доказательства, что пространственная структура жилища социально предопределена и мигранты каждой из региональных групп имеют особенные традиции, стереотипы и установки пространственного поведения. Автор считает, что анализ социально-функционального механизма пространственно-планировочной организации традиционного жилища в некоторой мере должен быть учтен в массовом домостроительстве, так как социально-психологическая среда новых жилых районов не соответствует тем пространственным традициям, которые имеются у большей части сегодняшних горожан.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სოციალურ ურთიერთობათა შესწავლის საქართველოს ეთნოგრაფიის განყოფილებამ.



ნოკოლოვ ვაჩიშვილი

ართოზანის წმ, შიოს ეკლესია<sup>1</sup>

წმ, შიოს სახელობის აგურიტ ნაგები დიდი დარბაზული ეკლესია სოფელ რუსიპირისა და იყალიტოს თავზე, წყლის ნაკადებით დასერილი თურდოს ხევის პირას, გალავანმოვლებული ნამონასტრალის ცენტრში დგას<sup>2</sup>. მონასტრის სხვა შენობათაგან მხოლოდ ნანგრევები და მიწით ამოვსებული საძირველებიღა გადარჩა. ეკლესიას თვალს შეავლებთ თუ არა, ამჟამინდელი მდგომარეობა თუ ძველადვე აღდგენილი კედლები მიგახვედრებთ, რომ მას ისტორიის მანძილზე საკმაოდ მძიმე ხვედარი რგებია წილად<sup>3</sup>.

ეკლესიის ისტორიის შესახებ წყაროები მცირეა და არსებითს არაფერს გვეუბნება. XIX ს-ში მისთვის საგანგებო შესხმა მიუძღვნია ბერს ფილადელფოს კიკნაძეს, რომელსაც ეკლესია იმ დროს უკვე „ვატულებული“ უნახავს<sup>4</sup>. 1861 წლის „ცისკარის“ მე-8 ნომერში ივ. კერესელიძე იხსენიებს წმ. შიოს ეკლესიას; არის კიდევ ერთი, შედარებით ვრცელი და საინტერესო ცნობა, რომელიც ჩვენი საუკუნის დასაწყისში კირიონ ეპისკოპოსმა გამოაქვეყნა<sup>5</sup>.

ივ. კერესელიძეცა და კირიონ ეპისკოპოსიც ეკლესიის აგებას დავით აღმაშენებლის ხანას უკავშირებენ, მაგრამ შენობის ხასიათი ამ თარიღს არ ეთანხმება და განვითარების სხვა ეტაპზე მიგვითითებს, კერძოდ კი, მაღალი და ფართო


<sup>1</sup> მოხსენდა 1988 წლის 20 თებერვალს ბ-ნ ლ. რჩელიშვილის სსონისადმი მიძღვნილ სესიას.

<sup>2</sup> წმ. შიოს ეკლესია დღევანდელამდე ისე მოიხსენიებოდა, როგორც რუსიპირისა, მაგრამ რამდენადაც იგი რუსიპირიდანაც და იყალიტოდანაც ერთი და იმავე მანძილითაა დაცილებული და ორთავეს „თანაბრად“ ეკუთვნის, მისი ასე მოხსენიება ერთგვარ უხერხულობას იწვევს, მღვდელი მის. ხელიძე წმ, შიოს ეკლესიას იქვე მდებარე, დღეს არ არსებულ სოფელს, არტოზანს მიაკუთვნებს („ივერია“, 1888, №90). გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ვფიქრობთ, მართებული იქნება ამიერიდან ეკლესიას ჩვენც ეს სახელი დავუშკვიდროთ.

<sup>3</sup> ეკლესიაზე ჩვენ 1986-1987 წლებში ვმუშაობდით. მაშინ იგი დზიანებული იდგა. წინამდებარე წერილიც მის იმჟამინდელ მდგომარეობას ასახავს. დღეს ეკლესია რესტავირირებულია, მაგრამ, სამწუხაროდ, არც თუ კარგად. შეკეთებისას ძველმა ფორმებმა მნიშვნელოვანი ცვლილებანი განიცადეს: სამხეთის კარიბჭეს ცენტრული კამარის ნაცვლად ბეტონის ნახევარწრიული კამარა დაადგეს, რის გამოც კუბურებში დარჩენილი აფრული კონსტრუქციები, თითქოს არც არსებულა, ისეა ახალი კამარით დაფარული; ბეტონის კამარამდე გააუქმა ჩრდილოეთის მარნის ზედა დაბალი სართული, ამჟამად მისი მნახველი იქ სართულის არსებობას ვერც წარმოიდგენს, კარნიზის ახალი ჭებეცი ისეთი პროფილისაა, მსგავსი, ვფიქრობ, არსად მოიძებნება - წრეთარგი თაროსა და ლილეს შორის კი არ არის მოქცეული, არამედ ორ თაროს შორის თავსდება.

<sup>4</sup> ივ. კერესელიძისა და კირიონ ეპისკოპოსის ცნობით „შესხმა“ რომელიც ჩვენ ვეღარ ვნახეთ, საკურთხევის კედელზე ყოფილა მიწერილი.

<sup>5</sup> Духовный Вестник Грузинского Экархата, №8, 1901.



ქართული ენციკლოპედია

პროპორციით, ჯერებით მორთული სადა ფასადებითა თუ სხვა არქიტექტურული დეტალებით, იგი უცებვე აღძრავს ასოციაციას XII-XIII ს-თა მიწინისა თუ XIII ს-ის ხანის ეკლესიებთან.

სოფლიდან გასულ მოღზე აღმართ-აღმართ ასულ მნახველს თურდოს სივრცით საესე ხევის პირას მდგარი განიერი და მალა აზიდული ეკლესია წარმოუდგება. ეკლესიის საერთო კომპოზიციას ქმნის ძირითადი დარბაზი, რომელიც აღმოსავლეთით ხუთწახნაგად შვერილი, ოდნავ დაბალი აფსიდით მთავრდება, სამხრეთით ფასადის ცენტრში მდგარი კარიბჭე, ჩრდილოეთით კი ცენტრიდან აღმოსავლეთით გადაწეული მინაშენი. დასავლეთით ეკლესიას გვიან მიამშენეს რიყის ქვით ნაგები ორფერდად გადახურული ნაგებობა და სამრეკლო, მანამდე კი აქ სამხრეთის მსგავსად, კარიბჭე უნდა მდგარიყო.

ფასადის ცენტრში სამხრეთიდან და დასავლეთიდან გაჭრილი ფართო კარებიდან შესულ მნახველს შემოეგებება მალა აზიდული, ხალვათად გამოილი ფართო სივრცე, რომელსაც რვა სარკმელი და კარის ორი ღიობი კამკამად ანათებს. კარები და სარკმლები კედელზე სიმეტრიულადაა განთავსებული – საკურთხეველში სამი სარკმელია, სამხრეთ კედელში – ცენტრალური შესასვლელიდან აქეთიქით სიმეტრიულად დამორებული ორი, დასავლეთ კედელზე, ასევე ცენტრში მოთავსებული კარის აყოლებზე – ორი, ჩრდილოეთით კი მინაშენის კარი და ერთადერთი სარკმელი სიმეტრიის ღერძზეა „ასხმული“.

ყოველ კედელზე გაჭრილი რამდენიმე სარკმელი, რომელიც კარგად ანათებს ინტერიერს, „მეორე აყვავების ხანის“ ეკლესიებს ახასიათებთ. XIII ს-ის ნახევრიდან მათი რიცხვი მცირდება და ინტერიერში სიბნელე ისადგურებს. ამავე დროს, გრძივ კედლებზე მალა არსებული სარკმლები ქვემოთ თავსდებიან და საკურთხევლის სარკმლებს უსწორდებიან<sup>6</sup>. სარკმელთა განლაგებით და რაოდენობით წმ. შიოს ეკლესია XIII ს-ის პირველი ნახევრის ნაგებობებს უახლოვდება, მაგრამ არის ერთი დეტალი, რომელიც მას მეორე ნახევრის ეკლესიებს უნათესავებს – ესაა სარკმლების შიგნით ძლიერ გადაშლილი, განიერწირთხლიანი ფორმა, რომლის გამოყენებაც საუკუნის მეორე ნახევრის ოსტატებს უყვართ ხოლმე.

იქ მდგომი ადამიანის მზერაში ყოველთვის ხედება ეს ფართო, კამკამა ლაქები, მათ მიღმა თვალი კარგად ხედავს ხეების ფოთლებს, ცას, რის გამოც შიდა სივრცეს დაუსაზღვრელად, ხსნილად აღიქვამს. მაყურებლის თვალს რაიმე ფორმა არ მიმართავს მისებურად წააკითხვინოს სივრცე. იქმნება შთაბეჭდილება თითქოს ინტერიერში, ნებისმიერი მიმართულებით თავისუფლად შეიძლება გადაადგილება – სივრცეს არაფერი ძერწავს, მიუხედავად იმისა, რომ აქ ტრადიციული სივრცითი მაორგანიზებელი ფორმები – პილასტრები საკმაოდ შვერილია. ამგვარ „გაორებას“ მათი სპეციფიკური აღქმა იწვევს. თუ „მეორე აყვავების ხანისა“ და უფრო ადრინდელ დარბაზულ ეკლესიებში კარის ცენტრიდან გადაადგილება და შვერილი პილასტრების რაკურსში დანახვა ხელს უწყობდა მათი ტექტონიკის გამომზეურებას, აქ ცენტრიდან შესული მნახველი პილასტრს ორ პარალელურ ხაზად აღიქვამს, მით უფრო, რომ შვერილზე ერთი მხრიდან დაუცემელი

<sup>6</sup> ი. გ. ო. მ. ე. ლ. ა. უ. რ. ი., მღვიმევი, თბ., 1982, გვ. 23.



ჩრდილი სხვა მხრიდან დაცემული სინათლით ბათილდება და მს. ხაზებიც თვალისთვის მეტად ფერმკრთალდება. ამ სურათს კიდევ უფრო გაამაღლიერებდა კედელზე ერთ დროს არსებული ხალიჩასავით შეფენილი მხატვრობა, რომლის ნაწილები შედარებით კარგად საკურთხეველსა და დასავლეთ კედელზე შემოგვრჩა, ასე რომ პილასტრები მხოლოდ კედლებს ჰყოფს, სივრცის მარჯვნივ მდებარე როლი კი დაკარგული აქვთ. მათი ამ ხასიათით, ერთი მხრივ, საკმაო შვერილობით, მეორე მხრივ კი ფრონტალური, არატექტონიკური აღქმით, არტოზანი ყველაზე მეტად XIII ს-ის შუა წლების სხალთას ენათესავება<sup>7</sup>.

ინტერიერში ერთადერთი ფორმა, რომელსაც მაყურებლის თავისუფლად მოძრაობის თვალის სივრცეთა შორის მიჯნად, ტეხილად აღიქვამს, არის დარბაზისა და საკურთხევლის შეყრის ადგილას შექმნილი სატრიუმფო თალი, ფორმა, რომელიც ამ ორ სივრცეს ერთმანეთისგან მიჯნავს, მაშინ, როდესაც ჩვენს დარბაზულ ეკლესიებში ამგვარი შვერილი არატიპურია და დარბაზისა და საკურთხევლის ერთიანობას არაფერი არღვევს ხოლმე. მიუხედავად ამისა, არტოზანის ეკლესია ამ მხრივ განმარტობით არ დგას და უშუალო პარალელები სწორედ XIII ს-ის დარბაზულ ეკლესიებში მოეძებნება. ესაა გუდარეხი<sup>8</sup> (საუკუნის 30-იანი წლები) და გავეთი<sup>9</sup> (საუკუნის დასასრული). მათი შვერილთა თვალის გადავენება საინტერიერს სურათს გვიხატავს — გუდარეხში კედლის შვერილები წახნაგოვანია და ძირითადი სივრცის კარგად შვერილ, ასევე წახნაგოვანი ფორმის პილასტრთა რიტმშია ჩართული, ამიტომ ინტერიერში შესული ადამიანი პილასტრთა საერთო რიტმში ჩაწერილ შვერილს ორი სივრცის გამმიჯნავ ფორმად ვერ აღიქვამს. გავეთში ამ შვერილს სხვა სახე აქვს, მისი შვერილობა აქ უკეთ აღიქმება, მაგრამ ფორმა შეცვლილია. თუ გუდარეხში იგი ძლიერაა გამოშვერილი, აქ გასქელებული და ბრტყელი აფსიდის კედელთანაა მიახლოებული. XIII-XIV საუკუნეთა მიჯნის ქარზამეთში<sup>10</sup> იგი უფრო დადაბლდა და აფსიდის კედლებს შეერწყა, მისი ზომის ხარჯზე კი აფსიდა დაგრძელდა. ეს რომ უბრალოდ დაგრძელებული აფსიდა არაა, არამედ გავეთის ტენდენციის განვითარებაა, გეგმაზე კარგად ჩანს — აფსიდის დასაწყისში ჭერ შვერილის მასა ვლინდება, მერე კი იწყება ნახევარწრიული მოხაზულობა.


ჩვენი აზრით, ამ პროცესში არტოზანის ეკლესია გუდარეხსა და გავეთს შორის უნდა მოთავსდეს, იგი თითქოს გუდარეხის შემდგომი საფეხურია, სადაც შვერილი პილასტრების რიტმს გამოეთიშა და მკაფიო მმიჯნავის სახე მიიღო. მაგრამ საკურთხევლის კედელთან შერწყმის იმპულსი ჭერ არ ჩანს, როგორც გავეთსა და საბოლოოდ ქარზამეთში ვნახეთ. აფსიდის დაგრძელების, ძირითადი სივრციდან დაცილების ტენდენცია, რაც ნახევარწრეზე მეტი მოხაზულობის აფსიდთა გაჩენაში გამოიხატა როგორც ბ-ნი ლ. რჩეულიშვილი აღნიშნავს, ამავე დროიდან გუშმათთან არქიტექტურაშიც იჩენს თავს, მოყოლებული საფარიდან ეს ტენდენ-

<sup>7</sup> რ. მ. ვ. ი. ს. ა. შ. ვ. ი. ლ. ი., „სხალთა“, კრებულში „ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აჭარაში“, ბათუმი, 1953, გვ. 85-105.

<sup>8</sup> Н; Г; Чубинашвили, Гударехи,

<sup>9</sup> ვ. ბ. რ. ი. ძ. ე., სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, გვ. 180-186.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 186-188.



ციაა ქულეში, ბიეთში, ბედიში<sup>11</sup>. მათ ის სახე აქვთ, რაც დარბაზების მშენებლობის უკანასკნელს — ქარხამეთს ჰქონდა. ნახსენები დარბაზები შესაძლოა საუკუნის დასასრულს გამოხატული ტენდენციის საწყის ეტაპზე იდგნენ და იმ პროცესს გვიჩვენებდნენ, რაც XIII ს-ში ჩვენთვის უცნობმა მიზეზებმა გამოიწვია.

აგურით ნაგები ეკლესიის გარე სახე სადაა. აქ არ არის რაიმე დეკორაციული ლაქა წარწერის, რელიეფის ან სარკმლის სათაურის სახით<sup>12</sup>. ფასადებს არც თაღნარი შემოუყვება. ყველაფერს კედლის სიბრტყე ქარბობს. მიუხედავად ამისა, სიბრტყეზე სარკმლითა და კარის ღიობთა მოწყობის მიხედვით განლაგება, ფასადის შესამკობად გამოყენებული სამი ჯვარი, შვერილ აფსიდზე შექმნილი ერთსაფეხურა უბეები მიგვიითბებს, რომ ოსტატს დასახული ჰქონდა ექსტერიერის მხატვრულად გაფორმების ამოცანა.

ეკლესიის ძირითადი ფასადი სამხერთისაა, სადაც მოწყობილია კარიბჭით გაფორმებული მთავარი შესასვლელი. კარიბჭე და ცენტრიდან აქეთ-იქით სიმეტრიულად მოთავსებული ორი სარკმელი მეტყველ კომპოზიციას ჰქმნიდა — კარიბჭის კეხი მალა, ფასადის ცენტრში აღიოდა და ორ სარკმელს თითქოს აქეთ-იქით ჭიმავდა, აცურებდა. ეს კომპოზიცია, ცენტრში კარიბჭითა და აქეთ-იქით სარკმლებით, ანალოგიას კვლავ სხალთის სამხრეთის ფასადთან პოულობს. ახლა კარიბჭე დანგრეულია, მაგრამ, საბედნიეროდ, მისი აღდგენა დარჩენილი კვალით კარგად შეიძლება — ეს იყო ოთხი მხრიდან ორსაფეხურიანი თალით გახსნილი კვადრატული მოცულობა. თალის მეორე საფეხური მიწიდან რამდენადმე დამორებით იწყებოდა და ამით აფსიდის წახნაგების თაღოვანი უბეების გამოძახილად იკითხებოდა. ეს უბეები აფსიდის სივრცეში წახნაგს ანაწევრებს, უბის მოტივი ჩვენში „მეორე აყვავების ხანიდან“ მოყოლებული მხოლოდ გვიან შუასაუკუნეებში იჩენს თავს და მრავლად გვხვდება. არტოზანში კი მისი გამოყენება ხუროთმოძღვრის შინაგანი განცდიდან მოდის — იგი მოერიდა აფსიდის დაუმუშავებელ, უმეტყველო წახნაგოვან ფორმად შექმნას, მისი ყოველი გვერდი უბით დაანაწევრა და ამით მოცულობას მეტი პლასტიკურობა მიანიჭა. თუ ცენტრალურ სამში სარკმელია გაჭრილი, განაპირა ორს სარკმელთა დაახლოებით ტოლი, კედლიდან ამოღებული აგურით შექმნილი ჯვარი ამკობს. მათში ჩრდილი წვევა და ამიტომ ფასადზე შავად დამჩნეული ჯვრები კარგად ეთანხმება ცენტრალურ სამ გვერდში გაჭრილ ღიობებს. აფსიდის განიერი გვერდებით შედგენილი წახნაგოვანი ფორმა ძლიერ მოცულობითად იკითხება, რასაც ზემოდან მძლავრი სალტესავით შემორტყმული ქვის მაღალი კარნიზიც აძლიერებს, რომელიც თითქოს კრავს ფართო აფსიდის მასას. კარნიზის პროფილი თაროს, წრეთარგისა და ლილვისგან შედგება. წრეთარგი ისე მცირედაა შვერილი, რომ თუ კაცი კარგად არ დააკვირდა, შეიძლება ცერობი ეგონოს. ასეთი მაღალი, ბრტყელწრეთარგიანი კარნიზი უნდა იყოს XIII-XIV ს-თა მიჯნის ნაბახტევეში, XIII ს-ის დასასრულის ლიხანურში, XIV ს-ის ზარზმის სამრეკლოსა თუ სხვაგან.<sup>13</sup>

<sup>11</sup> ვ. ბერიძე, რ. მეფისაშვილი, ლ. რჩეულიშვილი, რ. შმერლინგი, თბილისის მეტეხის ტაძარი, თბ., 1969, გვ. 61-62.

<sup>12</sup> მღვდელი მიხ. ხელიძე თავის აღწერაში აქ წარწერის არსებობას მიუთითებს, ახლა იგი აღარასდნს. დასახ. ნაშრომი.

<sup>13</sup> ი. გოშელაური, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.





სამხრეთ და აღმოსავლეთ ფასადთაგან განსხვავებით, ჩრდილოეთ ფასადზე უფრო ლაკონიურია. გლუვ სიბრტყეს მხოლოდ ცენტრიდან აღმოსავლეთით გაწეული მინაშენი და სიმეტრიის ღერძზე მთავარ სივრცეში გაჭრილი სარკმელი არღვევს. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ეს მინაშენი მარანია, სადაც საწნახელი დღესაც დგას. ამჟამად ნაგებობა ძლიერ შელახულია, მაგრამ დარჩენილი კვალიდან ჩანს, რომ ეს იყო ორსართულიანი შენობა, მათგან მეორე სართული დაბალი ყოფილა და, ალბათ, სხვენად გამოიყენებოდა.

ეკლესიის მეოთხე, დასავლეთის მხარეც სადაა. აქ საინტერესო ის არის, რომ მოსართავად გამოყენებულია ორსარკმელს შუა ჯვრის კომპოზიცია, რომელიც მაღლა, ცენტრში, ქვემოთ გაჭრილი კარის აყობებზეა მოთავსებული. სარკმლებიცა და ჯვარიც ერთმანეთის ტოლია. ჯვარი აქ, აფსიდის ჯვრებისგან განსხვავებით კედლიდან ამოწეული აგურებითაა შექმნილი. ოსტატი ითვალისწინებს მაცურებისგან კომპოზიციის დამორებას და ელემენტთა თანაბარზომიერებას, თავიდან იცილებს ფასადზე კომპოზიციის ჩაძირვისა და ჩაქრობის საფრთხეს.

ორსარკმელს შუა ჯვრის მოტივი განვითარების გარკვეულ ეტაპზე კარგადაა ცნობილი. თუ ადრეულ ნიმუშებში — ბეთანიაში, ფიტარეთში, წულრულაშენსა თუ სხვაგან, ჯვარი სარკმლებს შუა ამოიტყორცნება და დინამიკური სახე აქვს, მის ერთ-ერთ უკანასკნელ ეტაპზე — ერთაწმინდაში, ეს დინამიკა შენელებულია: სარკმლები აქეთ-იქითაა გაწეული, ჯვარს მხარში უდგანან და მასთან გატოლებას ლამობენ<sup>14</sup>. არტოზანში ჯვარი და სარკმლები ერთმანეთსაა გატოლებული. ეს ამ კომპოზიციის, ალბათ, ერთ-ერთი უკანასკნელი მაგალითია და დროით XIII ს-ის შუა ან ოდნავ მეორე ნახევარზე მიგვივითებს.


როგორც განხილვიდან ჩანს, არტოზანის ეკლესიაში ჩვენ ვხედავთ ქართული ხუროთმოძღვრების ორი განსხვავებული ეტაპისათვის დამახასიათებელ ფორმებს, კერძოდ — XIII ს-ის I ნახევრის ნაგებობებთან სიახლოვეზე მეტყველებს მრავალსარკმლიანობა, მათი კედლის მაღალ ნაწილში განლაგება, კარგად განათებული ინტერიერი, ორსარკმელს შუა ჯვრის გამოყენება, მეორე მხრივ, არის XIII ს-ის II ნახევრის ნიმუხებიც — ინტერიერში ფართოდ გადაშლილი განიერ-წირთხლიანი სარკმლის ფორმა, კარნიზის პროფილი და რაც ძალზე არსებითია, ეკლესიის საერთო პროპორცია — სიმაღლისა და სიგანის 1:1,35-თან შეფარდება. ამით იგი საუკუნის II ნახევრის ეკლესიათა განიერ, მშვიდი პროპორციების მქონე ნაგებობებს უფრო უახლოვდება, ვიდრე „მეორე აყვავების ხანის“ აზიდულსა და მოხდენილი პროპორციების მქონე შენობებს.<sup>15</sup> მაგრამ არსებითი ისაა, თუ როგორ ხდება ამ ორი ეტაპის ნიშნების გააზრება, ურთიერთშეთანხმება.

თუ ერთმანეთს შევადარებთ XII-XIII ს-ის მიწნისა და XIII ს-ის II ნახევრის ეკლესიების ფასადთა გაფორმების სისტემას, არტოზანი მასში საგულისხმო ადგილს დაიჭერს და თან საშუალებას მოგვცემს განვსაზღვროთ მისი ადგილი ამ პროცესში.

XII-XIII ს-თა მიწნის ეკლესიათა ფასადებზე ვეღარ ვნახავთ მანამდე გავრცელებულ დეკორაციულ თაღნარს. თუ აქამდე თაღნარი ერთიან სალტედ შემო-

<sup>14</sup> ი. გ. მ. ე. ლ. ა. უ. რ. ი., „ერთაწმინდა“, თბ., 1951 გვ. 35.

<sup>15</sup> ნ. ა. ნ. დ. ლ. ლ. ა. ძ. ე., „თირი“, თბ., 1975, გვ. 68.



ფეხებოდა ფასადებს და მასებს დაქვემდებარებული, ისინი ერთიანობაში ერთიანობაში და, ამ დროის ოსტატებს ფასადთა შემკობისა და გაერთიანებისთვის „საქარავად“ და „დასაქერად“ თაღნარი აღარ ჭირდებათ. სარკმლების, პორტალების, არქიტექტურული მასების მონაცვლეობა ისე ხდება, რომ ჩვენ ამ ძეგლთა წარმოდგენისას მათ ყოველთვის ერთიანობაში ვხედავთ ხოლმე. მორთულობის არც ერთი დეტალი უადგილოდ არ თავსდება ფასადზე, ყოველი დეკორაციული ლაქის შემქმნას საფუძვლად უდევს მთელი არქიტექტურული მასის გათვალისწინება. თვალი განუწყვეტლივ მოძრაობაშია და ყოველი ფასადის გაგრძელებად აღიქვამს შემდგომს.

XIII ს-ის შუა წლებიდან მდგომარეობა იცვლება. წინა განვითარება იწურება და ოსტატებს იმავე ელემენტებით მასისა და დეკორის გაერთიანება, ფასადთა მოთოკვა აღარ შეუძლიათ. ამიტომ თითქოს ცოდნის დაკარგვას უფრთხიანო, ყველა მათთვის ცნობილ ელემენტს ფასადზე ათავსებენ, უბრუნდებიან ადრინდელ ფორმებს, ფასადი ვეღარ ერევა ამდენ ელემენტს. ისინი სიბრტყეზე საერთო მასის გაუთვალისწინებლად თავსდება, ხშირად ულოგიკოდაც კი. ამიტომ თვალი დეკორს არქიტექტურულ მოცულობას დაუქვემდებარებელ ნახატად კითხულობს. კედელი ცალკეა, დეკორი კი ცალკე. აბლაბუდასავით დადებულს, თითქოს ნებისმიერად გადაასრიალებ-გადმოასრიალებ, ან სულაც „ჩამოხსნი“, ამასთან დაკავშირებით საკმარისია გავიხსენოთ XIII ს-ის II ნახევრის ეკლესიები – მღვიმევი და თირი.

არტოზიანის ფასადებზე ყველაფერი გაზრებულია, ელემენტები „თავის ადგილას“ თავსდება, საერთო მასის გათვალისწინებით. თითქოს არქიტექტორი დინჯად აწესრიგებს ფასადებს, მაგრამ იგი ამ ეტაპის ბოლო საფეხურზე დგას. თუ ამ დროის ეკლესიებში ელემენტთა განაწილება ძლიერ თავისუფალია, თვალი ყოველთვის მოძრაობაშია და ფასადი დინამიკურად იკითხება, აქ მთელისადმი ელემენტთა ვირტუოზულად შეწონვის უნარი და აქედან, მრავალფეროვანი სურათი, დამცრობილია, ოსტატს თითქოს აღარ შეუძლია ელემენტთა ცოცხალი, მოულოდნელი შეთანხმებები, იგი ფასადთა მოწესრიგებისას სიმეტრიას ირჩევს, თითქოს იგრძნო, რომ ელემენტი შესაძლოა უსისტემო ლაქად იქცეს, თუ რაიმე პრინციპს, ჩვენს შემთხვევაში წონასწორობას არ დაუქვემდებარა, „სისტემის გარე“, სიმეტრიაში არ მყოფ ელემენტებზე იგი უარს ამბობს და შედეგიც ისაა, რომ ეკლესია სიბრტყეობაშია და, დიობთა შორის დიდ, თავისუფალ არეზიანად მოჩანს. ამგვარი სიმეტრია, თავის თავში მოაზრებასთან ერთად, ფასადთა ურთიერთისაგან მოწყვეტის ტენდენციასაც იწვევს, რაც მას მეორე ნახევრის ნაგებობათა წინამორბედად სახავს. და კიდევ, თუკი სულ რამდენიმე ხნით ადრე არქიტექტორი მთელ ნაგებობას, მის ოთხივე კედელს ერთიან მთელად განიციდიდა, და ყველა კედელზე მდიდარი თუ სადა ადგილები ერთმანეთს თავისუფლად, „ერთმანეთის უშურველად“ ენაცვლებოდა, ამ მუხტის კვალად კი ყველაფერს ეკლესიის საერთო, დაძაბული პროპორციის მქონე შემდგარი მოცულობა შემოიმტკიცებდა, აქ, არტოზიანში, თითქოს ცალკე ყოველი კედელი დამოუკიდებელ მიხედვა-მოგვარებას, დამოუკიდებლად მოჩარჩოებას, შეკვრას საჭიროებს; თითქოს ყოველი მათგანი ცალკე სურათ-კედლადაა ქცეული, ამიტომაც აქ კედლები, ეს ერ-




თვარად ჩაკეტილი არეები, ერთიანობის მიმსწრაველი, დაძაბული მართობის ნაცვლად, მშვიდი მოხაზულობის დაუძაბავ ზედაპირად, წინასწარ მხატვრების ასპარეზად, ზედმეტ დეტალთაგან გათავისუფლებულ ნაკვეთებადაა ქცეული. შედეგად კი, ლიობებით წონასწორად მოგვარებული, დაუძაბავი, პროპორციადამშვიდებული, სიბრტყეგათავისუფლებული ეკლესია წარმოგვიდგება. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ არტოზანელი ხუროთმოძღვარი საუკუნის პირველი ან მეორე ნახევრის კი არა, არამედ შუა წლების შვილია, მამათა მიერ სხვა გემოვნებით ნაგებ ეკლესიებში გაზრდილი, ისიც ფასადებზე წესრიგისა და მოაზრების მოყვარულია, მაგრამ იმ დინამიკისა და მოულოდნელობის ვერშემძლებელს განსხვავებული ფორმათაგანცა უყალიბდება. ამასვე უნდა გვეუბნებოდეს მამაკობი ელემენტების – ჭვრების როლი მთელში. აქ იგი ოსტატის მიერ მთავარი ელემენტებით, – ლიობებით გაწონასწორების შემდეგ, „მორჩენილ ადგილებში“ ჩნდება, განტვირთული სიბრტყის თითქოს კვლავ დამტვირთავი და სიბრტყემამკესებელი, თითქოს თავისთავად იბადება ოსტატის ხელში. ამის გამო კი, ფასადთა მსურველნი, მთავრად ჭერ ლიობთაგან მოწესრიგებულ, სადა სიბრტყეებიან ფასადს ვაკითხულობთ, რომლებზედაც შემდეგ ჭვრები მახვილებდაა დასმული. XIII ს-ის მეორე ნახევრის ეკლესიებში ჭვრები არა „ახლადდადებულ“, არამედ საყოველთაოდ გაზიარებულ, გაძლიერებულ ელემენტადაა ქცეული, რომელიც მის გარეშე მოაზრებული ფასადის წვეთი-მახვილი კი არაა, არამედ, დეკორისა და ლიობთა დამქვემდებარებელი და ფასადთა მთავარი აქცენტის (წყობა, საყუნეთი და სხვ.)<sup>16</sup>. ყველაფერი ეს კი გვიჩვენებს, რომ არტოზანის ეკლესია XIII ს-ის პირველი ნახევრის გამგრძელებლადაც გვევლინება და საუკუნის მეორე ნახევრის ნიშანთა დამბადებლადაც, რაც მისი აგების თარიღს XIII ს-ის შუა წლებითა და ოდნავ მეორე ნახევრით განსაზღვრავს.

დასასრულ, უნდა ითქვას, რომ ეკლესია მხატვრულ-სტილური ანალიზით უკვე დათარიღებული გვქონდა<sup>17</sup>, როცა ფრესკულ მხატვრობაზე დაკვირვებითა და იქ გამოსახულ მეფეთა იდენტიფიკაციით, მხატვრობის შექმნის დრო 1247-1259 წლებით მოიფარგლა<sup>18</sup>, ხოლო, რახან ეკლესია აგებისთანავე მოსახატადაა გამიზნული, ეს ჩარჩოები მის ხუროთმოძღვრებასაც შემოწერს. როგორც ვხედავთ, ადრე გამოთქმული თარიღი რამდენიმე წლით თუა აცილებული ასტრონომიულს, ეს კი, კიდევ ერთხელ მიგვითითებს მხატვრულ-სტილური ანალიზის სანდოობასაც და რაც მთავარია, მხატვრული მოვლენის აღმომაცენებელი ძალის იმ თვისებებსაც, რაც რეალური ისტორიის მდინარებაში კი არა, ხელოვნების ნაწარმოებში, ყოფით ისტორიას აცილებული, უჩუმრად გაცხადდება ხოლმე.

<sup>16</sup> ვ. ბ რ ი ძ ე, „სამცხის ხუროთმოძღვრება“, თბ., 1955, გვ.


<sup>17</sup> ნ. ვ ა ხ ე ი შ ვ ი ლ ი, „რუსიპირის წმ. შიოს ეკლესია“, ლ. რჩეულიშვილისადმი მიძღვნილ სამეცნიერო სესია, თბ., 1988, გვგმა და მოხსენებათა თეზისები, გვ. 31-32.

<sup>18</sup> გ. ლ ე ქ ა ვ ა, „კტიტორთა გამოსახულებები რუსიპირის წმ. შიოს ეკლესიაში“, ახალგაზრდა მეცნიერთა რესპუბლიკური კონფერენცია, მიძღვნილი ლ. რჩეულიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბ., 1989, მუშაობის გვგმა და მოხსენებათა თეზისები, გვ. 20.




სურ. 1. არტოზანი, წმ. შიოს ეკლესია. ხედი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან







ნახ. 1. სოფ. არტობანი, წმ. შიოს ეკლესია. გეგმა



ნახ. 2. სოფ. არტოზანი, წმ. შიოს ეკლესია. კრილი აღმოსავლეთისკენ.



ნახ. 1. სოფ. არტოზანი, წმ. შიოს ეკლესია. კრილი სამხრეთისაკენ.



ნახ. 1. სოფ. არტოზანი, წმ. შიოს ეკლესია. ჩრდილოეთის ფასადი.

ВАЧЕИШВИЛИ Н.

## ЦЕРКОВЬ СВ. ШИО В АРТОЗАНИ

В селе Руиспири, на краю ущелья реки Турдо, находятся руины монастыря, в центре которого возведена большая кирпичная церковь "зального" типа, освященная во имя св. Шио. От остальных монастырских построек (дворец, каменная ограда и др.) уцелели лишь фундаменты и развалины.

Основной объем церкви с востока завершается выступающей стигранной апсидой, с юга к нему примыкает портик, с севера же "арани", который, видимо, был двухэтажным. Зальное пространство разделено двумя парами пилястр. На стыке наоса и алтаря видим редкую Грузии форму, разделяющую эти два пространства - триумфальную арку. Прямые параллели ей находим в зальных церквях XIII века, что дает возможность проследить развитие данной формы. Возможно, этот процесс следует увязать с наметившейся в то же время в купольной архитектуре тенденцией к удалению апсиды от основного пространства ее удлинению.

По набору конструктивных и декоративных элементов церковь св. Шио в Руиспири должна быть отнесена к середины XIII века, скорее всего 1260-ым годам.

Художественно-стилистический анализ выявляет "переходный" характер памятника: с одной стороны, еще живы традиции первой половины XIII века, с другой же немало и таких признаков, которые свойственны для второй половины XIII столетия.

წარმოადგინა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. ჩუბინაშვილის საბელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტმა.



პანტაონი

**პირველი ქართული პარლამენტი  
(საქართველოს პარლამენტი)**

რუსეთის იმპერიის აღსასრულთან ერთად 1917 წლის მარტში არსებობდა დასრულდა კავკასიის სამეფისნაცვლომაც, რომლის შემადგენლობაში თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების, სოხუმის, ბათუმის, ყარსის, არდაგანის (არტაანის) და ზაქათალის ოლქების (ოკრუგების) სახით შედიოდა საქართველოს ისტორიული ტერიტორია. რომანოვების იმპერიის ნგრევამ ხელსაყრელი პირობები შექმნა ერთ დროს დაპყრობილ თუ “ნებაყოფილებით“ შეერთებულ ხალხებში თვითგამორკვევის პროცესის დაწყებისათვის. საქართველოში ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანოს ფუნქცია იკისრა პოლიტიკურ პარტიათა და მიმდინარეობათა შეთანხმების საფუძველზე 1917 წლის აპრილის დამდეგს შექმნილმა საქართველოს ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ. ინტერპარტიული საბჭოს დაარსებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სოციალ-დემოკრატებმა: აკაკი ჩხენკელმა, ნოე რამიშვილმა, გიორგი (გოგიტა) ფაღავამ, პავლე საყვარელიძემ; სოციალისტ-ფედერალისტებმა: გიორგი ლასხიშვილმა, გრიგოლ რუხილაძემ, შალვა მესხიშვილმა, სამსონ ფირცხალავამ; ეროვნულ-დემოკრატებმა: გიორგი გვაზავამ, დავით (დათა) ვაჩნაძემ, გრიგოლ ვეშაპელმა, სპირიდონ კედიამ და სხვებმა. ინტერპარტიული საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობას მისი არსებობის მთელს მანძილზე ასრულებდა აკაკი ჩხენკელი. ინტერპარტიულმა საბჭომ წარმატებით გაართვა თავი ეროვნული მოძრაობის კოორდინატორის ფუნქციას და თავისი მოღვაწეობა დაავიჯრგვინა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მოწვევით, რომელიც 1917 წლის 19-24 ნოემბერს გაიმართა თბილისში. ეროვნულმა ყრილობამ სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებთან ერთად გადაწყვიტა ორი დიდი პრობლემა: პირველი, ქართველი ერის პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრა და მეორე, ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანოს შექმნა. ასეთ ორგანოდ, როგორც ცნობილია, იქცა საქართველოს ეროვნული საბჭო. საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მოწვევითა და მის მიერ ეროვნული საბჭოს არჩევით ლეგიტიმური ხასიათი მიეცა ეროვნული მოძრაობის ხელმძღვანელი ორგანოს არსებობას.

ადვილი არ ყოფილა ეროვნული საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრა, მისი სტრუქტურული ერთეულის ჩამოყალიბება. დღეს მკითხველს ვთავაზობთ ამ პროცესის ამსახველ საარქივო დოკუმენტებს.

ეროვნული საბჭოს პერსონალური შემადგენლობის (წევრები და კანდიდატები) პროექტი შეუდგენია ნოე ჟორდანიას. სიაში საბოლოოდ 63 წევრი და 63 კანდიდატი შესულა. ნ. ჟორდანიას პროექტით, ეროვნული საბჭოს წევრთა პარტიული კუთვნილება ასეთი იყო: რსდმპ ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი (ქართველი სოციალ-დემოკრატები) - 31 ადგილი, საქართველოს სოციალისტ-ფედ-

რაციული სარეგულაციო პარტია - 10 ადგილი, საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია - 1 ადგილი, სოციალისტ-რევოლუციონერთა ქართული ფრაქცია - 6 ადგილი, უპარტიონი - 2 ადგილი, ქართული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი - „ალიონი“ - 4 ადგილი. ეროვნული საბჭოს კანდიდატები შემდეგი პარტიის წარმომადგენლები იყვნენ: საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია - 1 ადგილი, სოციალისტ-რევოლუციონერთა ქართული ფრაქცია - 5 ადგილი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 9 ადგილი, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარეგულაციო პარტია - 8 ადგილი, უპარტიონი - 2 ადგილი, ქართული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი „ალიონი“ - 4 ადგილი, (იხ. დოკუმენტი №1).

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის წინ გაიმართა კრება, რომელიც მიემდინა ეროვნული საბჭოს შემადგენლობის განსაზღვრას. არქივში დაცული სიის მიხედვით, კრების გადაწყვეტილების თანახმად, ეროვნულ საბჭოში უნდა შესულიყო 67 წევრი და 65 კანდიდატი. როგორც ჩანს, ეროვნულ საბჭოს პერსონალური შემადგენლობა კიდევ საჭიროებდა დაზუსტებას. ამაზე მიუთითებდა ის ფაქტი, რომ ეროვნული საბჭოს წევრთა სიაში დანომრილი, მაგრამ თავისუფალი იყო 2 ადგილი, ხოლო კანდიდატთა სიაში - 4. გარდა ამისა, ძირითადი სიის (კანდიდატების) გასწვრივ დამატებით ჩამოწერილია 5 კაცის გვარი, რომელთაც, ალბათ, უნდა შეეკისრათ ეროვნული საბჭო<sup>1</sup>. მცირე ცვლილებით ეროვნული საბჭოს ეს შემადგენლობა დამატკიცა კიდევ ეროვნულმა ყრილობამ. ყრილობის მიერ დამტკიცებული ეროვნული საბჭო შედგებოდა 66 წევრისა და 61 კანდიდატისაგან, 6 კაცი ეროვნულ საბჭოში არჩეულ იქნა სათათბირო ხმით. ეროვნულ საბჭოს წევრთა პარტიული კუთვნილება ასეთი იყო: საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარეგულაციო პარტია - 10 კაცი, საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია - 1 კაცი, სოციალისტ-რევოლუციონერთა ქართული ფრაქცია - 7 კაცი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 9 კაცი, უპარტიონი - 2 კაცი, ქართული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი „ალიონი“ - 4 კაცი, ქართველი სოციალ-დემოკრატები - 28 კაცი. გარდა ამისა, სიაში შეყვანილ იყვნენ: სამაჰმადიანო საქართველოს წარმომადგენლები - 3 კაცი, ზაქათლის ოლქის წარმომადგენელი - 1 კაცი, სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოს წარმომადგენელი - 1 კაცი. ეროვნული საბჭოს კანდიდატთა სია პარტიული შემადგენლობის მიხედვით ასე გამოიყურებოდა: საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია - 1 კაცი, სოციალისტ-რევოლუციონერთა ქართული ფრაქცია - 5 კაცი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 6 კაცი, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარეგულაციო პარტია - 9 კაცი, უპარტიონი - 2 კაცი, ქართული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი „ალიონი“ - 4 კაცი, ქართველი სოციალ-დემოკრატები - 31 კაცი. გარდა ამისა, სიაში შეყვანილი იყო სამაჰმადიანო საქართველოს 3 წარმომადგენელი (იხ. დოკუმენტი №2). როგორც ჩანს, ეროვნული საბჭოს პერსონალურ შემადგენლობაში ცვლილებები ეროვნული ყრილობის შემდეგაც მოხდა, ამაზე მიუთითებს დამატებანი

<sup>1</sup> იხ. სცსსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 124, ფურცლები 3-4



და შესწორებანი, რომელიც ყრილობის მიერ დამტკიცებულ სიყვარულსა და სიბრძნეს შებენდგომ ხანებში<sup>2</sup>. ცვლილებები ძირითადად ხდებოდა პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელობის მოთხოვნით (იხ. დოკუმენტები №3, 4, 5).

საქართველოს ეროვნული საბჭოს მუდმივმოქმედი ორგანო იყო აღმასრულებელი კომიტეტი. აღმასრულებელ კომიტეტს თავდაპირველად 12 სექცია ჰქონდა, შემდგომ დაემატა კიდევ ერთი - მეცამეტე სექცია (იხ. დოკუმენტი №6).


1918 წლის 11 თებერვალს საქართველოს ეროვნული საბჭოს მერვე კრებამ მიიღო დადგენილება ეროვნული საბჭოს შემადგენლობის განახლების შესახებ. ამასთან დაკავშირებით ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა მიმართვები გაუგზავნა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტს, სოციალისტ-რევოლუციონერთა ქართული ფრაქციის კომიტეტს, ქართულ სოციალურ-დემოკრატიული ჯგუფის „ალიონის“ კომიტეტს, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარ კომიტეტს, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარ კომიტეტს და საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტიის მთავარ კომიტეტს (იხ. დოკუმენტი №7). პოლიტიკურმა პარტიებმა ეროვნულ საბჭოს წარუდგინეს ახალი წევრები და კანდიდატები (იხ. დოკუმენტები №8,9,10,11,12). არქივში დაცული მასალიდან არ ჩანს, ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიმართვის პასუხად რა ცვლილებები მოახდინეს ქართველმა ესერებმა და სოციალისტ-დემოკრატებმა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ რსდმპ ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი ძალზე დაგვიანებით, 1918 წლის 25 მაისს, თხოვდა ეროვნულ საბჭოს მიეწოდებინა მისთვის საბჭოს წევრი სოციალ-დემოკრატების სია მისი გადასინჯვის მიზნით (იხ. დოკუმენტი №13). უნდა ვივარაუდოთ, რომ სოციალ-დემოკრატებმა ცვლილებები ადრეც მოახდინეს ეროვნული საბჭოს წევრთა სიაში, თუმცა ამის დამადასტურებელი დოკუმენტი საქმეში არ აღმოჩნდა. იგივე უნდა აღინიშნოს ქართველი ესერების შესახებაც.

მნიშვნელოვანი ცვლილებები ეროვნულ საბჭოს აღარ განუცდია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე.

ისევე როგორც ეროვნული საბჭო, ნაწილობრივ ცვლილებებს განიცდიდა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტიც. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების წინ, 1918 წლის 25 მაისისათვის, ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი ასეთი შემადგენლობით მუშაობდა: ნოე ჟორდანიანი, გიორგი ლასხიშვილი, პავლე საყვარელიძე, კონსტანტინე გვარჯალაძე, ნოე ხომერიკი, ალექსანდრე ლომთათიძე, სილიბისტრო ჭიბლაძე, შალვა მესხიშვილი, კონსტანტინე მესხი, ნოე რამიშვილი, იასონ ლორთქიფანიძე, გრიგოლ ვეშაპელი, გიორგი ჟურული, ალექსანდრე ასათიანი, იოსებ მაჭავარიანი, დავით (დათა) ვაჩნაძე, გიორგი გვაზავა, ირაკლი წერეთელი, ევგენი გეგეჭკორი, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე, ვლადიმერ გობეჩია<sup>3</sup>. 1918 წლის 25 მაისს გაიმართა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა, რომელმაც მიიღო გა-

<sup>2</sup> იხ.: სცსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 124, ფურცლები 5-7.

<sup>3</sup> იხ. სცსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 49, ფურცელი 2.



დაწყვეტილება მეორე დღეს - 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის მოცხადების შესახებ. ამავე სხდომაზე გადაწყდა ეროვნული საბჭოს რეორგანიზაცია. მიღებულ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ა) აღმასრულებელი კომიტეტი უქმდება; ბ) საბჭო ირჩევს თავის ახალ პრეზიდენტს მეორე კრებაზე; გ) არჩეულ იქნას სამანდატო კომისია, რომელსაც დაევალოს საბჭოს რეორგანიზაციის საკითხის განხილვა, წევრთა და კანდიდატთა სიის გადასინჯვა“<sup>4</sup>.

ეროვნული საბჭოს რეორგანიზაციასთან დაკავშირებით პოლიტიკურმა პარტიებმა და ორგანიზაციებმა ეროვნულ საბჭოში წარადგინეს სიები (იხ. დოკუმენტები №№ 14,15,16,17,18,19). 1918 წლის 30 მაისს საქართველოს ეროვნულმა საბჭომ იმსჯელა და დამტკიცა ეროვნული საბჭოს ახალი შემადგენლობა 121 წევრის რაოდენობით<sup>5</sup>. ეროვნული საბჭოს წევრთა პარტიული კუთვნილება ასეთ სურათს იძლეოდა: რსდმპ ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტი (ქართველი სოციალ-დემოკრატები) - 68 კაცი, საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია - 16 კაცი, საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია - 15 კაცი, სოციალისტ-რევოლუციონერთა ქართული ფრაქცია - 12 კაცი, ქართული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი „ალიონი“-5 კაცი, საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია - 2 კაცი, უპარტიონი - 2 კაცი. გარდა ამისა, ეროვნულ საბჭოში იყო საინგილოს წარმომადგენელი (იხ. დოკუმენტი №20). ეროვნულ საბჭოს შემადგენლობაში, რომელიც 1918 წლის 30 მაისს დამტკიცდა, არ იყო სამაჰმადიანო საქართველოს წარმომადგენელი. მოგვიანებით ეროვნულ საბჭოში სამაჰმადიანო საქართველოს წარმომადგენლად შეყვანილი იქნა მემედ-ბეგ აბაშიძე (იხ. დოკუმენტები №№ 21,22). ეროვნულ საბჭოს 121 წევრიდან ქართველი იყო 116, სომეხი - 3, ოსი 2; უმაღლესი განათლება ჰქონდა 74 კაცს, დანარჩენს 47 კაცს ჰქონდა არასრული უმაღლესი, საშუალო, დაწყებითი და შინაური განათლება. უმაღლესი განათლების მქონე ეროვნული საბჭოს 74 წევრიდან ჟურნალისტი იყო 21, იურისტი - 18 მასწავლებელი - 10, ექიმი - 7, სამხედრო - 3, ინჟინერი - 2. საბჭოს სამი წევრი პროფესორი იყო. ეროვნული საბჭოს წევრთა შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო გრიგოლ ვეშაპელი (26 წლის), ხოლო უხუცესი - სილიბისტრო ჯიბლაძე (60 წლის)<sup>6</sup>.

მას შემდეგ, რაც ნოე ჟორდანიას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე გახდა (1918 წლის 24 ივნისი), ცვლილება განიცადა საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდენტის შემადგენლობამ. თავმჯდომარის პოსტი დაიკავა ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძემ (იხ. დოკუმენტი №23).

1918 წლის 30 მაისს ძირითადად დამთავრდა საქართველოს ეროვნული საბჭოს პერსონალური შემადგენლობის ფორმირება. თუმცა ცალკეული ცვლილებები, რაც 1 ივნისს დაიწყო, მომდევნო თვეებშიც გრძელდებოდა. ეროვნული საბჭოს წევრთა ერთი ნაწილი საბჭოდან გასვლისას ოფიციალურ დოკუმენტში მიზეზს არ მიუთითებს, ხოლო მეორე ნაწილი მიღებული გადაწყვეტილების მოტი-

<sup>4</sup> იხ. სცსსა, ფონდი 1836, ამონაწერი 1, საქმე 49, ფურცლები 1-4.

<sup>5</sup> იხ. სცსსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 123, ფურცლები 11, 8-10.

<sup>6</sup> იხ. სცსსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 123, ფურცლები 12-15.

<sup>7</sup> იხ.: სცსსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 123, ფურცლები 26-35, 36-37, 41, 49, 51.

10. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1993, №3-4





ვირებას ახდენს<sup>7</sup>. ძალზე მრავლისმეტყველია ამ მხრივ გრიგოლ ნათაძის განცხადება (იხ. დოკუმენტი №24). ეროვნული საბჭოდან წევრთა გასვლის შედეგად საერთო რაოდენობა რომ უცვლელი დარჩენილიყო და ამავე დროს პარტიას წარმომადგენლობის შეფარდება რომ არ დარღვეულიყო, 1918 წლის 4 ივლისს ეროვნული საბჭოს სამანდატო კომისიამ ყველა პარტიას მოსთხოვა საბჭოს წევრების კანდიდატთა სია, საიდანაც ავტომატურად მოხდებოდა საბჭოს წევრთა შერჩევა (იხ. დოკუმენტი №25).

1918 წლის ივლისში საქართველოს ეროვნული საბჭოს უპარტიოთა ფრაქცია გარდაიქმნა „დამოუკიდებელთა ფრაქციად“ (კონსტანტინე აფხაზი, კონსტანტინე მაყაშვილი) (იხ. დოკუმენტი №26). ცოტა მოგვიანებით საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში მომხდარი განხეთქილების შედეგად ეროვნულ საბჭოში შეიქმნა კიდევ ერთი ფრაქცია - „დამოუკიდებელი ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია“ (გრიგოლ ვეშაპელი, რევაზ გაბაშვილი, დავით ვაჩნაძე, მიხეილ მაჩაბელი, ვასილ წერეთელი, შალვა ქარუმიძე). განხეთქილებამ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიაში მნიშვნელოვნად განამტკიცა ეროვნულ საბჭოში სოციალისტური ორიენტაციის ფრაქციების (სოციალ-დემოკრატები, სოციალისტ-რევოლუციონერები, სოციალისტ-ფედერალისტები, ალიონელები) პოზიციები. პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა (ფრაქციათა) შორის ბრძოლის სიმწვავეს აძლიერებდა უპარტიოთა ფრაქციის სიმცირე (2 კაცი). საერთოდ კი, სოციალ-დემოკრატებს, რომელთაც ეროვნულ საბჭოში 121 ადგილიდან 68 ეკუთვნოდათ, სოციალისტური ორიენტაციის ფრაქციების გარეშე შეეძლოთ ნებისმიერი გადაწყვეტილების ბლოკირება, ხოლო სოციალისტური ორიენტაციის ფრაქციებთან ერთად (101 ხმა) ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება.

დოკუმენტები დაცულია საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის ფონდში (ფონდი № 1836). ქვეყნდება დედნის სტილის შეუცვლელად, გასწორებულია მხოლოდ პუნქტუაცია და კორექტორული შეცდომები.

## დოკუმენტები

### დოკუმენტი №1

[1917 წლის 22 ნოემბრამდე]

#### საბჭოს წევრთა შემადგენლობა

წევრები


ფედერალისტები - 10

1. გ. ლასხიშვილი
2. გიგო რცხილაძე

32. პავლე საყვარელიძე  
კანდიდატები

რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა  
პარტია

1. დომენტი არონიშიძე



- 3. შალვა მესხიშვილი
- 4. იოსებ გედევანიშვილი
- 5. სამსონ ფირცხალავა
- 6. დიტო უზნაძე
- 7. ოსიკო ბარათაშვილი
- 8. იასონ ბაქრაძე
- 9. სოსიკო მდივანი
- 10. ალექსანდრე წერეთელი

ესერები

- 2. ზურაბ ბაქრაძე
- 3. მიხეილ გავაშვილი
- 4. ილია თევზაძე
- 5. ილია ქარცივაძე
- 6. პოლკ. კარგარეთელი

რადიკალ-დემოკრატიული გლეხთა პარტია - 1

- 11. დათიკო ჩიქოვანი
- ესერები - 6

- 12. კოტე მესხი
- 13. ვლ. გობეჩია
- 14. გრიგოლ ნათაძე
- 15. ივანე ჩერქეზიშვილი
- 16. იოსებ გობეჩია
- 17. ივანე გობეჩია

ნაციონალ-დემოკრატები - 9

- 18. ნიკო ნიკოლაძე
- 19. გერონტი ქიქოძე
- 20. იოსებ დადიანი
- 21. გიორგი ფურული
- 22. გიორგი გვაზავა
- 23. შალვა ამირეჯიბი
- 24. მიხეილ მაჩაბელი
- 25. სპირიდონ კედია
- 26. გრიგოლ ვეშაპელი

უპარტიო - 2

- 27. კონსტანტინე აფხაზი
- 28. კონსტანტინე მაყაშვილი

„ალიონი“ - 4

- 29. პეტრე ქავთარაძე
- 30. ივანე გომართელი
- 31. ნიკოლოზ ქავთარაძე

ნაციონალ-დემოკრატები

- 7. ექვთიმე თაყაიშვილი
- 8. შალვა ქარუმიძე
- 9. იასონ ლორთქიფანიძე
- 10. ვასილ წერეთელი
- 11. დიმიტრი ჯავახიშვილი
- 12. რევაზ გაბაშვილი
- 13. დავით ვაჩნაძე
- 14. იოს. მაჭავარიანი
- 15. სამსონ დადიანი

სოციალისტ-ფედერალისტები

- 16. თედორე ღლონტი
- 17. მიხეილ საყვარელიძე
- 18. სიმონ მაჭავარიანი
- 19. შალვა მიქელაძე
- 20. ერასტი ტოროტაძე
- 21. ალექსანდრე მდივანი
- 22. გრ. გველესიანი
- 23. იაკ. ფანცხავა

უპარტიო - 2

- 24. გრ. რობაქიძე
- 25. ფილიპე გოგიჩაიშვილი

„ალიონი“

- 26. კალე ქავთარაძე
- 27. ლეო შენგელია
- 28. ივანე ჯაფარიძე
- 29. ვარლამ ბურჯანაძე



სოციალ-დემოკრატები -28

სოციალ-დემოკრატები -28

- |                                |                           |
|--------------------------------|---------------------------|
| 1. ნოე ყორღანია                | 1. სერგო ჯაფარიძე         |
| 2. აკაკი ჩხენკელი              | 2. ბიქტორ ჟღენტი          |
| 3. სილიბისტრო ჯიბლაძე          | 3. კოლია მაჭარაძე         |
| 4. ევგენი გეგეჭკორი            | 4. ვარ. წულაძე            |
| 5. ნოე რამიშვილი               | 5. ნოე ცინცაძე            |
| 6. ალექსანდრე ლომთათიძე        | 6. ვლადიმერ ახმეტელაშვილი |
| 7. ვლადიმერ ჭულელი             | 7. კონსტანტინე ჯაფარიძე   |
| 8. დავით ონიაშვილი             | 8. ფილიპე ლორია           |
| 9. ჰეიდარ აბაშიძე              | 9. ილია ბაღრიძე           |
| 10. კონსტანტინე გეარჯალაძე     | 10. დათიკო შარაშიძე       |
| 11. სანდრო მაისურაძე           | 11. ვიქტორ ნინიძე         |
| 12. ანდრია ჭიბარძიშვილი        | 12. ილია ფირცხელაშვილი    |
| 13. გერასიმე მახარაძე          | 13. ვასო ცაბაძე           |
| 14. პეტრე გელეიშვილი           | 14. კიტა ჩხენკელი         |
| 15. რაჟდენ არსენიძე            | 15. გოგიტა ფალავა         |
| 16. ბენია ჩხიკვიშვილი          | 16. პორფირე წირქვაძე      |
| 17. ნიკო ელიავა                | 17. გიორგი აფხაზავა       |
| 18. მინადორა ტოროშელიძე        | 18. ნიკო იობაშვილი        |
| 19. კონსტანტინე საბახტარიშვილი | 19. ალექსანდრე ბაღრიძე    |
| 20. სიმონ ჯაფარიძე             | 20. ილიკო გოგელია         |
| 21. გრიშა ურატაძე              | 21. თედორე კიკვაძე        |
| 22. ალექსანდრე ფარნიევი        | 22. არსენ მამულაიშვილი    |
| 23. გრიგოლ გიორგაძე            | 23. პავლე წულაია          |
| 24. ევტიხი როგავა              | 24. გიზო ანჯაფარიძე       |
| 25. მიხეილ კლიმიშვილი          | 25. კარპე მოდებაძე        |
| 26. ვიქტორ თევზაია             | 26. ალექსანდრე ჯაფარიძე   |
| 27. ერმილე სირბილაძე           | 27. ვლადიმერ ჭუთათელაძე   |
| 28. ნოე ხომერკი                | 28. გიორგი ცინცაძე        |
|                                | 29. იუნუს წულუკიძე        |
|                                | 30. კარლო ჩხეიძე          |
|                                | 31. ირ. წერეთელი          |

### სამაჰმადიანო საქართველო

სამი წევრი:

1. ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილი 2. მემედ-ბეგ აბაშიძე 3. რეჯებ-ბეგ ნიჟარაძე

კანდიდატები

1. ჰასან-ეფენდი ლორთქიფანიძე, ისაკი-ეფენდი ხალვაში, სულეიმან-ეფენდი ტაბახიძე.

- სოხუმის ოლქი - ორი
- ქართლის ოსებს - ერთი
- ზაქათალის ოლქს - ერთი

თავმჯდომარე ნ. ჟორდანიას

სცსსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 124, ფურცლები 1-2.  
ფანქრით ნაწერი, ნოე ჟორდანიას ავტოგრაფი

**დოკუმენტი №2**

[1917 წლის 22 ნოემბერი]

**საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრთა და კანდიდატთა სია**

№№ რიგზე	პარტიული ნომერი	სახელი და გვარი
<b>სოციალისტ-ფედერალისტები</b>		
1.	1.	გრიგოლ ლასხიშვილი
2.	2.	გრიგოლ რცხილაძე
3.	3.	შალვა მესხიშვილი
4.	4.	იოსებ გედევანიშვილი
5.	5.	სამსონ ფირცხალავა
6.	6.	დიმიტრი (დიტო) უზნაძე
7.	7.	იესე ბარათაშვილი
8.	8.	იასონ ბაქრაძე
9.	9.	სვიმონ(სოსიკო) მდივანი
10.	10.	ალექსანდრე წერეთელი
<b>რადიკალ-დემოკრატები</b>		
11.	1.	დავით ჩიქოვანი





სოციალისტ-რევოლუციონერები

- 12. 1. კონსტანტინე მესხი
- 13. 2. ვლადიმერ გობეჩია
- 14. 3. გრიგოლ ნათაძე
- 15. 4. ივანე ჩერჭეზიშვილი
- 16. 5. იოსებ გობეჩია
- 17. 6. ივანე გობეჩია
- 18. 7. ივანე ლორთქიფანიძე

ნაციონალ-დემოკრატები

- 19. 1. ნიკოლოზ ნიკოლოძე
- 20. 2. გერონტი ქიქოძე
- 21. 3. იოსებ დადიანი
- 22. 4. გიორგი ყურული
- 23. 5. გიორგი გვაზავა
- 24. 6. შალვა ამირეჯიბი
- 25. 7. დავით ვაჩნაძე
- 26. 8. სპირიდონ კედია
- 27. 9. გრიგოლ ვეშაპელი

უპარტიონი

- 28. 1. კონსტანტინე აფხაზი
- 29. 2. კონსტანტინე მყაშვილი

ალიონელები

- 30. 1. პეტრე ქავთარაძე
- 31. 2. ივანე გომართელი
- 32. 3. ნიკოლოზ ქარცივაძე
- 33. 4. პავლე საყვარელიძე

სოციალ-დემოკრატები

- 34. 1. ნოე ჟორდანია
- 35. 2. აკაკი ჩხენკელი
- 36. 3. სილიბისტრო ჯიბლაძე
- 37. 4. ევგენი გეგეშკორი
- 38. 5. ნოე რამიშვილი
- 39. 6. ალექსანდრე ლომთათიძე

- |     |     |                               |
|-----|-----|-------------------------------|
| 40. | 7.  | ვლადიმერ ჯუღელი               |
| 41. | 8.  | დავით ონიაშვილი               |
| 42. | 9.  | ჰეიდარ აბაშიძე                |
| 43. | 10. | კონსტანტინე გვარჯალაძე        |
| 44. | 11. | ალექსანდრე (სანდრო) მაისურაძე |
| 45. | 12. | ანდრია ჭიაბრიშვილი            |
| 46. | 13. | გერასიმე მახარაძე             |
| 47. | 14. | პეტრე გელეიშვილი              |
| 48. | 15. | რაჟდენ არსენიძე               |
| 49. | 16. | ბენია ჩხიკვიშვილი             |
| 50. | 17. | ნიკოლოზ ელიავა                |
| 51. | 18. | მინადორა ტოროშელიძე           |
| 52. | 19. | კონსტანტინე საბახტარიშვილი    |
| 53. | 20. | სიმონ ჯაფარიძე                |
| 54. | 21. | გრიგოლ ურატაძე                |
| 55. | 22. | ალექსანდრე ფარნიევი           |
| 56. | 23. | გრიგოლ გიორგაძე               |
| 57. | 24. | ეეტროპი როგავა                |
| 58. | 25. | მიხეილ კლიმიშვილი             |
| 59. | 26. | ვიქტორ თევზაია                |
| 60. | 27. | ერმილე სირბილაძე              |
| 61. | 28. | ნოე ხომერიკი                  |

სამაჰმადიანო საქართველოდან

- |     |    |                       |
|-----|----|-----------------------|
| 62. | 1. | ჯემალ-ბეგ ხიმშიაშვილი |
| 63. | 2. | მემედ-ბეგ აბაშიძე     |
| 64. | 3. | რეჯებ-ბეგ ნიჟარაძე    |

ზაქათალის ოლქიდან

- |     |    |                 |
|-----|----|-----------------|
| 65. | 1. | რაფიელ ივანიცკი |
|-----|----|-----------------|

სამხრეთ ოსეთის ეროვნული საბჭოდან

- |     |    |                 |
|-----|----|-----------------|
| 66. | 1. | გიორგი გაგლოევი |
|-----|----|-----------------|

კანდიდატები

რადიკალ-დემოკრატები

- |    |    |                    |
|----|----|--------------------|
| 1. | 1. | დომენტი არონიშვილი |
|----|----|--------------------|



სოციალისტ-რევოლუციონერები  
საბჭოთა კავშირის  
განმახიობელი

- |    |    |                         |
|----|----|-------------------------|
| 2. | 1. | ზურაბ ბაქრაძე           |
| 3. | 2. | მიხეილ გავაშელი         |
| 4. | 3. | ილია თევზაძე            |
| 5. | 4. | ილია ქარცივაძე          |
| 6. | 5. | პოლკ. ვასილ კარგარეთელი |

ნაციონალ-დემოკრატები

- |     |    |                     |
|-----|----|---------------------|
| 7.  | 1. | ექვთიმე თაყაიშვილი  |
| 8.  | 2. | შალვა ქარუმიძე      |
| 9.  | 3. | იასონ ლორთქიფანიძე  |
| 10. | 4. | ვასილ წერეთელი      |
| 11. | 5. | დიმიტრი ჯავახიშვილი |
| 12. | 6. | რევაზ გაბაშვილი     |

სოციალისტ-ფედერალისტები

- |     |    |                    |
|-----|----|--------------------|
| 13. | 1. | სამსონ დადიანი     |
| 14. | 2. | თედო ლლონტი        |
| 15. | 3. | მიხეილ საყვარელიძე |
| 16. | 4. | სიმონ მაჭავარიანი  |
| 17. | 5. | შალვა მიქელაძე     |
| 18. | 6. | ერასტი ტოროტაძე    |
| 19. | 7. | ალექსანდრე მდივანი |
| 20. | 8. | გრიგოლ გველეხიანი  |
| 21. | 9. | იაკობ ფანცხავა     |

უპარტიო

- |     |    |                     |
|-----|----|---------------------|
| 22. | 1. | გრიგოლ რობაქიძე     |
| 23. | 2. | ფილიპე გოგიჩაიშვილი |

ალიონელები

- |     |    |                    |
|-----|----|--------------------|
| 24. | 1. | კალენიკე ქავთარაძე |
| 25. | 2. | ლევო შენგელაია     |
| 26. | 3. | ივანე ჯაფარიძე     |
| 27. | 4. | ვარლამ ბურჯანაძე   |


## სოციალ-დემოკრატები

- |     |     |                        |
|-----|-----|------------------------|
| 28. | 1.  | ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძე |
| 29. | 2.  | ირაკლი წერეთელი        |
| 30. | 3.  | სერგო ჯაფარიძე         |
| 31. | 4.  | ბიქტორ ჟღენტი          |
| 32. | 5.  | ნიკოლოზ მაჭარაძე       |
| 33. | 6.  | ვარ. წულაძე            |
| 34. | 7.  | ნოე ცინცაძე            |
| 35. | 8.  | ვლ. ახმეტელაშვილი      |
| 36. | 9.  | კონსტანტინე ჯაფარიძე   |
| 37. | 10. | ფილ. ლორია             |
| 38. | 11. | ილია ბადრიძე           |
| 39. | 12. | დავით შარაშიძე         |
| 40. | 13. | ვიქტ. ნინიძე           |
| 41. | 14. | ილია ფირცხელაიშვილი    |
| 42. | 15. | ვასილ ცაბაძე           |
| 43. | 16. | კიტა ჩხენკელი          |
| 44. | 17. | გოგიტა ფალავა          |
| 45. | 18. | პორფილე წირქვაძე       |
| 46. | 19. | გიორგი აფხაზაეა        |
| 47. | 20. | ნიკო იობაშვილი         |
| 48. | 21. | ალექსანდრე ბადრიძე     |
| 49. | 22. | ილია გოგელია           |
| 50. | 23. | თევდორე კიკვაძე        |
| 51. | 24. | არს. მამულაიშვილი      |
| 52. | 25. | პავლე წულაია           |
| 53. | 26. | გიზო ანჯაფარიძე        |
| 54. | 27. | კარპე მოდებაძე         |
| 55. | 28. | ალექსანდრე ჯაფარიძე    |
| 56. | 29. | ელადიმერ ჭუთათელაძე    |
| 57. | 30. | გიორგი ცინცაძე         |
| 58. | 31. | იუნუს წულუკიძე         |

## სამაჰმადიანო საქართველო

- |     |    |                           |
|-----|----|---------------------------|
| 59. | 1. | ჰასან-ეფენდი ლორთქიფანიძე |
| 60. | 2. | ისაკი-ეფენდი ხალვაში      |
| 61. | 3. | სულეიმან-ეფენდი ტაბახიძე  |



სათათბირო ხმით **გინჯლიყოთქა**

- |    |  |                     |
|----|--|---------------------|
| 1. | ნიკოლოზ წვერაევა                                     |                     |
| 2. | ვასილ შერგელაშვილი – ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლები |                     |
| 3. | იოსებ გველესიანი                                     |                     |
| 4. | ალექსანდრე ლორთქიფანიძე                              | ჯანმრთელობის სექცია |
| 5. | სპირიდონ ვირსალაძე                                   | –                   |
| 6. | გრიგოლ ქურდიანი – ტექნიკის სექციის წარმომადგენელი    |                     |

სცსსა, ფონდი 1836, ანწერი 1, საქმე 124, ფურცლები 5-7. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი.

**დოკუმენტი №3**

[1918 წლის 11 იანვრამდე]

**[საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს]**

სოციალისტ-რევოლუციონერების პარტიის წევრთა სექციამ 9 იანვრის 1918 წ. სხდომაზე ამოიჩია ქართულ ნაციონალურ საბჭოს წევრების კანდიდატებად შემდეგი პირნი: მ. ზ. ზანდუკელი, ნ. ნ. ჩიგოგიძე, პ. საბაშვილი, ი. ი. ბერეჟიანი, ელ. სანიკიძე-ვოლობუევა.

ეს დადგენილება ეგზავნება ნაციონალურ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს.

სექციის მდივანი მ. ზანდუკელი

სცსსა, ფონდი 1836, ანწერი. 1, საქმე. 124, ფურცელი 12. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი

**დოკუმენტი №4**

საქართველოს  
ეროვნულ-დემოკრატიული  
პარტიის  
მთავარი კომიტეტი  
9 თებერვლისა 1918 წ.  
№1143

საქართველოს ეროვნულ საბჭოს  
აღმასრულებელ კომიტეტს

ქ. თბილისი

ვინაიდან ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელნი ეროვნულ საბჭოში და მათი კანდიდატების უმრავლესობა ხშირად თბილისში არ იმყოფებ,



საქართველოს  
პარლამენტი

თანახმად საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარ კომიტეტის თებერვლის 6-ის დადგენილებისა, გთხოვთ ჩვენი პარტიის ეროვნულ საბჭოს წევრთა მეშვეიდე და მერვე კანდიდატებად შეიტანოთ იოსებ მაჭავარიანი და ალექსანდრე ასათიანი

მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე ი. მაჭავარიანი

მთავარი კომიტეტის მდივანი მიხ. ხერხეულიძე

ტკსსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 124, ფურცელი 13. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი.

**დოკუმენტი №5**

[1918 წლის 2 თებერვლის შემდეგ]

საქართველოს  
სოციალისტ-ფედერალისტთა  
სარევოლიუციო  
პარტია  
მთავარი კომიტეტი  
ტფილისი

საქართველოს ეროვნულ საბჭოს  
აღმასრულებელ კომიტეტს

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის მთავარი კომიტეტი ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს აცნობებს, რომ თანახმად საბჭოს თებერვლის 2 დადგენილებისა საბჭოს წევრად შედის ამხ. სამსონ პლატონის ძე დადიანი, ხოლო ს. დადიანის ნაცვლად კანდიდატის ადგილს იტყვს ამხ. შალვა ნუცუბიძე.

მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის  
მაგიერ ი. ბარათაშვილი  
მდივანი მ. საყვარელიძე

ტკსსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 124, ფურცელი 14. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი

**დოკუმენტი №6**

[1918 წლის ნოემბერ-დეკემბერი]

საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის  
სექციები

- 1. სამხედრო-----გამგე ნ. რამიშვილი, ამხანაგი კ. გვარჯალაძე, მდივანი მიხ. სვანიძე



2. საფინანსო-----გამგე კ. მესხი, საქმის მწარმოებელი ბ. გამსახურია.
3. ქონებათა-----გამგე გ. გვაზავა, მდივანი ილ. ზურაბიშვილი.
4. სასკოლო-----გამგე ა. ლომთათიძე, ამხანაგი ვ. ბურჯანაძე,  
საქმის მწარმოებელი ხარებაშვილი.
5. სამოსამართლეო----- გამგე გ. რცხილაძე, საქმის მწარმოებელი მ. რცხილაძე.
6. საერობო და გამიჯენის-----გამგე ა. ჩხენკელი
7. საგარეო----- ა. ჩხენკელი
8. სახალხო სამეურნეო-----გამგე გ. ლასხიშვილი, საქმის მწარმოებელი ა. პაპავა.
9. სამაჰმადიანო საქართველოს  
საქმეთა----- გამგე ა. ჩხენკელი, მდივანი დ. ცერცვაძე
10. ჯანსაღობისა----- პ. საყვარელიძე, თავმჯდომარე ს. ვირსალაძე.
11. სატეხნიკო----- გამგე მ. საყვარელიძე, თავმჯდომარე გ. ქურდიანი,  
მდივანი ბ. ჭიჭინაძე.
12. ხელოვნების----- გამგე ვ. გობეჩია, ამხანაგი შ. დადიანი,  
მდივანი ლ. შენგელაია-ჭიაჩელი.
13. მზრუნველობის----- გამგე მ. მაჩაბელი, მდივანი დ. ცერცვაძე.

სცსსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 124, ფურცელი 8. მანქანაზე ნაბეჭდი. ასლი.

#### დოკუმენტი №7

საქართველოს ეროვნული  
საბჭოს აღმასრულებელი  
კომიტეტი  
№423  
15 თებერვალი 1918 წ.

რუსეთის სოციალ-დემოკრატიული  
მუშათა პარტიის ამიერკავკასიის  
საოლქო კომიტეტს

იგივე მიეწეროს:

სოციალისტ-რევოლუციონერთა ქართული ფრაქციის კომიტეტს - №424  
ქართულ სოციალ-დემოკრატიულ  
ჯგუფს - „ალიონი“-ს კომიტეტს -  
№425

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარ კომიტეტს - №426

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარ კომიტეტს -  
№427



საქართველოს რადიკალ-დემოკრატიული-გლეხთა პარტიის მთავარ კომიტეტს - №428

საქართველოს ეროვნული საბჭოს მერვე კრებამ -11 ამა თებერვალს - განიხილა საბჭოს რეორგანიზაციის საკითხი და შემდეგი დაადგინა: „ეროვნულ საბჭოს ახლანდელ შემადგენლობას მიემატენ ამიერკავკასიის სეიმის დეპუტატნი. ამ დეპუტატთა მაგიერ, ვინც უკვე ეროვნულ საბჭომ წევრად ირიცხება, მოწვეულ იქნან სათანადო პარტიული კანდიდატები“.

გაცნობებთ რა ამ დადგენილების შინაარსს, გთხოვთ, რაც შეიძლება ჩქარა წარმოუდგინოთ საქართველოს ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს სია შექვენი პარტიის იმ წევრთა, რომელთაც ზემოხსენებულ დადგენილების თანახმად უნდა შეავსონ ეროვნულ საბჭოს შემადგენლობა.

აღმასრულებელი კომიტეტის  
საქმეთა მმართველი პ. საყვარელიძე

აღმასრულებელი კომიტეტის  
მდივანი დ. ნახუცრიშვილი

ტფილისი, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 124, ფურცელი 11. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი.

**დოკუმენტი №8**

[1918 წლის 27 მარტამდე]

საქართველოს  
სოციალისტ-ფედერალისტთა  
სარევოლუციო  
პარტია  
მთავარი კომიტეტი  
ტფილისი

საქართველოს ეროვნულ საბჭოს  
აღმასრულებელ კომიტეტს

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტი ამით გაცნობებთ, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოს კანდიდატ პირთა რიგი ასეთი იქნება:

1. თევდორე ზურაბის ძე ღლონტი
2. შალვა ისაკის ძე ნუცუბიძე
3. შალვა ანტონის ძე მიქელაძე
4. ალექსანდრე ბესარიონის ძე მდივანი
5. არჩილ რაქდენის ძე ჭაჭანაშვილი
6. მიხეილ დიმიტრის ძე საყვარელიძე
7. აკაკი ამბაკოს ძე პაპავა
8. ქრისტოფორე ლუკას ძე რაჭველიშვილი
9. ერასტი ტოროტაძე





კანდიდატთა სიიდან ირიცხებიან შემდეგი სამი პირი: 1. გიორგი გველესიანი, 2. იაკობ ფანცხავა, 3. სვიმონ მაჭავარიანი.

მთავარი კომიტეტის  
თავმჯდომარის ამხანაგი ი. ბარათაშვილი

მდივანი მ. საყვარელიძე

სცსსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 124, ფურცელი 15. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი.

### დოკუმენტი №9

საქართველოს  
რადიკალ-დემოკრატიულ  
გლეხთა პარტიის  
მთავარი კომიტეტი  
2 აპრილი 1918 წ.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს  
საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ  
გლეხთა პარტიის მთავარ კომიტეტის  
განცხადება

მთავარი კომიტეტი ამით აუწყებს ეროვნულ საბჭოს, რომ ნაცვლად საბჭო წევრის კანდიდატის დომენტი არონიძისა კომიტეტის მიერ საბჭოში ინიშნება ალექსანდრე ახმეტელი.

მთავარ კომიტეტის  
თავმჯდომარე (ხელმოწერა)

მდივანი (ხელმოწერა)

სცსსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 124, ფურცელი 16. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი.

### დოკუმენტი №10

საქართველოს  
ეროვნულ-დემოკრატიულ  
პარტიის  
მთავარი კომიტეტი  
3.IV.1918.  
№1172  
ქ. თბილისი

საქართველოს ეროვნულ საბჭოს



თანახმად საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის აპრილის 2-ის სხდომის დადგენილებიდან გამომდინარე, ამ პარტიის კიდევ ერთ წარმომადგენლად ეროვნულ საბჭოში ჩარიცხვით ბ-ნი ტ. მარგველავილი უკიდურეს შემთხვევაში გამომდინარე კანდიდატთა სიაში მინც მოათავსოთ.

მთავარი კომიტეტის  
მდივანი მიხ. ხერხეულიძე

ს.ს.ს. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 124, ფურცელი 19. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი.

**დოკუმენტი №11**

საქართველოს  
ეროვნულ-დემოკრატიულ  
პარტიის  
მთავარი კომიტეტი  
13.IV.1918 წ.  
№ 1184  
ქ. თბილისი

საქართველოს ეროვნულ საბჭოს

ეროვნულ საბჭოში ჩვენი ფრაქციის კანდიდატთა ერთ თავისუფალ ალაგზე კანდიდატად, თანახმად მთავარი კომიტეტის დადგენილებიდან, გამომდინარე ჩარიცხვით პ. ინგოროყვა.

მთავარი კომიტეტის  
მდივანი მიხ. ხერხეულიძე

ს.ს.ს. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 124, ფურცელი 17. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი.

**დოკუმენტი №12**

საქართველოს ეროვნულ საბჭოს

„ალიონის“ ჯგუფის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ვინაიდან ეროვნულ საბჭოს წევრი ნიკ. ქარცივაძე და კანდიდატი კალ. ქავთარაძე ამჟამად ბრძოლის ველზე იმყოფებიან, გამომდინარე, მათ მაგიერ ჩარიცხვით შალვა შარაშიძე და დავით სულიაშვილი

ბიუროს თავმჯდომარე ივ. გომართელი  
აპრილის 8 [1918 წ.]

ს.ს.ს. ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 124, ფურცელი 18. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი.

## დოკუმენტი №13

25 მაისი 1918

ამიერ-კავკასიის  
მუშათა ორგანიზაციების  
საოლქო კომიტეტი  
რ. ს. დ. მ. პ.  
ქ. თბილისი

ეროვნულ საბჭოს მდივანს

საოლქო კომიტეტი გთხოვთ მოგვაწოდოთ სია ეროვნულ საბჭოს კანდიდატებისა, რაც საჩქაროდ არის საჭირო სოციალ-დემოკრატიულ პარტიის კანდიდატთა სიის გადსასინჯათ.

მდივნის მაგიერ

(ხელმოწერა)

სცსსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 124, ფურცელი 20. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი.

## დოკუმენტი №14

29 მაისი 1918

ამიერ-კავკასიის  
მუშათა ორგანიზაციების  
საოლქო კომიტეტი  
რსდმპ  
ქ. თბილისი

საქართველოს ეროვნულ საბჭოს  
სამანდატო კომისიას

საოლქო კომიტეტი სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიისა საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრებათ ადგენს შემდეგ პირთ:

- |                          |                         |
|--------------------------|-------------------------|
| 1) ნოე ჟორდანია          | 35) სალაყაია იოსებ      |
| 2) წერეთელი ირაკლი       | 36) კლიმიამვილი მიხეილ  |
| 3) ჩხეიძე ნიკოლოზ        | 37) ნინიძე კირილე       |
| 4) გეგეჭკორი ევგენი      | 38) ფარნიევი ალექსანდრე |
| 5) რამიშვილი ნოე         | 39) თოფურაძე დიომიდე    |
| 6) რამიშვილი ისიდორე     | 40) დგებუაძე ალექსანდრე |
| 7) ჩხენკელი აკაკი        | 41) მამულაიშვილი არსენ  |
| 8) ჯიბლაძე ვლადიმერ      | 42) ცინცაძე ნოე         |
| 9) გიორგაძე გრიგოლ       | 43) მგელაძე ვლასა       |
| 10) ლომთათიძე ალექსანდრე | 44) წულაძე ვასილ        |

- |                                |                                |
|--------------------------------|--------------------------------|
| 11) მახარაძე გერასიმე          | 45) რუსია მელიტონ              |
| 12) არსენიძე რაჟდენ            | 46) მაჭარაძე ნიკოლოზ           |
| 13) თევზაია ბიქტორ             | 47) ლორია ფილიპე               |
| 14) ჭიბლაძე სილიბისტრო         | 48) ჟღენტი ბიქტორ              |
| 15) ხომერიკი ნოე               | 49) ბაღრიძე ილია               |
| 16) ერაძე გიორგი               | 50) ბარამიძე დავით             |
| 17) ანდრონიკაშვილი კონსტანტინე | 51) ნინიძე ბიქტორ              |
| 18) ონიაშვილი დავით            | 52) ცაბაძე ვასილ               |
| 19) ანჯაფარიძე გიორგი          | 53) იობაშვილი ნიკოლოზ          |
| 20) ჩიხლაძე რაფიელ             | 54) გოგელია ილია               |
| 21) აბაშიძე გაიდარ             | 55) კიკვაძე თედორე             |
| 22) გაგლოვეი გიორგი            | 56) საბახტარიშვილი კონსტანტინე |
| 23) ჭულელი ვლადიმერ            | 57) ჟრატაძე გრიგოლ             |
| 24) ახმეტელაშვილი ვლადიმერ     | 58) წულუკიძე იუნუს             |
| 25) გვარჯალაძე კონსტანტინე     | 59) თევზაძე სარდიონ            |
| 26) მაისურაძე ალექსანდრე       | 60) მარუაშვილი იოსებ           |
| 27) ჭიაბრიშვილი ანდრია         | 61) დოლიძე სოლომონ             |
| 28) გელიშვილი პეტრე            | 62) სადალაშვილი გიორგი         |
| 29) კანდელაკი კოწია            | 63) ელიაძე სტეფანე             |
| 30) ელიაევა ნიკოლოზ            | 64) მიკირტუშოვი ბაგრატ         |
| 31) ტორიშვილი მინადორა         | 65) ცინცაბაძე გრიგოლ           |
| 32) ცინცაძე გიორგი             | 66) ვარდოიანიცი მიკირტიჩ       |
| 33) ჯაფარიძე სერგო             | 67) სოლოლაშვილი ოლია           |
| 34) სალუქვაძე ანანია           |                                |

თავმჯდომარე            ნ. ჟორდანიას  
მდივნის მაგიერ        ვ. წულაძე

ქსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 124, ფურცელი 1, დედანი. ვ. წულაძის ავტოგრაფი.

**დოკუმენტი №15**

29 მაისი 1918 წელი

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა  
სარევოლუციო  
პარტია  
მთავარი კომიტეტი  
ტფილისი

საქართველოს ეროვნულ საბჭოს  
სამანდატო კომისიას

საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტი აცნობებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციის სიას:

1. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1993, №3-4



- |                        |                     |
|------------------------|---------------------|
| 1. გრ. რცხილაძე        | 14. ე. ტოროტაძე     |
| 2. იას. ბარათაშვილი    | 15. აკ. ფალავა      |
| 3. სამ. ფირცხალავა     | 16. მ. კახიანი      |
| 4. სიმონ მდივანი       |                     |
| 5. იაზონ ბაქრაძე       |                     |
| 6. ალექსანდრე წერეთელი | კანდიდატები         |
| 7. დ. უზნაძე           | 1. გ. ლასხიშვილი    |
| 8. ს. დადიანი          | 2. შ. მესხიშვილი    |
| 9. ი. გედევანიშვილი    | 3. გრ. გველესიანი   |
| 10. თ. ლლონტი          | 4. ქრ. რაჭველიშვილი |
| 11. შ. მიქელაძე        | 5. მიხ. საყვარელიძე |
| 12. შ. ნუცუბიძე        | 6. აკაკი პაპავა     |
| 13. ა. ჯაჭანაშვილი     |                     |

მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ  
 ამხანაგი ს. ფირცხალავა  
 მდივნის მაგიერ თ. ლლონტი

სცსსა, ფონდი 1836, ამონაწერი 1, საქმე 123, ფურცელი 2. დედანი. მანქანაზე ნაბეჭდი.

### დოკუმენტი №16

საქართველოს  
 ეროვნულ-დემოკრატიულ  
 პარტიის  
 მთავარი კომიტეტი  
 28 მაისი 1918 წ.  
 №317  
 ქ. თფილისი

სია  
 საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრებისა  
 საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისაგან

- |                         |                       |
|-------------------------|-----------------------|
| 1. ნიკო ნიკოლაძე        | 13. რევაზ გაბაშვილი   |
| 2. გერონტი ქიქოძე       | 14. მიხეილ მაჩაბელი   |
| 3. გიორგი გვაზავა       | 15. იოსებ მაჭავარიანი |
| 4. შალვა ამირეჯიბი      |                       |
| 5. დავით ვაჩნაძე        | კანდიდატები           |
| 6. სპირიდონ კედია       | 1. გიორგი ჟურული      |
| 7. გრიგოლ ვეშაპელი      | 2. იოსებ დადიანი      |
| 8. ექვთიმე თაყაიშვილი   | 3. ა. ასათიანი        |
| 9. შალვა ქარუმიძე       | 4. ტიტე მარგველაშვილი |
| 10. იასონ ლორთქიფანიძე  | 5. პავლე ინგოროყვა    |
| 11. ვასილ წერეთელი      |                       |
| 12. დიმიტრი ჯავახიშვილი |                       |

მრგვალი ბეჭედი წარწერით: „საქართველოს  
ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტი“

სცსსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, ფურცელი 3. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი.

**დოკუმენტი №17**

სოციალ-რევოლუციონერთა  
პარტიის  
ამიერკავკასიის  
საოლქო კომიტეტი  
28 მაისი 1818 წ.  
№35

საქართველოს ეროვნულ საბჭოს

საოლქო კომიტეტს აქვს პატივი წარმოგიდგინოს სია წევრებისა საქართვე-  
ლოს ეროვნული საბჭოსი სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიისაგან.

წევრები

- |                       |                           |
|-----------------------|---------------------------|
| 1. მესხი კონსტანტინე  | 7. აბაკელია იოსებ         |
| 2. ნათაძე გრიგოლ      | 8. ჯავრიშვილი კონსტანტინე |
| 3. გობეჩია ვლადიმერ   | 9. შენგელაია ლეო          |
| 4. ჩერქეზიშვილი ივანე | 10. ფაჩუაშვილი მიხეილ     |
| 5. გობეჩია იოსებ      | 11. კაკაბაძე ილია         |
| 6. გობეჩია ივანე      | 12. ვარაზაშვილი ივანე     |

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიის  
ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის  
თავმჯდომარე

ი. აბაკელია

სცსსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 123, ფურცელი 4. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი.

**დოკუმენტი №18**

გაზეთი „ალიონი“  
17 მაისი 1918 წ.  
№17  
თბილისი

საქართველოს ეროვნულ საბჭოს  
სამანდატო კომისიას

„ალიონის“ ჯგუფის ბიურო ამით აცნობებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს  
სამანდატო კომისიას, რომ შალვა შარაშიძის მაგივრად ჯგუფი ასახელებს კალე  
ქავთარაძეს. ამასთანავე გაუწყვებთ, რომ „ალიონის“ ჯგუფიდან წევრებად და კან-



დიდატად ირიცხებიან საქართველოს ეროვნულ საბჭოში შემდეგი წევრები:

## წევრები

1. საყვარელიძე პ. დ.
2. ქავთარაძე პ. ი.
3. გომართელი ი. გ.
4. ქავთარაძე კ. გ.

## კანდიდატები

1. ქარცივაძე ნ.
2. ბურჯანაძე ვ. ა.
3. ჯაფარიძე ი.
4. კიკვიძე გ.

ბიუროს თავმჯდომარე  
მღივანი

პ. ქავთარაძე  
ლ. სანაძე

სცსსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 123, ფურცელი 5. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი.

## დოკუმენტი №19

საქართველოს  
რადიკალ-დემოკრატიულ  
გლეხთა პარტიის  
მთავარი კომიტეტი  
29 მაისი  
თფილისი

საქართველოს ეროვნულ საბჭოს

## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

საქართველოს რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის მთავარი კომიტეტი ამით პატივისცემით აუწყებს საქართველოს ეროვნულ საბჭოს, რომ მთავარი კომიტეტის დადგენილებით ეროვნულ საბჭოს წევრებად რადიკალ-დემოკრატიულ გლეხთა პარტიის მხრივ არჩეულნი არიან: დავით გიორგის ძე ჩიქოვანი და ალექსანდრე ვასილის ძე ახმეტელი, ხოლო მათ კანდიდატებად: სანდრო ილიას ძე შანშიაშვილი და ქრისტოფორე (ჩიტო) იოსების ძე კაპანაძე.

მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე (ხელმოწერა)  
მღივანი (ხელმოწერა)

სცსსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 123, ფურცელი 6. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი.

## დოკუმენტი №20

[1918 წლის 30 მაისი]

საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრთა სია

სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია

1. ჟორდანია ნოე
2. წერეთელი ირაკლი
3. ჩხეიძე ნიკოლოზ
4. გეგეჭკორი ევგენი
5. რამიშვილი ნოე
6. რამიშვილი ისიდორე
7. ჩხენკელი აკაკი
8. ჭიბლაძე ვლადიმერ
9. გიორგაძე გრიგოლ
10. ლომთათიძე ალექსანდრე
11. მახარაძე გერასიმე
12. არსენიძე რაყდენ
13. თევზაია ბიქტორ
14. ჭიბლაძე სილიბისტრო
15. ხომერტიკი ნოე
16. ერაძე გიორგი
17. ანდრონიკაშვილი კონსტანტინე
18. ონიაშვილი დავით
19. ანჯაფარიძე გიორგი
20. ჩიხლაძე რაფიელ
21. აბაშიძე ჭეიღარ
22. გაგლოევი გიორგი
23. ჭუღელი ვლადიმერ
24. ახმეტელაშვილი ვლადიმერ
25. გვარჯალაძე კონსტანტინე
26. მაისურაძე ალექსანდრე
27. ჭიაბრიშვილი ანდრია
28. გელეშვილი პეტრე
29. კანდელაკი კონსტანტინე
30. ელიავა ნიკოლოზ
31. ტოროშელიძე მინადორა
32. ცინცაძე გიორგი
33. ჯაფარიძე სერგო

34. სალუქვაძე ანანია
35. სალაყაია იოსებ
36. კლიმაშვილი მიხეილ
37. ნინიძე კირილე
38. ფარნიევი ალექსანდრე
39. თოფურაძე დიომიდე
40. დგებუაძე ალექსანდრე
41. ნათაძე ლეო
42. მამულაიშვილი არსენ
43. ცინცაძე ნოე
44. მგელაძე ვლასა
45. წულაძე ვასილ
46. რუსია მელიტონ
47. მაჭარაძე ნიკოლოზ
48. ლომაია ფილიპე
49. ელენტი ბიქტორ
50. ბადრიძე ილია
51. შარაშიძე დავით
52. ნინიძე ბიქტორ
53. ცაბაძე ვასილ
54. იობაშვილი ნიკოლოზ
55. გოგელია ილია
56. კიკვაძე თევდორე
57. საბახტარიშვილი კონსტანტინე
58. ურატაძე გრიგოლ
59. წულუკიძე იუნუს
60. თევზაძე სარდიონ
61. მარუაშვილი იოსებ
62. დოლიძე სოლომონ
63. სადალაშვილი გიორგი
64. ელიაძე სტეფანე
65. მიკირტუშოვი ბაგრატ
66. ცინცაძე გრიგოლ
67. ვარდოიანცი მიკირტიჩ
68. სოლოლაშვილი ოლია

სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია

- |                      |                        |
|----------------------|------------------------|
| 1. რცხილაძე გრიგოლ   | 5. ბაქრაძე იაზონ       |
| 2. ბარათაშვილი იესე  | 6. წერეთელი ალექსანდრე |
| 3. ფირცხალავა სამსონ | 7. უზნაძე დიმიტრი      |
| 4. მღვივანი სამსონ   | 8. დადიანი სამსონ      |





- |                        |                        |
|------------------------|------------------------|
| 9. გედევანიშვილი იოსებ | 13. ჯაჯანაშვილი არჩილ  |
| 10. ლლონტი თევდორე     | 14. ტოროტაძე ერასტი    |
| 11. მიქელაძე შალვა     | 15. ფალავა აკაკი       |
| 12. ნუცუბიძე შალვა     | 16. კაუხჩიშვილი მიხეილ |

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია

- |                     |                         |
|---------------------|-------------------------|
| 1. ნიკოლაძე ნიკოლოზ | 8. თაყაიშვილი ექვთიმე   |
| 2. ქიქოძე გერონტი   | 9. ქარუმიძე შალვა       |
| 3. გვაზავა გიორგი   | 10. ლორთქიფანიძე იასონ  |
| 4. ამირეჯიბი შალვა  | 11. წერეთელი ვასილ      |
| 5. ვაჩნაძე დავით    | 12. ჯავახიშვილი დიმიტრი |
| 6. კედია სპირიდონ   | 13. გაბაშვილი რევაზ     |
| 7. ვეშაპელი გრიგოლ  | 14. მაჩაბელი მიხეილ     |
|                     | 15. მაჭავარიანი იოსებ   |

სოციალისტ-რევოლუციონერთა ფრაქცია

- |                       |                           |
|-----------------------|---------------------------|
| 1. მესხი კონსტანტინე  | 7. აბაკელია იოსებ         |
| 2. ნათაძე გრიგოლ      | 8. ჯავრიშვილი კონსტანტინე |
| 3. გობეჩია ვლადიმერ   | 9. შენგელაია ლეო          |
| 4. ჩერქეზიშვილი ივანე | 10. ფაჩუაშვილი მიხეილ     |
| 5. გობეჩია იოსებ      | 11. კაკაბაძე ილია         |
| 6. გობეჩია ივანე      | 12. ვარაზაშვილი ივანე     |

„ალიონის ჯგუფი“

- |                      |                       |
|----------------------|-----------------------|
| 1. საყვარელიძე პავლე | 4. ქავთარაძე კალენიკე |
| 2. ქავთარაძე პეტრე   | 5. შარაშიძე შალვა     |
| 3. გომართელი ივანე   |                       |

რადიკალ-დემოკრატიული ფრაქცია

- |                   |                        |
|-------------------|------------------------|
| 1. ჩიქოვანი დავით | 2. ახმეტელი ალექსანდრე |
|-------------------|------------------------|

უპარტიოთა ფრაქცია

- |                       |                          |
|-----------------------|--------------------------|
| 1. აფხაზი კონსტანტინე | 2. მაყაშვილი კონსტანტინე |
|-----------------------|--------------------------|

საინგილოს წარმომადგენლები

- |                    |
|--------------------|
| 1. ივანიცკი რაფიელ |
|--------------------|

ნამდვილთან სწორია:  
ეროვნული საბჭოს მდივანი

ილ. ზურაბიშვილი

ცხსა, ფონდი 1836, ანაწერი №, საქმე 123, ფურცლები 8-10. მანქანზე ნაბეჭდი. დედანი.

**დოკუმენტი №21**

ეროვნული საბჭოს სამანდატო კომისიის თავმჯდომარეს

მემედ-ბეგ აბაშიძის

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მე ვითვლებოდი წინანდელი ეროვნულ საბჭოს წევრად მაჰმადიან ქართველებს მხრივ. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ წევრთა სი-  
ამი არა ვარ შეტანილი, ამიტომ გთხოვთ აღმიძრათ შუამდგომლობა საბჭოს წი-  
ნაშე, რომ აღდგენილ იქნას ჩემი უფლება და კვლავ ვირიცხებოდე საბჭოს წევ-  
რად.

მემედ-ბეგ აბაშიძე

26/VII 18 წ.

ცხსსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 123, ფურცელი 38. დედანი. მემედ-ბეგ  
აბაშიძის ავტოგრაფი.

**დოკუმენტი №22**

ამონაწერი


ეროვნულ საბჭოს 1918 წ. აგვისტოს 6-ის  
კრების ჟურნალიდან

სამანდატო კომისიის  
მოხსენება

თავმჯდომარე აცხადებს, რომ განსახილველია  
სამანდატო კომისიის მოხსენება მემედ-ბეგ  
აბაშიძის საბჭოს წევრად აღდგენის შესახებ.

მოხსენებას უდგენს სამანდატო კომისიის  
წევრი შ. მიქელაძე

საბჭო უკამათოდ იღებს კომისიის წინადადებას  
და მემედ-ბეგ აბაშიძეს ამტკიცებს  
საბჭოს წევრად.



დედანთან სწორია: კანცელარიის გამგის ამხანაგი ილ. სცსსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 123, ფურცელი 39. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი.

### დოკუმენტი №23

საქართველოს ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმი:

თავმჯდომარე — ნიკოლოზ ჩხეიძე

თავმჯდომარის ამხანაგები

იესე ბარათაშვილი

ექვთიმე თაყაიშვილი

მდივანი — დავით ონიაშვილი

მდივნის ამხანაგი — იოსებ აბაკელია

უმცროსი საქმის მწარმოებელი ვ. ლემკაშვილი  
15 მარიაამობისთვის 1918 წ.

სცსსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 123, ფურცელი 18. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი.

### დოკუმენტი №24

1918 წლის 30 ივნისი

საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს

რადგანაც შეუძლებლობის გამო არ შემიძლიან სათანადო მუშაობა ვაწარმოო და პირნათლად ვემსახურო კანონმდებლობის და მშენებლობის სფეროში დემოკრატიას, ამიტომ საჭიროდ ვრაცხ ჩემი ადგილი დავეუთმო სხვას, ვინც უფრო განახლებული ძალით შეძლებს მუშაობას და გთხოვთ, საბჭოს წევრთა სიიდან ამომრიცხოთ.

ღრმა პატივისცემით გ. ი. ნათაძე

სცსსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 123 ფურცელი 31. დედანი. გ. ნათაძის ავტოგრაფი.

**დოკუმენტი №25**

საქართველოს ეროვნული  
საბჭოს სამანდატო კომისია  
№ 10501  
4 ივლისი 1918 წ.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს  
სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას;

სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციას,  
№ 10502

ნაციონალ-დემოკრატიულ ფრაქციას,  
№ 10503;

უპარტიოთა ფრაქციას, №10504  
რადიკალ-დემოკრატიულ ფრაქციას,  
№10505;

ალიონელთა ფრაქციას, №10506;

სოციალისტ-რევოლუციონერთა პარტიას,  
№10507

გთხოვთ, წარმოადგინოთ სია თქვენი ფრაქციის იმ კანდიდატთა, რომლებმაც  
ნდა დაიჭირონ ეროვნულ საბჭოს წევრის განთავისუფლებული ადგილი.  
რათა საბჭოში ახალ წევრის შესვლის აქტი მექანიკურად ხდებოდეს, საჭიროა  
კანდიდატები თანდათანაობითის რიგზე იყენენ განლაგებულნი.  
გთხოვთ, ეს სია ერთ კვირაზე წარმოადგინოთ.

კომისიის თავმჯდომარე  
კანცელარიის გამგის ამხანაგი

ქსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 123, ფურცელი 22. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი.

**დოკუმენტი 26**

15 ივლისი 1918 წ.

საქართველოს რესპუბლიკის ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს

გვაქვს პატივი გაუწყოთ, რომ ეროვნულ საბჭოში მყოფი ეგრედ წოდებულ  
პარტიოთა ფრაქცია ამიერიდან უნდა იწოდებოდეს დამოუკიდებელთა ფრაქცი-  
დ თანახმად იმ რეორგანიზაციისა, რომელიც მოხდა პარტიათა გარეშე მყოფ ქარ-





თველთა ჭგუფში, რომლის სახელი ეხლა გახლავთ — დამოუკიდებელი, პოლიტიკური კავშირი.

კავშირის წარმომადგენელნი: კ. აფხაზი  
კ. მაყაშვილი

სცსსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 123, ფურცელი 28. დედანი. კ. აფხაზის ავტოგრაფი.

### დოკუმენტი №27

საქართველოს  
ეროვნულ-დემოკრატიულ  
პარტიის  
მთავარი კომიტეტი  
№1249  
30.VII.1918  
ქ. თბილისი

საქართველოს ეროვნულ საბჭოს  
პრეზიდიუმს

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარ კომიტეტს აქვს პატივი გაუწყოთ, რომ ამ თვის სხდომის დადგენილებით მან პარტიის საპარლამენტო ფრაქციიდან გამოიწვია ორი წევრი: მოქალაქენი მიხეილ მაჩაბელი და დავით ვაჩნაძე, ხოლო ამავე თვის 28-ის სხდომის დადგენილებით გათავისუფლებულ ადგილებზე აირჩია მოქალაქენი იოსებ დადიანი და ვასილ ბერელაშვილი მთავარი კომიტეტი გთხოვთ სათანადო განკარგულებას.

მთავარი კომიტეტის თავმჯდომარე სპ. კედია  
მთავარი კომიტეტის მდივანი მიხ. ხერხეულიძე

სცსსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 123, ფურცელი 42. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი.

### დოკუმენტი №28

საქართველოს  
ეროვნულ საბჭოს  
ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია  
სექტემბრის 3, 1918 წ.  
თფილისი. სასახლე.

ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმს

ამით გაუწყებთ, რომ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტის თავმჯდომარის მოწერილობა შესახებ ეროვნულ საბჭოს ორი წევრის გამოწ-



## დოკუმენტი №30

საქართველოს  
ეროვნულ საბჭოს  
დამოუკიდებელი  
ეროვნულ-დემოკრატიული  
ფრაქცია  
სექტემბრის 13, 1918 წ.  
№1, თფილისი, სასახლე

საქართველოს ეროვნულ საბჭოს  
პრეზიდიუმს

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის გაყოფის გამო და მთავარ კომიტეტის წევრის მიერ „დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული მთავარი კომიტეტის“ დაარსების გამო, ეროვნულ საბჭოს 6 წევრის ჯგუფი (შემდგარი პირთაგან: ვეშაპელი გ., წერეთელი ვასილ, გაბაშვილი რეე., ვაჩნაძე დავ., მაჩაბელი მის., ქარეშიძე შ.) ამით აცხადებს თავის თავს „დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატიულ ფრაქციას“ და გთხოვთ თქვენ, ბ-ნო პრეზიდიუმის წევრნო, აუწყოთ ეროვნულ საბჭოს, რომ დღეიდან ჩვენი ფრაქცია მოქმედებს, როგორც ეროვნულ საბჭოს განსაკუთრებული ფრაქცია, ცალკე.

დამოუკიდელ ნაციონალ-დემოკრატიულ ფრაქციის  
თავმჯდომარე გრ. ვეშაპელი  
მდივანი რ. გაბაშვილი

სცსსა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 123, ფურცელი 45. დედანი. რ. გაბაშვილის ავტოგრაფი.

## დოკუმენტი №31

საქართველოს  
ეროვნულ საბჭოს  
დამოუკიდებელი  
ეროვნულ-დემოკრატიული  
ფრაქცია  
ენკენისთვის 17, 1918 წ.  
თფილისი. სასახლე.

ეროვნულ საბჭოს პრეზიდიუმს

ამით გაუწყებთ „დამოუკიდებელი ნაციონალ-დემოკრატიული ფრაქციის“ პრეზიდიუმის სიას:

თავმჯდომარე ფრაქციისა-----ვეშაპელი გრიგოლ  
თავმჯდომარის ამხანაგი -----ვაჩნაძე დავით  
მდივანი-----გაბაშვილი რეეაზ.



ყველა საფრაქციო საქმეების გამო უნდა მიმართვა თავმჯდომარისადმი (საპარლამენტო). ამასთანავე გაუწყებთ, რომ ეროვნულ საბჭოში დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატიულ ფრაქციის 6 წევრს უჭირავს მარჯვენა სექტორის განაპი-სკამები ორ-ორი თითო წყებაში, პირველ რიგიდან მესამემდე.

გთხოვთ, ყველა საპარლამენტო საქმეები და მასალები გამოუგზავნოთ ცალკე ნ ფრაქციას (ყვითელ ზალაში).

დამოუკიდებელ ნაციონალ-დემოკრატიულ  
ფრაქციის თავმჯდომარე გ. ვეშაპელი

სა, ფონდი 1836, ანაწერი 1, საქმე 123, ფურცელი 50. დედანი. რ. გაბაშვი-ს ავტოგრაფი.

В. Ш. ГУРУЛИ

ПЕРВЫЙ ГРУЗИНСКИЙ ПАРЛАМЕНТ  
(Национальный Совет Грузии)

Резюме

История возложила большую миссию на Национальный Совет Грузии. Именно Национальный Совет, избранный 22 ноября 1917 года первым Национальным Съездом Грузии, объявил 26 мая 1918 года независимость Грузии. Целью публикации архивных материалов и документов является показ истории формирования партийного и персонального состава Национального Совета Грузии, руководящих органов Национального Совета. Определение партийного и персонального состава 22-му ноября 1917 года и изменения последующего периода точно отражают размещение общественно-политических сил до восстановления государственной независимости Грузии и в последующий период. Это ещё более значительно тем, что с 26 мая 1918 года на Национальный Совет Грузии было возложено исполнение функций Парламента Демократической Республики Грузия.

Документы публикуются впервые. Оригиналы хранятся в Центральном Государственном историческом архиве Грузии.

წარმოადგინა ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკური პარტიების ისტორიის კათედრამ.





ახთანდელ მენთევაზშილი

„საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და პარიზის სამშვიდობო კონფერენცია“\*

ქართული დელეგაციის სხდომის ოქმები (1919 წ. 13 - 24 ივნისი)

13 ივნისის სხდომა

- თავმჯდომარე - კ. ჩხეიძე
- დამსწრენი - ვ. ჩერქეზიშვილი
- ზ. ავალიშვილი
- ირ. წერეთელი
- ა. გვარჯალაძე
- ი. გობეჩია
- მდივანი - ც. დემოლონ-წერეთელი

კითხვები

- |  |   |
|--|---|
| <p>I - ინფორმაცია</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. კოლონელ* ჰაუზთან</li> <li>2. სიმპსონთან</li> <li>3. დე-ლა-ტურეტოსთან</li> <li>4. საუბარი ვალერიისთან</li> <li>5. ხუფერის კომისიაში</li> <li>6. მთიულეტან</li> <li>7. ყოფილი რუსეთის ერებთან</li> <li>8. ვაჭრები</li> <li>9. პრესა</li> </ol> | <p>II - დადგენილებები</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. პროტესტის ნოტა</li> <li>2. სიმპსონთან დამოკიდებულება</li> <li>3. საერთო გამოსვლა პატარა ერებთან</li> <li>4. ეკონომიური კომისია</li> <li>5. წერილი ბეკერს</li> <li>6. მთიულ. და აზერბ.-თან საერთო დეკლარაცია</li> <li>7. მადლობა პროფესორ ოლარს</li> </ol> |
|--|---|

წაკითხულია და დამტკიცებულია 9 ივნისის სხდომის ოქმი I ინფორმაცია.

1. თავმჯდომარე. ვიყავი ჰაუზთან და ველაპარკეთ იმ ორ საკითხზე, რომელიც ასე მწვავედ დგას ჩვენს წინ: დენიკინის საფრთხე და სურსათის საკითხი. ვუთხარით, რომ ძალიან გვსურს ყურადღება მოგვაქციოს ისეთმა სახელმწიფომ,

\* გაგრძელება - დასაწყისი იხ. „მაცნე“, ისტორიის სერია 1992, №2-4  
 \*\* პოლკოვნიკი ჰაუზი - პრეზიდენტ ვილსონის მრჩეველი ინგლისური სიტყვა colonel - პოლკოვნიკი



ქართული  
ენების ინსტიტუტი

V

V

V

როგორც არის ამერიკა, რათა გამაგრდეს ჩვენში ეკონომიური დამოკიდებულება და განმტკიცდეს ეროვნული თვითგამორკვევის საკითხი. ორი მიზნით მივდიოდით მასთან, ერთი რომ გამოგვეყენებინა ამერიკა დენიკინის წინააღმდეგ და ეკონომიურ-სასურსათო საკითხში დასახმარებლად, მეორე – ნიადაგი მოგვესინჯა არის თუ არა მზად ამერიკა ჩვენთან საურთიერთოდ, რათა შემდეგში ეს ურთიერთობა პრაქტიკულ ნიადაგზე დაგვეყენებინა და ამერიკა საქართველოსთან დაგვეახლოვებინა. პირველზე დაგვიბრდა დაგეხმარებითო, მეორეზედაც დადებითი პასუხი მოგვცა, მაგრამ უფრო გაურკვეველი და ზოგადი. საერთოდ გარეგნულად ძალიან თანაგრძობით მიგვიღო, მაგრამ როდესაც, წამოსვლის დროს, წერეთელმა ჰკითხა, გვაძლევთ თუ არა ნებას, რომ ეს თქვენი დაპირება ოფიციალურად გამოვაცხადოთ ხალხში და მთავრობასთან, გვიპასუხა, მე კი ვიხმარ ჩემ გავლენას თქვენს სასარგებლოდ, მაგრამ ეს ალიების\* საერთო საკითხია და ამიტომ ოფიციალურად ჭერ ნურაფერს გამოვაცხადებთო.

2. ი რ. წ ე რ ე თ ე ლ ი. სიმპსონს გადავეცი თ ყველა ფაქტები, აუხსენით, როგორ პოლიტიკას აწარმოებენ ჩვენში ინგლისელი გენერლები და ვუთხარი, რომ ჩვენი მიზანია აქ ცენტრალური მთავრობა, რომელიც ასე ეწინააღმდეგება ინგლისის საზოგადო პოლიტიკას, გაეცნოს ამ გენერლების მოქმედებას და მას აქედან დეზავუირება გაუკეთოს. გვიპასუხა, არა მგონია მაგაზე რამე პასუხი მიიღოთ, რადგანაც საზოგადოთ ალიები და კერძოდ ინგლისელები ისე უყურებენ ამ საქმეს, როგორც საერთოდ რუსეთის საკითხს და საქართველოს საკითხს ცალკე არ დააყენებენო. მხოლოდ მაშინ შეგვიძლია ვილაპარაკოთ, თუ გამოვაცხადებთ, რა პირობებით შეხვალთ რუსეთის ფედერაციას. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ეს საერთო საკითხია, საქართველო, დენიკინი, ლიტვა, კოლჩაკი, ესტონეთი, ცალ-ცალკე ელემენტებია და თქვენ ყველა ამის ზევით ხართ და ისე არჩევთ საქმეს, – მაშინ თქვენი ძალის დახმარებით დენიკინი საქართველოში არ უნდა შემოვიდეს, თუ არ გამოდგება, რომ თქვენ მხარი დაუჭირეთ ერთ ელემენტს მეორის წინააღმდეგ. ჩვენ კი სწორედ იმას გთხოვთ, რომ ზევით დარჩეთ და Status quo დაიცვათ, ერთ მხარეს არ გადაათვლინოთ მეორეთქო, მაგრამ ის მაინც თავისას იმეორებდა, პასუხს ვერ მიიღებთ, თუ საკითხი ასე დარჩა, სჯობს წარმოადგინოთ რუსეთის ფედერაციამი შესვლის პირობებიო. ეს ფედერაცია ერთგვარ idea fix-ად გადაქცევიდა, თითონაც ამის ვატაცებელი მომხრეა და დირექტივებით, როგორც ჩანს, ასეთი აქვს მიღებული. ჩვენ ვუმეორებდით, რომ ჩვენ გავგვარდებით, რომ მთელ რუსეთში სამოქალაქო ომი იქნება, რომ ეს უარესია რუსეთისათვისაც, ინგლისისთვისაც, მაგრამ ის სულ თავისას იმეორებდა, ფედერაციაო. – პრაქტიკული მიზანი ჩვენი ის იყო, რომ სიმპსონს გადაეცა მალეტისათვის და ინგლისის დელეგაციისთვის ჩვენი მიზანილი ცნობები. ამას დაგვიბრდა, და დაგვიბრდა აგრეთვე, რომ შეხვედრას მოგვიხერხებს მალეტთან. დასასრულ მან თხოვა ზ. ავალიშვილს დაეხმაროს მას, როგორც კერძო პირი, თავისი თეორიული რჩევებით რუსეთის ფედერაციის საკითხის გამორკვევაში. ჩვენ ვცანით, რომ ამაში საწინააღმდეგო არა არის რა, პირიქით, ხელსაყრელიცაა ჩვენთვის, და ზ. ავალიშვილმა თანხმობა განუცხადა.

\* ალიები – მოკავშირეები, ინგლისური სიტყვა ally [alai] – მოკავშირე



ზ. ავალიშვილი დასძენს, რომ სიმპსონმა ხაზი გაუსვა და აღიარა, რომ მისი მიზანმიმართული პოლიტიკის მიზანს მხოლოდ 30 წლის შემდეგ მოხდებოდა. და აგრეთვე სიმპსონმა თქვა, თუ არ მიიღო რუსეთმა ამგვარი წინადადება, მაშინ ალიებს ხელები გახსნილი გვექნება, რომ ყოფილი რუსეთის პატარა სახელმწიფოები დამოუკიდებლად ვცნოთ. >

(3) კ. გვარჯალაძე. დე-ლა-ტურეტომ<sup>1</sup> მითხრა, ჩვენი მისია თქვენს მთავრობას და ხალხს ძალიან კარგად მიუღია თბილისში, ისე რომ მეტად კმაყოფილია. ინგლისი რომ ჭარს გაიყვანს, ჩვენ ვფიქრობთ ჭარის შეყვანას, თუ საქართველო და სხვა ამერიკაეკასიის რესპუბლიკები ამის წინააღმდეგი არ იქნებიანო. მე ვკითხე, რა დამოკიდებულება უნდა იქნეს თქვენსა, ჩვენსა და რუსეთს შორის-თქო და მან მიპასუხა, უსათუოდ უნდა იქნეს კავშირი კავკასიის წვრილ ერებსა და რუსეთს შორისო, შინაურობაში — უდიდესი თვითმართველობა, საკუთარი მთავრობა, საკუთარი პარლამენტი, მაგრამ — ერთობა საგარეო პოლიტიკაში და სხვადასხვა მთავარ საკითხებშიო. მე ვუთხარი, რომ ჩვენი ხალხისაგან ინსტრუქცია გვაქვს მიღებული ენერგიულად დავიცვათ ჩვენი დამოუკიდებლობა და გვინდა კავშირი ვიქონიოთ არა რუსეთთან, არამედ რომელიმე აქაურ, ევროპულ სახელმწიფოსთან, რომლისგანაც ფინანსურ და ეკონომიურ დახმარებას გამოველით, რითაც შეიძლება დიდ სარგებლობას მივანიჭებთ ჩვენს ქვეყანას. მან გვიპასუხა, რომ მათაც სწორეთ ეს უნდათ, სხვადასხვა კონცესიები, ჩვენს შინაურ საქმეში კი — არ ჩაერევიან, მაგრამ დაუმატა, ეს არის ჩემი აზრი, საერთო გადაწყვეტილება ამის შესახებ კი ჭერ მიღებული არ არისო. დასასრულ მე ვუთხარი, რომ ჩვენთვის სასურველი იყო საუბარი საქართველოდან დაბრუნებულ იტალიის მისიის წევრ ვალერიისთან. ნახევარ საათში თვით ვალერი მოვიდა ჩვენთან, დღეგაციაში.

4. თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვალერიმ გვიამბო, რომ საქართველოში უნუგემო მდგომარეობაა. სურსათის საკითხი ისეა გამწვავებული, რომ დაყოვნება აღარ შეიძლება. ამ ნიადაგზე შესაძლებელია არეულობაც კი მოხდეს. ამერიკელები ამ მხრივ სომხებს ეხმარებიან, ქართველებს კი არა. ინგლისელებსა და ქართველებს შორის ცუდი განწყობაა. ინგლისელებმა ბევრი შეცდომა მოიმოქმედეს. მაგრამ ის მაინც არ უნდათ, რომ საქართველო დენიკინმა გადმოლახოს. მათი ჭარების გამოყვანა ჭერ საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის, გენერლებში ამის შესახებ განხეთქილება არსებობს, და გამოცხადება ამ ჭარების გაყვანაზე ნაადრევი იყო. ეს საკითხი მხოლოდ 15 ივნისს გადაწყდება. თუ გამოიყვანეს, მაშინ ჩვენ გვსურს შეყვანა, მაგრამ არ გვინდა ისეთი განწყობილება დამყარდეს თქვენსა და ჩვენს შორის, როგორც თქვენსა და ინგლისს შორის არსებობსო. ამის შემდეგ გვკითხა, რას ფიქრობთ კოლჩაკზე, ხომ არ ცვლის ეს უკანასკნელი ამბები მისი ცნობის შესახებ რასმე გადაწყვეტილებებში და ტაქტიკაშიო. ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ჩვენი პოზიცია არ შეიძლება შეიცვალოს, რადგანაც ის თვით ცხოვრებიდან და რეალური პირობებიდან გამომდინარეობს, ვიცავთ ჩვენს დამოუკიდებლობას როგორც აქამდის, და ევროპისაკენ ვართ პირმობრუნებული. გვჭირდება დახმარება რომელიმე ევროპული სახელმწიფოსაგან. გარანტიები მისი, რომ გათელილი არ

<sup>1</sup> იტალიის წარმომადგენელი პარიზის კონფერენციაზე







3) ჩე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ მ ა — (ოქმში შეტანილია მისი თხოვნით) — ამცნო დამსწრეებს, რომ საქართველოს წარმომადგენლებს ყოველთვის ამგვარი პირობები უნდა ეკავითო: საქართველო ხელშეკრულებით იყო რუსეთთან შეერთებული; ახლა რუსეთი დაინგრა, მაშასადამე საქართველო თავისუფალია. როცა რუსეთი აღდგება და დემოკრატიული სახელმწიფო გახდება, — გვითხრას თავის პირობები და

მამინ ვნახავთ, შევუერთდებით ხელახლა თუ არა.

ზ. ა ვ ა ლ ი შ ვ ი ლ ს არ ესმის: რატომ წარმოადგენს სამშრომლობას სიმპსონთან მისი თეორიული ლაპარაკი ფედერაციაზე, მამინ როდესაც თავმჯდომარე და ზოგმა დელეგატმა საჯაროდ ილაპარაკეს სოციალისტურ წრეებში, რომ წინააღმდეგი არ არიან მომავალში დემოკრატიული რუსეთის ფედერაციაში შესვლას, რაც თავის დროზე გაზეთებშიც იყო აღნიშნული.

თ ა ვ მ ჯ დ მ ა რ ე უპასუხებს, რომ მათ არასოდეს უთქვამთ ეს, რომ ისინი ყოველთვის მტკიცედ იცავდნენ და იცავენ საქართველოს რუსეთიდან გამოყოფას და მის დამოუკიდებლობას; და რომ ყველამ კარგად იცის, რომ მამინ, გაზეთებში, მათი ნალაპარაკები დაამახინჯეს, მათ კი სამუალება არ ჰქონდათ პრესაში პოლემიკა გაემართათ და უარეყოთ იქ ნათქვამი.

ბოლოს, აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ გადაწყვეტილია, რომ პრინციპულად მისაღებია ზ. ავალიშვილი დაეხმაროს თავისი რჩევებით სიმპსონსო, ვინაიდან ზ. ავალიშვილს შეუძლია ეს გარემოება გამოიყენოს საქართველოს სასარგებლოდ, რადგანაც საქართველოს დამოუკიდებლობისა და რუსეთის აღდგენის საქმე ერთი-მეორეს არ ეწინააღმდეგება, მეორე — უფრო ახლო იქნება ამგვარი დელეგაცია ინგლისთან და უკეთ გაიგებს, რა ხდება იქ საქართველოს შესახებ, და მესამე — შესაძლებელია როდისმე მაინც შეიყვანონ ძალით საქართველო რუსეთის ფედერაციაში, და ამ შემთვევაშიც სასარგებლოა იცოდეს დელეგაციამ რა წყდება ფედერაციის შესახებ ალიებში.

დადგენილია ყველა ხმებით, — წინააღმდეგ ი. გობეჩიას ხმისა, რომელიც პირდაპირი უარის მომხრეა, — რომ ავალიშვილმა წინ და წინ გააცნოს დელეგაციას ის მოსაზრებანი, რომლითაც იხელმძღვანელებს სიმპსონისათვის რჩევების მისაცემად, და მამინ გადაწყდეს, წავიდეს თუ არა ის სიმპსონთან.

3. დადგენილია, დათანხმდეს დელეგაცია რუსეთის საზღვრებში ყოფილ ერთ-ერთად გამოსვლაზე, რადგანაც, როგორც უკვე გადაწყვეტილი იყო, უხერხულია საქართველომ ამ საერთო გამოსვლაში მონაწილეობა არ მიიღოს, მაგრამ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს დეკლარაციის ფორმას, რათა ალიების წინააღმდეგ არ იყოს მიმართული. მაგალითად, ძალიან ხელსაყრელია, რომ პატარა ერების საკითხი ალიებმა ერთგვარ ინტერნაციონალურ საკითხად გადააქციეს, ამიტომ საერთო დეკლარაციაში ნათხოვნი უნდა იყოს, რომ მომავალშიც ასე დაიქვან მათ პატარა ერების საკითხი კოლჩაკის, და მათ მსგავსთა წინააღმდეგ.

4) დადგენილია, დაარსდეს დელეგაციასთან ცალკე ეკონომიური კომისია და დაევალოს მას გაუძღვეს ყველა ეკონომიურ საკითხებს და განსაკუთრებით იზრუნოს საქართველოში სურსათის გაგზავნაზე. ტელეგრაფმა გაეგზავნოს მ. სუმბათაშვილს, რომ დაუყოვნებლივ ჩამოვიდეს, და მას ჩაეხაროს ეს საქმე. მომხმარებელი



ქართული  
ზ. მდივანი

დაენიშნოს კ. ჯაყელი, რომლის ინგლისიდან ჩამოსაყვანად ყველა მანამდის კი გაუძღვენ ამ საქმეს კ. გვარჯალაძე და ი. გობეჩია.

5) დადგენილია, ვ. ჩერქეზიშვილმა მიწეროს წერილი ბეკერს, რათა მისგანაც ზემოაღნიშნული პასუხი წერილობით მიიღოს. მაშინ შეუძლია დელეგაციას გადადგას ამ მხრივ საჭირო ნაბიჯები და მთავრობასაც შეუთვალოს, უთხარით ამერიკის წარმომადგენლებს, რომ პური გაგზავნოსო, ტექნიკურ დაბრკოლებას კი თქვენ იღებთ თავზეო.

6) დადგენილია, მთიულების და ადერბეიჯანელების კომისიაში წარმომადგენლებმა შეიმუშაონ საერთო დეკლარაციის ტექსტი და წარმოუდგინონ იგი დელეგაციას.

7) დადგენილია, დელეგაციის სახელით თავმჯდომარემ მადლობის წერილი გაგზავნოს პროფესორ ოლარს საქართველოს შესახებ დაბეჭდილი სტატიის გამო\*.

თავმჯდომარე — ნ. ჩხეიძე  
მდივანი — ც. დემონ-წერეთელი  
პარიჟი 17 ივნისი 1919.

1/-18-20 ივნისის სხდომა.

თავმჯდომარე — კ. ჩხეიძე  
დამსწრენი — ვ. ჩერქეზიშვილი  
ზ. ავალიშვილი  
ირ. წერეთელი  
კ. გვარჯალაძე  
ი. გობეჩია  
მდივანი — ც. დემონ-წერეთელი

კითხვები.

- |  |   |
|--|---|
| <p>I — ინფორმაცია</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. საუბარი იტალიელ სენატორთან</li> <li>2. ალბერ ტომასთან</li> <li>3. პატარა ერებთან</li> <li>4. მთიულებთან და ადერბეიჯანელებთან</li> <li>5. ბერტელოსთან.</li> <li>6. წვრილი ამბები.</li> <li>—</li> <li>7. კრამერერთან</li> <li>8. ბელორუსიის წინადადება</li> </ol> | <p>II — დადგენილებანი</p> <ol style="list-style-type: none"> <li>1. პროექტი ადერბ. და მთიელ საერთო ნოტის.</li> <li>2. ნოტა ინგლისელებს</li> <li>—</li> <li>3. ბელორუსებთან საერთო თხოვნა</li> <li>4. რუსეთის საკითხი</li> <li>—</li> <li>5. ი. გობეჩიას დანიშვნა ამერიკელი სტოკების საქმის საწარმოებლად</li> <li>6. რუსეთის საკითხი (გაგრძელება)</li> </ol> |
|--|---|



საქართველოს  
 ეროვნული  
 ბიბლიოთეკა

9. ამერიკელი სტოკები (საქონელთა  
 საწყობებში)

7. ადერბ. და მთავრ. სტოკების  
 შემუშავებული ნოტა.
8. მალეტის ნახვა
9. ტელეგრაფის გაგზავნა  
 საქართველოში
10. ტყვეები
11. დოკუმენტები

### 18 ივნისი

წაკითხულია და დამტკიცებული 13 ივნისის სხდომის ოქმი. მსჯელობენ, საქირაო თუ არა ვრცელი ოქმი, რომელშიც აზრთა გაცვლა-გამოცვლა იქნება შეტანილი. თავმჯდომარე თვლის, რომ, რამდენადაც არც ერთ დოკუმენტში არაა სრულად ასახული დელეგაციის საქმიანობა ამ ოქმებში მაინც უნდა აღინუსხოს, ამიტომ მომხრეა იმისა, რომ ოქმები კიდევ უფრო ვრცლად შედგეს, რათა ერთგვარ მათიანეს წარმოდგენდეს. სხვები იმ აზრის არიან, რომ საკმარისია ოქმში მარტო მოხსენება და დადგენილება იყოს, აზრთა განსხვავება კი აღინიშნოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის არსებითია და პრინციპული. ზ. ავალიშვილის წინადადებით ყველამ, ვინც კი რაიმე მოლაპარაკებას გამართავს, წერილობით წარმოდგინონ მოხსენება, რაც ოქმს დაემატება და მას ნამდვილ მათიანედ აქტევეს.

დადგენილია საზოგადოთ ოქმებში იყოს მხოლოდ წერილობით წარმოდგენილი მოხსენებანი და დადგენილებანი, რაც შეეხება მსჯელობას და აზრთა გაცვლა-გამოცვლას, ეს მოთავსებული იქნეს მხოლოდ მაშინ, როცა ვინმე დამსწრეთაგანი ამის სურვილს გამოთქვამს.

### I - ინფორმაცია

1. ირ. წერეთელი. 15 ივნისის ჩემთან იყვნენ Secolo-ს თანამშრომელი და იტალიური სენატორი დელლა ტორე, ეკონომიური დელეგატი საზავო კონფერენციაზე. Secolo-ს კორესპონდენტმა მითხრა, ორლანდომ დამავალა, იარქართველებთან და მათთან კავშირი იქონიეთ, ისე, რომ შემიძლია თქვენი აზრების გადამცემი ვიყო. სენატორმა თქვა: ინგლისელი ჯარების თქვენგან გაყვანის საკითხი გადაიდვა, მაგრამ ჩვენ ძალიან მსურველი ვართ, რომ გაიყვანონ და მათ მაგივრად ჩვენ შემოვიდეთო. მოვედი, რომ გავიგო ამის შესახებ თქვენი შეხედულებაო, მთავრობასთან კავშირი მაქვს, მაგრამ წარმომადგენელი ვარ დემოკრატიული წრეების და შემიძლია მხარი დავიჭიროთ ჩვენი მთავრობის წინაშეო. საქართველოში იგზავნება ახალი მისია, სადაც იქნებიან ეკონომისტები, ტექნიკოსები და სხვ. და წინადადება შევიტანე, რომ ამ მისიაში დემოკრატიის წარმომადგენლები იყვნენ. წარმომადგენლები კოოპერატივების და მუშებისო. ვუპასუხე, რომ ჩვენ თვითონ დიდი ხანია აღვძარით საკითხი, რათა ევროპის დემოკრატიამ გაგზავნოს ჩვენთან წარმომადგენლები, ინტერნაციონალსაც კი ვთხოვეთ ეს. მერე



ავტსენით, რომ ჩვენ მხოლოდ დამოუკიდებლობის აღიარებით შეგვემტკიცოთ დემოკრატიული პოლიტიკა ჩვენში; რომ ინგლისი დეპუტატებს და საქართველოს დამოუკიდებლობისადმი ორპოპ პოლიტიკას ახორციელებს, და რომ საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად; და ხაზი გაუვსვი, რომ უწინარეს ყოვლისა ჩვენ გვინდა პოლიტიკური ცნობა და მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება ჩვენთვის სასურველი ეკონომიური ურთიერთობა და შესაძლებელი გახდება ეკონომიური ხელშეკრულება. აქ მან დამისვა კითხვა, რომელიც არ მომეწონა; მითხრა, ჩვენი ქვეყანა ღარიბია, ექსპედიციის გაგზავნას ხარჯი უნდა და ამიტომ უკმაყოფილებას გამოიწვევს ჩვენში, შეუძლია თუ არა საქართველოს მთავრობას თავის თავზე აიღოს საოკუპაციო ჯარის ხარჯიო. ვუპასუხე, რომ ჩვენ საოკუპაციო ჯარი არ გვჭირდება, ჩვენ მხოლოდ გვინდა სულ მცირე ჯარი, უფრო მორალური შთაბეჭდილების მოსახდენად, რათა დენიკინმა იცოდეს, რომ ჩვენი თავზე დაცემა იტალიასთან შეტაკება იქნება, და აგრეთვე ის, რომ საქართველოს ახლა ფული არა აქვს, მაგრამ თუ მათი ჯარები დაგვეხმარება დენიკინის მოგერიებაში და დამოუკიდებლობის მოპოვებაში, საბოლოოდ იტალია არაფერს წააგებს, რადგანაც ყველა მისი ხარჯი დაფარული იქნება იმ კონცესიებით და ეკონომიური სარგებლობით, რომელსაც ის ჩვენში ნახავს. შემდეგ მან მკითხა, რა გვითხრეს იტალიელი მთავრობის წარმომადგენლებმა. ვუთხარი, რომ მათ ჯერჯერობით იგივე აზრი გამოთქვეს, რაც ინგლისელებმა, ე. ი. რომ ჩვენი ქვეყანა პოლიტიკურად რუსეთთან გაერთიანებული უნდა დარჩეს, მაგრამ რომ ჩვენ იმედი გვაქვს, იტალია გაგებს, რა განადგურებას მოასწავებს ეს ჩვენთვის და იტალიასა და ჩვენს შორის ყოველი კავშირის შეუძლებლობას, - და შეიცვალის თავის აზრს. მან მიპასუხა, თუმცა იტალია ალიებთან საერთო პოლიტიკას მიმართავს, ჩვენ მაინც ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ ჩვენ მთავრობაზე ვიმოქმედოთ ამ მხრივ, ეცადეთ მხოლოდ, რომ ამერიკა მიიმხროთ ეკონომიური არგუმენტებით, ერთადერთი არგუმენტი, რომელიც მათ ესმისო. მე ვუპასუხე, რომ ამერიკის მხრივ ჩვენ ვმოქმედებთ, მაგრამ საქმე იმიტაც ვაგვიადვილდება, თუ რომელიმე ევროპულ სახელმწიფოს პოლიტიკური კავშირით შევეკარით.

2. ირ. წ ე რ ე თ ე ლ ი. ალბერ ტომასაგან მეორე წერილი მომივიდა, ამ დილას მოსალაპარაკებლად დამპატიყა, თან მთხოვა, მომეცით წერილობითი განმარტება ტერიტორიულ საკითხებზე, ეს გამიადვილებს თქვენსა და სომხებს შორის სოლიდარობის ჩამოგდებას, რაც მე მიზნად მაქვს დასახულიო. ვუპასუხე, რომ ყოველგვარი მოლაპარაკება აქაურ დელეგაციასთან ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია, რადგანაც ჩვენც ამ მხრივ ყოველი ზომა ვიხმარეთ და დავრწმუნდით, რომ მათ გადაჭრით არ სურთ ჩვენთან მორიგება და მხოლოდ იმ აზრით მოქმედებენ, რომ როგორც მთავრობა, ისე სოციალისტური წრეები მტრად გადაგვიცოდნენ, და რომ ეს საბოლოოდ გამოარკვია უკანასკნელმა ცდამ მორიგების შესახებ, რომელიც ინტერნაციონალის ბიუროს თანდასწრებით მოხდა და, რომელიც სომხებმა ყველასათვის აშკარად ჩაფუშეს. როცა ტომამ მკითხა, მამ გადაწყვეტილი გაქვთ სომხებთან ყოველი საქმე შეწყვიტოთ, ვუპასუხე რომ, პირიქით, თბილისში ჩვენ და სომხების მთავრობას შორის კონფერენციაა გამართული და მო-

V +





ლაპარაკება მიმდინარეობს, და, თუ რამე მორიგებაა შესაძლებელია, რადგანაც იქ უფრო საღი პირობებია ამისთვის, იქ თვით სოფლის სახლი ყველაფერს თვალყურს ადევნებს და მათი წარმომადგენლები იძულებული არიან უფრო თავდაჭერით მოიქცნენ, აქ კი ზურგი იმით აქვთ გამაგრებული, კულისებში ალიებთან გვაქვს საქმეო, მდგომარეობასაც არავინ სწორედ არ იცნობსო, და თავი ისე უჭირავთ, რომ აქ მათთან ლაპარაკი შეუძლებელია. განმარტება მიგვიც ყველა იმ ჭორის შესახებ, რომლებიც მისთვის სომხებს გადაეცათ, განსაკუთრებით ის, რომ თითქომ ჩვენ გერმანელების მომხრე ვიყავით. აუფწერე ის გაჭირვებული მდგომარეობა, რომელმაც გვაიძულა მათთვის მიგვემართა და გავაძლავნე ისიც, რომ გაჭირვების დროს თვით სომხებმაც მიმართეს მათ.

3) კ. გ ვ ა რ ჯ ა ლ ა ძ ე. 16 ივნისს ვიყავით რუსეთის საზღვრებში ყოფილი ერების კრებაზე, რომელზედაც წარმომადგინეს ალიებსა და კოლჩაკს შორის ნოტების გაცვლა-გამოცვლის საპასუხო დეკლარაციის პროექტი. სხვათა შორის იქ იყო ასეთი პუნქტი, უნდა ცნოთ ჩვენი დამოკიდებულება, რათა გავმაგრდეთ ჩვენი თავის დასაცავად იმ მტრებისაგან, რომლებიც გარს გვახვევია. ჩვენი, მთიელების და ადერბეიჯანელების თხოვნით ეს ამოშლილი იქნა, რადგანაც ამ გარემო მტრებში ალიებიც იყო ნაგულისხმები. ამ დეკლარაციაში ყველა ეს სახელმწიფოები, ლიტველების გარდა, იმეორებდა თხოვნას, რომ მოგვეცეს პოლიტიკური დამოუკიდებლობა, ლიტველებმა კი, რომელნიც ფედერაციის პოლიტიკას ეწევიან რუსეთთან, მოიმიზღვეს, ბელორუსებს ჩვენი ტერიტორია აქვთ წაღებული და, რადგანაც ისინი თქვენთან ერთად არიან, ჩვენ აღარ შეგვიძლია ამ დეკლარაციაში მონაწილეობა მივიღოთო. ისე რომ, ჯერ გამორკვეული არ არის, მოაწერენ თუ არა ისინი ხელს.

4) კ. გ ვ ა რ ჯ ა ლ ა ძ ე. 14 ივნისს მთიულთა და ადერბეიჯანელების კრებაზე, ისევე იყო საკითხი საერთო გამოსვლაზე. მთიულებმა გამართეს კამათი ჩვენთან და ადერბეიჯანელებთან, თქვენ სიტყვის ხალხი ხართ, ახლა კი საქმეა საქირო, დენიკინი დღეს ჩვენ გვთვლავს ხვალ თქვენ გაგთვლავთ, საქიროა ახლავე შევადგინოთ ნოტა დენიკინის წინააღმდეგ, რომ გაიყვანოს ჯარიო, ბოლოს მიღებული იქნა გადაწყვეტილება საერთო ნოტით გამოსვლის, რუსეთის საზღვრებში ყოფილ ერებთან ერთად, კოლჩაკ-დენიკინის წინააღმდეგ: ამას გარდა გადაწყვეტილია შემუშავებული იქნას საერთო ნოტა კავკასიის ერების მიერ, რომელსაც ბაზად იმავე კოლჩაკ-ალიების ნოტები ექნება და რომელშიც ხაზგასმული იქნება, რომ ალიები ცნობენ ჩვენს ფაქტობრივ სახელმწიფოებრივ არსებობას. ამალამ კიდევ არის კრება. ქართველებმა, ადერბეიჯანელებმა და მთიულებმა ყველამ ნოტის თავთავისი პროექტი უნდა წარმოადგინონ, და იქიდან შემუშავდება მერე ერთი საერთო ნოტა.

5) კ. გ ვ ა რ ჯ ა ლ ა ძ ე. დღეს ვიყავით თავმჯდომარე და მე ბერტელოსთან<sup>1</sup>. დაუხატეთ ჩვენი სახელმწიფოს მდგომარეობა, აუფხსენით, რომ ეს ყოფილი რუსეთის ერთადერთი კუთხეა, სადაც წეს-რიგია და ნორმალური ცხოვრება მიმდინარეობს, და რომ თუ ჩვენ რუსეთში ანარქიის მოსპობამდეს და რუსეთის საკით-

<sup>1</sup> ბერტელო-საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი - ა. მ.



ის გადაწყვეტამდე გვაცდევინეს, — ეს მშვიდი კუთხეც ანარქიის აღმშენებელია და ვთხოვეთ, რომ ჩვენი საკითხისათვის ყურადღება მიექცია და ჩვენთვის მხარი დაეჭირა. მან გვიპასუხა, მეც იმ აზრისა ვარ, რომ პატარა ერების საკითხის გადაღება ანარქიას გამოიწვევსო, და იმ პოზიციას ვიცავდი, რომ გამართულიყო მოლაპარაკება, კერძოდ, თითოეულ პატარა ერთან, რათა მათ წელი გაემართათ და ამით თვით რუსეთშიც შესუსტებულიყო ანარქიაო. დაგვპირდა, შემდეგშიც დავიცავოქვენს მოთხოვნებს, ე. ი. იმას, რასაც აქამდისაც ვიცავდიო. შემდეგ ჩვენ აუწყოვეთ ის ბლოკადა, რომლის მსხვერპლიც საქართველოა ახლა, და ის შეუძლებლობა, რომელშიც ამის გამო ჩავარდით სხვადასხვა ქვეყნებთან ეკონომიური კავშირის ეჭონლობით, და ვთხოვეთ, აგრეთვე, დაგვზარებოდა ჩვენი დელეგაციის წევრი-ექსპერტები ჩამოგვეყვანა საქართველოდან და საქართველოსთან ტელეგრაფით მიწერ-მოწერის საშუალება მოგვეცემოდა. დაგვპირდა ყოველივე ამში შემწეობას.

6. ი. გ. ო. ბ. ე. ჩ. ი. ა. ამცნობს კრებას, რომ საქართველოს დელეგაციის წინადადებით ადერბეიჯანელები და მთიულეები შევიდნენ რუსეთის საზღვრებში ყოველი ერების კონფერენციაში;

რომ მრავალი აქაური ვაჭარი კითხულობს, შეგვიძლია თუ არა გავგზავნოთ აქონელი თქვენში, რა გზით გავგზავნოთ, რომელ პორტებში, იქ კონფისკაციას რომ არ მოახდენენ და სხვადასხვა და, რომ ის ყველა ამ კითხვაზე დამამშვიდებელ პასუხს აძლევს და ხელსაყრელ პორტად ფოთს უსახელებს; და რომ ინგლისიდან ჩამოვიდა ერთი ვაჭარი, რომელიც ამბობს, ინგლისელი კომერციული წრეები ძალიან წინააღმდეგია კავკასიიდან ჯარის გამოყვანის, ხოლო საგარეო საქმეების ამინისტრაციის მდივანს უთქვამს მისთვის, იქ იმიტომ არ უნდა ჯარს დარჩენა, რომ მხოლოდ პოლიტიკურ ფუნქციებს ასრულებინებენო.

II — დადგენილებანი.

1. ზ. ა. ვ. ა. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. კითხულობს კოლჩაკის წინააღმდეგ პროტესტით გამოსასვლელი ნოტის პროექტს, რომელსაც ამაღამ ქართველები წარადგენენ მთელთა და ადერბეიჯანელების სხდომაზე. პროექტი მიღებულია, მაგრამ დადგენილია, წარედგინოს დელეგაციას საბოლოოდ შემუშავებული საერთო ნოტაც.

2. წაკითხულია ინგლისელებისადმი მისამართი ნოტის პროექტი. დადგენილია, ამ ნოტას მიეცეს საჩივრის ხასიათი ინგლისელი გენერლების საქართველოში მოქმედების შესახებ, დაემატოს მას კონკრეტული ცნობები საქართველოში მომხდარ ამბებზე, აგრეთვე საქართველოდან გამოგზავნილი ოქმები და პროტესტი, და ეთხოვოს ინგლისელ მთავრობას პასუხი გასცეს დელეგაციას ამ ნოტაზე.

19 ივნისი (გაგრძელება)

I — ინფორმაცია

1. კ. გ. ვ. ა. რ. ჯ. ა. ლ. ა. დ. ე. ს. უნახავს კრამერერი, რომელიც, ბერტელოს სიტყვასამებრ, დაჰპირებია ტელეგრაფის გაგზავნას დელეგაციისათვის საჭირო წევრ-



ექსპერტების საფრანგეთში გამოშვების შესახებ. სხვათა შორის, კომპარტიზმის, მომავალი რუსეთის ფედერაციაში ისეთი ფართე უფლებები ექნებათ მასში მყოფ სახელმწიფოებს, რომ ძალიან ცოტა განსხვავება იქნებოდა სრული დამოუკიდებლობისაგანო.

2. თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე კითხულობს ქალაღს, ბელორუსების მიერ გამოგზავნილ, რომელსაც ხელს აწერენ ბელორუსიის, დონის, კუბანის და ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკების წარმომადგენლები და, სადაც ამერიკელებისადმი თხოვნაა, რათა მიჰყიდონ მათ ომის დროს დაგროვებული საქონელი, რომლის ლიკვიდაციას ახდენენ ეხლა, თავმჯდომარე იმ აზრისაა, რომ ამგვარ კითხვებს პრაქტიკული ნიადაგი უნდა მოეძებნოს და პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადაიდგას მათ განსახორციელებლად.

## II - დადგენილებანი

3) დადგენილია, უსათუოდ მოაწეროს დელეგაციამ ამ ქალაღს ხელი.

4) რ უ ს ე თ ი ს ს ა კ ი თ ხ ი. (ერთხმად გადაწყდა, რომ ამ საკითხის შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლა ოქმში შეიტანონ).

ი რ. წ ე რ ე თ ე ლ ი. არის ერთი საკითხი, რომელსაც ჩვენი დელეგაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს. ეს არის რუსეთის საკითხი. არც ვლასარაკობთ რუსეთზე, არც რუსეთის პარტიებთან გვაქვს არავითარი დამოკიდებულება. ალიებმა კი ეხლა პირდაპირ დასვეს საკითხი, რუსეთთან ერთად, მოხდეს შესაფერი შეთანხმება, ის ერები, რომელებიც ამას არ დაემორჩილებიან, ჩვენგან ყოველივე დახმარებას მოკლებული იქნებიანო. თუ უწინდელივით განვაგრძეთ მოქმედება, ჩვენი საკითხი უჩვენოდ გადაწყდება. უნდა დავაჯეროთ ალიები ჩვენი შეხედულებების სისწორეში. უნდა ვუთხრათ ის სიმართლე, რომ არც ჩვენი ხალხი, არც ჩვენ, არასოდეს რუსოფობები არ ვყოფილვართ. უნდა ვუთხრათ, ფანტაზია და შეუძლებლობა რომ არ იყოს რუსეთის აღორძინება, როგორც ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფოსი, რომელიც უზრუნველყოფდა ჩვენს თავისუფალ ეროვნულ განვითარებას, წინააღმდეგი არ იქნებოდა მასთან ფედერაციის შეკერვისა, მაგრამ ახლანდელ პირობებში რუსეთთან ფედერაციაზე არ ვლასარაკობთ, რადგანაც ეს ისე იქნება გამოყენებული, რომ ჩვენ კოლჩაკს ან დენიკინს ვუერთდებით. კარგად უნდა ავუხსნათ საზოგადოდ ალიებს და კერძოდ, ინგლისს და მალეტს ჩვენი შეხედულება, რომ არ შეგვიძლია დავემორჩილოთ იმას, რომ დღეს რუსეთი ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელი იყოს, თუგინდ ბოლშევიკები და კოლჩაკი კი არა, დემოკრატიის წარმომადგენლებიც იყვენენ მის სათავეში, რადგანაც მამინაც მხოლოდ გარეგნულად იქნება დემოკრატიული და არა ნამდვილად. უმთავრესია ჩვენთვის, დანამდვილებით გავიგოთ, რა გეგმა აქვთ, რა სურთ ალიებს. თუ შორეული მომავლისათვის, რუსეთის გაღიზიანების ასაცილებლად აცხადებენ რუსეთის გაერთიანების პროგრამას, ლიგა კი გარანტიებს იძლევა პატარა ერების ინტერესების დაცვისას, და ამ გეგმის რეალური განხორციელება შესაძლებელი გახდება, მამინ ეს ნიადაგი ჩვენთვის მიუღებელი არ არის. მამინ ჩვენ



უნდა გამოვაცხადოთ, რომ ცნონ ჩვენი დამოუკიდებლობა ოფიციალურად და მერე, როგორც სრულუფლებიანი სახელმწიფო, ჩვენ გავმართავთ მართლმართლებას, რა პირობებში იქნება შესაძლებელი ჩვენთვის რუსეთთან ფედერაცია.

ვ. ჩ ე რ ქ ე ზ ი ო ვ ი ლ ი ახსენებს დამსწრეებს, რომ საქართველო არის სახელმწიფო ხელშეკრულებითი უფლებებით, ხელშეკრულებისაგან განთავისუფლებული, რადგანაც რუსეთი დაინგრა, რომ ქართველებმა ყოველთვის და ყველგან ეს ხაზი უნდა გაატარონ, — და წინადადებას იძლევა ამის შესახებ დელეგაციამ მიმართოს ამერიკას.

ქ. გ ვ ა რ ჯ ა ლ ა ძ ე ი მ აზრისაა, რომ რუსეთის პარტიებთან, მართლაც, უნდა მაინც ჰქონდეს დელეგაციას კონტაქტი. — ფედერაცია რუსეთთან ჩვენთვის მინიმუმია, — ამბობს ის, — დაეწყეთ მამ მაქსიმუმიდან, დამოუკიდებლობიდან, და ვივაჰროთ. ყველაფერს ის აჯობებს, რომ მოვახერხებინოთ რომელიმე ევროპულ ქვეყანასთან ეკონომიური კავშირის შეკვრა, მაშინ მეტი ძალა გვექნებოდა მოლაპარაკების დროს. რუსეთთან მოლაპარება უნდა გავმართოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადავწყვეტთ, რომ ჩვენი ხაზი წაგებულა, და ალიებს ისე უნდა ველაპარაკოთ, რომ არ ვაფიქრებინოთ, საქართველო ვაჰრობს, ნამდვილად კი რუსეთთან შეერთებაზე თანახმა არისო, თუ არა და ჩვენი დიპლომატიური გზა წაგებული იქნება.

ირ. წ ე რ ე თ ე ლ ი. ჩვენ არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დამოუკიდებლობის საქმე წაგებულია. ჯერ ყველა ღონე არ გვიცდია და ყველა პასუხი არ მიგვიღია. ჩვენ ედგავართ ახლა ასეთი ფაქტის წინაშე: ოთხი თვეა ეცდილობთ და ვერც ერთ სახელმწიფოსთან ვერ შევძელით პრაქტიკულად გაგვემართა მოლაპარაკება. ეს არის შედეგი ალიების პოლიტიკისა, რომელთაც არ უნდათ რუსეთის საწინააღმდეგო დამოუკიდებულება იქონიონ. იტალიამაც კი ის გვითხრა, რუსეთთან პოლიტიკურ კავშირს ნუ შეწყვეტთ და ისე ვიქონიოთ ეკონომიური კავშირიო. რადგანაც პირდარიპირი მოთხოვნა არ გამოგვივიდა, ახლა დაგვრჩენია მხოლოდ ერთი ნიადაგი, შეიძლება დამოუკიდებლობა მოვიპოვოთ იმით, რომ დავანახოთ ალიებს მათი კომბინაციის შეუძლებლობა. თუ უნდათ რომ უსათუოდ გადაგვიდონ რუსეთს, — მაშინ ჩვენი საქმე წაგებულია, თუმათი მხრივ ეს მხოლოდ ტაქტიკური ნაბიჯია, რათა რუსეთი არ გააღიზიანონ, — მაშინ შეგვიძლია ველაპარაკოთ. ჩვენ უნდა ვუთხრათ, რომ სწორედ მომავალში ფედერაციის მოსახდენად აუცილებელია ჩვენი დამოუკიდებლობის ახლავე ცნობა. უნდა ვუთხრათ: გვცანით დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რომ შევძლოთ გავმართოთ ევროპასთან ეკონომიური და ფინანსიური კავშირი და განვაგრძოთ სახელმწიფოებრივი შენება, და თუ აღდგა დემოკრატიული რუსეთი, რომელიც ხელს არ შეუშლის ჩვენს თავისუფალ განვითარებას, — მაშინ დავსვავთ ამ საკითხს, დღეს კი რუსეთის ჩვენში შემოსვლა, — ჩვენი დაღუპვაა. ჩვენ უნდა ავუხსნათ, რომ ჩვენი სახელმწიფოს ცნობა ჩვენი ხალხისათვის ყოფნა — არ ყოფნის საკითხია, რადგან წესიერების დაცვა, გარეშე მტრებისაგან გადარჩენა, ეკონომიური შენება, უამისოდ შეუძლებელია. ისიც უნდა ვუთხრათ, როგორ გავმართოთ მოლაპარაკება რუსეთთან, ან თქვენთან როცა ცნობილი არა ვართ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ? გვიცანით — და მოველაპარაკებით რუსეთსაც და ევროპასაც, და ასე უნდა დავესვათ სა-





ი. გ. ბ. ე. ჩ. ი. ა. ჩემი აზრით წერეთლისა და ავალიშვილის წინადადებასა და სხვა დასახვაა, რადგანაც წერეთელს უნდა ახლავე ვაცნობოთ ჩვენი დამოუკიდებლობა, ავალიშვილი კი ჭერჯერობით თანხმდება იმ მდგომარეობაზე, რომელსაც ჩვენთვის კოლჩაკთან მიწერ-მოწერა ქმნის. ჩვენ ნება არა გვაქვს გადავწყვიტოთ ის, რომელ წინადადებასაც ავალიშვილი გეთავაზობს. ჩვენი მთავრობა სხვას გეთხოვს. ჩვენ კი სხვა გზაზე დადგომას ვაპირებთ. უნდა დაერჩეთ წერეთლის ნიადაგზე, რომელიც არის ჩვენი ძველი ნიადაგი, და ვიზრუნოთ ეკონომიურ მოლაპარაკებაზე და სესხზე.

კ. გ. ვ. ა. რ. ჯ. ა. ლ. ა. ძ. ე. ჩვენ მთავრობისაგან ფართე ინიციატივის უფლება გვაქვს მოცემული. შეგვიძლია გამოვარკვიოთ ჩვენი მოქმედების ხაზი და შევატყობინოთ მთავრობას. თუ დეზაუფირებას მოახდენს, ნუ ვაწარმოებთ მას. წერეთლის ხაზი წინანდელი ხაზი აღარ არის. აქამდის ჩვენ ვამბობდით, დღეს ჩვენს ხალხს არ სურს რუსეთთან ფედერაცია, ოც წელიწადში რა იქნება — არ ვიცით. ახლა ვაპირებთ ვთქვათ, დღეს გვცნაით, მერე დამოუკიდებელი სახელმწიფო გამოართავს მოლაპარაკებას რუსეთთან. ეს არის განსხვავება და ეს არის ჩვენი პირველი კომპრომისი.

ვ. ჩ. ე. რ. ქ. ე. ზ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ჩვენ გამოგვაგზავნეს დამოუკიდებლობის დასაცავად და უნდა დამოუკიდებლობა დაეცვათ. კოლჩაკის მიწერ-მოწერაში ჩვენ მოხსენიებულნი არა ვართ, ამიტომ არაფრის უნდა გვემინოდეს. უნდა ვიდგეთ ხელშეკრულებითი უფლებებით აღჭურვილ სახელმწიფოს პოზიციაზე. ამას გარდა ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენსა და რუსეთს შორის არის მრავალი სახელმწიფო, რომელიც დამოუკიდებლობას თხოულობს, ისე რომ ჩვენ შეიძლება, სულ მოშორებულნი ვიქნებით რუსეთზე.

ირ. წ. ე. რ. ე. თ. ე. ლ. ი. მე მგონია ყველასათვის ცხადია, რომ ამ ოთხი თვის განმავლობაში ჩვენ ვერ გავაუმჯობესეთ საქართველოს საქმე, პირიქით, ის გაუარესდა კიდევ მით, რომ არაფერი გაგვიკეთებია. თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ სულ დავლუპავთ ამ საქმეს, რადგანაც ჩვენი ქვეყანა ცხოვრობს ძალიან ძნელ პირობებში და დღითიდღე სუსტდება. სამი შესაძლებლობაა ჩვენს წინაშე: ან უარი უნდა ვთქვათ ჩვენ მისიაზე, ან როგორც აქამდის განვარძოთ მცდელობა, ან შეეცვალოთ ჩვენი ტაქტიკა. ყველა ჩვენთვის ცხადად ხდება, რომ აქამდის იმიტომ ვერ მოვახერხეთ ვერაფერი, რომ ალიებს ჰქონდათ პოლიტიკური ბაზა, რომელსაც ჩვენ ანგარიშს არ ვუწევდით; მაშ, იმავე ჩვენი წინანდელი მიზნის დასაცავად ახალი ტაქტიკა უნდა მივიღოთ. ჩემსა და ავალიშვილის წინადადებაში განსხვავებას ვერ ვხედავ, რადგანაც პირველ პუნქტში ის ლაპარაკობს სწორედ რუსეთის თანხმობაზე ჩვენი დამოუკიდებლობის შემახებ, ურომლისოდაც არც ალიები გვცნობენ ჩვენ. რუსები რომ გვცნობენ, ეს რა თქმა უნდა, საუკეთესო ნიადაგი იქნებოდა ალიებთან მოსალაპარაკებლად, მაგრამ არც ერთი რუსეთის პარტიისათვის ჩვენი ცნობა მისაღები არ არის. სამაგიეროდ ალიები დაინახავენ, რომ, თუ შეთანხმება არ ხდება, ეს რუსეთის ბრალია და არა ჩვენი, მამასადამე ჩვენი ფორმულა უნდა იყოს: პირველი ჩვენი პირობაა, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა ცნონ.

ზ. ა. ვ. ა. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ახლად შექმნილი პირობებით ისე უნდა ვისარგებლოთ, რომ მათში როგორმე ჩვენი დამოუკიდებლობის იდეა განვახორციელოთ. ახალ



პოზიციას აუცილებლად ამიერკავკასიის მდგომარეობის გაადვილებას მოწყობდა მისი ეკონომიური იზოლაციის მხრივ.

## 20 ივნისი. (გაგრძელება)

### I — ინფორმაცია

9. ი. გობეჩია. ყოფილა ამერიკელი სტოკების ცენტრალურ დაწესებულებაში, სადაც მისთვის უთქვამთ, ჩვენი საქონელით კიდევ ისარგებლეს ესტონელებმა, ლიტველებმა და სხვ. მაგრამ ახლა საფრანგეთის მთავრობამ დანარჩენს სექვესტრი დაადვა, ამას ნულარ ჰყიდით, ჩვენ გეჭირდებო. ხოლო ჩვენ ამერიკაშიც გვაქვს ასეთი სტოკები და შეგვიძლია იქიდან გამოვიგზავნოთ საქონელით კრედიტზე უთქვამთ, შეგვიძლია გაგიხსნათ, ესტონელებიც თქვენსავით 3½ მილიონი არიან და მათ ჩვენ 25 მილიონის კრედიტი გავუხსენითო; მხოლოდ საქიროა ოფიციალური ქალაქი წარმოადგინოთ დელეგაციის მდგომარეობაზეო. ამას გარდა ი. გობეჩიას მოლოპარაკება ჰქონია, ადერბეიჯანელებთან ერთად, მაქს საბინოეთან, რომელიც ადერბეიჯანელების დაპატიჟებით შუამავალია ამ საქმეში დელეგაციათა და ამერიკას შორის. საბინოეს უთქვამს, ჩვენ ოფიციალური საზოგადოება არა ვართ, მაგრამ რადგანაც ამერიკელები მარტო სახელმწიფოებთან ვაჭრობენ, გვინდა ოფიციალური საზოგადოება დაარსდეს მთავრობის წარმომადგენლებით, და სხვათა შორის, რჩევა მიუცია, პატარა სახელმწიფოებისათვის საქონლის ყიდვის თხოვნა ცალ-ცალკე სჯობია და არა კოლექტიურად. — ხვალ ერთი ამერიკელი ოფიცერი მოიტანს ადერბეიჯანელების ბინაზე საქონლის სიას, და იქ შეიძლება არჩევა, ვის რისი ყიდვა უნდა. პრაქტიკული ნაბიჯი, რომელიც უნდა გადაიდგას: ახლაც დელეგაციისგან არჩეული უნდა იქნეს ერთი პირი, რომელიც სრული უფლებით იქნება აღჭურვილი ამ საქმის მოსაგვარებლად. ამ პირს უნდა ჰქონდეს საელჩოში დამტკიცებული ოფიციალური ქალაქი.


### II — დადგენილებანი

6) დადგენილია ასეთ პირად დაინიშნოს თვით ი. გობეჩია და მიენდოს მას ისე იმოქმედოს, როგორც საქიროდ და ხელსაყრელად მიიჩნევს, ხოლო დელეგაციას ამის შესახებ ყოველთვის ანგარიში მოახსენოს და მისგან დასტური მიიღოს. საქმე უნდა შესრულდეს როგორც კოლექტიურად, სხვა პატარა ერებთან ერთად, ისე ცალკეც, კერძოდ საქართველოსათვის, რაც ერთი მეორეს ხელს არ შეუშლის.

#### (ბ) რუსეთის საკითხი (გაგრძელება)

ი. წერეთელი. ჩვენ წინ არის ალიებისგან მიღებული გეგმა, რომელიც შეიძლება მოგვახვიონ თავზე. ეს განსაკუთრებით სწმიშია იმ შემთხვევაში, თუ ამას მოუმზადებელი შევხვდით. უნდა გავიგოთ საზოგადოთ — რას ნიშნავს კონკრეტულად ალიების ნიადაგი, და კერძოდ — ამის პასუხი:

იცნობენ თუ არა ოფიციალურად და იურიდიულად ჩვენს დამოუკიდებლობას, ხოლო ცნობის შემდეგ მზადან ვართ ვილაპარაკოთ რუსეთთან ფედერაციაზე,



თუ ის აღდგა, როგორც ნამდვილი დემოკრატიული სახელმწიფო, ჩვენი აზრით უნდა დაევალოს ავალიშვილს, გამოარკვიოს სიმპსონთან ლაპარაკის დროს, მის საღებია თუ არა ეს საზოგადოთ ალიებისთვის და, კერძოდ, ინგლისისათვის.

ვ. ჩ ე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი იმეორებს, რომ კონფერენციას ჯერ არაფერი უთქვამს საქართველოზე, მამსადაამე ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს. რომ ალიები უსვამენ კოლჩაკს პირობებს მხოლოდ იმიტომ, რომ თავი გაიმართლონ მოწინავე პარტიების წინააღმდეგ, და რომ, ამას გარდა, ჩვენსა და რუსეთს შორის სხვა პატარა სახელმწიფოებია, რომელნიც დამოუკიდებლობას თხოულობენ, ისე რომ არც კი ვიცით, დავრჩებით რუსეთის გვერდით თუ არა.

ი. გ ო ბ ე ჩ ი ა ფიქრობს, რომ დელეგაციამ საქართველოდან მოსულ კურიერს უნდა მოუცადოს, რათა უკეთ გაიგოს იქაური მდგომარეობა, მთავრობის და ხალხის აზრი, და მამინ გამოარკვიოს ხაზი თავისი მოქმედებისა.

ქ. გ ვ ა რ ჯ ა ლ ა ძ ე იმ აზრისაა, რომ ცდა აღარ შეიძლება, რომ დელეგაციამ მდგომარეობას ალღო უნდა აუღოს და განახორციელოს დამოუკიდებლობის ხაზი, მაგრამ მომავალში ერთნაირ კომპრომისზე დათანხმებით — ვუთხრათ ინგლისს, რამდენადაც დღეს რუსეთთან ერთობა ჩვენთვის შეუძლებელია, ჩვენ კი დახმარება გვეჭირდება, გვიცნონ დროებით, აიღეთ ჩვენგან ერთგვარი მანდატი, მერე კი, როცა რუსეთი აღდგება, ლიგათა ნაციის შემწეობით გაემართავთ მასთან მოლაპარაკებასო.

ვ. ჩ ე რ ქ ე ზ ი შ ვ ი ლ ი ს ფიქრით, თუ ვეაჭრობთ, პირველი რაც შეიძლება მეტი უნდა მოვითხოვოთ და დავიცვათ დაჟინებით ჩვენი ხაზი, დამოუკიდებელი, ხელშეკრულებითი უფლებებით აღჭურვილი სახელმწიფოს პოზიცია.

ი. გ ო ბ ე ჩ ი ა. არ უნდა გადავდგათ ეს ნაბიჯი ჩვენ, რომელთაც მეტი უფლება გვაქვს თავისუფლებისა, ვიდრე სხვა რომელიმე რუსეთის საზღვრებში მყოფ ერს. რუსეთთან ახლა დაახლოება ჩვენი რეაქციის მიერ ჩათრევას ნიშნავს, ალიები ჩვენ ამისაგან ვერ გადაგვარჩენენ. მოუუცადოთ კურიერს საქართველოდან, უფრო გარკვეული აზრი გვექნება მამინ.

შეტანილია წინადადება კამათის დასრულებას.

შემუშავებულია შემდეგი ფორმულა: ვლებულობთ რა მხედველობაში ახალ პირობებს და ალიების გამოარკვეულ პოზიციას, საკითს ასე ვაყენებთ: კიდევ რომ შესაძლებლად და მიზანშეწონილად დავინახოთ მომავალში ფედერაციაზე ლაპარაკი, ამის აუცილებელ წინასწარ პირობად მიგვაჩნია საქართველოს დამოუკიდებლობის ოფიციალური ცნობა.

დადგენილია, ზ. ავალიშვილმა მოშინჯოს ამ მხრივ ნიადაგი სიმპსონთან, კერძოდ, ინგლისელებთან საუბრისას.

7) წაკითხულია საქართველოს წარმომადგენლების მიერ შედგენილი და მთიულთა და ადერბეიჯანელების მიერ ერთხმად მიღებული საერთო ნოტა კოლჩაკის წინააღმდეგ პროტესტით გამოსასვლელად.

დადგენილია მას ხელი მოეწეროს და გაეგზავნოს\*.

8) დადგენილია, დაევალოს ზ. ავალიშვილს მოუხერხოს დელეგაციას, სიმპსონის შემწეობით, მალეტის ნახვა, მისთვის ოფიციალურად უკანასკნელი დოკუმენტის გადასაცემად.





9) ი. გობეჩია წინადადებას იძლევა, საქართველოს მთავრობის დაარსების შესახებ, რათა მთავრობამ მოაწოდოს დელეგაციას ყოველგვარი ცნობა იმ ეკონომიური და ფინანსური საქმეების შესახებ, რომელშიც მთავრობა იღებს მონაწილეობას.

დადგენილია, თუ ი. გობეჩია მოახერხებს ამგვარი ტელეგრამის გაგზავნას, - გაგზავნოს.

10) დადგენილია, ეთხოვოს ი. გობეჩიას განაგრძოს და დააჩქაროს ტყვეების საქმე.

11) დადგენილია, რადგანაც გაზეთები არ ბეჭდავენ საქართველოდან მოსულ მასალებს, გამოქვეყნდეს ისინი ბიულეტენში, რომელიც უნდა გამოვიდეს გადიდებული ფორმატით. ამის გარდა, დაიბეჭდოს ცალკე ბრიგსთან და ბიჩთან მოლაპარაკების ოქმები, მთავრობის პროტესტი, და გაეგზავნოს ყველა ეს, უპირველეს ყოვლისა, ინგლისის მთავრობას ნოტასთან ერთად, და მერე - ყველა დელეგაციებს და სხვადასხვა ცნობილ მოღვაწეს როგორც საფრანგეთში, ისე ინგლისში, მაგალითად, პროფესორ ოლარს, ალბერ ტომას და სხვ. აგრეთვე, ინგლისის პარლამენტის წევრებს, განსაკუთრებით ველქმუტს, კენფორტს, ჰერდენსონს, მაკდონალდს და სხვებს.

თავმჯდომარე - ნ. ჩხეიძე  
მდივანი - ც. დემონ-წერეთელი  
პარიჯი - ივლისი 1919.

### 23 ივლისის სხდომა

თავმჯდომარე - კ. ჩხეიძე  
დამსწრე - ვ. ჩერქეზიშვილი  
ზ. ავალიშვილი  
ირ. წერეთელი  
კ. გვარჯალაძე  
ი. გობეჩია  
გ. ბერიძე  
მდივანი - ც. დემოლონ-წერეთელი

კითხვა - ინგლისელი ფირმების წინადადება

გ. ბერიძე. (ფინანსური ატამე საქართველოს წარმომადგენლობასთან მოსკოვში) მე მოლაპარაკება მაქვს ინგლისელ ფირმებთან, რომელთაც აზრად აქვთ საქართველოში ბევრი სხვადასხვა საქმე განახორციელონ. ეს ფირმები ორ ჯგუფს შეადგენს. შეიძლება ორივე შეერთდეს და მაშინ, ორსავესთან ვიკონიოთ დამოკიდებულებას, თუ არა და მარტო ერთთან. ყველა ეს ფირმა ძალიან სერიოზულია, აქვთ დიდი ტონაჟი და უნდათ ის ჩვენთვის გამოიყენონ. ყველაზე უფრო მათ საქონლის გაცვლა-გამოცვლა აინტერესებთ, საქონელს საქართველოში შეი-



ტანენ და, რაც საქართველოსთვის მეტი იქნება, იმას მერე შეთანხმდნენ და შეიქმნა ხედვით დანარჩენ კავკასიაში გაანაწილებენ. საქართველოდან კიდევ რომელიმე ფერი გაიტანონ, იმ შემთხვევაშიც შეიტანენ შიგ საქონელს, და ყოველნაირ ფულს მიიღებენ მასში, ქართულსაც კი, რადგანაც, სულ ერთია, ფულს ადგილობრივ უპირებენ დახარჯვას, უნდათ შექმნან იქ სხვადასხვა საზოგადოება და დაწესებულება, და ამიტომ ესაქიროებათ საქართველოს დახმარება და პრივილეგიები საქართველოში.

საქართველოში მათ უნდათ დაარსონ:

1) ბ ა ნ კ ი ფ რ ა ნ გ უ ლ ი ვ ა ლ უ ტ ი თ, რომელიც საქართველოს მთავრობასა და ევროპის ბაზრებს შორის შუამავლად იქნება და რომელიც, შემდეგში, საქართველოს მთავრობას კრედიტს გაუხნის. კაპიტალი ამ ბანკს 30 მილიონი მანეთი ანუ 20 მილიონი ფრანკი ექნება. დაეხმარება ფულით ადგილობრივ ბანკებს და ამნაირად საქართველოში უკვე არსებულ აპარატსაც აამუშავებს. წესდება დამტკიცებული იქნება საქართველოს მთავრობის მიერ. სახელად ამიერკავკასიის ანგლო-ამერიკული სამრეწველო ბანკი ერქმევა.

2) ა ნ გ ლ ო - ა მ ე რ ი კ უ ლ ი ს ა ა ქ ც ი ო ს ო ზ ო გ ა დ ო ე ბ ა, სამი განყოფილებით, ტექნიკური, საეპრო და დამზღვევი, გადაიტანენ როგორც კერძო, ისე მთავრობის საქონელს, სპარსეთიდან, თურქესტანიდან, ჩრდილო-კავკასიიდან და სხვ. იყიდიან ნედლ მასალას და გააყიდიან გამზადებულს, როგორც თავისთვის, ისე მთავრობის, და კერძო პირთა მიწოდებით, და დაზღვევენ ყოველგვარი საქონლის გადატანას. კაპიტალი ექნებათ 50-75 მილიონი მანეთი ანუ 40 მილიონი ფრანკი.

უნდა აწარმოონ:

3) შ ა ვ ი - ქ ე ი ს ს ა ქ მ ე. მათი მიზანია შავი ქვის წვრილი მწარმოებელი ერთ კაფირში შეაერთონ და ერთგვარი სინდიკატი დააარსონ გერმანიისთვის კონკურენციის გასაწევად, იმედი აქვთ, რომ შემდეგში გელზენკირხენის საზოგადოებასაც შეისყიდიან. იმოქმედებენ მთავრობასთან სრული შეთანხმებით. კაპიტალის რაოდენობა ჯერ გარკვეული არაა.

4) ტ ყ ე ე ბ ი ს ს ა ქ მ ე. ესეც მთავრობასთან შეთანხმებით უნდა აწარმოონ. ამ შეთანხმებას კონცესიების ხასიათი უნდა ჰქონდეს. ამ მხრივ განსაკუთრებით აინტერესებთ ბორჯომი, შავი ზღვის სანაპირო და სამეგრელო. შემდეგში ამისთვისაც სააქციო საზოგადოებას გახსნიან. მოლაპარაკება აქვს იტალიელ ჯგუფთან, რომლის წარმომადგენელიც, მოსკოვის კონსული, უთუოდ გაერთიანდება ამ საქმეში. პარალელურად ეცდებიან ისარგებლონ, აგრეთვე, წყლის ენერჯით. ბუნებრივად საქართველოში წყლის ენერჯიამ 600700000 ცხენის ძალას მიაღწია, ხელოვნურად კი ამ ძალის დაახლოებით რამდენჯერმე გამრავლება შეიძლება. გაგზავნილი იქნება ექსპერტები, რათა ადგილზევე გამოარკვიონ ყველა პირობები. შემდეგში იქნება კურორტების ექსპლუატაციასაც მიჰყონ ხელი.

5) მ ი წ ი ს ს ი მ დ ი ღ რ ე. ამის ექსპლუატაციასაც აპირებენ, მაგრამ ამის შემახებ პროექტი ჯერ შედგენილი არა აქვთ.

6) ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი შ ე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ა. უნდათ შექმნან ქარხნები და გამრავლონ მანქანები, რათა ადგილობრივ შეიმუშავონ ნედლი მასალა.



7) თუ მთავრობა ყოველივე ამასი დაეხმარება და ხელს შეუწყობს ფირმებს გადაწყვეტილი აქვთ შემდეგში კრედიტი გაუხსნან მას.

ყველა ამ საქმეში ფირმებს ექნებათ 51%, ადგილობრივ საზოგადოებებს კი 49%. ამ ფირმებს უნდათ იქონიონ დამოკიდებულება არა კერძო პირებთან, არამედ მთავრობასთან, და ყველა თავის საქონელს გადასცემს მთავრობის ორგანიზაციებს. უმთავრესად ეს ფირმები იმით არიან საინტერესონი, რომ ძალიან დიდი ძალა და გავლენა აქვთ ევროპის ქვეყნებში. მათ ჯგუფში შედიან: Barkloy Bank, Cooks and Kg, Firs, Cosmos და სხვადასხვა. რამდენადაც საქართველო სათანადოთ ვერ იცნობენ ევროპაში ისინი იმის წინადადებასაც კი იძლევიან, შესაძლებლობას მოგცემთ სტატიები ბუქლოთ თქვენი ქვეყნის შესახებ ინგლისის და საფრანგეთის გაზეთებშიო. — ახლა, 25-ს, ლონდონში უნდა წავიდე მათთან ხელშეკრულების დასადებად. ამ ხელშეკრულების ძალით ამ ფირმების კავშირში გავერთიანდები, როგორც კომპანიონი, ისე რომ მამინ დელეგაციამ ვინმე ახალი პირი უნდა აირჩიოს იმ მისიის შესასრულებლად, რომელსაც აქამდის მე ვასრულებდი, ე. ი. ჩვენი ფირმების კავშირთან მოსალაპარაკებლად და მის წინაშე საქართველოს ინტერესების დასაცავად, როგორც კი ხელშეკრულებას ხელი მოეწერება, პირველი გემები მამინე წავლენ ფოთში საქონლით, ფირმების უმთავრესი წარმომადგენლები კი აქ ჩამოვლენ, ლონდონიდან, თქვენთან გასაცნობად და მოსალაპარაკებლად, მხოლოდ იმისათვის რომ ხელი მოვაწერო, უნდა ვიცოდე დელეგაციისა და მთავრობის აზრი იმის შესახებ, შესაძლებელია თუ არა ამ ჩვენი პროექტების განხორციელებას შევუდგეთ საქართველოში, ამიტომ გთხოვთ, ეს აზრი გამოთქვათ და მომცეთ შესაფერი ქალაქი, რომელსაც ამ ფირმების წარმომადგენლებს ვაჩვენებ.

ამის შემდეგ ბერიძე სხდომას ტოვებს.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დადგენილია, მიეცეს მას ამგვარი ქალაქი\*. დადგენილია აგრეთვე, მოეთხოვოს ბერიძეს, რომ უსათუოდ მოვიდნენ დელეგაციაში ფირმების უმთავრესი წარმომადგენლები, რათა დელეგაციამ მათ ნიდაგი მოუსინჯოს და გამოარკვიოს, შეიძლება თუ არა მათი გამოყენება იმ მხრივ, რომ მათ მის პოლიტიკური მიზნის განხორციელებას ხელი შეუწყონ, რა შემთხვევაშიც დელეგაცია თანახმა გახდება არსებითადაც განიხილოს მათი საკითხი და არა მარტო პრინციპიალურად, არამედ პრაქტიკულადაც დაუჭიროს მას მხარი.

თავმჯდომარე — ნ. ჩხეიძე  
მდივანი — ც. დემოლონ-წერეთელი

პარიზი 2 ივლისი 1919

\* ოქმების არქივი N 16

24 ივნისის სხდომა

თავმჯდომარე — კ. ჩხეიძე  
 დამსწრენი — ე. ჩერქეზიშვილი  
 ზ. ავალიშვილი  
 ირ. წერეთელი  
 კ. გვარჯალაძე  
 ი. გობეჩია  
 მდივანი — ც. დემოლონ-წერეთელი

კითხვები

I — ინფორმაცია

1. ლეოვთან
2. ბიჩთან<sup>1</sup> საუბარი
3. ამერიკელი სტოკები
4. სიმპსონთან
5. ალბერ ტომას დაპატიყება
6. ასირიელის მოხსენება
7. წვრილი ამბები

II — დადგენილებანი

1. ტომასასთან წასვლა
2. ბიჩის წინადადება
3. მალეტთან მოლაპარაკება
4. წითელი ჯვრის წარმომადგენლობა
5. ახალი დოკუმენტები საქართველოდან

I — ინფორმაცია

1. ირ. წერეთელი. ლეოვთან ვიყავი. ისიც იმავე შეხედულების არის, როგორც ყველა რუსი ნაციონალისტი. წინათ შეიძლება აუცილებელი იყო ის, რაც ქენით, მაგრამ ახლა რუსეთი უნდა აღვადგინოთ და უნდა შემოხვიდეთ შიგო. ავეხსენი, რომ ჩვენთვის ამ გაერთიანებულ რუსეთში შესვლა დანგრევა არის, ჩვენი ხალხი მხოლოდ იმით გადაირჩენს თავს, თუ დამოუკიდებლობა განიმტკიცა ოფიციალურად და თუ გვაიძულებენ, რომ ეს დამოუკიდებლობა რუსეთთან ბრძოლით მოვიპოვოთ, ხალხში სიძულვილი დაიბადება რუსეთისადმი. მან მიპასუხა, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა კი სიძულვილს გამოიწვევს რუსეთის ხალხში. იტყვიან, როცა რუსეთი სუსტი იყო, საქართველომ დაგმო საერთო დამფუძნებელი კრების უფლებები, მის დაუკითხავად რუსეთს გამოეყო და ამით მახვილი ჩასცა მასო. რაკი ამ ფორმალურ ნიადაგზე დადგა, მე გავახსენე, რა პირობებით იყო საქართველო შეერთებული რუსეთთან, რომ ამ შეერთების მთავარი პირობა იყო საქართველოს დაცვა ოსმალეთისაგან, და, რაკი ეს პირობა რუსეთმა ვერ შეასრულა, საქართველო იძულებული იყო თავისი ძალით დაეცვა თავი და ამით რუსეთის ერთეულში დარჩენის ყოველი ვალდებულებისაგან განთავისუფლდა. წინადადება მომცა совещание-ში მივსულიყავი და ოფიციალურად მელაპარაკნა. ეს совещание როგორც იცით, კოლჩაკის წარმომადგენელია. მე, რა თქმა უნ-

<sup>1</sup> ბიჩი (Бычь) — უზბანის მთავრობის თავმჯდომარე, 1917-19 წ. წ.





და იქ მისვლაზე უარი ეუთხარი და დავემატე, რომ ჩვენში სადაველი მდგომარეობაა, ეკონომიური, ფინანსიური და სხვა. მაგრამ ერთი კი მაინც ცხადია, კოლჩაკს და დენიკინს არ მივიღებთ ნებით, თუ შემოვლენ — ეს სისხლით მოხდება და მაშინ ანარქია იქნება.

ძალიან აინტერესებდა გაეგო, ალიები გვიჭერენ თუ არა მხარს. ზოგადად ეუთხარი, რომ ინგლისის ჯარი გედარაჯობს და იმედი მაქვს, რომ გვცნობენ. ერთი ცხადია, ეს წრეები გვცნობენ თუ ალიები უბრძანებენ, უამისოდ კი არაავითარ კომპრომისზე არ წავლენ, ავტონომიაც კი მოგონილი იარაღია.

2) ირ. წერეთელი. შემთხვევით შევხვდი ბიჩს. ულაპარაკნია **совещание**-ს და დემოკრატიის წარმომადგენლებთან, ლეოვთან, კერენსკისთან და სხვ. და გადმომცა თავისი შთაბეჭდილებანი. ხომ იცით რუსეთის გაერთიანებული პარტიები როგორ გვემტერებიან, მათ ჩვენ გამოვეითშეთო. მაგრამ თქვენც, ნაციონალური სახელმწიფოები, არ გაიკარეთ, მაშინ როდესაც სწორედ ერთობა არის საჭირო ჩვენს შორის ახლა, როცა ერთი მხრივ დენიკინი გვიპირებს აკლებას და მეორე მხრივ, შეიძლება მალე საზოგადოთ ევროპაში და კერძოდ, საფრანგეთში მდგომარეობა შეიცვალოს, სხვა მთავრობა დამყარდეს და სხვანაირად შემოგვხედოსო. მომეცით საშუალება მოგელაპარაკოთ კავშირზე თუ არა შეთანხმებით გამოსვლაზე მაინცო. ვკითხე, შეგიძლიათ თუ არა მოკრიფოთ რუსეთის ელემენტებში ისეთი წრე, რომ **совещание**-ს კონკურენცია გაუწიოს, და შეეძლოთ ახალ მთავრობას საფრანგეთში კოლჩაკის ცნობა მოვამლევინოთქო. მან მითხრა, მაქვს იმედიო. რუსეთის რამდენიმე ნაწილი, ყუბანი, ბელორუსია, დონი, რომლებიც ახლა დამოუკიდებლობის ნიადაგზე ვდგავართ, მზადავართ თქვენთან შეთანხმებულად ვიმოქმედოთო. ერთად გამოვიდეთ და გამოვუცხადოთ ახალ მთავრობას, ნუ უყურებენ კოლჩაკს როგორც რუსეთის წარმომადგენელს, რაგანაც თუ მას უკან რუსეთის ელემენტები დგანან, ჩვენს უკან კოდევ მეტი დგას ეს რუსის ელემენტები. თუ მოუსპეს დახმარება კოლჩაკს და ამ **совещание**-ს აღარ გაუწიეს ანგარიში, — ჩვენი საკითხი სხვანაირად დაისმება და გაადვილდება პატარა სახელმწიფოების ცნობა, ჩვენთვის დროებით, თქვენთვის კი სამუდამოდ.

ხვალ მოვა ჩვენთან ბიჩი მოსალაპარაკებლად. ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობას ელოდება **совещание** და დიდი რუსეთის ნაციონალისტური წრეების გამოსვლა. გამოვიყენოთ მათთან საბრძოლველად არა წერილი ერები, არამედ ეს რუსეთის ერთეულებიც, მაშინ გვექნება შანსები, რომ დავამხოთ არა თუ რეაქციული წრეები, არამედ ის ნაციონალისტური დემოკრატიაც, რომელსაც აქ უწევინ ანგარიშს, რუსეთში კი სულ არა აქვს გავლენა. მცირე ერების რჩევაზე შევიტანოთ ეს წინადადება და ისინიც მოვამზადოთ ენერგიული გამოსვლებისათვის სამინისტროს შეცვლის დროს. როცა კლემანსო და პიშონი აღარ იქნებიან, უფრო გაიგონებენ ჩვენს ხმას.

ბიჩმა ისიც თქვა, დენიკინთან ჩვენი დამოკიდებულება ისეთ ხასიათს ღებულობს, რომ ალბათ, იარაღით შეტაკება მოგვიხდებაო, და თუ სხვა საკითხში არა, აქ მაინც შესაძლებელია ჩვენი შეთანხმება. ამ საკითხებზე და ყველა დანარჩენებზე საჭიროა მოვილაპარაკოთ ყუბანის დელეგაციას.

3. ი. გ. ბ. ე. ჩ. ი. ა. განაგრძობს სტოკების ამბავს. — საბინოვი არა მხოლოდ დროზე დანიშნულ ადგილს, ისე რომ საელჩოში ქალაქლების დამტკიცება იმდენად მოვასწარიტ. მერე ბოლოში მოიხადა, თქვენს საქმეებზე დაედიოდით და მიტომ დამავგიანდაო. გამაგზავნეს ამერიკელების ბიუროში, სადაც საქართველოს მთავრობის შესახებ ძალიან ცუდი ცნობები მოსულა, რომელიც მას ჩირქს სცებებო. ეს ცნობები ინგლისელებისგან არის გამოგზავნილი. მაშინ ტოპიბაშვიცი, გაინსკი, საბინოვი და მე წავედით კოლონელ ლაგონთან, რომელსაც ეს საქმე აბაია. მოატანინა ეს ქალაქები, მაგრამ წავეციკითხა მარტო ერთი, რომელშიც წერა, საქართველოს მთავრობა სარგებლობს თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, რკინიგზების პატრონობით და სხვ. და ყოველნაირად ხელს უშლის ამერიკელებს სომხების დახმარებაშიო. თან გვითხრა, ამისთანა ცნობების გამო ძნელია თქვენთან კავშირის დაქერაო. მე აფუხსენი რკინიგზების საქმე, განვუმარტე, რომ მათ შერეული კომისია აწარმოებს. სხვათა შორის გვითხრეს, ბევრი საქონელი ვეაქვს, გემებს ვისტუმრებთ, მოგვეციტ იქ ნავთი, მას დენიკის მივცემთ, სამაგიეროდ პურს გამოვართმევთ და მოგცემთო. ადერბეიჯანელებმა უპასუხეს, გვირეგენია შიმშილიტ მოვეკვდეთ, ვინემ ჩვენი მტერი გავეამარტოთ. ჩვენ გავუმარტეთ, რომ ჩვენ გვინდა კრედიტით და სტოკებით სარგებლობა, და გამოვართვით ია. წუხელ ადერბეიჯანელებთან გვეკონდა კრება, საბინოვიც იყო. გადაწყდა, რომ დღეს, ექვს საათზე, გავიგებთ პასუხს კოლონელ ლაგონისაგან. თუ საქირო გახდა, უნდა მივიდე შუმანთან, რომელიც სულ პირველად ვნახე და რომელსაც თურმე ძალიან დიდი გავლენა აქვს.

სხვათა შორის, გაჩინსკიმ მითხრა, ამბავი მომივიდა, რომ დენიკინის მოქმედების გამო ადერბეიჯანში და საქართველოში დიდი აღელვებაა და ამზადებენ შეიარაღებულ ძალას მის საწინააღმდეგოდ.

4. ზ. ა. ვ. ა. ლ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., რომელიც ეს არის სიმპსონისაგან ბრუნდება, აცნობებს კრებას ოთხ ახალ ამბავს: მალეტი მიიღებს დელეგაციას 26-ს, დილის თერთმეტ საათზე. ინგლისის ჯარი საქართველოდან გავა და მის მაგიერად იტალიელები შევლიან. მალეტის აზრით, რუსეთის საკითხი მალე დაისმება და მისი პირველი ეტაპი — არსებული მთავრობის ცნობა იქნება. საქართველოში, დენიკინისა და მთავრობის შუამავლად იგზავნება ოლივერ უორდროპი.

5. თ. ა. ვ. მ. ჯ. ლ. მ. ა. რ. ე. კითხულობს ალბერ ტომასის წერილს, რომელიც პატივობს დელეგაციის წევრებს თავისთან ამ საღამოს, საპროტესტო დეკლარაციის შესამუშავებლად დენიკინის მიერ საქართველოს წინააღმდეგ მოქმედების გამო, და აგრეთვე რუსეთის საკითხში პოზიციის გამოსარკვევად. ანაირივე დაპატივების წერილი გაუგზავნია მას რუსეთის საზღვრებში მყოფი ერების ყველა წარმომადგენლობისათვის.

6. კ. რ. ე. ბ. ა. ზ. ე. შ. ე. მ. ო. დ. ის. ა. ს. ი. რ. ი. ე. ლ. ე. ბ. ის. წ. ა. რ. მ. ო. მ. ა. დ. გ. ე. ნ. ე. ლ. ი., რომელიც თავმჯდომარესთან ყოფილა და უთხოვია, დელეგაციას მინდა მივმართო. ჩვენი მდგომარეობა აფუხსნა და რჩევა ვთხოვოო. ის მოახსენებს კრებას, რომ მრავალი ასირიელი გადმოხვეწილა სპარსეთიდან და ოსმალეთიდან საქართველოში, სომხეთში, ადერბეიჯანში და სხვ. მარტო საქართველოში 15000-მდე არიან. მათი გაჭირვება აუწერია; მაგალითად, საქართველოში ამე-



რიკელები მხოლოდ 5000-ს აღწევენ 1/2 გირვანქას ჰურს დაბრუნდნენ თავის მიწაზე, მაგრამ ამის წინააღმდეგი არიან ინგლისელები, ამერიკელები, რომლებიც თბილისში ინგლისელებთან ერთად მოქმედებენ, მათ არავითარ მფარველობას არ უწევენ. ასირიელები რუსეთის მოთხოვნით ომში ჩაერთვნენ. ისინი განაგრძობენ ბრძოლას მაშინაც კი, როცა რუსეთის ფრონტი დაინგრა და ამიერკავკასიამ ტრაპიზონდში მოლაპარაკება გამართა. ამის გამო, მათი მშვიდობიანი მცხოვრებლები სულ ამოწყვეტეს ოსმალებმა. ახლა ის თხოულობს რაიმე რჩევას და ინსტრუქციებს საქართველოს დელეგაციისაგან ლტოლვილების საქმის მოსაწყობად. რაც შეეხება მათ პოლიტიკურ მოთხოვნილებებს, ისინი თხოულობენ ტერიტორიას და თავისუფლებას სპარსეთის და ოსმალეთის საზღვრებში.

გადაწყდა, ასირიელებმა წერილობით მიუტანონ დელეგაციას ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ლტოლვილი ჰყავთ და სად იმყოფებიან, და დელეგაცია რამდენადაც ხელს შეუწყობს მათ დაბრუნებას. აგრეთვე დაევალოს ვ. ჩერკეზიშვილს, რომელსაც ამერიკელებთან მისვლა-მოსვლა აქვს, შემწეობა და ხელმძღვანელობა გაუწიოს ასირიელს.

7. ი. გ. ო. ბ. ე. ჩ. ი. ა. ს. მოსვლია წერილი ბელგიიდან, სადაც რამდენიმე ქართული არიან, რომელთაც უნდათ საქართველოსთვის მუშაობა და თხოულობენ დელეგაციისაგან იდეურ და მატერიალურ დახმარებას. იმათ კიდევ მოუხერხებით და დაუბეჭდიათ „Etoile Belge“-ში საქართველოს შესახებ წერილი.

იმავე ი. გ. ო. ბ. ე. ჩ. ი. ა. ს. მოსვლია წერილი ლონდონის ქართულ კომიტეტისაგან. კომიტეტი თხოულობს პასუხს იმ წერილზე, რომლითაც ის ამას წინათ ატყობინებდა დელეგაციას, რომ ისეთ პირად, რომელთანაც დელეგაციას ექნება ურთიერთობა, არჩეულია კ. ჯაყელი.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ს წერილი მოსვლია სტამბოლიდან, გ. რეზილადისაგან, რომელსაც საქართველოში დაბრუნება სურს და ამის შესახებ კიდევ შეუთვლია მთავრობისათვის. იწერება ფულს, რაც დამრჩა, ბაბეს ხელით პარიზში გამოგიგზავნითო. სხვათა შორის იტყობინება, ჩვენი მთავრობა იტალიაში მისიას გზავნისო.

## II — დადგენილებანი

1) თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ი ს წინადადებით ისმება საკითხი, რა უნდა ეთქვას ა. ტომასას. მსჯელობის შემდეგ კრება წყვეტს, რომ დღეს, როცა გერმანიის საკითხზე დასრულდა საუბარი და რუსეთის საკითხზე გადადიან, სასარგებლო იქნება საერთო გამოსვლა საზოგადო აზრის და მთავრობის წინაშე იმგვარი დეკლარაციით, რომელიც ნათელს მოჰფენს რუსეთის მდგომარეობას, ისე საქართველოს თვალსაზრისს, რომ ამ კრიზისის დასაბოლოებლად აუცილებლად საჭიროა პატარა სახელმწიფოების დამოუკიდებლად ცნობა. კრებას სასურველად მიაჩნია, რომ ამგვარ გამოსვლაში მეთაურობა საქართველოს დელეგაციას მიენიჭოს. ამას გარდა გადაწყვეტილია, რომ ერთმა წევრმა დელეგაციისამ გააკეთოს ა. ტომასის მოხსენება დღევანდელ მდგომარეობაზე საქართველოში და იმ ხიფათზე, რომე-



საქართველოს  
პარლამენტის  
საპროტესტო რეზოლუცია

ლიც საქართველოს დენიკინისაგან მოელის, გადაეცეს ა. ტომასას ანტი ამის შესახებ და საერთოდ, შემუშავდეს იქ დენიკინის წინააღმდეგ ტესტო რეზოლუცია.

დადგენილია, რომ იქ წავა თავმჯდომარე და ყველა წევრი, რომელსაც კი ეს შეუძლია.

2) ისმება საკითხი, რა უნდა უპასუხოს დელეგაციამ ბიჩს მის წინადადებაზე. ბრთა გაცულა-გამოცვლის შემდეგ გადაწყდა, რომ საქართველოსთვის ძალიან საარგებლოა, თუ მას ნამდვილმა რუსულმა ელემენტებმა დაუჭირეს მხარი, ერთი ბრივ, დენიკინს წინააღმდეგ და, მეორე მხრივ, დამოუკიდებლობის ცნობაში, რათა ალიებმა დაინახონ, რომ მთელი რუსეთი არ არი საქართველოს ცნობის წინააღმდეგი და კოლჩაკ-დენიკინის მომხრე, რაც მათზე დიდ გავლენას იქონიებს.

დადგინდა, რომ დამზადდეს ასეთ რუსულ ელემენტებთან ერთად ამგვარი საერთო გამოსვლა სასურველ პირობებში.

3) ისმება საკითხი, რა უთხრას დელეგაციამ მალეტს. ირ. წერეთლის აზრით, მას უნდა გაუკეთდეს მოკლე, მაგრამ სრული ინფორმაცია ყველა იმის შესახებ, რაც საქართველოში ხდება, გადაეცეს მიღებული მასალა და ეთხოვოს, რომ ინგლისის მთავრობამ ამას ყურადღება მიაქციოს. ამის გარდა საკითხი დაისვას, რატომ მიდის ინგლისის ჯარი და ხომ ეს ჩვენს ინგლისთან კავშირის შეწყვეტას არ ნიშნავს, რაც ჩვენ სულაც არ გვსურს. წინააღმდეგ, ჩვენ გვსურს მათთან დამოკიდებულება, გვეჭირვება მათი დახმარება ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობაში და სამაგიეროდ მზად ვართ ეკონომიური ეკვივალენტი მივცეთ და თხოვოთ, რომ ახლა მაინც, რაცა გერმანიის საკითხი დასრულდა და რუსეთის ისმება, მოგვეცენ საშუალება ვილაპარაკოთ ინგლისის მთავრობასთან, ინგლისის დელეგაციასთან.

თ ა ვ მ ჯ დ მ ა რ ე დასძენს, რომ ინგლისელები ჩვენ ბევრად ცუდათ გვეპყრობიან, ვიდრე სხვა ერებს ამიერკავკასიაში, ჩვენი კურიერი ერთიც არ გამოგვგეს, უთუოდ ისე გვიყურებენ, როგორც ბოლშევიკებს, მიუღებელია მათთვის ჩვენი მთავრობაც, ჩვენი რეფორმებიც. რომ ყველა ეს, რა თქმა უნდა, მალეტს არ უნდა ვუთხრათ, მაგრამ მასთან ლაპარაკის დროს მხედველობაში ვიქონიოთ.

დადგენილია წავიდენ მალეტთან მოსალაპარაკებლად ზ. ავალიშვილი და ირ. წერეთელი.

4) თ ა ვ მ ჯ დ მ ა რ ე ამცნობს კრებას, რომ მ. თუმანიშვილი თხოვლობს მიეცეს მას მოწმობა, მასზედ რომ ის საქართველოს წითელი ჯვრის წარმომადგენელია, რადგანაც ამ შემთხვევაში შეუძლია მიიღოს ამერიკელებისაგან დიდი რაოდენობით მედიკამენტები, ინსტრუმენტი, ლოგინი, ტანისამოსი, საცვალი და სხვა და სხვა. ყველა ამას მიიღებს უფასოდ, დაჭირდება მხოლოდ ხუთი % გადახდა შუამავლისათვის, ამ საქმის იურისტ-კონსულტანტისთვის, რომელიც ამას მოაწყობს, საკითხავია, მიეცეს თუ არა ასეთი ქალაქი და ვისი სახელით.

დადგენილია, მ. თუმანიშვილს მიეცეს თავმჯდომარის ხელმოწერით მოწმობა, რომ ის არის საქართველოს წითელი ჯვრის წარმომადგენელი X, მაგრამ დაენიშნოს მას ამ საქმეში ხელმძღვანელად ი. გობეჩია.





ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

5) დასასრულ წაიკითხეს თბილისიდან ახლად მოსული დოკუმენტები, რომელიც სწორედ ამ წამს შემოაქვთ ოთახში, — მთავრობის წერილი\*. და ამიერკავკასიის კონფერენციის ორი სხდომის ოქმი\*\*. უკანასკნელი ამბავი, — რომ მთელთა რესპუბლიკა აღარ არსებობს, რადგანაც ის დაუპყრია დენიკინს, რომელიც ახლა ადერბეიჯანს უახლოვდება და საქართველოსაც ემუქრება, და რომელსაც ამკარად ის გეგმა აქვს, რომ ამიერკავკასია დაიპყროს და პარიზის კონფერენცია *fait accompli*-ს წინაშე დააყენოს.

გადაწყვეტილია, რომ ყველა ეს ახალი ცნობა გამოყენებულ იქნას ამაღამ ა. ტომასის და განმეორებით დადგინდა, რომ იქ უსათუოდ შემუშავდეს დენიკინის წინააღმდეგ პროტესტის რეზოლუცია.

დადგენილია აგრეთვე, რომ ეს დოკუმენტი იყოს გამოყენებული მალეტთან მოლაპარაკების დროსაც.

თავმჯდომარე — ნ. ჩხეიძე  
მდივანი — ც. დემოლონ-წერეთელი

პარიზი 2 ივლისი 1919

\* მთავრობის ცნობები. № 322.

\*\* ინფორმაციის არქივი.

გაგრძელება იქნება

## ბუნა ჯუღაძე

### მარტვილის ტაძრის ნაკაწრი წარწერები

ლაპიდარულ წარწერათა ერთი ჯგუფი – ნაკაწრი წარწერები (სამეცნიერო ლიტერატურაში მათ გრაფიტებსაც უწოდებენ) ნაკლებად არის შესწავლილი ქართულ ეპიგრაფიკაში, არადა, ისინი თითქმის ყველა ქართულ ეკლესიაში გვხვდება. დღესდღეობით, როცა უკვე მეტნაკლებად გამოცემულია ქართული ეპიგრაფიკის „პირველხარისხოვანი“ ძეგლები, შესწავლილია მრავალი ფრესკული თუ ქედური წარწერა, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ნაკაწრი წარწერების კვლევის საქმეს, მით უმეტეს, რომ მათი დაკარგვის საშიშროება დიდია. ნაკაწრი წარწერების უმეტესი ნაწილი ხომ ძველ შელესილოსაზეა შესრულებული. ბევრგან ცვივა ბათქაშის ეს ფენა და წარწერებიც ილუპება. პირდაპირ ქვის ზედაპირზე ამოკაწრულ წარწერებს კი ან გაცვეთა, ან კიდევ, შელესილობის ახალი ფენით დაფარვა ემუქრება (განსაკუთრებით, მოქმედ ეკლესიებში)<sup>1</sup>.

ამჯერად განვიხილავთ ნაკაწრ წარწერებს, რომლებიც მარტვილის ტაძრის კარიბჭის კედლებზეა შესრულებული.

VII საუკუნის I ნახევარში აგებული მარტვილის (ძვ. ჰყონდიდის) ეკლესია გვემით მცხეთის ჯვრის ტიპის ტაძრებს განეკუთვნება. X საუკუნეში, აფხაზთა მეფის გიორგი II-ის (922-957) დროს ეკლესია საფუძვლიანად გადააკეთეს: ამოიყვანეს ახალი გუმბათის ყელი და დაუმატეს გარეთა კედლები, რითაც ტაძარმა დაკარგა ჯვრის ფორმა<sup>2</sup>. 996 წელს ეკლესიას დასავლეთიდან ღია ვეგტერი (კარიბჭე) მიამწესეს. ამის შესახებ გვამცნობს საამშენებლო წარწერა, რომელიც თავის დროზე მარი ბროსემ გამოსცა. ეს წარწერა დაილუპა ტაძრის შეკეთებისას, XIX საუკუნის შუა ხანებში<sup>3</sup>.

მარტვილის ტაძრის დასავლეთი კარიბჭის შიდა კედელზე დაკვირვებული თვალი ადვილად შეამჩნევს უამრავ ნაკაწრ წარწერას. მათი დიდი ნაწილი წარწერათა ფენებზე აღრევის, ერთმანეთში გადაჯაჭვისა და დაზიანების გამო აღარ გა-

<sup>1</sup> ნაკაწრი წარწერების შესწავლის საქმეს დიდი ამაგი დასდო ბ-ნმა ვალერი სილოგავამ, რომელმაც მრავალი გრაფიტი გამოამწერა (განსაკუთრებით აღსანიშნავია სვანეთის ეკლესიების 300-ზე მეტი წარწერა). იხ. სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, ეპიგრაფიკული ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და სამეცნიერო-საცნობარო აპარატი დაურთო ვალერი სილოგავამ, თბ., 1988.

<sup>2</sup> Ч у б и н а ш в и л и Г. Н., Памятники типа Джвари, Исследование по истории грузинского искусства, Тб., 1948, გვ. 51-59.

<sup>3</sup> მარტვილის ტაძრის ეპიგრაფიკის შესახებ იხ. ქართული წარწერების კორპუსი, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.), შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვალერი სილოგავამ, თბ., 1980.



ნირჩევა. თუმცა, არის წარწერები, რომელთა ამოკითხვა და გადმოცემა ახლათ ისე, შესაძლებელია. ამჯერად გთავაზობთ მარტივლის ტაძრის წინ მიერ გადმოცემული 13 ნაკაწრი წარწერის აღწერილობასა და მათ ჩვენეულ წაკითხვას<sup>4</sup>.

ნაკაწრი წარწერების მოსათავსებლად, როგორც წესი, ირჩევენ ყველაზე უფრო თვალსაჩინო და ეკლესიაში შემსვლელთათვის ადვილად აღსაქმელ ადგილს<sup>5</sup>. მარტივლის ტაძრის ნაკაწრი წარწერებიც სწორედ ასეთ თვალსაჩინო ადგილასაა ამოკვეთილი. მათი უმრავლესობა განთავსებულია დასავლეთ კარიბჭის აღმოსავლეთ კედელზე, ე. ი. კარიბჭიდან ტაძარში შესასვლელი კარის აქეთიქით, პირვანდელი ტაძრის დასავლეთ აფსიდის (რომელიც ახლა კარიბჭეშია მოქცეული) წახნაგებსა და ნიშის კედლებზე. თუმცა, წარწერები კარიბჭის ჩრდილოეთ კედელზეც დასტურდება. ჩვენ მიერ მოყვანილ წარწერათა უმრავლესობა ქვის ზედაპირზეა ამოკაწრული. როგორც ჩანს, მათი ნაწილი, კარიბჭის კედლების მოხატვის შემდეგ, ერთი პერიოდი, ფრესკების ქვეშ იყო მოქცეული, ნაწილი კი მხოლოდ ბათქაშის ჩამოცვენის ან მისი საგანგებოდ გამოტეხვის შემდეგ არის შესრულებული (კარიბჭის კედლებზე სხვადასხვა პერიოდის ფრესკებია შემორჩენილი, ზოგან — მხოლოდ ფრაგმენტების სახით). გვაქვს შეღესილობაზე ამოკაწრული წარწერებიც. ზოგიერთი მათგანი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ სველ ბათქაშზეა ნაწერი, ზოგი კი უკვე მშრალზეა შესრულებული (№№ 4, 6, 7, 8, 10 და 11). წარწერებს ახლავს მლოცველთა მიერ ამოკაწრული 8 ნახატი (ნახატი გრაფიტი), რომელთაგან 2 ხელის გამოსახულებაა. არის აგრეთვე მამლის (?), დეკორატიულად გაფორმებული ასომთავრული დ-ს, სიცოცხლის ხის (?), კაცის, მთისა (?) და ჯერის გამოსახულებები. ხელის გამოსახულებას ხელისუფლებისა (კელი — მიწისმფლობელობის ეპიგრაფიკული აქტები) და ხელოსნის სიმბოლოების გარდა, როგორც ჩანს, „მლოცველის ხელის“ (ვედრების) დატვირთვაც ჰქონდა<sup>6</sup>.


მარტივლის ტაძრის აღნიშნული წარწერები ძირითადად პილიგრიმული ხასიათისაა — ამოკაწრულია მლოცველთა მიერ. სავედრებელი ლოცვა ზოგჯერ შეწყალების მოკლე და ტრაფარეტული ფორმულით არის წარმოდგენილი („ქრისტე, შეიწყალე გიორგი“, ...), ზოგჯერ კი ტექსტი შედარებით დიდია. ლოცვები ძირითადად ქრისტესადმია მიმართული (№№ 2, 3, 4, 6). არის მიმართვები ღვთისმშობლისადმი (№№ 5, 8, 10), წმინდა პეტრესადმი (№ 9), წმინდა მარტილეზისადმი (№ 7), წმინდა საყდრისადმი (№ 1), არის ასეთი ფორმაც — „ღმერთო და ყოველო წმიდანო“ (№ 12). ორ წარწერაში არ არის მიმართვა, მხოლოდ

<sup>4</sup> გადმოვიღეთ აგრეთვე კარიბჭიდან ტაძარში შესასვლელი კარის მარჯვენა საპირზე, № 5 წარწერის თავზე ამოკაწრული არაბული (თუ ოსმალური) წარწერაც. სპეციალისტების მიერ ამ წარწერის ადგილზე ნახვის გარეშე, მხოლოდ ასლის მიხედვით ქრისტეს სრულად წაკითხვა, ამიტომ მისი გამოქვეყნება ამ ეტაპზე ნაადრევად მივიჩნით.

არ ვაქვეყნებთ აგრეთვე სანათლავის აღმოსავლეთ ფასადზე ამოკვეთილ მხედრულ წარწერას — „ანტონ ჰეონდიდელი ე(პისკოპოსი)“, რომელიც არ განეკუთვნება ნაკაწრ ძეგლებს.

<sup>5</sup> ე. ს. ი. ლ. ო. გ. ა. ვ. ა., ნაკაწრი წარწერები (გრაფიტები), წგნ.: სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, ..., გვ. 172.

<sup>6</sup> ე. ს. ი. ლ. ო. გ. ა. ვ. ა., დასახ. ნაშრომი, გვ. 228-231. ხელის გამოსახულებები სხვაც არის მარტივლის ტაძრის კედლებზე, მაგრამ ცალკე ისინი აღარ გადმოვიღეთ, რადგან წარწერები მათთან არ განირჩეოდა.



მლოცველის საკუთარი სახელი იხსენიება (№№ 11, 13), რაც აგრეთვე საკვლევებელ ლოცვას გულისხმობს.

არც ერთ წარწერას არ უზის თარიღი, არც რომელიმე ისტორიული პირი იხსენიება, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა წარწერის ასაკის განსაზღვრა. ამიტომ ყველა ტექსტი პალეოგრაფიული ნიშნებით არის დათარიღებული. გარდა ამისა, გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ წარწერათა შესრულების ქვედა ქრონოლოგიური ზღვარია კარიბჭის ამენების თარიღი (996 წ.). ამკარაა, რომ მლოცველებმა დასავლეთ აფსიდის წახნაგებზე წარწერების ამოკაწვრა მხოლოდ მას შემდეგ დაიწყეს, რაც ეს ფასადი კარიბჭის კედლებში მოექცა. წარწერათა დასათარიღებლად გარკვეული დახმარების გაწევა შეუძლია კარიბჭის მოხატულობასაც. ზოგჯერ ნათლად ჩანს, რომ წარწერა შესრულებულია მოხატვის შემდეგ (ხანდახან – მოხატვისთანავე), ზოგჯერ კი წარწერა ამკარად წინ უსწრებს ფრესკას. სამწუხაროდ, მარტივის ტაძრის მოხატულობა ჯერ არ გამხდარა სპეციალისტთა საგანგებო კვლევის საგანი<sup>7</sup>, ფენები არ არის ერთმანეთისგან გიმიჯნული და დათარიღებული. ამიტომ ფრესკები ჯერჯერობით ვერ გამოგვადგება წარწერების დასათარიღებლად, შეგვიძლია მხოლოდ ოდნავ შევამაგროთ პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით უკვე განსაზღვრული თარიღი (იხ. №№ 7, 12).

ვიდრე უშუალოდ ტექსტებზე გადავიდოდეთ, ორიოდე სიტყვით შევეხოთ მარტივის ნაკაწრი წარწერების გამოცემის მნიშვნელობას. მართალია, წარწერათა ტექსტები შინაარსის მხრივ მაინცდამაინც არ გამოირჩევა (ეს საერთოდ, პილიგრიმული წარწერების მახასიათებელი ნიშანია და ამ მხრივ გამოწაკლისს არც მარტივის წარწერები წარმოადგენს), მაგრამ, სამაგიეროდ, მათი სახით ხელთაგაქვს ერთი ტაძრის კედლებზე ამოკვეთილი ქართული დამწერლობის ნიმუშები (ასომთავრული, ნუსხური, გარდამავალი მხედრული, მხედრული), რომლებიც ვრცელი ქრონოლოგიური მონაკვეთით განისაზღვრება: XI-XVII სს. აქვეა წარმოდგენილი გარკვეული სიმბოლური დატვირთვის მქონე ნაკაწრი ნახატებიც. ისინი ალბათ ცალკე კვლევის საგანი უნდა გახდეს. ტექსტებში დაცული საკუთარი სახელები (სოლამა, სართან, ათიკონ) საინტერესო მასალაა ქართული ონომასტიკონისათვის. გარდა ამისა, თუ ფრესკების ფრაგმენტები ვერ გამოგვადგა წარწერების დასათარიღებლად, შეიძლება პირიქით, პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით უკვე დათარიღებული წარწერა გამოგვადგეს ფრესკის ასაკის დასადგენად<sup>8</sup>.

<sup>7</sup> ექვთიმე თაყაიშვილის მხოლოდ მოკლე აღწერილობა აქვს მოცემული. იხ. ექ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, კრ. „ძველი საქართველო“. ტფ., 1913-1914, გვ. 118-125; მ. ი. ვ. ე., მარტივის მონასტერი, [თბ.], 1993, გვ. 67-73.

<sup>8</sup> წარწერების მოძიების საქმეში გაწეული დახმარებისათვის დიდ მადლობას მოვასხენებ მარტივის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს ბ-ნ გივი ელიავასა და მარტივის მკვიდრს გიორგი ხარებავას.



## ტექსტები

### 1

#### სოლაჟმას წარწერა [XI ს.]

გარდამავალი მხედრული. 4 სტრიქონი. მდებარეობს პირვანდელი ტაძრის დასავლეთ აფსიდის წახნაგზე, კარიბჭიდან ტაძარში შესასვლელი კარის მარცხნივ, ჩრდილოეთისკენ, იატაკიდან 133 სმ სიმაღლეზე. ამოკაწრულია ღრმად, ოდნავი დახრით, ჩანს გარკვევით, რამოდენიმე ადგილას ამოტეხილია. წარწერა, როგორც ჩანს, ყველაზე ადრეულია მარტვილის ნაკაწრ წარწერათაგან. ზომა: 21,7X7,9 სმ. ასოების სიმაღლე: 0,2-2,6 სმ. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმის ნიშანი: სწორი, განივი ხაზი.

წ(მიღა)ო საჟღარო, შვიწყალე<sup>1</sup> მონაი თჳ(უა)ნი  
სოლაჟმაი, დანიცაჳი ყ(ო)ვლისა<sup>2</sup> სნაჳისა-  
გან. ვინცა ესე წაიკითხოს, ს-  
წყალობს(ე)ცა ესე საჟღარი.

<sup>1</sup> როგორც ჩანს, თავდაპირველად წარწერის შემსრულებელი შვიწყალე-ს დაქარაგმული სახით (შმ) გადმოსცემდა, შემდეგ კი სრული სახით წარმოადგინა. ამაზე მეტყველებს ქარაგმის ნიშანი შმ-ს თავზე, რომელიც სრულიად ზედმეტია ამ შემთხვევაში.

<sup>2</sup> ამ სიტყვაში შ, ვ, და ლ შერწყმული სახით არის გადმოცემული.

### 2

#### სართანის წარწერა [XI-XII სს.]

გარდამავალი მხედრული. 1 სტრიქონი. მდებარეობს № 1 წარწერასთან, მარცხნივ და ზემოთ, იმავე ქვაზე, იატაკიდან 157 სმ სიმაღლეზე. ნაკაწრია ზომიერად, წაგრძელებული ასოებით, კარგად გინირჩევა. ზომა: 17,5X10,8 სმ. ასოების სიმაღლე: 0,7-9,6 სმ. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმის ნიშანი: სწორი, განივი ხაზი.

ჰ(რისტ)ა, შ(ვიწყალ)ე სართან<sup>1</sup>, ა(შმ)ნ.

<sup>1</sup> შდრ. გვარი „სართანია“. სართანები დღესაც ცხოვრობენ მარტვილის რაიონის სხვადასხვა სოფელში.

**მუსტანტის წარწერა [XI-XII სს.]**

ასომთავრული (ტ – გარდამავალი მხედრულით). 1 სტრიქონი. მდებარეობს № 1 წარწერის ქვემოთ, სხვა ქვებზე, იატაკიდან 104 სმ სიმაღლეზე. ნაკაწრია მსუბუქად, მაგრამ ჩანს გარკვევით. მის გარშემო სულ ფრაგმენტული წარწერები და ცალკეული ასოები (ჰმ შ... , ჰმ, ლ, ...). ზოგი მათგანი დაუმთავრებელია, წყდება სავედრებელი ფორმულის დასაწყისშივე, ზოგი კი წარწერათა ერთმანეთში გადაჯაჭვის, ფენებად აღრევისა თუ დაზიანების გამო აღარ განირჩევა. აქვეა უსისტემოდ მიმოხეული ცალკეული ასოები. წარწერის თავზე, იმავე ხელით და ისეთივე კვეთით, კიდურწერტილოვანი ასომთავრულით ამოკაწრულია ასო ლ. ზომა: 7,6X6 სმ. ასოების სიმაღლე 1,5-3,5 სმ. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმის ნიშანი: ტეხილი, განივი ხაზი.

ჰ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე კ(მსტან)ტი.

**ბიორბის წარწერა [XII-XIII სს.]**

ასომთავრული. 1 სტრიქონი. მდებარეობს პირვანდელი ტაძრის დასავლეთ აფსიდის წახნაგზე, კარიბჭიდან ტაძარში შესასვლელი კარის მარჯვნივ, სამხრეთისაკენ, იატაკიდან 157 სმ სიმაღლეზე. კარგად იკითხება, შესრულებულია განიერი და ღრმა კვეთით, დიდი და წაგრძელებული ასოებით. წარწერის ქვემოთ ორი პრიმიტიული გამოსახულება: მარცხნივ – რკალში ჩახატული მლოცველის მარჯვენა ხელის მტევნის (ნატურალური ზომის, ძლიერ დამახინჯებული), მარჯვნივ – მამლის (?). ეს ნაკაწრი ნახატები აღნიშნულ წარწერას უნდა ეკუთვნოდეს, რადგან მახლობლად არ არის სხვა ტექსტი. ეკლესიის კედელზე მოსახსენებლის ამოკაწრა ხშირად გარკვეული შესაწირავის გაღებასთან იყო დაკავშირებული (ვ. სილოგავა, ნაკაწრი წარწერები (გრაფიტები), წგნ.: სვანეთის წერილობითი ძეგლები, II, ..., გვ. 173-176). ჩვენს შემთხვევაშიც, როგორც ჩანს, მლოცველმა მამალი შესწირა ეკლესიას და კედელზე სავედრებელ ლოცვასთან ერთად მამლისა და თავისი ხელის გამოსახულებაც დაიტანა. წარწერის ზომა: 11,7X6,5 სმ. გამოსახულებათა ზომა: ხელის – 17,4X24 სმ, მამლის – 19,9X19,9 სმ. ასოების სიმაღლე: 3,2-5,8 სმ. განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს.

ჰ(რისტ)ე, შ(ეიწყალ)ე ბ(იორბ)ი.

**პაპლუხ ღა შიშიონის წარწერა [XII-XIII სს.]**

ნუსხურნარევი ასომთავრული (II სტრიქონში ო და ფ ნუსხახუცური დამწერლობითაა შესრულებული, შ-ც ნუსხურს წაავას). 2 სტრიქონი. მდებარეობს და-



საეღეთის კარიბჭიდან ტაძარში შესასვლელი კარის მარჯვენა, ~~სამხრეთის~~ რიგზე, იატაკიდან 148 სმ სიმაღლეზე (საპირის სიგანეა 19 სმ). I სტრიქონი და II სტრიქონის დასაწყისი ლამაზად და სუფთად არის ამოკაწრული. დანარჩენი ნაწილის კარგად ამოკვეთას შესაძლოა ხელი შეუშალა იმ ადგილას უკვე არსებულმა პატარა ნაკაწრმა წარწერამ, რომელიც აღარ განირჩევა (II სტრიქონი დასერილია ზედმეტი ხაზებით). მიუხედავად ამისა, წარწერა კარგად განირჩევა. იგი შესრულებულია ლამაზად, ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ადგილას და მცირე ზომების მიუხედავად, ადვილად შეამჩნევს დაკვირვებელი თვალი. ზომა: 9,4X3,5 სმ. ასოების სიმაღლე: 0,3-1,4 სმ, დასაწყისის წ - 2 სმ. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი (ორ ადგილას). ქარაგმის ნიშანი: სწორი, განივი ხაზი (ერთგან ბოლომორკალული) და ბლაგვეუთხა, ფუძით ზემოთ მიმართული სამკუთხედი (ეს უკანასკნელი ამოკაწრისას დამახინჯებული განივი ხაზი უნდა იყოს).

წ<sup>1</sup>(მინდა)ო ლ(მრ)თისმშ(ო)ბ(ე)ლო, შ(მიწხალ)ე კ(ა)კლე  
 ლ(ა) ათიკ(ო)ნ<sup>2</sup> მისი მოწ(ა)ში.

<sup>1</sup> წ მოთავსებულია ორივე სტრიქონში.

<sup>2</sup> ათიკან დაქარაგმებული საკუთარი ხაზები უნდა იყოს, სავარაუდოდ - ათიკონ, ან ათიკან.

## 6

**ასო „ღ“-ს გამოსახულებაში ჩაწერილი წარწერა [XII-XIII სს.]**

ნუსხური: 3 სტრიქონი. პირვანდელი ტაძრის დასავლეთ ფასადის კარის ორივე მხარეს არის ნიშები. წარწერა მდებარეობს ჩრდილოეთისკენ მდებარე ნიშის მარჯვენა, სამხრეთის კედელზე, იატაკიდან 153 სმ სიმაღლეზე. ნაკაწრია ზომიერად, კარგად იკითხება. ტექსტი ჩაწერილია 5,5 სმ დიამეტრის წრეში, რომელსაც კმნის კიდურწერტილოვანი ასომთავრული ღ-ს მუცელი (ორი ასო - წ და ი წრის გარეთ არის მოთავსებული). ასო ღ ღრმად არის ამოკაწრული. წრეწირი ფარგლით უნდა იყოს შემოხაზული, მის ცენტრში ღრმა წერტილი განირჩევა. ღ-ს გამოსახულებას ქვემოთ აქვს სადგარი, რომელსაც კმნის ორი ბოლომსხვილი, მოკაუჭებული ფეხი. როგორც ჩანს, ამ სადგარს დეკორაციული დანიშნულება აქვს მხოლოდ (ასეთი კომბინაცია - ღ-ს გამოსახულებაში ჩაწერილი ტექსტი - ოღონდ მცირე ზომის, კარიბჭის ჩრდილოეთ კედელზეც დასტურდება. იგი ერთხანს შეღესილობით ყოფილა დაფარული. წრეში ჩაწერილი წარწერა, სამწუხაროდ, ძლიერ დაზიანებულია). ზომა: 8X7 სმ. ასოების სიმაღლე: 0,4-2,6 სმ, ღ - 7 სმ. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმის ნიშანი: სწორი, განივი ხაზი (წარწერის შემსრულებელს მეტი სიმკვეთრისათვის ორჯერ გაუვლია ქარაგმის ხაზი).

მ(რისტ)ე ლ(ა)<sup>1</sup>  
 წ(მიღა)ი ან-  
 ტიკა<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ასო ღ, რომელშიც ჩაწერილია ტექსტი, შეიძლება სწორედ „ღა“ კავშირს გამოხატავდეს სიმბოლურად.

<sup>2</sup> როგორც ჩანს, მლოცველი ქრისტეს და თავის მოსახელე წმინდანს — წმ. ანტონას ეველებს შეწყალებას.

7

ღუჭუმბუხის წარწერა [XIII-XIV სს.]

მხედრული (ზოგიერთი ასო გარდამავალი მხედრულით არის შესრულებული). 4 სტრიქონი. მდებარეობს დასავლეთ კარიბჭის ჩრდილოეთ კედელზე, სანათლაგში გამავალი თაღის (რომელიც ახლა ამოქოლილია) მარჯვენა მხარეს, იატაკიდან 111 სმ სიმაღლეზე (იგი ერთ-ერთი ყველაზე დაბლა მდებარე წარწერაა). ქვემოთ ორი პრიმიტიული ნახატი — მამაკაცის (მლოცველის?) თავი და მხრები წინხედში და წვრილი, წაწვეტებული, სამკუთხედის ფორმის გაურკვეველი გამოსახულება (მთა?), რომელიც მრავალი წვრილი ხაზით არის დამტრიხული. გამოსახულებები და წარწერის ძირითადი ნაწილი ზომიერი კვეთით არის შესრულებული და კარგად იკითხება. III სტრიქონში, რამოდენიმე ასოს შემდეგ, მსუბუქად ნაკაწრი ტექსტია. იგი ძნელად განიხივება, განსაკუთრებით, მისი დასაწყისი. ეს ტექსტი, როგორც ჩანს, წარწერის ძირითადი ნაწილისა და გამოსახულებათა ამოკაწრის შემდეგ არის შესრულებული. ამაზე მეტყველებს შემდეგი გარემოებები: ა) ტექსტები სხვადასხვა კვეთით არის ამოკაწრული. განსხვავება აშკარაა, მეორე კვეთა გაცილებით მსუბუქია; ბ) წარწერის III სტრიქონის სიტყვა წყდება წვეტიან გამოსახულებასთან, გამოსახულების შემდეგ კი ისევ გრძელდება. ცხადია, ამ სტრიქონის ამოკაწრისას ნახატი (და შესაბამისად, წარწერის ძირითადი ნაწილი) უკვე არსებობდა; გ) ეს ორი ტექსტი სხვადასხვა ხელით არის ნაკაწრი; დ) მეორე ტექსტში იგივე ფორმულაა გამეორებული.

წარწერის შესასრულებლად ფრესკა („ორნამენტული დეკორაციული ფარდა“) საგანგებოდ არის ამოტეხილი. აშკარაა, რომ წარწერა ვერ იქნება ფრესკაზე ძველი, ამიტომ წარწერის დათარიღება ფრესკის დასათარიღებლად გამოდგება. წარწერის შესრულების დრო კი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით XIII-XIV საუკუნეებით განისაზღვრება. აქედან გამომდინარე, ეს თარიღი ზედა ზღვარია აღნიშნული ფრესკისათვის (და საერთოდ, მოხატულობის ამ ფენისათვის). თავის მხრივ, მოხატულობის თარიღის პირობითად მაინც განსაზღვრამ შეიძლება გარკვეულწილად შეამაგროს პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით უკვე დადგენილი წარწერის თარიღი (მისი ქვედა ზღვარი მაინც). ფრესკები მარტივის ტაძარში სხვადასხვა პერიოდისაა, „ეკლესია ოთხჯერ მაინც არის მოხატული“ (ექ. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობიდან სამეგრელოში, კრ. „ძველი საქართველო“, ტფ., 1913-1914, გვ. 118; მისივე, მარტივის მონასტერი, [თბ.], 1993, გვ. 67). ყველაზე ახალი ფენა XVII-XVIII საუკუნეებისაა. ჩვენი ფრესკა აშკარად განსხვავდება ერთი მხრივ, იქვე, კარიბჭის ჩრდილოეთ კედელზე დაცული ძველი მოხატულობისაგან (სამი უცნობი ისტორიული პირის ფრესკა), რომელიც ალბათ კარიბჭის ფრესკებიდან ყველაზე ადრეულია (დაახლ. X-XI სს.),





ბოლო მეორე მხრივ, XIV-XVI საუკუნეების საშუალო ფენისაგან (ნ. წარწერა № 12). როგორც ჩანს, ჩვენთვის საინტერესო მხატვრობა ქრონოლოგიურად მიეკუთვნება (XII-XIII სს.). აღნიშნული საუკუნეები ქვედა ზღვარია ჩვენი წარწერისათვის, რაც კარგად ეთანადება პალეოგრაფიული ნიშნებით განსაზღვრულ თარიღს (XIII-XIV სს.). ზომა: 36X7,8 სმ. გამოსახულებათა ზომა: კაცის — 5,1X4,6 სმ, „სამკუთხედის“ — 2,3X5,2 სმ. ასოების სიმაღლე: 0,3-2 სმ, მ — 3,7 და 3,3. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი (I და II სტრიქონში, თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ). ქარაგმის ნიშნები არ ახლავს (ეს იმიტომ, რომ თითქმის ყველა სიტყვა სრულად არის დაწერილი).

მ წმიდამო გარტ(ვ)ილნო, შვიწყალე ამისი ღაფჳერი  
 ლ(ეონტი)<sup>1</sup>(?) და ვინ წაიკითხოს, შუ(ნ)ღვე<sup>2</sup> ღმერთმა ცოდვ-  
 {მ}<sup>3</sup> {ვ}<sup>4</sup> ანი<sup>5</sup>. სალინა(?) წაიკით(ხ)ოს, აგასა შუ(ნ) {ვ}ღვენ<sup>6</sup> შიკოღვაანი  
 ღმ-ერთთან<sup>7</sup>.

<sup>1</sup> ლ(ეონტი) (?)

<sup>2</sup> წრწ.: შიონღვე.

<sup>3</sup> აქ მ I სტრიქონის წაბამვით არის დასმული, ალბათ დეკორაციის მიზნით.

<sup>4</sup> წინა სტრიქონის დასასრულს მთავრდება ქვის ზედაპირი და წარწერის შემსრულებელმა ვეღარ მიიყვანა ბოლომდე მ-ს ამოკვეთა (შდრ. სხვა მ-ები), ამიტომ III სტრიქონის დასაწყისში, როგორც ჩანს, კვლავ გაიმეორა მ, შემდეგ რაღაც ასო ამოკვეთა, რომელიც ალბათ გადაშალა და მერე თავზე ა დაწერა.

<sup>5</sup> ამის შემდეგ ტექსტი სხვა ხელით არის ამოკაწრული. სხვაგვარად გაუგებარია ერთი და იმავე აზრის ორჯერ გამეორება ერთი წარწერის ტექსტში. დასაწყისში, გაუმიფრავ ადგილას, შეიძლება საკუთარი სახელი ვიგულისხმოთ.

<sup>6</sup> წრწ.: შიონღვენ.

<sup>7</sup> ღმ-ს შემდეგ სხვა ასოები არ დაეტია, ბათქამი კი აღარ გამოუტყავს წარწერის შემსრულებელს.

## 8

## ბასილის I წარწერა [XIV ს.]

მხედრული. 3 სტრიქონი. მდებარეობს № 6 წარწერასთან, იატაკიდან 150 სმ სიმაღლეზე. ტექსტისა და გამოსახულების განლაგებაზე აშკარად ეტყობა, რომ დაწერილია № 6 წარწერის შესრულების შემდეგ. ნაკაწრია მსუბუქად, ძნელად განირჩევა (განსაკუთრებით, ბოლო ორი სიტყვა — ბასილი და ელია). აქვეა რაღაც გამოსახულება („სიცოცხლის ხე“?), რომელიც ალბათ ამ წარწერას ეკუთვნის, რადგან წარწერაც და გამოსახულებაც ერთნაირი კაწვრით არის შესრულებული. წარწერის ზემოთ, რამოდენიმე ადგილას, ამოკაწრულია ასომთავრული ლ, ხან პატარა, უბრალო წრე (0). წარწერის ზომა: 12X10,2 სმ. გამოსახულების ზომა: 6X14 სმ. ასოების სიმაღლე: 0,4-3 სმ. განკვეთილობის ნიშ-

ნები არ ახლავს. ქარაგმის ნიშანი: სწორი, გრძელი განივი ხაზი.

დედაო ლ(მრთი)საო, შ(ეიფხალ)ე შინი  
 მონაი ბასილი  
 ელია<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ბასილი ელია(ვა)? გავიხსენოთ, რომ მეგრულ საუბარში „ვა“-ზე დაბოლოებული გვარები იკვებება: გვაზა - გვაზა, ხარბა - ხარბა, ცაა - ცაა...

9

ბასილის II წარწერა [XIV ს.]

მხედრული. 3 სტრიქონი. მდებარეობს № 1 წარწერის მარცხნივ, იმავე ქვაზე, იატაკიდან 143 სმ სიმაღლეზე. ნაკაწრია მსუბუქად, ძნელად განირჩევა. როგორც ჩანს, № 8 და № 9 წარწერები ერთი და იგივე ხელით არის შესრულებული. განსაკუთრებით თვალშისაცემია ის ფაქტი, რომ საკუთარი სახელი ბასილი სრულიად იდენტური ფორმით არის დაწერილი. თანაც, ეს წარწერები ახლოსაა ერთმანეთთან, იატაკის დონიდანაც თითქმის ერთ სიმაღლეზეა (უბრალოდ, სხვადასხვა წახნაგზეა ამოკაწრული). ბასილი ერთ წარწერაში ღვთისმშობელს ევედრება შეწყალებას, მეორეში — წმ. პეტრეს. ტექსტის ქვემოთ არის სხვა წარწერის დასაწყისი. განირჩევა მხოლოდ ნუსხური მ (სიმაღლე — 3,7 სმ). ეს წარწერა ან გადაშლილია, ან აღარ გაუგრძელებიათ. ზომა: 20X8,5. ასოების სიმაღლე: 0,4-2,8 სმ. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმის ნიშანი: სწორი, მოგრძო განივი ხაზი.

ფ(მიდა)ნო კებრე<sup>1</sup>, შ(ეიფხალ)ე<sup>2</sup> ბასილი და ვინც  
 წაიკით(ხ)ოს, აკურთხემო [...]<sup>3</sup> თა[ნ](?)  
 მის დაშლოცოსო.

<sup>1</sup> ქარაგმის ნიშანი კებრე-ს თავზე სრულიად ზედმეტია.

<sup>2</sup> დაქარაგმებულ შმ-სთან ზის გაურკვეველი ნიშანი, რომელიც ამკარად ზედმეტია. შესაძლოა, მოლოცვლა დაიწყო ასო ბ-ს ამოკაწრა, მაგრამ ადგილის სიმციროს გამო შეწყვიტა და ცოტა გვერდით ამოკვეთა.

<sup>3</sup> აქ ტექსტი არ განირჩევა

10

ბიორგის წარწერა [XIV-XV სს.]

მდებარეობს № 1 წარწერის თავზე, იატაკიდან 143 სმ სიმაღლეზე. კარგად იკითხება, ამოკაწრულია ღრმა კვეთით, დიდი და ლამაზი ასოებით (იგი ერთ-ერთი თვალსაჩინო წარწერაა). ალაგ-ალაგ კედელი ამოტეხილია. დასაწყისში მოთავსებულია ჭრის გამოსახლება, რომლის მკლავებს შორის არეში წერტილ-



ბია დასმული. გამოსახულებას ახლავს განმარტებითი წარწერა. **წარწერა:**  
**ა. ჯვრის განმარტებითი წარწერა.**

ასომთავრული. 1 სტრიქონი. წარწერის ზომა: 11X3,3 სმ. ჯვრის გამოსახულების ზომა: 2,5X6,8 სმ. ასოების სიმაღლე: 0,8-2,2 სმ. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმის ნიშანი: სწორი, განივი ხაზი.

ჯ<sup>1</sup>(შარ)ი ძ(რისტი)ანი.

<sup>1</sup>ჯ-ს უჩვეულოდ დიდი ფეხი ამოკაწერის ტექნიკის თავისებურებით უნდა იყოს გამოწვეული. როგორც ჩანს, მლოცველმა ამოკაწერისას ზომაზე მეტი ძალა დაატანა საჭრელ იარაღს და ველარ შეაჩერა იგი სასურველ ადგილას.

**ბ. გიორგის სვედრებელი ლოცვა.**

ასომთავრული. 2 სტრიქონი. ზომა: 20X10,5 სმ. ასოების სიმაღლე: 1,4-4,6 სმ. განკვეთილობის ნიშნები არ ახლავს. ქარაგმის ნიშანი: სწორი, განივი ხაზი და კლაკნილი, განივი ხაზი.

დ(ე)დ(ა)ი ძ(რისტი)ს(ა)ი, შმმ(ი)წ(ა)ლე მმ  
 გლ(ა)ს(ა)კი ს(ული)თა გ(იორბ)ი. [ჯ]<sup>1</sup>

<sup>1</sup> წარწერის შემსრულებელს დაუწყია ჯ-ს ამოკვეთა, მაგრამ აღარ დაუმთავრებია. იგი ან გიორგის გვარის პირველი ასოა (თუმცა, ეს საეჭვოა, რადგან ჯ ოდნავ დაცილებულია წარწერის ტექსტს), ან ახალი ტექსტის დასაწყისი (კვლავ „ჯუარი ქრისტესი“ ან რაიმე ამგვარი).

### სპიობის დეკანოზის წარწერა [XV ს.]

მხედრული. 1 სტრიქონი. მდებარეობს № 2 წარწერის გაგრძელებაზე, იმავე ქვაზე (ხელის გამოსახულება გადასულია ზემოთა ქვაზე), იატაკიდან 162 სმ სიმაღლეზე. ნაკაწრია ზომიერად, კარგად განირჩევა. წარწერის ზემოთ გამოსახულია ნატურალური ზომის მარცხენა ხელის მტევანი. ცალკე გამოყოფილია მხოლოდ ცერა თითი, დანარჩენი ოთხი თითი ერთიანად არის შემოხაზული, რაც ხელთათმანის ასოციაციას იწვევს. ტექსტი წყდება მოულოდნელად. შესაძლოა წარწერა გადადიოდა ფრესკაზე და დროთა განმავლობაში ბათქაში ჩამოცვივდა. ტექსტის გაყოლებაზე მართლაც არის ძველი ფრესკის ფრაგმენტი, რომელიც წარწერის მხარეს ჩამოცვივნილია (თუმცა, შესაძლებელია ისიც, რომ წარწერის შემსრულებელმა უბრალოდ აღარ გაავრძელა ტექსტის ამოკვეთა). წარწერები ფრესკის ფრაგმენტებზე სხვაც არის მარტივად ტაძრის კარიბჭის კედლებზე. ისინი მასალის (ბათქაშის) სპეციფიურობის გამო ცუდად არის ამოკაწრული და ძნელად განირჩევა. წარწერის ზომა: 12,8X4,9 სმ. გამოსახულების ზომა: 16X21 სმ. ასოების სიმაღლე: 0,5-2,8 სმ. განკვეთილობის ნიშანი: ორწერტილი (ყოველი

სიტყვის შემდეგ). ქარაგმის ნიშნები არ ახლავს.

სვიმონ<sup>1</sup> დეკანოზის<sup>2</sup> გ[...]<sup>3</sup>

<sup>1</sup> აქ მ და ი ალბათ შერწყმულია ერთმანეთს. შეიძლება ასეთი წაკითხვა: სმ(ი)მონ.

<sup>2</sup> „სვიმონ დეკანოზი“ მარტილის ტაძრის სიძველეთა აღწერილობაში არსად არ გვხვდება (იხ. ექ. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ.).

<sup>3</sup> გ[ლახაკი სული...](?).

12

წარწერის დასაწყისი [XV-XVI სს.]

ნუსხურნარევი ასომთავრული (მ და ლ ნუსხახუცური დამწერლობითაა შესრულებული). 1 სტრიქონი. შესრულებულია პირვანდელი ტაძრის დასავლეთ ფასადის ჩრდილოეთისკენ მდებარე ნიშის ჩრდილოეთ კედელზე, რომელიც კარიბჭის მიწველების შემდეგ ამ კარიბჭის ჩრდილოეთ კედლის გაგრძელებად აღიქმება. იგი ერთ-ერთი ყველაზე მაღლა მდებარე წარწერაა, ამოკვეთილია იატაკიდან 181 სმ სიმაღლეზე, ღრმად, ლამაზი ასოებით, ფრესკის ფრაგმენტზე, მაგრამ საწერი მასალის (ბათქაშის) სპეციფიურობის გამო წარწერა დაზიანებულია, მას შელესილობის ისედაც უსწორმასწორო და დახეთქილ ზედაპირზე ძნელად თუ შეამჩნევს კაცი. ალაგ-ალაგ ბათქაში ამოტეხილია. ჩამოცვენილია ფრესკის ქვემო ნაწილი, რის გამოც დაზიანებულია ზოგიერთი ასოს დაბოლოება და წარწერის გაგრძელება. ჩამოცვენილი ადგილიდან კედლის ბოლომდე კიდევ არის დარჩენილი წარწერის ოდენა მანძილი. ზომა: 30,5X5,2 სმ. ასოების სიმაღლე: 0,7-3,6 სმ. განკვეთილობის ნიშანი: სამწერტილი (თითქმის ყოველი სიტყვის შემდეგ). ქარაგმის ნიშანი: კლაკნილი, განივი ხაზი.

წარწერა თარიღდება პალეოგრაფიული ნიშნებით. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ იგი ვერ იქნება ფრესკაზე ძველი. სამწუხაროდ, ფრესკის ფრაგმენტი, რომელზედაც აღნიშნული წარწერაა ამოკვეთილი, არ იძლევა საშუალებას პირობითად მაინც განესაზღვროთ მისი ასაკი, მასზე არ განირჩევა რაიმე გამოსახულება, უნდა ვიმსჯელოთ მხოლოდ მის აქეთ-იქით მდებარე ფრესკებით, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო მოხატულობის თანადროულია. ეს ფრესკები არ უნდა იყოს ადრეული მხატვრობა. შეიძლება მათი შედარება იქვე, კარიბჭის ჩრდილოეთ კედელზე დაცულ ძველ მხატვრობასთან. ამასთან, არც ბოლო პერიოდის (XVII-XVIII სს.) მხატვრობას წააგავს. ამ პერიოდის ფრესკები (კაცია ჩიქოვანისა და მისი ოჯახის წევრების გამოსახულებები) აშკარად განსხვავებულია მათგან. როგორც ჩანს, ჩვენი ფრაგმენტი და შესაბამისად, მახლობელი ფრესკები საშუალო ფენას (XIV-XV-XVI სს.) განეკუთვნება<sup>1</sup>. აქედან გამომდინარე, ჩვენი წარწერა ვერ იქნება ადრეული. ამ დასკვნას მხარს უჭერს წარწერის პალეოგრაფიული ნიშნებიც.





ლ(მართ)ო და ყოვ(ე)ლო წ(მ)იღ(ა)ნო, ღა[...]<sup>1</sup>

<sup>1</sup> ღა[იხვე](?), ღა[იზარა](?). ასეთ წაკითხვას ცოტა საეჭვოს ხდის ქარაგმის ნიშანი ღა-ს თავზე

## 13

**ბაგის წარწერა [XVI-XVII სს.]**

ნუსხური. 1 სტრიქონი. მდებარეობს № 9 წარწერის ქვემოთ, იატაკიდან 143 სმ სიმაღლეზე. ამოკაწრულია ერთი სიტყვა – მამაკაცის საკუთარი სახელი. წარწერა მინიატურულია, შესრულებულია მსუბუქად. ზომა: 1,2X0,9 სმ. ასოების სიმაღლე: 0,3-0,6 სმ. განკვეთილობისა და ქარაგმის ნიშნები არ ახლავს.

ბაგ<sup>1</sup>

<sup>1</sup> შდრ. დადიანთა სამთავრო სახლის წარმომადგენელთა შორის ფრიად გავრცელებული საკუთარი სახელი „აკია“.




რ ხედავს ყოველ ათ წელს ერთი  
საათში და მისი უკეთესი ხეობა  
დახარისხებულია და იქნება  
სადაც უნდა სწავლებას

წარწერა № 1

წიგნების კაბა

წარწერა № 2



წარწერა № 3




წარწერა № 4









Handwritten text at the top right, possibly a title or reference number.




წარწერა № 7



წარწერა № 9 და № 13



წარწერა № 10



სა-ნ : მსგის : ე



ქართული  
ზიგლიოთეკა

ს  
მამ: ბუბა კუდავა  
მამ: ბუბა კუდავა

წარწერა № 12

Б. КУДАВА

## ГРАФФИТИ ИЗ МАРТВИЛЬСКОГО ХРАМА

Резюме

В статье обсуждается группа до сих пор не изученных в научной литературе высеченных надписей (граффити) из Мартвильского храма. Мартвильский храм, построенный в первой половине VII века, был основательно переделан в X веке. В 996 году с западной стороны к нему был пристроен притвор. Именно на восточной стене этого притвора, т. е. на западных гранях и стенах ниши храма и расположены высеченные надписи. Автором предложены иллюстрации, описания и прочтение тринадцати из них.

Большинство надписей высечены на камне, хотя есть и надписи, выполненные на штукатурке. Некоторые из текстов сопровождаются рисунками, высеченными самими молещиками. Упомянутые надписи из Мартвильского храма носят в основном пилигримский характер. Ни одна из надписей не снабжена датой, так что датировка всех текстов выполнена по палеографическим признакам. По мнению автора, высечение надписей началось не ранее 996 года – когда был пристроен притвор. При датировке учитывается взаиморасположение различных хронологических слоев росписи притвора. Выясняется, что общая хронология выполнения граффити из Мартвильского храма определяется XI-XVII веками.

წარმოადგინა ივ ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნი-  
ვერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრამ



ნაშრომები

რას შიშობავთ ბონისტიკა

ბონისტიკა (ფრანგ. bonistique) წარმოდგა ლათინური სიტყვიდან bonus, რაც კარგს, მოხერხებულს ნიშნავდა. ბონისტიკა ისტორიის მეცნიერების ერთ-ერთი დარგია, რომელიც ჩვენი საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბდა. იგი შეისწავლის მიმოქცევიდან ამოღებულ ქალაქის ფულსა და ბონებს, როგორც ისტორიის ობიექტურ დოკუმენტებს.

ტერმინ „ბონისტიკის“ შესატყვის ქართულ ტერმინად შეგვიძლია მივიჩნიოთ „ქალაქის საფასთმცოდნეობა“. რაც შეეხება ნუმისმატიკას, რომლის წიაღშიც ჩამოყალიბდა ბონისტიკა, როგორც სპეციალური საისტორიო დისციპლინა, მის ექვივალენტურ ქართულ ტერმინად შეიძლება ჩაითვალოს „ლითონის საფასთმცოდნეობა“.

ბონი ეწოდება სახელმწიფო ხაზინის, მუნიციპალური ორგანოების, ცალკეული ფორმებისა და გაერთიანება-დაწესებულებათა მიერ გამოშვებულ მოკლევადიან სავალო ვალდებულებას. იგი შეიძლება იყოს მონეტის სურგატიც (შემცველი), გამოიყენება აგრეთვე მცირე საფოსტო გზავნილების გასაფორმებლად (საფოსტო ბონები). საფრანგეთში ტერმინი „ბონი“ გამოიყენება სხვადასხვა სახის საკრედიტო დოკუმენტთა – ხაზინის მოკლევადიანი ვალდებულებების („ბონ დე ტრეზორ“), საბანკო თუ საფოსტო ჩეკებისა და სხვა საბუთების აღსანიშნავად. ბონი ბრუნვიდან გამოსულ ქალაქის ფულის ნიშანსაც ეწოდება<sup>1</sup>.

ქალაქის ფული წარმოადგენს ღირებულების ნომინალურ ნიშანს, რომელსაც სახელმწიფოს ხელისუფლება თავისი ხარჯის დასაფარავად უშვებს მიმოქცევაში<sup>2</sup>.

არსებობს ცნობა, რომ ქალაქის ფულის ტრადიციას საფუძველი ჩაეყარა ცამეტნახევარი საუკუნის წინ, ქალაქის სამშობლოში – ჩინეთში<sup>3</sup>. მეორე ცნობის თანახმად, ეს მოხდა XVIII საუკუნის დასაწყისში<sup>4</sup>, ხოლო მესამე ცნობის მიხედვით IX საუკუნეში<sup>5</sup>.

1294 წელს ქალაქის ფულის გამოშვება სცადეს ილხანთა ირანში, ხოლო 1337 წელს იაპონიაში<sup>6</sup>.

ქალაქის ფულადი ნიშნები, მონეტების მსგავსად, სახელმწიფო დოკუმენტებია. ბრუნვაში გამოშვებისას ემიტენტი (ემისიის განმახორციელებელი) მათში ერთგვარად თავის იდეოლოგიასაც გამოხატავს ემბლემების, დევიზების, ტექსტე-

<sup>1</sup> Бонь, БСЭ, т. 3, Москва, 1970, гл. 558-559.

<sup>2</sup> Х. Фенглер, Г. Гироу, В. Унгер, Словарь Нумизмата, Москва, 1982, гл. 30.

<sup>3</sup> Р. Иожеф, История денег, Будапешт, 1968, гл. 42.

<sup>4</sup> И. Т. Малкин, История бумаги, Москва, 1940, гл. 28.

<sup>5</sup> А. И. Малышев, В. И. Таранков, И. Н. Смиранный, Бумажные денежные знаки России и СССР, Москва, 1991, гл. 149.

<sup>6</sup> Р. Иожеф, დასახ. ნაშრომი გვ. 45.





აღნიშნულ საქმეში გამორჩეული ღვაწლი მიუძღვის აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილს. აქ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ მისი კაპიტალური ნაშრომები: „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ (თბ., 1925), „ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმისმატიკა-მეტროლოგია“ (თბ., 1925), „ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“ (თბ., 1926).

დამხმარე საისტორიო დარგებიდან ჩვენში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ნუმისმატიკას. ქართული ნუმისმატიკის პრობლემების შესახებ მრავალი გამოკვლევა არსებობს, მაგრამ ქართული ბონისტიკის საკითხები დღემდე არ იყო მონოგრაფიულად შესწავლილი და ჩვენი ისტორიოგრაფიის თეთრ ლაქად რჩებოდა, არადა არსებობს ქართული ქალაქის ფულადი ნიშნებისა და ბონების გარკვეული ტრადიცია, რომელიც 1918 წლიდან იღებს სათავეს<sup>16-17</sup>.

ხსენებული პრობლემით დაინტერესებული იყო ცნობილი ინგლისელი ქართველოლოგი დევიდ მარშალ ლენგი (1924-1990), რომელსაც გამოქვეყნებული ჰქონდა მცირე ზომის სტატია 1918-1924 წლების ქართული ბონების შესახებ<sup>18</sup>. ეს გამოკვლევა, თვით ავტორის თქმით, „შორს არის სრულყოფილებისაგან“<sup>19</sup>.

უცხოელ მკვლევართა ნაშრომებში ქართული ბონები რუსეთის იმპერიისა და სსრ კავშირის ტერიტორიაზე გამოშვებულ ქალაქის ფულის ნიშნებთან ერთად მოიხსენიებოდა და არავის უცდია მათი ცალკე გამოყოფა-შესწავლა. ასეთ ნაშრომთა შორისაა ფ. ჩუჩინის<sup>20</sup>, კ. დენისისა<sup>21</sup> და ნ. კარდაკოვის<sup>22</sup> წიგნები.

აღსანიშნავია, რომ ხსენებული ხარვეზით ხასიათდება თვით ქართველი კოლექციონერის ვ. კაციტაძის მომცრო ბროშურაც<sup>23</sup>.

უკანასკნელ დრომდე, ქართველ ისტორიკოსთაგან არავინ არ დაინტერესებულა ქართული ბონისტიკის საკითხების შესწავლით.

ჩვენს ისტორიოგრაფიაში თავისუფალი აზროვნების დამკვიდრებამ დღის წესრიგში დააყენა საქართველოს ისტორიის მიჩქმალული საკითხების დეტალური შესწავლის საჭიროება. ამ საკითხებს შორის თავისი ადგილი აქვს ქართული ქალაქის ფულის ნიშნებისა თუ ბონების ისტორიასაც, ვინაიდან აკად. ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „არც ერთი ქვეყნის წარსული ეკონომიური ცხოვრების სურათის აღდგენა არ შეიძლება, თუ ფულისა და საზომების შესახებ უტყუარი ცნობები ხელთ არ გვექნება. სხვა არა იყოს რა, ისეთი ძირითადი საკითხის შესწავლა, როგორცაა საქონელზე ფასების მოძრაობა, უამისოდ სრულიად შეუძლებელია“.

<sup>16</sup> ნ. ჯავახიშვილი, მასალები ქართული ბონისტიკის ისტორიისათვის, ნაწილი I, ფურნ. „არტანუჯი“, თბ., 1994, № 2-3.

<sup>17</sup> ნ. ჯავახიშვილი მასალები ქართული ბონისტიკის ისტორიისათვის, ნაწილი II, ფურნ. „არტანუჯი“, თბ., 1995, № 4.

<sup>18</sup> Lang D. M., War Medals and Paper-Money of Georgia in Transcaucasia (1915-24), The American Numismatic Society Museum Notes VII, The American Numismatic Society, New York, 1957.

<sup>19</sup> Lang D.M. დასახ. ნაშრომი, გვ. 249.

<sup>20</sup> იხ. ლიტ. 8.

<sup>21</sup> Denis C., დასახ. ნაშრომი.

<sup>22</sup> Kardakoff N., დასახ. ნაშრომი.

<sup>23</sup> Каталог денежных знаков русской революции, Издание второе, Тифлиси, 1924.



საქართველოს  
მონეტისტიკის  
საზოგადოებრივი  
წევრობა

ქართულ ბონისტიკურ ძეგლებს შორის შეგვიძლია გამოვეყოთ  
თავი ჯგუფები:

1. ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები (1918-1919);
2. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ბონები (1919-1921);
3. საქართველოს სსრ-ის ბონები (1922);
4. ამიერკავკასიის სფსრ-ის ბონები (1923-1924);
5. საქართველოს ტერიტორიაზე გამოშვებული ქალაქის ფულადი სუროგატები (1918-1924);
6. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ბანკის კუპონები (1993-1995);
7. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული ვალუტა - ლარი (1995...).

ქართული ბონების საკმაოდ მრავალფეროვანი კოლექციები თავმოყრილია საქართველოს მუზეუმებში. არსებობს მდიდარი კერძო კოლექციებიც, როგორც ჩვენში, ასევე საზღვარგარეთ.

1918-1924 წლების ქართული ბონების ისტორიასთან დაკავშირებული ფაქტების ობიექტურ შეფასებას და წარსულის გამოცდილების გათვალისწინებას წმინდა პრაქტიკული დანიშნულებაც გააჩნია დღეისათვის, როდესაც ეროვნული ბანკის კუპონების ნაცვლად მიმოქცევაში დამკვიდრდა საქართველოს სრულფასოვანი სახელმწიფო ვალუტა - ლარი.

Н. Г. ДЖАВАХИШВИЛИ

### ЧТО ИЗУЧАЕТ БОНИСТИКА

Резюме

В старье разъяснено - что изучает одно из подсобных отраслей истории - Бонистика, которая была создана как историческая дисциплина в начале XX века, но до сих пор считалась составной частью нумизматики.

Отмечено, что много значительных исследований созданы о бонистических памятниках - бумажных денежных знаках и бонах - в отдельных странах мира, однако вопросы грузинской бонистики до сегодняшнего дня не были монографически изучены и оставались белыми пятнами истории. Среди грузинских бонистических памятников можно выделить следующие основные группы: 1. Боны Закавказского Комисариата (1918-1919); 2. Боны Демократической Республики Грузия (1919-1921); 3. Боны Советской Социалистической Республики Грузия (1922); 4. Боны Закавказской Советской Федеративной Социалистической Республики (1923-1924); 5. Выпущенные на территории Грузии бумажные денежные суррогаты (1918-1924); 6. Купоны Национального Банка Республики Грузия (1993-1995); 7. Национальная валюта Республики Грузия - лари (1995...).



После обзора нескольких основных вопросов грузинской фонетики в статье подчеркнута необходимость ее теоретического и практического изучения.

წარმოადგინა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული სახელმწიფო და სახალხო დიპლომატიის ისტორიის სამეცნიერო-კვლევითმა ცენტრმა.



გადაეცა წარმოებას 12.07.97 წ; ხელმოწერილია დასაბეჭდად 6.01.98;  
ანაწყოების ზომა 7x11; ქალაქის ზომა 60x84<sup>1/16</sup>; ბეჭდვა ოფსეტური;  
ქალაქი საწიგნე-საქურნალე; პირობითი ნაბეჭდი თაბახი 14,0;  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,8.

ფასი სახელშეკრულებო

ტირაჟი 120; შეკვეთა №297

●  
საწარმო-საგამომცემლო  
გაერთიანება „მეცნიერება“  
თბილისი 380060;  
კუტუზოვის ქ. №19

ԿՐ ԶԶ/1

